

# სხანი შოპოდაქანი

იანვარი № 23  
ფასი 5 ლარი

კახა ბაკურაძე  
ნინო ბურდული, ანდრო ჭიაურელი  
ია თაბაგარი  
ლილი იოსელიანი  
ზოზ დილანი



ISSN 1512-2220



9 771512 222006

საეც-პროექტი: **ნლის**  
**აღაგინაგები**



შენი „პილს“



**CI&D**  
ARCHITECTS

**კიდე არქიტექტურა**

[www.cid.ge](http://www.cid.ge)


39 39 39



მთაშვილი



მაგთი  
MAGTI



...კავშირი თქვენს სამყაროსთან



www.bagebeycity.com



ვაკის საცურაო აუზი  
და ფიტნეს კლუბი



ParkPlace  
პარკპლეისი



გათუვი ვეჯა



ჩითახევესი



სათნილაგურო პარკი თბილისში



სასტუმრო კვარიათვი

სახლი აუზთან

№ 25 25 75

[www.bagebeycity.com](http://www.bagebeycity.com)



გააფერადე ახალი 2007 წელი კაპაროლთან ერთად



კანკაბორი გეროკავთ!





**BB company**

კოსტავას 26

ტელ.: 98 40 24

მობ.: 877 48 40 25

[www.lavazza.com](http://www.lavazza.com)





# სხანი შოკოლადი



- 22** შოკოლადი გირჩავთ  
ავტორი: სალომე კიკალეიშვილი
- 24** კულტ მიმონილვა  
ავტორი: სალომე კიკალეიშვილი
- 30** აქცენტები  
ქველი ტფილისის სახეები, სარვანტესი ბავშვურად,  
მოკითხვა საქართველოდან  
ავტორები: ანა კორძაია-სამადაშვილი, თამარ ბაბუაძე
- 36** პრუსტის კითხვარი  
ზურაბ კიკნაძე
- 38** დისკუსია  
გამოვნებაზე ღაობაძე ავტორი: ქეთი სადღობელაშვილი
- 46** პრომოუშენი  
კოშკაზის მხარაში  
ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი
- 58** წერილი შოტლანდიიდან  
ავტორი: თამარ სუხიშვილი
- 64** ესსე  
რეპრესირებული სექსუალობა ავტორი: ნინო ძანძავა
- 70** ცხოვრების წესი  
კახა ბაკურაძე ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი
- 78** ისტორია  
ია თაბაგარი - „ქალი OFF როუდ“  
ავტორი: თამარ ბაბუაძე
- 88** ლილი იოსელიანი  
„სიკეთე მარტო დანაწნალებს დედამინაზე“  
ავტორი: ქეთი სადღობელაშვილი
- 98** ნინო გურდული, ანდრო ჭიაურელი  
„გზაზე ორი კაცი მიდიოდა“  
ავტორი: ნინო ლომაძე
- 106** გოგ დილანი - „ქრონიკები“  
ავტორი: კახა თოლორდავა
- 114** სპეც-პროექტი  
წლის ადამიანები  
ავტორი: ნინო ლომაძე, სალომე კიკალეიშვილი ფოტო: თეა დავითი
- 142** ფოტო-პროექტი  
ნავალი ავტორი: ტატო კოტეტიშვილი
- 152** თავისუფლების დღიურები  
სანდრა ელისაბედ რულოვსი
- 158** ცრემლიანი სათვალე  
ვითომ აქ ვარ 1987 ავტორი: გიორგი გვახარია
- 166** პირადი ენციკლოპედია  
ავტორი: აკა მორჩილაძე
- 178** ფილმები – ავტორი: სალომე კიკალეიშვილი  
წიგნები – ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი



New collection

www.nafnaf.com - \*Sports d'hiver



პეკინის ქ. №2 Pekini str. №2  
(995 32) 33 19 62  
(995 32) 33 19 68



NAFNAF

## რედაქტორის წერილი



ეჰ, რომ იცოდეთ როგორ მშურს ჩვენი ავტორების?!

ისინი ხომ საავტორო სვეტების წერისას მხოლოდ საკუთარ გუნება-განწყობაზე ფიქრობენ და ჩემს ცენზურასაც არად დაგვიდევენ. თუმცა, მათი სვეტების გასწორებაზე მეც კარგა ხანია ჩავიქნიე ხელი. დაე, იყვნენ სენტიმენტალურები, ფამილარულები, გულწრფელები, თბილები და ტკბილები, არაპოლიტიკორექტულები, სკეპტიკურები და თვითკრიტიკულები. ეს ყველაფერი ძალიან კარგია!

და რადგან მეც ადამიანი ვარ, მეც მინდა ამ საახალწლოდ ემოციებს ავყვე და გითხრათ, რომ მიხარია, რომ “ცხელი შოკოლადი” უკვე 2 წლისაა! რომ ვგრძნობთ, ამ 2 წლის განმავლობაში როგორ გავიზარდეთ, შევიცვალოთ, საკუთარ თავში უფრო დარწმუნებული და თამამები გავხდით. მიხარია, რომ ვიცით, რომ ბევრი სხვა საინტერესო ცვლილებაც წინ გვაქვს და რომ ამ ცვლილებების არ გვეშინია. პირიქით! მიხარია, რომ “ცხელ შოკოლადს” დაბადების დღიდან თან სდევს ყოველთვიური ეკზისტენციალური კრიზისი – მუდმივად საკუთარი თავის ძიება და ანალიზი, როგორები უნდა ვიყოთ, ვისთვის და რატომ უნდა ვიყოთ, რა გვაქვს ახალი სათქმელი? გვხარებს ქება, მაგრამ ქებაზე მეტად გვადგება კრიტიკა. თქვენთან აქტიური კომუნიკაციაც ჰაერით ამიტომ გვჭირდება.

ვამაყობ ჩვენი ძველი და ახალი ავტორებით: ანა კორძაია-სამადაშვილი, თამარ სუხიშვილი, სალომე კიკალაშვილი, თამარ ბაბუაძე, ნინო ლომაძე, გიორგი გვახარია, დათო ტურაშვილი, კახა თოლორაძე, აკა მორჩილაძე, ქეთი სადღობელაშვილი, გიორგი ლობჯანიძე, სანდრო კაკულია, ნინო ძანძავა, ლაშა ბაქრაძე – ეს ადამიანები “ცხელი შოკოლადის” ისეთივე ორგანული ნაწილი არიან, როგორც ჩვენი ჟურნალის ისტორიებისა თუ სხვა რუბრიკების გამრეები.

ვამაყობთ ჩვენი ვეტერანი და “დებიუტანტი” ფოტოგრაფებით. “ცხელი შოკოლადის” ყველაზე ძვირფასი ფოტოარქივი ჟურნალის გამრეებისა და ქალაქების ყველაზე “შინაარსიანი” პორტრეტებია. ამისთვის კი მხოლოდ კარგი ფოტოაპარატი, კარგი ტექნიკური აღჭურვილობა, კარგი ფირი, კარგი სტუდია თუ ფოტოგამრეების საინტერესო ჩაცმულობა არ არის საკმარისი.

აი, ასეთ ალტკინებულ ხასიათზე გახლავართ მას შემდეგ, რაც ახალი წლის დადგომის გარდაუვალობას გავუსწორე თვალი და “ცხელი შოკოლადის” 23-ე ნომერზე მუშაობა დავამთავრეთ.

მაშ ასე: “ცხელი შოკოლადის” საიუბილეო-საახალწლო ნომერი წარმოგიდგინთ: მოგზაურობას საახალწლოდ ყველაზე მხიარულ ქალაქ ედინბურგში; დათო ტურაშვილის საახალწლო პიესას “შავი კეტები”, წლის შემაჯამებელ სპექტაკლს “წლის ადამიანები”, რომელზეც იმდენი ვიკამათეთ, იმდენი ვეგემეთ, იმდენი ვიღეთ, რომ ჩვენ ვეღარ ვხვდებით, რა გამოვიდა. თავად განსაჯეთ!

მათთვის, ვისაც საახალწლოდ “თბილი და ტკბილი” განწყობილებები გჭირდებათ, ნაიკითხეთ ნინო ბურდულისა და ანდრო ჭიაურელის სასიყვარულო ისტორია. თუ სხვა მაგარი ქალების ისტორიები გაინტერესებთ, იხილეთ ლილი იოსელიანი და იკო თაბაგარი. “მაგარი კაცების” კატეგორია ამ ნომერში ბობ დილანმა დაიკავა (აქ დამატებით ზედსართავებს არ მოვიშველიებ, რადგან თავად ბობ დილანს მისი მისამართით ნათქვამი ეპითეტები – “მეამბოხე, უკომპრომისო, ახალი მუსიკალური მიმდინარეობის მამა” — სძულს!)

თუ ნამეტნავად ჩატკბით და ახალ წელზე ფიქრი არ გალევებთ, აუცილებლად ნაიკითხეთ დისკუსია თემაზე “გემოვნებაზე დაობენ”, ან ნინო ძანძავას ესეე “რეპრესირებული სექსუალობა”. ნამეტნავად შოვინისტო მამაკაცებო, წერვებს გაუფრთხილდით, ეს რუბრიკა თქვენთვის არ არის!

ამ ნომერს თან ერთვის თქვენი საჩუქარიც — “ყვავილების ფლორტი” — ნახეთ უკვე? აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ჩვენს ბებიებსა და ბაბუებს ახსოვთ ფლორტის კარტი თამაშის წესები. არადა, ძალიან სახალისო თამაშია, განსაკუთრებით მაშინ, როცა თქვენი მეგობრების გარემოცვაში ახალი ადამიანებიც ჩნდებიან.

“დებიუტანტი” ფოტოგრაფების ფოტოებსაც ნახავდით ალბათ. თუ არადა, აუცილებლად გადაფურცლეთ “დებიუტის” ბროშურა — წლებანდელი ფოტოკონკურსანტებით ჩვენ ძალიან ვამაყობთ.

მოკლედ ასე, მგონი ყველაფერი გითხარით. მე ხომ საიდუმლოებებს ვერასოდეს ვინახავ!

მომავალ შეხვედრამდე, 2007 წლის 25 იანვარს!

# სხელი შოკოლადი

**მთავარი რედაქტორი**  
შორენა შავერდაშვილი

**ადმინისტრაციული რედაქტორი**  
ნინო ლომაძე

**არტ-რედაქტორი**  
ნინო სლევჩენკო

**რედაქტორ-სტილისტი**  
გაგა ლომიძე

### ნომერზე მუშაობდნენ:

ანა კორძაია-სამადაშვილი, თამარ ბაბუაძე  
სალომე კიკალაშვილი, გიორგი გვახარია  
დათო ტურაშვილი, აკა მორჩილაძე  
თამარ სუხიშვილი, სანდრო კაკულია  
ლაშა ბაქრაძე, ნინო ლომაძე  
ქეთი სადღობელაშვილი, ნინო ძანძავა

### ფოტო

დავით მესხი, ლევან ხერხეულიძე  
ნიკო ტარიელაშვილი, თეა დავითი,  
ტატო კოტეტიშვილი

### ილუსტრაცია

მაია სუმბაძე, გიორგი მარი,  
მამუკა ტყემელაშვილი

### დიზაინი

დავით თეთრაძე, მიხეილ დგებუაძე  
თორნიკე ლორთქიფანიძე

### მარკეტინგი

ქეთა ბუაჩიძე

### რეკლამა

ნატა ფედოსევა, გვანცა გუშარაშვილი,  
ნესტან ავალიანი

### დისტრიბუცია

რატი ლორთქიფანიძე

### გამომცემელი



„სხელი შოკოლადი“  
„ქინო-სხელი შოკოლადი“  
„ოზონი“  
„ღიალოზი“

შპს „ემ ფაბლიშინგი“  
მისამართი: თბილისი 0105,  
ფალიაშვილის ქ. 108  
ტელ./ფაქსი: 23 37 31  
ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net

**რეკლამის განთავსება**  
შპს „მსა თბილისი“  
მისამართი: ფალიაშვილის ქ. 108  
ტელ./ფაქსი: 23 37 31  
ელ-ფოსტა: msa@msa.ge



**სტამბა**  
შპს „სეზანი“  
მისამართი: თბილისი,  
წერეთლის გამზ. 140  
ტელ.: 35 70 02  
ელ-ფოსტა: lika@cezanne-web.com



ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან  
© “M Publishing” საავტორო უფლებები დაცულია.  
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი  
ან მთლიანი გამოყენება აკრძალულია.

# შე-ქმნილი ბუნებისგან

სარეკლამო კამპანია



ერთხელ დაუბერავს ქარი... ის გააღვიძებს შენს ნამდვილ ბუნებას... იგი ითხოვს ცვლილებებს... და შენ მიჰყვები მას, რომ მიაღწიო მეტს... ასე იბადება რაღაც ახალი, სრულყოფილი...

**Nokia 8800 Sirocco Edition\*** - ბუნების და ადამიანის ერთობლივი მიღწევა. საფირონის ეკრანი - მყარი, როგორც ადაპტირების უნარის მქონე ხასიათი - სლაიდერის მსუბუქ სრიალში, და თანამედროვე ცხოვრების რიტმი პრაიან ინოს მუსიკაში.

**Nokia 8800 Sirocco Edition\***. სრულყოფილების ახალი კანონი.

**NOKIA**  
**8800**  
Sirocco Edition

**NOKIA**  
Connecting People

\*სერია სიროკო

რეკლამა, შექმნა უფლება საქალაქო © Nokia, 2006. Nokia, Nokia Connecting People ნაჩვენებია. Nokia Corporation-ის მიერ დაკავშირებული საბაზრო მნიშვნელობა.

## ჩვენი ავტორები



თამარ ბაბუნაშვილი

როცა ცარიელ ფურცელს შევხედე, სვეტის დასაწყისისთვის ასეთი ფრაზა მოვიფიქრე: “ცხელ შოკოლადში” მისი დაბადებიდან ვნერ და მასთან ერთად ვიზრდები-მეთქი. მაგრამ შემდეგ სწორედ ამ უკანასკნელმა ზმნამ დამაეჭვა: ვიზრდები, რო? ცხადია, გაზრდაში საფეთქელთან გაჩენილ ჭალარას არ ვგულისხმობ – ასეთებზე ჯერ არ ვფიქრობ, მით უმეტეს საახალწლოდ! გაზრდაში ნამდვილ გაზრდას ვგულისხმობ – შემოქმედებით; როცა აშკარად გრძნობ – ერთი საფეხურით ზევიდან გადმოხედე სამყაროს, ტვინის ერთი უჯრედით მეტი მაინც ამუშავდა შენს თავში და გრძნობის ერთი მეოთხედით მეტის გადმოცემა მაინც შეძელი ნაღდად. არადა, როგორც უკვე მოგახსენეთ, დაეჭვებული ვარ – ვიზრდები, რო? ეს ეჭვი ძირეულად განსხვავდება მოზარდი გოგოს ეჭვისგან – სარკესთან რომ დგას და ფეხის წვერებზე იწევა – არა, ცოტა კი გაზრდილვარ, მაგრამ აი, ამ სიმაღლე რომ ვიყო, უფრო მეტ ბიჭს მოვეწონებოდი!..

ჩემს სიმაღლეზე უკვე წლებია, აღარ მოვთქვამ. აი, შემოქმედებით ზრდაზე ფიქრებით კი ხანდახან მაინც ვლლი ხოლმე საკუთარ თავს, განსაკუთრებით აი, ასეთ წუთებში, როცა რაღაც ეტაპების შეჯამება მიხდება. მაგრამ მე ხომ ჰაერის გოგო ვარ – ტყულების ნიშნის ქვეშ დაბადებული – და, როგორც სხვა დროსაც წარმატებით გამომდის ხოლმე, ახლაც, ასეთ წუთებშიც, ძალიან მალე მოვხერხე ეჭვებისგან თავდახსნა. სასწრაფოდ გავიხსენე შარშანდელი დეკემბერი, როცა ნიუ იორკის სულ სხვა დროით მაჯააჩქარებულმა რამდენიმე დღეში ვაქციე სიტყვებად ჩემი ბოლოქარი ემოციები და უმალ კარგ ხასიათზე დავდექი. მივხვდი, ჩემი ყველაზე დიდი ადრენალინის წყარო, რამდენიმე პირადი საიდუმლოს გარდა, მოგზაურობაა. ამიტომ წლებიანდელი საახალწლო ნომრისთვისაც ისეთი რესპონდენტი ავირჩიე, რომ შარშანდელი კვლავაც გზაზე მომხდარი თავგადასავლები გამომივიდა, ოღონდ, ამჯერად ბუნების ნიაღში გადახდენილი. ია თაბაგარმა ისეთი ამბები გაიხსენა, მე პირადად სულაც გადამავიწყა, წლებიანდელი დეკემბერი თბილისში რომ გავატარე.

...უკვე გითხარით ხო, ჰაერის გოგო ვარ-მეთქი? ჰოდა, ახლა ზამთრის კარგმა ჰაერმა ისე წამიღო და იმდენი ოცნება და გეგმა მომაფიქრა, ალბათ, დღე-ღამეში 48 საათი დამჭირდება, თითოეული მათგანი რომ განვახორციელო. ცხადია, მათ შორის, ესენიც შედის: სტრესების დავინყების ნიჭი; “ცხელი შოკოლადის” თანხლებით ზრდა და ძალიან ბევრი მოგზაურობა. თქვენც ინატრეთ რამე, იქნება და ახდეს.



ლათო გურაშვილი

ძალიან მომეწონა ამ ჟურნალში ერთი კარგი სიახლე – უკვე ბეჭდავენ მკითხველების წერილებსაც და მათ შორის ერთმა ძალიან გამახარა, რადგან ეხებოდა ჩემს პუბლიკაციას და რაც მთავარია, იყო კრიტიკული. წერილის ავტორი სრულიად სამართლიანად მაკრიტიკებდა იმის გამო, რომ მკითხველები ძალიან შევანუხე რუსეთის შესახებ ჩემი ემოციური აზრებით და ამიტომაც, უპირველესად მაძლობა მინდა ვუთხრა ამ კრიტიკის ავტორს და აქვე დავდო პირობა, რომ რუსების ხსენება ჩემს პუბლიკაციებში აღარ იქნება, მიუხედავად იმისა რომ სულაც არ ვთვლი ემოციურობას უარყოფით მოვლენად. ამავე წერილის ავტორის დამსახურებაა ისიც, რომ პირველად (ამ ჟურნალში თანამშრომლობის მანძილზე), ვბეჭდავ პიესას და თანაც საახალწლოსა და თანაც სახალისოს, რადგან როგორც ამ ჟურნალის მკითხველებისაგან ვიცი, ისინი ყველაზე მეტად “ცხელ შოკოლადს” სწორედ დასვენების მიზნით ეტანებიან. მართალია პირადად ჩემთვის ამ პიესის თემა და პრობლემა, სულაც არ არის სახალისო, მაგრამ მთავარია მკითხველმა ისიამოვნოს და ჩემს დარდებს კი ისევე ძველებურად გაუძღვებ და თვითონვე გადავაგორებ.

ამ პიესის იდეა კი ძალიან უბრალოდ გაჩნდა – შარშანდელმა მადრიდელი პუტანკების შესახებ ფილმი გადაიღეს, რომელსაც “პრინციცები” ჰქვია და სპეციალურად ამ ფილმისათვის, მანუ ჩაომ სიმღერაც დაწერა. ამ ფილმის ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ, ეს სიმღერა ესპანელი პუტანკების ჰიმნად იქცა, თუმცა მანამდე საოცარი სანახაობა ვნახე – ამ ფილმის პრემიერას მადრიდის ერთ-ერთ ყველაზე დიდ კინოთეატრში ასობით მადრიდელი პუტანკა დაესწრო და მიუხედავად მათი მხიარული სახეებისა, მაინც მივხვდი, რომ ეს იყო ყველაზე სევდიანი მაყურებელი, ვინც ოდესმე კინოში მინახავს და შემხვედრია. (სხვათა შორის, ასობით პუტანკა ასე ჯგუფურად, რამდენიმე წლის წინ რეზიკო თაბუკაშვილთან ერთად ვნახე მოსკოვშიც, გამთენიისას, აეროპორტისაკენ მიმავალ გზაზე არჩევნების დღეს, როცა ბორის ელცინი მეორედ გახდა რუსეთის პრეზიდენტი. ჩვენ მივდიოდით ხორვატიაში და პუტანკები კი საარჩევნო უბნებისკენ მიიქაროდნენ ასე კოლექტიურად და ასე დემონსტრაციულად. ძალიან მაგარი სანახაობა კი იყო, მაგრამ რადგან შევთანხმდით რომ რუსეთზე აღარაფერს ვიტყვი, იმასაც აღარ გავიხსენებ (მათი პასუხების მიხედვით) რა მიარბენინებდა ამ მშვენიერ ხალხს არშემდგარი დემოკრატიის დასაცავად.

ის ფილმი კი, რომელშიც მთავარ როლს კანდელა პენია ასრულებს, ამ პიესაზე წვლების მთავარი მიზეზი გახდა, თუმცა წვალემა მაინცადამაინც არ მინდოდა (ისედაც არ მაკლია) და ვიფიქრე თბილისში რომ დავბრუნდები, “პოსეიდონში” მივალ, ქართველ პუტანკებს გავიცნობ, დავლაპარაკებ და შრომას შევიმსუბუქებ-მეთქი, მაგრამ პოსეიდონი დანგრეული დამხვდა. ერთადერთი, რითიც თავი დავიმშვიდე, მართლაც ძალიან სასიამოვნო სიახლე იყო იმასთან დაკავშირებით, რომ თვითონ პუტანკები ნანგრევებში არ ჩაუყოლებიათ. ამიტომაც, იძულებული გახვდი ქართველი პუტანკების ცხოვრება და მათი პრობლემები მაინც წვალეებით შემესწავლა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისინი ძალიან ბევრნი არიან; აღმოჩნდა რომ ქართველი ქალიც ადამიანია და ისიც შეიძლება გაბოზდეს მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი კდემამოსილებისა; აღმოჩნდა რომ ისინიც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან და მათაც სურთ, რომ ეს ქვეყანა იმაზე უკეთესი იყოს, ვიდრე არის და ჩვენ კი იმაზე უკეთესები ვიყოთ, ვიდრე ვართ...

## საბანკო სიყვარლი

## საქართველოს შანისთვის!

გახსენი ვადიანი ანაბარი 15 იანვრამდე  
**ბაზილიკ სახმოსახელო** სარგებელთან  
ერთად მიიღე **საანაბნო სარეზერვო**

\*1 წლიანი ანაბრის შემთხვევაში - თანხის **1%**

\*2 წლიანი ანაბრის შემთხვევაში - თანხის **2%**

\*3 წლიანი ანაბრის შემთხვევაში - თანხის **3%**



## ჩვენი ავტორები



ანა ქორძინა-სამადაშვილი

ვეუბნებოდი, ვეუბნებოდი ლევან ხერხეულიძეს, დროზე გადამიღე სურათი-მეთქი. არ გადამილო და აჰა! ეს დათო მესხის ნახელავია და როგორც ხედავთ, კვლავ წელამდე დალალები მაყრია. არადა, როგორი ნონკონფორმისტული ვარცხნილობა მქონდა, აფუსუს! ჩემს დანახვაზე ფრიც ლენცი ნამდვილად ტანჯვით მოიკლავდა თავს — და ღირსიც იქნებოდა.

საყოველთაოდ გავრცელებული აზრის თანახმად, — ძალიან მეჯავრებინ ფსიქოლოგები! — ქალები თმას მაშინ იჭრიან, როცა მკებნარი უჩნდებათ ან ცუდ გუნებაზე არიან. შესაბამისად, ვისაც არ დაეზარა, ყველამ თავზარდაცემულ-შენუხებულ სახე მიიღო — ტყუილი, ტყუილი! და მკითხა: რა მოგივიდა?

არაფერი, ძვირფასებო, უბრალოდ, თმა შევიჭერი. მეტსაც მოგახსენებთ — თავს ჩინებულად ვგრძნობ და დიდი ენთუზიაზმით ველი, როდის ჩაივლის ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებული დაუსრულებელი დღესასწაულები.

ჩემთვის ეს დღეები ბევრი ვერაფერი სიხარულია. მე არ ვჭამ ინდაურს, გოზინაყი არ მიყვარს და ვერც იმას ვხვდები, რად უნდა მიხაროდეს ჩემი მშვენიერი ცხოვრების კიდევ ერთი წლის დასრულება — მარადისობაში სულ არ მიმეჩქარება.

მაგრამ ჰა, ვინაიდან ნახევრად საგვე ჭიქა ნამდვილად სჯობს ნახევრად ცარიელს, გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, მრავალს დაესწარით “ცხელ შოკოლადთან” და ჩემთან ერთად.

ხოლო ნიშნად იმისა, რომ ჩვენთან ერთად ყოფნა ნამდვილად ღირს, ამ ნომერში ძალიან კარგ ამბებს მოგიყვებით და ძალიან ლამაზ ფოტოებს გაჩვენებთ, და კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რომ სიხარულისთვის სულაც არაა საჭირო, კალენდარზე დღესასწაული იყოს აღბეჭდილი.

მთავარია, ჩვენ ვიყოთ კარგად.



გიორგი გვახარია


იცით რატომაა კარგი “ცრემლიანი სათვალის” წერა? წარსულში მოგზაურობ და გგონია, რომ ისევ ისეთი ხარ, როგორც ასე წლის წინ. თავს იტყუებ და მარად ახალგაზრდას თამაშობ. არა და დრო გადის — “ახალი ახალი წელია”. შარშან გადავწყვიტე სხვანაირად შევხედოდი ახალ წელს — პარიზში, ლიბანელების კამპანიაში ავლმონჩნდი. მშვიდობა ვუსურვე და საწყალი ხალხი დავთარსე კიდევ — 2006 წელს ლიბანში ომი დაიწყო.

ომი მეც დამებედა — ომი რადიოში, ტელევიზიებში, ომი ახლობელ ადამიანებთან. წყენა, ეჭვიანობა, საქმის გარჩევა, ქარაგმებით “კბენა”... ძალის წელიწადს ადამიანები დაგეშილ ნაგაზებს ემსგავსებიან. ცოფი გადამდები ხდება... მაგრამ ასეთი კორიდა — სიყვარულის კორიდაა. ადამიანისგან მაშინ გწყინს, როცა იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს შენს ცხოვრებაში, როცა არა ხარ მის მიმართ გულგრილი, როცა ვერა და ვერ ელევ. ისე, როგორც ბერგმანის “შემოდგომის სონატაში”! დაცოფეს ერთმანეთი დედამ და შვილმა, ათასი საზიზრობა თქვეს. მერე დედა წავიდა... და მხოლოდ ფინალში, როცა კორიდა ჩაიარა, როცა ორივე მარტო დარჩა — მოინანიეს, გული დასწყდათ, მიხვდნენ, რომ მათ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი.

ომი ლიბანში. ისრაელის ქალაქების დაბომბვა და რუსეთ-საქართველოს “ცივი”, მაგრამ უკვე ძალიან მოსაბეზრებელი ომი. “ჩემი ომები”... “ანა კარენინასი” არ იყოს, ყველა ომი რაღაცით ჰგავს ერთმანეთს. ომს დაღლა და თავის ტკივილი მოჰყვება ხოლმე. ორგანიზმი იფიტება. ამასობაში ახალი წელი მოდის და ნაომარი ხალხი მშვიდობას უსურვებს ერთმანეთს.

უცხო ხალხთან ერთად ახალ წელს აღარასდროს შევხვდები. არავის მეკვლე არ ვიქნები!

ყველამ მაპატიეთ, ვისაც გაცყენინეთ. მშვიდობას გისურვებთ!



თამარ სუსხვილი

არ ვიცი, კიდევ გახსოვთ თუ არა ჩემი კადნიერი დაპირება — ბევრი სხვაც მაქვს მოსაყოლი-მეთქი? თუმცა მე ჩემს პირობას მაინც შევასრულებ (სიტყვის ქალი გახლავართ!). ოღონდ ამჯერად ინგლისურ ჩაისტან მოსაყოლი ამბების ნაცვლად, შოტლანდიურ ვისკისთან მისაყოლებელ ამბებს შემოგთავაზებთ, და შევეცდები, ხალისიანი და საახალწლო განწყობა შეგიქმნათ.

2007 წელი დგება, მე კი ისევ შარშანდელ ძველ წელში ჩავრჩი (და მგონი კიდევაც დიხანს ჩავრჩები). რატომღაც ისევ შარშანდელ ახალ წელს ვისხენებ, შოტლანდიის მთებს და ედინბურგის ქუჩებს... ვილაციისთვის შეიძლება ამაში განსაკუთრებული არაფერი იყოს (დიდი ამბავი, ერთხელ გაყო გარეთ ცხვირი და არ მოგვაბეზრა თავი ამაზე წერიტო?), მაგრამ მე კი კარგა ხანს ისეთივე გატაცებით გავისხენებ ჩემს საახალწლო მოგზაურობა-2006-ს, როგორც ჩვენი სკოლის ისტორიის მასწავლებელი მოუბეზრებლად იმეორებდა ხოლმე ჩვენთვის უკვე კარგად მობეზრებული მეორე მსოფლიო ომის მისთვის ლამის უკვე მითოსად ქცეულ ამბებს.

2006 წლის ახალ წელთან ჩემი ფსიქოლოგიური მიზმის მიზეზსაც ახლავე ავიხსნი. ჩემს მეხსიერებაში 2006 წლის 1 იანვარს ედინბურგი სილალისა და თავისუფლების ქალაქად ჩაიხატა. ზამთრის ჩვეული სუსხი, ქუჩებში გამოფენილი ამაყი და ახლის, კარგის მოლოდინის სიხარულით ატაცებული შოტლანდიელები — მხიარულები, კეთილად განწყობილები, იმედიანები, თავიანთი თავისა და სხვათა ბედნიერების მოსურნენი. ეს სიხარულის დღესასწაული უცებ არ შეიქმნებოდა. ამას თავისუფლებისაკენ მიმსწრაფი ხალხის ნება ქმნიდა და უკვე ტრადიციად იქცა.

გრანდიოზულ ფეიერვერკზე უფრო მთავარი ეს საყოველთაო სიხარულისა და ბედნიერების განცდაა. მინდა, თქვენც ისეთი ახალი წლები გისურვოთ, ედინბურგში რომ დგება.

სიხარული დაგეკვებოთ!

ჰოდა, ედინბურგში ვარ და...



# AXIS PALACE 2

34 SABURTALO Str.

**565 \$ - ეპ6**

სანახლრო ფანი



tel.: 55 34 34 , 25 34 34 [www.axis.ge](http://www.axis.ge)

## ჩვენი ავტორები



ნინო ლომაშვილი

ბოლო ხანს ჩემი და შოკოლადის თანაცხოვრება სრულ პარმონიაშია თუ, ცხადია, არ ჩავთვლით იმ დღეებს, როცა გათბობა არ გვქონდა და ფიზიკის ერთი რომანტიკული კანონის თანახმად ერთმანეთს მხოლოდ გაცივებული ენერჯის წყალობით ვათობდით. ამის მიუხედავად, იქ მისვლა მაინც მიხარია... რომ შესვლისთანავე ხერხეს ჩემი ასტროლოგიური ნიშნის უახლოეს მომავალზე ვკითხო და სალომეს დანახვაზე „A Far L'amore comincia tu“ გამახსენდეს, მერე ანას საოცარი ამბები ვისმინო და ჩვენი ფოტოგრაფების ხუმრობებზე მთელი გულით ვიცინო. აი, ასეთია ერთი დღე შოკოლადში, თან ეხლა ახალი წელი მოდის და რამდენიც არ უნდა ამტკიცონ რედაქციაში ახალი წლის და თოვლის ბაბუის ჩვენ დიდი ხანია აღარ გვეჯერაო, განწყობა მაინც სულ უფრო თბილი და ხალისიანი ხდება.

ახალი წლის და ამასთანავე საიუბილეო ნომერზე კი აბა რა გითხრათ, თავად ნახავთ და შეაფასებთ. ერთს გთხოვთ, რომ უფრო მეტი მოგვენოთ. ერთხელ მაინც რომ შემოგაჭყიტათ რედაქციაში, ახალი ფოსტის მოსვლას როგორი სიხარულით ვამცნობთ ერთმანეთს, ნამდვილად არ დაგვზარდებოდით.

ისე, ალბათ ამ წელსაც ასე იქნება; დაივლიან პატარა ბავშვებს ხელოვნური თეთრი წვერით და ნითელი ქუდით, ხანდახან ხურჯინით აღჭურვილი ცოტა სევდიანი თოვლის ბაბუები. პატარებიც, შესაბამისად ხან გაბრიყვდებიან და სიხარულით მიიღებენ მისგან საჩუქრებს. თუმცა იქნებოდა, ალბათ, მოზრდილი ბავშვებიც, ვინც ნითელ ბაბუს მხოლოდ მშობლების ხათრით გაუღიმებენ და საჩუქარზე მადლობას მაინც დედებს და მამებს გადაუხდებიან.

მე უკვე დიდი გოგო ვარ, მაგრამ თოვლის ბაბუს მაინც დაველოდები. იმას, შოკოლადში რომ მოვა და მომავალი წლისათვის ახალ იდეებს, საინტერესო შეხვედრებს და გემრიელად მოსათხრობ ამბებს მოგვიტანს საჩუქრად... თქვენთვის.



სალომე კიკაშვილი

მინდა... მე მინდა, რომ... მმმ, კარგი იქნებოდა, თუ... ვისურვებდი, რომ... – ხომ ხედავთ?! ვერანაირად ვერ ვინყებ! ყოველ შემთხვევაში ისე, როგორც ეს საშობა-სახალწლო სვეტს შეეფერება! თავში ხომ წლის ადამიანების ტელეფონების გარდა, არც აღარაფერი მიტრიალებს! არადა, თავდაპირველად სვეტის დაწერის როგორი „სვეტური“ არტ-ჩანაფიქრი მქონდა... ახლა კი ბანალურ ნოტებზე გადმოვედი და ყოფით ამბებში ვლივლივებ. აღარც იუმორი შემომრჩა და აღარც სიტყვათა სისხარტე. მოკლედ, სულ წავედი ხელიდან...

რედაქციის (როგორ მეზიზღება ეს სიტყვა) ცხოვრებიდან მხიარული ეპიზოდები; სალომეს გასული წლის თავგადასავლებისთვის ერთი ამოსუქვით, თვალის შევლება; ანა კორძაია-სამადაშვილის სახლში, ციკცენა მაგიდის გარშემო დატრიალებული ამბები; კუს ტბის მერე გამართული after party-ები; ორშაბათობით, დათო მესხის ქრონიკულში გადაზრდილი გაფრენები, როდესაც გამოურთავად ღლინებს „ჯეო-სტარის“ რეპერტუარს; სანდრო კაკულიას – „მკიდა“; ბაბუადის ცურვის სწავლის უშედეგო ცდები შავ ზღვაში; ხერხეს „რას ამბობენ ვარსკვლავები“ და ჩემი ფოტოს კაცის და პატარა ანას გამუდმებით ერთმანეთთან გაბუტული სახეები – ეს არის იმის ნაწილი, რაც ჩემი ტვინის ახლადდახურულ ფოლდერში – „2006“ შევიდა; word-ის ფაილებით, ფოტო იმიჯებით და ფონად დადებული მუსიკალური ნოტებით.

ოოჰ, რა რთული და სევდიანი ყოფილა სახალწლო წლის შემაჯამებელი სვეტის წერა...

P.S. ოფიციალური განცხადება: ფოლდერი ნომერი „2007“ ამ დღეებში იწყებს ფუნქციონირებას.



ნინო კიკაშვილი

– ნეტავ თვალები მენვოდეს ბნელ ოთახში ფილმების ყურებისგან!

– რა საშინელებაა ეს გადასვლის პროცესი!

– კახა, მეორეჯერ ჩავნერთ ამ დისკზე?

– იცით, მაგ დისკებს ნუ ენდობით.

– მიხეილ ჭიაურელის „ხაბარდას“ სცენარი ტრეტიაკოვს დაუნერია.

– გადასარევად ხართ იქ მოწყობილი. დიღომში უკეთესად იყავით თუ პლესხანოვი სჯობს? იქ ინტერნეტი მაინც გვქოდა.

– ერთი ქალაქი მინდა ჭიკარტების გასახვევად, ქეთიმ მასწავლა გახვევის კარგი მეთოდი.

– როგორი იყო გუშინდელი გამოფენა?

– როგორც ამბავი კარგი იყო, მაგრამ თვითონ გამოფენა არ ვარგოდა!

– მაგარი გამხდარია გაბაშვილი.

– მინისტრი გაბაშვილი? სად ნახეთ?

– პლაკატები დახაზიე უკვე? ჰო, ახლა ბანდერები ჩასალაგებელი.

– შევდივართ My Computer-ში, მერე CD Drive-ში.

– გადავირიე, რამდენი ყუთია, კარებს ვერ ვაღებ!

– საოცარ ისტორიებს მივაგენით ლამარასთან არქივში. ნინო მოგიყვება მერე.

– მოწყენილი ხარ?

– არა, სვეტი მაქვს დასაწერი ფურნალისთვის.

– გავიყვლიფე დღეს, კრედიტები გავისტუმრე...

– და ჩემთან ბერლინიდან წერილი არ მოსულა?

– ცუცა, ჩემთვისაც დაბრონე ჯამბაზები?

– კი, სულ ოთხი.

– უი, იმ დღეს რამდენი ვიცინე დათო ტურაშვილს ქართული რომ შეუსწორეს ჭიჭიკომ და ბიჭიკომ...

– გიორგი, ცოცხალი ხარ? იმედია, კიდე დიდ ხანს იქნები!

– ქართული ფილმების დატაბიზი გავაკეთოთ?

– თათბირი გვაქვს ჩასატარებელი, მაქვს ამის მოთხოვნის უფლება?

– მე წინააღმდეგობის კომიტეტს ვაყალიბებ! სამაგალითო ფურნალისტები ასეთ გარემოში მუშაობენ. მე არ ვარ სამაგალითო ფურნალისტი!

# AQUALTIS

## უაღრესად გამორჩეული



სერტიფიცირებულია

“აკვალტისი” უნიკალური სარკსნი მანქანა “არისტონისაგან” მრავალმხრივ კომფორტულია

გაქსნივალურად ადვილი ჩატვირთვა დიდი და ფართო ლუქისა და მოსახერხებლად განთავსებული სარკსნი დოლის მეშვეობით.

სარკსნის ტევადობა 7,5 კგ-მდე.

ყოველდღიური რეცხვის მინი-ჩატვირთვის პროგრამა საშუალებას იძლევა გაქსნივალურად დაიწმომოს წყალი და ელექტროენერგია.

რეცხვის სისტემა Super Silent უზრუნველყოფს მანქანის უხმო მუშაობას.

უახლესი პროგრამა Duvet განკუთვნილია საბეჭისა და ბალიშების სარკსნად.

ექსკლუზიური პროგრამა Woolmark Platinum Care იდეალურია შალისა და აბრეშუმის ნივთების სარკსნად.

დიზაინში დასული თქვენი სტილის ინდივიდუალურობა.

მოქრავი ყუთი დამატებით ადგილს იძლევა თეთრეულისა და ფხვნილების შესანახად.

“აკვალტისი” მხოლოდ ზომებითაა ჩვეულებრივი

მიმართეთ მაღაზიანთა ქსელს: 1. ყაზბეგის გამზ. 19ა  
2. ავლაბრის მოედანი  
3. “მეგალინი”, პავლიონი №89

ტელ.: 39 48 47 / 39 90 10  
45 13 47  
45 13 48

 **ARISTON**  
**არისტონი**



**„ლიტერატურული კაფე“, ახლა უკვე გუდაურში**

„ფორთოხლით უფრო გემრიელია, ეს გააკეთე“ ან „ჰო, კოსტავას ლიტ. კაფეში ვარ, გამოდი და ყავას დაგაღვინებ, ხომ გინდა ყავა?“ – ამგვარი პარალელური ფრაზების მოსასმენად მზად უნდა იყოთ მაშინ, როდესაც რამაზ გემიაშვილს ტელეფონით ესაუბრებით. ნამცხვრები და შოკოლადი ხომ მისი ცხოვრების უცვლელი თანამგზავრია! მას შემდეგ, რაც თბილისის სხვადასხვა უბანს „გემრიელად“ მოედო ლიტ.კაფეები და გემიაშვილის უგემრიელესი, ცნობილი „ლიტერატურული ნამცხვრები“, ეს ყველაფერი თბილისის მასშტაბებს გაცდა და საქართველოს სხვადასხვა კურორტზე დიდო ბინა. პირადად მე, წელს მთელი აგვისტო გონიოს ლიტ.კაფეში ვაგატარე, გემრიელი ნამცხვრების და წიგნების გარემოცვაში. პარალელურად, ბათუმში ის ადგილიც მოვინახულე, სადაც ახალი ლიტ.კაფე უნდა გახსნილიყო და დანამდვილებით ვიცი, რომ ამ თვის ბოლოს, ბათუმელებსაც ექნებათ დროის გემრიელად და ნაყოფიერად გატარების საშუალება. მაგრამ ახლა ხომ ზამთარია და სპორტის და ჯანმრთელი ცხოვრების მოყვარული ხალხი სათხილამურო კურორტებზე მიდის! გუდაურში, რა თქმა უნდა! ჰოდა, არ გაგიკვირდეთ, თუ სათხილამურო „კანატკასთან“, დეკემბრის ბოლოს ჩასულეხს, ლიტ.კაფე დაგხვდებათ – თქვენთვის ნაცნობი მენიუთი, თქვენი საყვარელი წიგნებით და ამ კურორტისთვის შესაფერისი ინტერიერით. კედლებზე დახატული ირმებით (აი ისეთი, ჯემპრებს რომ ეხატა) და დიდი სარკით. ჰო, ისე, ეს ახალი ატრიბუტი ლიტ.კაფესთვის სიახლეა და იცით რატომ კიდა? – „იმიტომ, რომ ყველას ჰქონდეს საშუალება, საკუთარი ნამზეურით დატკბეს“-ო, განაცხადა რამაზ გემიაშვილმა.

ასე რომ, მომავალ შეხვედრამდე გუდაურის „ლიტ.კაფეში“!

**„ალფა-დოგ“-ი**

კინოთეატრი „ამირანი“


იანვარი

რა უნდა ჰქნა მაშინ, როდესაც ლოს ანჯელესის ყველაზე ელიტურ უბანში ცხოვრობ, ხარ მოზარდი ბევრი, ბევრი თავისუფალი დროით და ფულით ჯიბეებგამოტენილი? ჰო, რა თქმა უნდა, უნდა გაერთო, როგორც შეგიძლია. უბრალოდ, ამ დროს ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ყველაფერი! და მოხდება კიდეც, კალიფორნიის მხურვალე მზის ქვეშ!

თქვენ კი, ამ „ყველაფრის“ ნახვა „ამირანში“ შეგიძლიათ ნიკ კასავეტესის ფილმში „ალფა-დოგ“-ი, რომლის სიუჟეტი ნამდვილ ამბავზეა აგებული. ნარკომოვაჭრე, ანუ ჩვენს ენაზე – „ბარიგა“, ოლონდ მსხვილი „ბარიგა“, ვინმე შონ მაიკლსი, იგივე ჯეი ჯეიმს ჰოლიუედი, ამერიკის საგამომძიებლო ორგანოს პირველი და ყველაზე ახალგაზრდა დამნაშავე იყო. სწორედ ამ დამნაშავეს და მისი ბანდის სამდღიანი ვოიაჟის და დამნაშავეობის შესახებ გვიამბობს კასავეტესი, სადაც ცნობილ დამნაშავეებს ჯასტინ ტიმბერლეიკი, ემილ ჰირში და ბრიუს უილისი თამაშობენ. ნუ, ბრიუსის ანუ

ჰოლიუედედი „მაგარი ბიჭის“ გარეშე, როგორ შეიძლება ამერიკულ კინოში ვინმემ თოფიდან ისროლოს?! ჰო, ფილმში სადაც შერონ სთოუნიც დარბის, თურმე.

P.S. ბრიუსი ისე გაგიჟებულა ამ პოპ-ბიჭის შესრულების მანერით, რომ ფილმში „კერკეტი კაკალი 4“ თავისი შვილის როლზე მიუწვევია. ესეც შენ, ერთი ნაბიჯი სცენიდან-ეკრანამდე.



**პროექტი „29“**

სულ რაღაც სამიოდე დღის წინ, „ქორთიარდ მერიოტში“, სტუდია „სანოს“ და მსახიობ გოგი ხარაბაძის ახალი პროექტის, „29“-ის პრეზენტაცია გაიმართა. პროექტი „29“ კომპაქტ დისკების მთელი კრებულია, რომელზე მუშაობაც 9 თვის მანძილზე მიმდინარეობდა და რომელიც, დარწმუნებული ვარ, თითოეული თქვენგანის ოჯახში დაიდებს ბინას. კრებულში 29 დისკია შესული: „აკაკი წერეთელი – პოეზია“, „აკაკი წერეთელი“, თორნიკე ერისთავი“, „ილია ჭავჭავაძე“, „გალაკტიონ ტაბიძე“, „ვაჟა ფშაველა“, პოემა „ვეფხისტყაოსანი“, „სახარება იოანესი“, „სახარება მათესი“, „სახარება ლუკასი“ და „სახარება მარკოზისა“, „ზღაპარი ბავშვებისთვის“ და გოგი ხარაბაძის „რჩეული 63 ლექსი“. რაღა თქმა უნდა, ამ ყველაფერს გოგი ხარაბაძე კითხულობს. კატალოგი გაყიდვაში რამდენიმე დღეში გამოდის და მისი ყიდვა შეგიძლება როგორც ცალობით, ისე კატალოგის სახით.





PRODUCT OF GEORGIA

JSC "BAGRATIONI 1857"



# BAGRATIONI

Royal Family

750ml

## ბაგრატიონი

სამეფო საგვარეულოდან

11% vol

**MEDIUM-SWEET**

## კულტ-მიმონილა



### ამერიკული პოეზიის საღამო

**16 დეკემბერი. 17:00, „კოპალა“. ფორაქივილების დარბაზი.**

ამ დღეს გამართულ საღამოს სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი, როდესაც პოეტმა კოტე ყუბანიშვილმა ამერიკის კულტურის და პრესის ატაშეს როინა კროს-ნაჯაფს ქართულ ენაზე ლექსი წაუკითხა ისე, რომ არც ავტორის ვინაობა და არც ლექსის შინაარსი უთქვამს; და მისთვისაც სრულიად მოულოდნელად, ქალბატონმა როინამ უცხო ენაზე წარმოთქმული სიტყვების მიღმა, რობერტ ფროსტის ლექსი ამოიცნო. სწორედ ამის შემდეგ გადაწყდა იმ საღამოს მოწყობა, რომელიც ფორაქივილების დარბაზში, 16 დეკემბერს გაიმართა. აქ ამერიკელი პოეტების: ედგარ ალან პოს, ჰენრი ლონგფელოუს, ემილი დიკინსონის, რობერტ ფროსტის, ედვინ რობინსონის, თ.ს. ელიოტის, რობერტ ნათანის და პ. კოლუმის ლექსებს ქალბატონი როინა ორიგინალის ენაზე კითხულობდა, ხოლო მის ქართულ თარგმანს – პოეტი და მთარგმნელი კოტე ყუბანიშვილი. მან, გიტარის თანხლებით, პ.კოლუმის „An old woman of the roads“-ის სასიმღერო ვარიანტი შემოგვთავაზა.

როდესაც ერთ საათს პოს, დიკინსონის, ფროსტის თუ ელიოტის საოცარ სამყაროში გაატარებ და მშვენივრად შესრულებულ ქართულ თარგმანებს მოუსმენ, მიხვდები, რა ცოტა უნდა ადამიანს ბედნიერებისთვის!

### ნინო ქათამაძე თბილისში

**1 დეკემბერი, Night Office**

1 დეკემბერს, შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, „Night Office“-ში ნინო ქათამაძის და ჯგუფ Insight-ის სოლო კონცერტი გაიმართა, სადაც კამერული ორკესტრის მცირედი შემადგენლობაც იღებდა მონაწილეობას.

ეს საღამო სამხრეთ კავკასიის 2-დღიანი ფესტივალის შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც გაეროს მოსახლეობის ფონდისა და კომპანია „არტ ფორუმის“ ორგანიზებით ჩატარდა. ორწლიანი პაუზის შემდეგ, ნინო ქათამაძემ, ჯგუფთან ერთად, თბილისში კონცერტი გაიმართა, რომლის მესიჯიც იყო – „შეასრულე პირობა – შეაჩერე შიდა“.

დღეს ნინო უკვე მოსკოვშია და რუსეთის და უკრაინის სხვადასხვა ქალაქში ორკესტრის თანხლებით მართავს კონცერტებს.



### „ქალთა საერთაშორისო ასოციაცია თბილისი“

**6 დეკემბერი. 17:00**

ორგანიზაცია „ქალთა საერთაშორისო ასოციაცია თბილისი“ 1996 წელს შეიქმნა. მისი მიზანი საქართველოში მყოფ უცხოელ ქალბატონთა უცხო გარემოში სოციალური ადაპტაცია და ქართველ ქალბატონებთან დაახლოება იყო. მას მერე მრავალი წელი გავიდა და მისმა ორგანიზატორებმა, ასოციაციის პრეზიდენტებმა სარა უილიამსონმა, თერი მაკლეინმა და ვიკი-პრეზიდენტმა, ნინო ქადაგიძე-ჟვანიამ სოციალურად დაუცველი, ზრუნვასმოკლებული ბავშვებისთვის თუ სიმსივნით დაავადებულთა დასახმარებლად არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაიმართეს. ასოციაცია ყოველწლიურად, წელიწადში ორჯერ, საშობაო და საგაზაფხულო გამოფენა-გაყიდვას აწყობს, საიდანაც შემოსული თანხა მოსახლეობის ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიას ხმარდება. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ, „ქალთა საერთაშორისო ასოციაცია თბილისი“-ს დახმარებით, სამკერვალო სახელოსნო „მკურნალი“-სთვის ახალი დანადგარები შეიძინეს, რომელზე მუშაობასაც ქუჩის ბავშვები სწავლობდნენ. მათ შორის ერთ-ერთი უკვე „კარიტასში“ ასწავლის. „ჰოსტისის“-თვის (ეს არის ონკოლოგიური კლინიკის განყოფილება) ამ ორგანიზაციის დახმარებით, ოთახები გარემონტდა და რაიონებიდან ჩამოსულთათვის სასტუმრო ოთახები გაკეთდა.

და აი დღეს, როდესაც მის წევრებს ონიშვილის ქუჩაზე მდებარე სახლში ვესტუმრე, ისინი მომავალი საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვისთვის ემზადებოდნენ, რომელშიც პირველად, ამერიკის საელჩოს გარდა, 11 საელჩო იღებდა მონაწილეობას. გამოფენა-გაყიდვა სასტუმრო „მეტეხში“, 9 დეკემბერს გაიმართა, სადაც ოჯახიდან გამოტანილი ნივთების და მეორადი მოხმარების სამოსის გარდა, ხელნაკეთი ნივთებიც გამოიტანეს. ამასთანავე, წელს კავეც ფუნქციონირებდა, სადაც ნაციონალური საკვების და საკონდიტრო ნაწარმის შექმნა შეგეძლოთ. და ალბათ სწორედ ახლა, როცა ამ პატარა მასალას კითხულობთ, მისი წევრები ონიშვილის ქუჩაზე მდებარე სახლში სხედან და მომავალი საქველმოქმედო ღონისძიებისთვის ემზადებიან.





საყაჩაღო კოსტიუმები  
ნიღბები, აქსესუარები  
სტუდია ბრიმ-მასკ



ანუკა მუკანნიძის



ჯანაშვიას 2 / ტელ.: 22 13 57 / მობ.: 877 46 59 68 / ელ-ფოსტა: grim\_masc@yahoo.com



**ნიუს-ს ახალი მნიშვნელობა**

**15 დეკემბერი. 18:00. საჯარო ბიბლიოთეკა**

მოკლედ, აუცილებლად მოდით, დღეს ნახავთ იმას, რაც აქამდე არასდროს გინახავთო, – დაახლოებით ასეთი შინაარსის ბუკლეტი მოიტანეს რედაქციაში. საქმე კი, ფოტოცენტრის და ახალგაზრდა ფოტოგრაფის, მინდია მიდელაშვილის გამოფენა „ნიუს“ ეხებოდა, რომელიც ახალი ტექნოლოგიით, **framelight**-ით იყო შესრულებული, ანუ სპეციალურ ქალაქდზე დაბეჭდილი და ლაითბოქსზე გაკრული ფოტოები იყო წარმოდგენილი. გამოფენა ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო, რადგან, როგორც მითხრეს, დაღამებას ელოდებოდნენ, რათა ლაითბოქსით განათებული ფოტოები უფრო შთამბეჭდავი ყოფილიყო. გამოფენაზე, რომელიც ახალგაზრდა ფოტოგრაფმა გახსნა, ასეთი რამ გვითხრა: „ძალიან გთხოვთ, ამ ფოტოებს არ შეხედოთ, როგორც შიშველი ქალის სხეულს, არამედ მასში პლასტიკა და დინამიკა დაინახოთ“-ო. ანუ, თურმე ჯერჯერობით შანშიაშვილის ტორსები ანდა პიკო ნიჟარაძის „ნიუს“, მაპატიეთ და, ცარიელი ტრაკი და ძუძუ ყოფილა. და აი, სწორედ ახლა აგვიხილეს თვალი, რომ ეს ასე არის და რომ მასში დინამიკა და პლასტიკა უნდა დავინახოთ თურმე. მეტი რაღა გითხრათ? იყო ერთი-ორი ლამაზი ფოტო, რომელსაც ეს ახალი ტექნოლოგია უფრო ლამაზს ხდიდა, თორემ ისე...

**შინ, „შინთან“ ერთად**

**4 დეკემბერი. 20:00. რუსთაველის თეატრი.**

„დღევანდელი პრეზენტაცია – ეს არის ახალი მუსიკის ძიება ფოლკლორისა და ჯაზის ტრადიციული ფორმების მიღმა; ძიება და მასში ნაპოვნი ახალი მიმართულება – ახალი მუსიკალური სტილი, რომელსაც იბერო-კავკასიური ვუნოდეთ“.

1998 წელს, გერმანიაში ჩამოყალიბებულმა ჯგუფმა „შინ“, კიდევ ერთი კონცერტი გამართა თბილისში. უფრო სწორად, ეს იყო ახალი პროექტის, „ეგარი“-ს პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო როგორც ხალხური, ისე თანამედროვე ინსტრუმენტები და სადაც ქართულ პოლიფონიურ სიმღერას და ფოლკლორულ ცეკვას ჯაზური იპროვიზაცია და ფლამენკოს ელემენტები სინთეზურად ენაცვლებოდა. დასავლურ-აღმოსავლური კულტურის კიდევ ერთი მშვენიერი დიალოგი ზაზა მიმინოშვილმა, ზურა გაგნიძემ და მამუკა ლაღანიძემ, მოწვეული მუსიკოსების თანხლებით შემოგვთავაზეს. მათ შორის იყო სპეციალური სტუმარი ხორხე პარდო (ფლეიტა, საქსოფონი. პაკო დე ლუსიას და ჩიკ კორეას Touchstone-ის ბენდის წევრი).

P.S. აი ასე, ზოგჯერ თუ მოგეცემა ხოლმე საშუალება გაგახსენდეს ის, რასაც ძველი ბერძნები „კათარზისს“ უწოდებდნენ.



**ბახსენების საღამო და ნიგნის პრაქინტასია**

**17 ნოემბერი. 15:00.**

**ლიტერატურული კაფე „ქარავანი“**

„ფალავანთფალავანი“ – ასე ეწოდება ნიგნს, რომლის პრეზენტაცია ლიტ.კაფე „ქარავანში“, ნოემბრის ერთ სუხსიან დღეს გაიმართა. ნიგნი სახელოვანი ქართველი მოჭიდავის, გივი კარტოზიას ცხოვრების და სპორტში მოღვაწეობის შესახებ მოგვითხრობს.

ნიგნში ერთადაა თავმოყრილი „ფალავანთფალავანზე“ გამოქვეყნებული ძველი პუბლიკაციები; ნუგზარ შატაიძის წინათქმა; სპორტმენების, მეგობრების, თანაგუნდელების და ახლობლების მოგონებები; ჭაბუა ამირეჯიბის, ოთარ მეღვინეთუხუცესის, ბიძინა კვერნაძის, გურამ ლორთქიფანიძის და გიგა ლორთქიფანიძის წერილები; ელგუჯა ბერიშვილის წერილი „სპორტული გზა“. პროექტის ავტორი ქალბატონი მანანა კარტოზიაა.





**ახალი „ქარვასლა“ ნაძალადევი**

**7 დეკემბერი. 19:00, „ქორთიარდ მერიოტი“**

„ქორთიარდ მერიოტი“, კომპანიამ „არსი“ და კორპორაციამ „ჩემი სახლი“, საზოგადოებრივი ცენტრის „ქარვასლა“ პრეზენტაცია გამართა. „ქარვასლა“ – ეს არის 18000 კვადრატული მეტრის ფართობის ახალი სავაჭრო ცენტრი ნაძალადევის რაიონში, რომლის მშენებლობა 2008 წელს დასრულდება. ეს იქნება რამდენიმე სართულიანი სავაჭრო ცენტრი, სადაც სართულების მიხედვით განლაგდება სხვადასხვა საყოფაცხოვრებო, საკანცელარიო პროდუქციის და ტექნიკის მაღაზიები, ჰიპერმარკეტი, ბანკის ფილიალები და ტანსაცმლის მაღაზიები, კინოდარბაზი, რესტორნები და კაფეები. მოკლედ ყველაფერი, რაც თქვენი სიამოვნებისთვისაა საჭირო!



**ქილევ ერთი ფესტივალის შესახებ**

**6-8 დეკემბერი, კინოთეატრი „რუსთაველი“**

დეკემბრის დასაწყისში, კინოთეატრ „რუსთაველის“ VIP და შავ-თეთრ დარბაზში, წელს პირველად ჩატარდა დოკუმენტური ფილმების ფესტივალი, სადაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ნატალია გიორგაძის (საქართველო) და ტაბიტა ვან დენ ბერგის (ჰოლანდია) სპონტანურად წამოსული იდეა, კავკასიის გარემოს დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით განხორციელდა. ფესტივალზე წარმოდგენილი 74 საკონკურსო თუ არასაკონკურსო ფილმი რამდენიმე თემის გარშემო ერთიანდებოდა. ესენია: ადამიანი ბუნების წინააღმდეგ, კულტურა და გლობალიზაცია და ჩემი დროის გმირი. წარმოდგენილი ფილმების დიდი ნაწილის ავტორები ახალგაზრდა ქართველი დოკუმენტალისტები იყვნენ, თუმცა დოკუმენტალისტ ვლადიმირ ვოზნესენსკის თავმჯდომარეობით, ყიურომ მთავარი პრიზი სომეხ დოკუმენტალისტ ევგენია შეკოიანს გადასცა, ფილმისთვის „რას უმღერიათ ქვები“.

**რუბრიკას ბამოფინა**

**12 დეკემბერი. 18:00. TBS ბანკის სათავო ოფისი**

12 დეკემბერს, TBS ბანკის სათავო ოფისში თენგიზ მირზაშვილის (ჩუბჩიკას) ნამუშევრების გამოფენა გაიმართა, სადაც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მოტივზე შექმნილი ნამუშევრები წარმოადგინეს: სისადავით და უბრალოებით გამორჩეული ლანდშაფტები, პორტრეტები, ავტორის მიერ გაფორმებული წიგნების ყდები და ფიროსმანის თემაზე შექმნილი ნამუშევრები. – „ფიროსმანი ერთ-ერთი უდიდესი მხატვარია, რომელიც საქართველოს ოდესმე ყოლია. ერთი შეხედვით, მისი ტილოები მინიმალისტური და ლაკონურია, თუმცა თავისი არსით, საოცრად ძლიერი და მრავლისმთქმელია. და მე, ფიროსმანის თემებით შთაგონებულს, უამრავი ტილო მაქვს იგივე მოტივებზე შექმნილი“ – აღნიშნა ერთხელ თენგიზ მირზაშვილმა.

თენგიზ მირზაშვილის შემოქმედების დასახასიათებლად, ფიროსმანზე გამოთქმულ მისივე სიტყვებს გამოვიყენებდი და – „ერთი შეხედვით მინიმალისტური და ლაკონური ნამუშევრებია, მაგრამ საოცრად ძლიერი და მრავლისმთქმელი“. მათი თვალყურება, ხომ ერთი დიდი სიამოვნებაა!





**მოდის ახალი ქუჩა თბილისში**

**19 დეკემბერი. 19:00. საქართველოს ბანკის სათავო ოფისი**  
 თუ ხშირად ფურცლავთ მოდის ჟურნალებს, თუ გისეირნიათ პარიზის, ბერლინის, მადრიდის და ევროპის სხვადასხვა ქალაქის ქუჩებში, მაშინ კომპანია "BALLY" თქვენთვის ძალიან ნაცნობი სახელი და ბრენდია. ხოლო თუ ეს ასე არ არის, მაშინ მოკლედ გეტყვით, რომ კომპანია "BALLY" მსოფლიო ბაზრის ერთ-ერთი ყველაზე წონიანი შვეიცარიული ბრენდია, რომელიც მის კლიენტებს ქალის და მამაკაცის მაღალხარისხიან ფეხსაცმელებს და აქსესუარებს სთავაზობს. 19 დეკემბერს, საქართველოს ბანკის სათავო ოფისში სწორედ ამ ბრენდის პრეზენტაცია გაიმართა. საქართველოში მისი ექსკლუზიური დისტრიბუტორია კომპანია „GEORGIAN TRADE CORPORATION“. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ კომპანიას საკმაოდ სერიოზული გეგმები აქვს საქართველოს ბაზარზე ცნობილი ევროპული კომპანიების შემოყვანასთან დაკავშირებით და სულ მალე, "BALLY"-ს გვერდზე „TRUSSARDI“-ის და „CACHAREL“-ის მაღაზიებიც გაიხსნება. ეს ყველაფერი კი გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე მდებარეობს. ჰოდა, სწორედ ამიტომაც, ეს ვინრო ქუჩა სულ მალე მოდის ახალი ქუჩა იქნება თბილისში.

**პოეზიის საღამოები „ქარავანში“**

**ლიტერატურული კაფე „ქარავანი“**

**12 დეკემბერი. 18:00**

სიმართლე რომ ითქვას, ეს თვე საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა ლიტერატურული კაფე „ქარავანისთვის“, სადაც რამდენიმე პოეზიის საღამო გაიმართა: 7 დეკემბერს პოეტის, მთარგმნელის და კრიტიკოსის, დავით ნერედიანის საღამო, ხოლო 12 და 20 დეკემბერს მისული სტუმრები პოეტ ლია სტურუას და ზაზა შათირიშვილს უსმენდნენ. “დიდი ხანია, რაც საღამო არ მქონია. ხშირად თვითონ ვამბობდი უარს, ამჯერად კი ქალბატონმა ლელამ (ლელა შუბითიძე, ლიტერატურული კაფე “ქარავანის” მენეჯერი. ავტ.) დამითანხმა და “ცხელი შოკოლადის” თაოსნობით გამართულ ამ საღამოზე, ჩემს საღამოზე, რამდენიმე ძველ და ახალ ლექსს

წაგიკითხავთ” – ასე დაიწყო პოეტმა ლია სტურუამ თავისი შემოქმედებითი საღამო, სადაც ფურცელზე ჩამონერილი, წინასწარ მომზადებული ახალი და ძველი ლექსები, დამოუკიდებელი სიტყვები და ფრაზები ერთ დიდ მთლიანობას ქმნიდნენ და დარბაზში გამეფებულ სრულ სიჩუმეს არღვევდნენ.



**ჩრდილქვეშ გყოფი თაობის კატალოგი**

**17 დეკემბერი. 17:00. გალერეა „კოპალა“**

გალერეა „კოპალაში“ თეონა ჯაყელის და ქეთევან კვირიკაძის კატალოგის „ახალი თაობა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში“ პრეზენტაცია გაიმართა. კატალოგი, რომელიც ქართულ სახვით ხელოვნებაში მოღვაწე 1990-2000-იანი წლების თაობის შემოქმედებაზე მოგვითხრობს, ავტორთა სამწლიანი მუშაობის შედეგია. აქ ერთადაა თავმოყრილი ყველა ის ხელოვანი, რომელთაც მოღვაწეობა ამ პერიოდში სხვადასხვა დარგში დაიწყო: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, მინანქარი, გობელენი, ბატიკა, კომპიუტერული გრაფიკა, დიზაინი, კედლის მხატვრობა, კერამიკა, კონცეპტუალური ხელოვნება და ფოტოგრაფია. ამ ყველაფრის ერთ-ერთი მიზეზი კი ის იყო, რომ ამ პერიოდის მოღვაწე ხელოვანების შესახებ არანაირი ლიტერატურული მასალა არ არსებობს. თეონა ჯაყელი: „ეს თაობა ძლიერ განსხვავდება წინა თაობებისგან. თამამად შემოიძლია ვთქვა, რომ მცირეოდენი დაბნეულობების მიუხედავად, ეს არის ძალზე თავისუფალი თაობა, რომელთა შემოქმედებაც, გარკვეულწილად, ჩრდილში იყო მოქცეული. ამას კი ჩვენი საზოგადოების ჯერ კიდევ ჩაკეტილი მენტალობა განაპირობებს.“

# Peperone

იტალიური რესტორანი



## პეპერონე

335060 ქ. №2 ბილ.: (995 32) 33 41 87





## ძველი ტფილისის სახეები

*“ქალაქმა შეიძლება კატასტროფებს და შუა საუკუნეების სისასტიკეს გაუძლოს, შეიძლება მრავალი მტრის ლაშქარი მოაქციოს თავის ნანგრევებში, შეიძლება იმის მონმე გახდეს, რომ მისი სახლების ყოველი ქვა იცვლება, მაგრამ იმისთვის, რომ იმავე ქალაქად დარჩეს, ყოველთვის დროულად უნდა დაიბრუნოს ხოლმე თავისი სული.”*

იტალო კალვინო

იცით, ძველ თბილისში არა მხოლოდ კაცები იყვნენ ყარაჩოხლები. ქალიც ყოფილა ყარაჩოხელი – ქამრიანი სონა.

ქამრიანი სონას გვარი ცნობილი არაა, ზოგადად მასზე მცირე რამ ვიცით. იოსებ გრიშაშვილის მონაცემებით, ქამრიან სონას თბილისში დიდი სახელი და ყველაზე კარგი არლანი ჰქონდა. ვიღაც შურიანს მისთვის ინსტრუმენტი მოუპარავს და მტკვარში გადაუგდია. ამით სასონარკვეთილ სონას თბილისი დაუტოვებია და ფოთში დუქანი გაუხსნია.

მე თუ მკითხავთ, უსაშინლესი ამბავია – სანყალი სონა!

ეს ამბავი კალენდარში ამოვიკითხე, “ძველი ტფილისის სახეები”, მარტის გვერდზე, რომელსაც “ტფილისელი ქალები” ჰქვია და რომელზეც ორი ქალბატონია გამოსახული.

ერთი ქალის ვინაობა დაუდგენელია. ძალიან ლამაზი ქალი ვია, და ვინ იცის, ეგებ ვინმემ ამოიცნოთ კიდეც ამ ქალბატონში საკუთარი ბუბის ბუბია... მეორე ქალი კი სწორედ ქამრიანი სონა გახლავთ, მართლაც ქამრიანი. აი, მესმის ქამარი!

სონას ცალი ხელით კაბის კალთა უჭირავს, მეორით კი – მარცხენით, ცაცია ყოფილა – ღვინით სავსე ჭიქა. ერთგვარი ქართლის დედაა, თან თმა მკერდამდე სცემს. ნეტა, ასეთ ქალს არლანი როგორ უნდა მოპარო? ფოტოსურათის ავტორი ლეგენდარული მიშჩენკო გახლავთ, ჭორად მსმენია, მერე პარიზში გაიქცა, იქ მიშონის სახელით ფოტოსალონი გახსნა და დღეს მისი ნამუშევრები აუქციონებზე იყიდებაო.

აი, ასეთი ქალი შემომეყარა კალენდარში, რომელიც თბილისზე მზრუნველთა საზოგადოებამ, “ტფილისის ჰამქარმა” გამოსცა და რომლისთვისაც ქართულ-ინგლისური ტექსტები მისმა უსტაბაშმა, ალექსანდრე ელი-საშვილმა დაწერა. და ეს მხოლოდ მარტის თვეა! სხვა გვერდებზეც ისეთ ხალხს შეხვდებით, ისეთ პორტრეტებს ნახავთ!

ფოტოების ნაწილი საერთოდ პირველად ქვეყნდება, მაგალითად, იეთიმ დაბლიშვილისა. არ მითხრათ, არ ვიცით, იეთიმ დაბლიშვილი ვინ იყო! იეთიმ დაბლიშვილი, თბილისელ აშულთა უკანასკნელი ნარმომადგენელი – როგორ არ იცით, ეს ისაა, პოლონეთში თორმეტწლიანი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ რომ დაწერა: “გამარჯობა, ჩემო ტფილის ქალაქო, დაკარგული შენი შეილი მოვედი”. ახლა ხომ იცანით? დიახ, სწორედ იეთიმ გურჯისას მოგახსენებთ.

ამ კალენდარში კვლავ შეხვდებით ან გაიცნობთ გამორჩეულ ქალაქის თავებს, უმდიდრეს ტფილისელებს, მუსიკოსებს, ფალანგებს, ყარაჩოხლებს, დიდმოხელეებს, კინტოებს, აშულ-პოეტებს და თავზებულალებულებსაც კი. მართლა – 2007 წლის ივნისში ჩემს კედლს თავზებულალებული დაამშვენებენ: იოსებ ლალიაშვილი, ავაზაკი ტატო – უ, რა კაცი ყოფილა!...

ყველაფერს არ გიამბობთ, თავადაც მიხვდებოდით, რომ 2007 წელს თვეში ერთხელ მაინც მოგიწევთ იმის გახსენება, რომ თბილისი არაჩვეულებრივი ქალაქი იყო. ახლა როგორია – ეს სხვა ამბავია, მე ძველი თბილისისას მოგახსენებთ.

P.S. გადაიკითხეთ “ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა”.

P.P.S. ათასწლოვანი ჰამქარი ტფილისში ერთი კონკრეტული დარგის, ხელობის ადამიანებს აერთიანებდა. ჰამქარის წევრები საკუთარ ხელობას, ჰამქარისა და საკუთარ ღირსებას თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ. ჩვენ, ახალ ჰამქარელებს არა რამე კონკრეტული ხელობა, არამედ ტფილისი გვაერთიანებს. ჩვენი მიზანი ამ ქალაქისთვის გარჯაა, ამ ქალაქის გაფრთხილება. გვინდა ჯერ ჩვენ და შემდეგ ალბათ ყველამ გავითავისოთ, რომ ქალაქზე ზრუნვა მხოლოდ მერიის საზრუნავი არაა, ეს პირველ რიგში ჩვენი, რიგითი მოქალაქეების საქმეა – თამამი და დაუზარელი მოქალაქეების. “ტფილისის ჰამქარის” წევრობა ვისაც სურს, ერთადერთი პირობა უნდა დააკმაყოფილოს – თბილისი უნდა უყვარდეს! მისი გუმინდელი ახსოვდეს, დღევანდელი სტიკიოდეს. ხანდახან არ უნდა დაიზაროთ და დაგენანოთ ქალაქისათვის ცოტა დროის და ენერჯის დახარჯვა. ესაა და ეს.

პატივისცემით – უსტაბაში ალექსანდრე ელისაშვილი.



# AXIS PALACE 1

32 SABURTALO Str.

**615\$ - ეპ6**

სანახლდლო ფასი

tel.: 55 34 34 , 25 34 34    [www.axis.ge](http://www.axis.ge)



## სერჰანტისი ბავშვურად

გახსნი ამაზონ.ქომ-ის ვებ საიტს და მოძებნი ყველაფერს, რაც იწყება ფრაზით: “დონ კიხოტე”. თუ ნერვები გეყოფა და ბოლომდე ჩაუყეები ვრცელ სიას, შეიძლება ავტორის გრაფაში ამგვარ უცნაურობასაც ნააწყდე: “დონ კიხოტე”. ავტორი: მიგელ დე სერვანტესი, ჯაჯ პერი (დიახ, სასვენი ნიშანი მძიმეს შემდეგ სულაც არ მოგჩვენებიათ კიდევ ერთი, დამატებითი, სრულიად უცხო სახელი და გვარი – ჯაჯ პერი). და რა, გამოდის, რომ ეს ვინმე პერი სერვანტესის თანაავტორია?

მშვიდად, მშვიდად. გთხოვთ, ამ უცხო კაცის დაუოკებელი ამბიციების გამო, ზღვარგადასულ მრისხანებას არ მიეცეთ. რადგან პერი დიდი მწერლის არც ერთადერთი თანაავტორია და, სინამდვილეში, არც მისი ამბიციებია არაკეთილშობილური. ბატონმა პერიმ “დონ კიხოტეს” თანაავტორობა ბავშვების გამო “შეითავსა”. მან გულდასმითა და დიდი პასუხისმგებლობით ნაიკითხ-შეისწავლა სრული ტექსტი და შემდეგ ვრცელი რომანისგან მცირე ზომის საბავშვო ვერსია გადათარგმნა-გადაწერა. იგივე გააკეთა ამერიკელმა საბავშვო მწერალმა ბარბარა ნიკოლმა და დიდი მწერლის დაბადებიდან 400 წლის იუბილის აღსანიშნავად, ვრცელი “დონ კიხოტესგან” საბავშვო ვერსია დაწერა, სამიზნე მკითხველად 10 წლის მოზარდები აირჩია და შემდეგ ეს ილუსტრირებული გამოცემა “რენდომ ჰაუზმა” დასტამბა და გაავრცელა. ასე მოექცა დიდების საკითხავი “დონ კიხოტე” ამაზონ.ქომ-ის საბავშვო ლიტერატურის კატეგორიაში.

28 დეკემბრიდან სერვანტესი საბავშვო ლი-

ტერატურის ქართულ კატეგორიაშიც მოექცევა. ამაზე, აბსოლუტურად სუბიექტური მიზეზებით, დათო ტურაშვილმა იზრუნა: “ერთ დღესაც, ძილისწინ ბავშვებისთვის საკითხავი ზღაპრები გამომელია. მივხვდი, ბავშვებისთვის უკვე ყველაფერი მომიყოლია, რაც ოდესმე ვიცოდი. მაშინ მომიხდა, პირველად ბავშვებისთვის დამეწერა რამე, მაგრამ ვერ მოვახერხე. რადგან ბავშვებისთვის წერა ყველაზე რთულია, მათ ვერაფრით მოატყუებ და იმიტომ”. ამგვარი განწყობის ფონზე, ბასკეთში მცხოვრები თამარ გამილადიშვილის წინადადება – “დონ კიხოტე” თარგმნე, ამას მთელ მსოფლიოში აკეთებენ, ბავშვებს კლასიკის კითხვა რომ შეაყვარონო – ისე რეალური ჩანდა, რომ დათო ტურაშვილმა მაშინვე ფიქრი დაიწყო.

ყველაზე რთული სწორედ ეს პერიოდი იყო – ფიქრი იმაზე, თუ როგორ “გაეზავშუფრებინა” სერვანტესის ენა. ფიქრის პერიოდში დათო არა მხოლოდ სერვანტესის სრულ ტექსტს ჩაუჯდა ხანგრძლივად, არამედ სხვადასხვაენოვან ადაპტაციებსაც გადახედა, მათ შორის, ინგლისურს, რუსულს და ყველაზე ბევრს – ესპანურს და დაასკვნა, რომ ქართული ადაპტაცია პირდაპირ ორიგინალი ტექსტისგან უნდა გაეკეთებინა. “მინდოდა, ჩემი დამოკიდებულება ჩამედო. რამდენიც არ უნდა ვთარგმნო, მე ხომ “დონ კიხოტეს” უბრალო მკითხველად ვრჩები იმიტომ, რომ რამდენი მკითხველიც არის, იმდენი “დონ კიხოტე” არსებობს. ბავშვებისთვის კი მინდოდა, ზუსტი ენა მომეძებნა. ბოლოს მივხვდი, ყველაზე კარგი გამოსავალი იყო სიმარტივე”.

გასაღების მოძებნის შემდეგ, “დონ კიხოტე” ტურაშვილმა იმ ენით თარგმნა, როგორც ძილისწინ, ბავშვებს საინტერესო ამბავს მოუყეობოდა. “მაგრამ ტექსტში რაღაც სირთულეები მაინც დავტოვე. შეიძლება გაუგებარი სიტყვა შეხვდეს სადმე ბავშვს, ანდა სიუჟეტი. ეს სპეციალურად გავაკეთე. მეც ბავშვი მშობელთან რომ მივიდეს, ჰკითხოს, მათ შორის კონტაქტი შედგეს და მშობელმაც სერვანტესი გაიხსენოს. დიდები ხომ კლასიკურ ლიტერატურას აღარ კითხულობენ. ეს ყველაფერი ასეა, თუ ჩვენთან უფროსები არ კითხულობენ “ვეფხისტყაოსანს”, ესპანეთში არ კითხულობენ “დონ კიხოტეს”. საბავშვო ვერსია კი მშობლებსაც ახსენებს კლასიკას და გამოდის, რომ ეს მარტო ბავშვების წიგნი არ არის”.

რამდენიმეთვიანი თარგმნის შედეგად, დათო ტურაშვილს 70-გვერდიანი “დონ კიხოტე” გამოუვიდა – ძილისწინ საკითხავი, მარტივად გასაგები, მაგრამ მაინც “დონ კიხოტე”. გამომცემლობა “ლიტერას” მიერ დასტამბულ წიგნს ლევან ხარანაულის ნახატებიც ხომ ძალიან მოუხდა.

წიგნი პრეზენტაციამდე, 28 დეკემბრამდეც გაიყიდება. 28 დეკემბერს, 17 საათზე კი, საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში მოწყობილ პრეზენტაციაზე ბავშვებს თვით დონ კიხოტე დახვდება და გაართობს...

მე კი უკვე აშკარად ვხედავ სასიამოვნო საახალწლო საჩუქარს - ნაძვისხის ქვეშ ლამაზად შეფუთულ, ქართულ, ნახატებიან სერვანტესს...

VICHY  
LABORATOIRES

ღრმა ნაოჭები. მათი გადასწორება უკვე შესაძლებელია

## LIFTACTIV PRO

კრემი ღრმა ნაოჭების შემცირებისა და  
კანის სიმკვრივის აღდგენისთვის

ასტიმულირებს ღრმის პოჭკოების სინთეზს,  
აუმჯობესებს უჯრედობრივ კავშირებს და შედეგად  
ზრდის კანის სიმკვრივეს 43%-ით 1 თვეში.



**VICHY – ჯანმრთელობაზე ზრუნვა საკუთარი კანით დაიწყეთ**

ღამზაღებულ საფრანგეთში  
იყიდათ მხოლოდ ავთიანაოში

ვიშის ექსკლუზიური დისტრიბუტორი საქართველოში ფარმაცევტული კომპანია ჯი-პი-სი; მისამართი: სანაპიროს 6; ტელ.: 95 28 02; [www.gpc.ge](http://www.gpc.ge), [www.vichy.com](http://www.vichy.com)

ვიშის ცხელი ხაზი: 91 04 34

ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი



## მოკითხვა საქართველოდან

თავისთავად, თითქოს პროზაული ამბავია: საფოსტო მარკა არის საფოსტო გზავნილთა გადასახადის აღმნიშვნელი ნიშანი (სადაგელი ტაქტოლოგიაა, მაგრამ რა ვქნა?!), რომელსაც საფოსტო უწყებები უშვებენ. საფოსტო მარკაზე აღბეჭდილი კომპოზიციები სანარმოო გრაფიკის ნიმუშებია, ზედ, მეტწილად, გამოსახულია სახელმწიფოს სახელწოდება, მარკის ნომინალური ღირებულება და მსგავსები. ასე, მე მარკა მაქვს ნანახი – არ გენახოთ: ერთ მილიონ მანეთად ღირებული. ზედ ცელიანი სიკვდილი დგას და ქვეშ წარწერა აქვს, მოწოდება, უშველეთო მომხმამილე უკრაინას...

ცოტა უფრო რომანტიკული ის ამბავია, რომ მარკებს უამრავი ადამიანი აგროვებს. ეს უცნაური ადამიანები, ფილატელისტები, ამას იმით ხსნიან, რომ საფოსტო მარკები ერთგვარი დოკუმენტებია, რომლებიც ისტორიული მოვლენების შესახებ მოგვითხრობს. ეს ამბები არამარტო საფოსტო მარკების სიუჟეტებში ისახება, არამედ სხვადასხვა წარწერებსა და შტამპებშიც – ზედათასი რამ აისახება, სახელმწიფო მიკუთვნებულობის თუ მმართველობის ფორმის, ნომინალური ღირებულების თუ ვალუტის ცვლილებები.

კიდევ: ყველა მარკის რეგისტრაცია ხდება სპეციალურ კატალოგებში, როგორებიცაა **Scott's** – გამოიცემა 1867 წლიდან შეერთებულ შტატებში, **Stanley Gibbons** – 1893-დან, დიდ ბრიტანეთში, **Yvert** – 1900-დან, საფრანგეთში, **Zurnstein** – 1909-დან, შვეიცარიაში, **Michel** – 1910 წლიდან, გერმანიაში.

მაინც პროზაა. მაგრამ ახლა სხვა რამეს მოგიყვებით, იმას, რაც ირაკლი მახარაძისგან ვიცი. ის კინორეჟისორია, ჩვენ კი – ჩემი მეგობრები და მე – ზურგსუკან საქართველოს მთავარ ვესტერნოლოგად და გურული მხედრების დირექტორად მოვიხსენიებთ ხოლმე. ჰოდა, ირაკლი მახარაძემ გვიამბო, რომ:

1883 წელს უილიამ ფრედერიქ ქოუდიმ საფუძველი ჩაუყარა შოუს, რომელიც ოცდაათი წლის განმავლობაში მთელს მსო-

ფლიოში მოგზაურობდა. ის ორმოცდაათი მილიონი ადამიანი, რომელიც ამ შოუს დაესწრო, ქოუდის იმავე სახელით იცნობდა, რა სახელითაც ჩვენ ვიცნობთ – კი, ვიცნობთ, ვინ არ იცნობს ბაფალო ბილს!

მაგრამ ის როდი იცოდა ყველამ, რომ მისი შოუს მთავარ წარმოდგენად ქართველი ცხენოსნების გამოვლა ითვლებოდა. ყველამ როდი იცოდა, რომ ამერიკული ცირკებისა და შოუების არენებზე ოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში გურული მხედრები გამოდიოდნენ, რომ მათ თითქმის მთელი მსოფლიო მოიარეს, საყოველთაო აღიარება მოიპოვეს და დიდი გავლენა მოახდინეს კოვბოებზე.

ამ შესანიშნავი კაცების შესახებ ირაკლი მახარაძემ უამრავი ცნობა შეაგროვა, მრავალი ფოტოსურათი მოიპოვა, წიგნი დაწერა და ფილმიც გადაიღო. ამბობს, ჩემს გურულებს ერთ ძეგლსაც დავუდგამ და მორჩაო. მაგრამ სანამ საქმე ძეგლამდე მიხულა – აი, საფოსტო მარკა, რომლის არსებობასაც ირაკლი მახარაძეს და “ქართულ მარკას”, კერძოდ, ბატონ გია გუგუშვილს ვუმაღლით.

შესაძლოა, ყველას არ უნახავს ირაკლი მახარაძის ფილმი, ყველას არ ნაუკითხავს მისი კვლევები და თუნდაც “ცხელი შოკოლადის” მეთოთხმეტე ნომერი. სამაგიეროდ, მომავალი წლიდან ყველა ნახავს საფოსტო მარკას, რომელზეც ჩვენი, გურული მხედრები არიან გამოსახული. წარმოიდგინეთ: დაწერთ წერილს და ზედ დააკრავთ მარკას, და სადაც არ უნდა მოხვდეს თქვენი მარკიანი წერილი, ყველგან იკითხავენ: ბაფალო ბილი ვიცი, მაგრამ ეს კაცები ვინ არიან? და ყველა გაიგებს, რომ ისინი არიან გურული მხედრები, რომლებმაც როდემოც ცხენზე ჯირითი შემოიტანეს, რომლებიც სასწაულებრივ ტრიუკებს წარმოადგენდნენ ინდიელთა პონებზე, და საერთოდ, პატრიოტული წილსვლები რომ იქით იყოს, ძალიან მაგარი ბიჭები იყვნენ.

TERRA INCOGNITA



## ზურაბ კიკნაძე

ფილოლოგი



ფოტო: ლევან ხარაიულიძე

**როგორი წარმოგედგენიათ მინიერი სამოთხე?**  
ვერ წარმომიდგენია.

**თქვენი საყვარელი გმირი მხატვრული ლიტერატურიდან?**  
როდიონ რასკოლნიკოვი.

**თქვენი საყვარელი ისტორიული გმირი?**  
დიმიტრი თავდადებული.

**ვინ არის თქვენთვის გმირი რეალურ ცხოვრებაში?**  
ვისაც შეუძლია დაძლიოს საკუთარი თავი.

**თვისება, რომელიც ადამიანში ყველაზე მეტად მოგწონთ?**  
უანგარობა.

**თქვენი საყვარელი ჭეშმარიტება?**  
დათესილი თესლი არ აღორძინდება, თუ არ მოკვდა (პავლე მოციქული).

**ჭეშმარიტება, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე მეტად გაზვიადებულია?**  
ჭეშმარიტება არ შეიძლება იყოს გაზვიადებული.

**თქვენი საყვარელი საქმიანობა?**  
კითხვა და ხსოვნაში ხეტიალი.

**არჩევანის საშუალება რომ გქონოდათ, ვინ იქნებოდით?**  
მათემატიკოსი.

**თქვენთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი თვისება?**  
საიდუმლოს შენახვა.

**რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**  
ერთგულებას.

**თქვენი ყველაზე დიდი ნაკლი?**  
უნებლიე სიფიცხე.

**თქვენი აზრით, რა არის ყველაზე დიდი უბედურება დედამიწაზე?**  
სოციალური უსამართლობა.

**რომელ ქალაქში იცხოვრებდით?**  
რომში.

**თქვენი საყვარელი ფერი?**  
მენამული.

**თქვენი საყვარელი ყვავილი?**  
ყაყაჩო.

**თქვენი საყვარელი ჩიტი?**  
ბელურა.

**ისტორიული გმირი, რომლის მიმართაც ყველაზე ანტიპათიურად ხართ განწყობილი?**  
ლავრენტი ბერია.

**რა ბუნებრივი ნიჭით გასურთ რომ იყოთ დაჯილდოვებული?**  
მუსიკალური.

**როგორ სიკვდილს ისურვებდით?**  
ისეთს, თუ შეძლებდა სიკვდილისგან ეხსნა ადამიანი.

**თქვენი დევიზი?**  
სოკრატე მეგობარია, მაგრამ მასზე დიდი მეგობარი ჭეშმარიტებაა.

**რისი გეშინიათ ყველაზე მეტად?**  
უცხოეთში – დაკარგვის, საქართველოში – ქუჩაზე გადასვლის.

**საკუთარ თავს ყველაზე მეტად რომელ ისტორიულ პიროვნებას ამსგავსებთ?**  
ვერ ვპასუხობ.

**თქვენი ყველაზე უცნაური თვისება?**  
მოულოდნელობის მოლოდინი.

**რა შემთხვევაში ცრუობთ?**  
როცა არ მსურს, გული გავუტეხო ადამიანს უსარგებლო სიმართლის თქმით.

**ყველაზე ხშირად, ყოველდღიურ საუბარში რომელ ფრაზებს იყენებთ?**  
ვერ ვამჩნევ.

**რას ნანობთ ყველაზე მეტად?**  
ვნანობ, რომ ვერ ვიყავი ისეთი მეგობარი, როგორიც შემეძლო ვყოფილიყავი.

**განვლილი ცხოვრებიდან ერთი დეტალის შეცვლა რომ შეგეძლოთ, რას შეცვლიდით?**  
არ წაუიღოდი სტუმრად ამა და ამ პიროვნებასთან, სამარცხვინო შედეგის თავიდან ასაცილებლად.

**რას მიიჩნევთ თქვენს პირად მონაპოვრად?**  
რამდენიმე ადამიანის სიყვარულს.

**რაზე ოცნებობთ?**  
ჩანაფიქრის ოპტიმალურ განხორციელებაზე.



## VISA ბარათების საახალწლო ფესტივალი

**15 დეკემბრიდან 31 იანვრამდე,**  
თიბისი ბანკის ნებისმიერი ვიზა ბარათის მფლობელს,  
რომელიც აქტიურად გამოიყენებს ვიზა ბარათს  
საქართველოს სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში,  
საშუალება ეძლევა მოიგოს ორჯაციანი საგზური რომში.

**მთავარი პრიზი - ერთპირიანი საგზური რომში:**

- 🇮🇹 2 ადამიანის თვითმფრინავით გამგზავრება და უკან დაბრუნება
- 🇮🇹 საინტერესო ტურები რომში
- 🇮🇹 ცხოვრება 4-ვარსკვლავიან სასტუმროში

**აგრეთვე გათამაშდება:**

- 🇮🇹 5 ვერცხლის პრიზი - "ართთაიმის" საათი
- 🇮🇹 20 ბრინჯაოს პრიზი - 200-ლარიანი ვაუჩერი მაღაზიებში: "მექსი", "ბენეტონი", "ლაკოსტა", "კიკო" და "სისლეი".



 **27 27 27**

[www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge)



**De gustibus non (est) disputandum** გემოვნების თაობაზე არ დაობენ — ძველი ლათინების ეს გასტრონომიული თეზა საუკუნეებს გამოივლის და ჩვენს თანამედროვეობაში საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ერთგვარ კომფორტულ თავშესაფრად (შენ არ მოგწონს, ხალხს მოსწონს, გემოვნებაზე არ დაობენ) იქცევა. გემოვნების საკითხზე დავა შესაძლოა სარისკოა, მაგრამ აუცილებელიცაა, რადგან ჩვენს საუკუნეში, როგორც იტყვიან, პოსტ-პოსტმოდერნულ საუკუნეში, გემოვნება ერთგვარ ესთეტიკურ კატეგორიად (მაღალი და მდარე გემოვნება), სტილად, დახვეწილობის სინონიმად და შეფასების კრიტერიუმადაც კი იქცა. როგორ იცვლებოდა გემოვნება საუკუნეების ცვალებადობასთან ერთად, რომელ კატეგორიას ეკუთვნის ეს ცნება — ღირებულების თუ შეხედულების, რა ითვლება გემოვნებიანი ნაწარმობის შეფასების კრიტერიუმად, როგორ გემოვნებას ამკვიდრებს ჩვენი საუკუნე და როგორ გემოვნებას გვახვევს თავს დღევანდელი გარემო. სწორედ გემოვნებაზე დაობენ ჩვენი დისკუსიის მონაწილეები: კულტუროლოგი ლიკა ანთელავა, ლიტერატორი მალხაზ ხარბეღია, ხელოვნებათმცოდნე ანი კლდიაშვილი და მუსიკალური ექსპერტი კახა თოლორდავა.

# გემოვნებაზე დაობენ...

ავტორი: ქეთი საღლობალაშვილი  
ფოტო: ლევან ხარხაულიძე

**ქეთი** – პრეისტორიისთვის, კულტუროლოგს ვკითხვით, როგორ კონტექსტში განიხილავდნენ გემოვნების ცნებას და რა ცვლილებას განიცდიდა ის სხვადასხვა ფორმაციისა და ხელოვნების ჟანრების ჩამოყალიბების პროცესში?

**ლიკა** – ფრაზა “გემოვნებაზე არ დაობენ” ძველ რომში გაჩნდა და ეხებოდა გემოვნებას, საჭმელთან დაკავშირებით. მაშინ არავინ საუბრობდა მაღალ და დაბალ გემოვნებაზე, არავინ დაობდა იმაზე, პირის გემო კარგი გაქვს თუ ცუდი. არც არაფერი იყო სადავო. XVIII საუკუნეში ტერმინი გემოვნება ჩნდება გაცილებით ფართო კონტექსტში და გულისხმობს ესთეტიკურ კატეგორიას, რომელსაც მაღალი წრის სალონები სოციალური ფენის მიხედვით არჩევდნენ. ისინი თავს მოდიხა და მაღალი გემოვნების კანონმდებლებად მიიჩნევდნენ, დანარჩენ ფენებს კი მასის გემოვნებას მიაწერდნენ. XIX საუკუნეში

ნეში მკაფიოდ იკვეთება ესთეტიკურობა და ხელოვნების ნაწარმობათა შეფასებისას უკვე ჩნდება კარგი და ცუდი, მაღალი და დაბალი გემოვნება. როგორც ხედავთ, პირველად ეს ფრაზა გაჩნდა როგორც გასტრონომიული, შემდეგ იყო ესთეტიკური, დღეს ტერმინი გემოვნება აღარ გულისხმობს მხოლოდ ესთეტიკურს. ვილაცამ შეიძლება გითხრათ, რომ უყვარს რომელიმე დიქტატორი, სტალინი ან პინოჩეტი, ანუ დღეს გემოვნება არჩევანთან გაიგივდა. თითქოს ძალიან სწრაფად იცვლება სამყარო, მაგრამ, როგორც ორტეგა ი გასეტი იტყოდა, მაინც “მასათა ამბოხის საუკუნეში ვცხოვრობთ”. ამიტომ მასკულტურის გემოვნებაზე საუბარი ცოტა გაგვიჭირდება.

**ქეთი** – არც არის აუცილებელი მხოლოდ ამაზე ვისაუბროთ. ანის მინდა ვკითხო. მხატვრებისგან ხშირად გამიგია, რომ სურათი იმის მიხედვით კი არ ფასდება, მოგწონს თუ არა, არამედ უნდა გამოიკვეთოს კონცეფცია,

რა ინტენსივობითაა ესა თუ ის ფერი, როგორ მუშაობს ჩრდილი, შუქი, ხაზი და ა.შ. ყველა სფეროს აქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული სპეციფიკური დამოკიდებულება ამა თუ იმ ნამუშევრის მიმართ. რა ითვლება დღეს ხელოვნების ნაწარმობის შეფასების კრიტერიუმად?

**ანი** – რადგან წარსულის გააზრების გარეშე თანამედროვეობას ვერ შევაფასებთ, მინდა რამდენიმე საკითხი გამოვყო. კაცობრიობის ისტორიას თვალი რომ გადავავლოთ, თუნდაც რენესანსის ეპოქაში, ხელოვნება კულტის საძირკველზე დგას. ამიტომაც კრიტიკოსებს თავად კულტი იმუშავებს. როდესაც ხელოვნება კულტისგან გამოთავისუფლებას იწყებს და უკვე პიროვნებაზე, კონკრეტულ ადამიანზეა აქცენტირებული, რთული ხდება კრიტიკიუმებზე საუბარი. დღევანდელი პრობლემაა, სად ვეძებთ კრიტიკიუმები, შევაფასოთ ძველით თუ ახალი მოვიგონოთ.

ლიკა ამბობდა, სხვადასხვა ტიპის გემოვნება განჩნდაო. სხვადასხვა ჟანრის გაჩენაც ამასთან იყო დაკავშირებული; თუნდაც პეიზაჟის, რომელიც XVIII საუკუნემდე არ არსებობდა. ესეც სოციალური მოვლენა იყო. ადამიანის გათავისუფლებამ და კულტისგან ხელოვნების გამოცალკეებამ კრიტიკრიუმების მორღვევა გამოიწვია. ადამიანი სამ სფეროში მოღვაწეობს: ერთია სოციალურ-ეკონომიკური, მეორე – პოლიტიკური და მესამე – რელიგია და ხელოვნება. საინტერესოა “ძმობა, ერთობა, თავისუფლების” ლოზუნგი, რომელიც კომუნისტური გაგებისგან განსხვავებით, სულ სხვა მნიშვნელობას ატარებდა. ძმობა უნდა განხორციელებულიყო სოციალურ სფეროში (თანასწორობის პრინციპი), ერთობის სფერო პოლიტიკა და სამართალი, სადაც ყველა თანასწორია კანონის წინაშე და მესამე –

ლოვნად აღვიქვამთ – ეს უკვე ჩემი, როგორც პროფესიონალის, ან თუნდაც ჩვეულებრივი ადამიანის გადასაწყვეტია; ადამიანისა, რომელსაც ამა თუ იმ ნამუშევრის ნახვისას “დაბურძგლავს”.

**ქეთი** – ე.ი. შემქმნელსა და შემფასებელს შორის არსებული კავშირის სახელი არ ვიცით, მართო “დაბურძგვლა” ქმნის ამ ერთიანობას?

**ანი** – როცა დიალოგი შედგება, არა აქვს მნიშვნელობა, რას დავარქმევთ. ადამიანი სიკვდილში და ხელოვნების აღქმაში არის მართო, დანარჩენში ყველგან ერთად ვართ, მით უმეტეს დღეს.

**ქეთი** – ვთქვით, მასის წარმომადგენელი ვარ და არ მესმის ეს მაღალი ხელოვნება, თქვენ გინდათ ამიყვანოთ მაღალგემოვნებიან ნიშნულამდე. როგორ განხორციელდება

ნება, პრინციპში, არსებითი სახელი კი არა, ზმნა უნდა იყოს, იმიტომ, რომ სულ განვითარებაა, მოძრაობაა, დინამიზმია. აქედან გამომდინარე, რთული განსასაზღვრია, საიდან იწყება გემოვნება და როდის აღწევს სიმაღლეს; ან ის ისტერიები გავიხსენოთ, 60-იანი წლების დასაწყისში რომ ხდებოდა “ბითლზის” კონცერტებზე. ესეც არ იყო, ხო, მაღალი მუსიკა? სად სტრავინსკი და სად “ბითლზი”, სად “როლინგ სთოუნზი” და სად ბარტოკი ან შონბერგი. საკმაოდ რთულია ამ მომენტების გათვალისწინება. ერთ რამეში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ: შვილს ზრდი არა საუბრით, არამედ მაგალითით. ზუსტად ასევე, შენი პროდუქტი ზრდი სხვებს და არ ითვლი, ვინ ან რამდენი არიან ისინი. მე, მაგალითად, მუსიკის მოსმენა ბრეზენტგადაფარებულ მანქანაში დავინყე, როდესაც ვც-



მალხაზ ხარაბია, ლიკა ანთოლაკა, ქეთი საღლაშაშვილი კახა თოლორაძე, ანი კლიაშვილი

თავისუფლების პრინციპი რელიგიურ აღმსარებლობასა და ხელოვნებაში ხორციელდება. როდესაც ხელოვნება და რელიგია დაკავშირებული იყო კულტთან, თვითონ რელიგია აწესებდა კანონებს და ასეთი ხელოვნება კანონიკური იყო. XVIII საუკუნეში, როცა საუბარი იყო მაღალ ხელოვნებაზე, ჟანრებსაც კი განასხვავებდნენ. მაღალი ჟანრი იყო მითოლოგიურ-რელიგიური სიუჟეტები, დაბალი ჟანრი – ნატურმორტი და პეიზაჟი, მაგრამ როცა სეზანმა ნატურმორტი ისე დახატა, რომ რელიგიური იმპულსები საგრძნობი გახდა, იქ უკვე შეფასების ძველმა კრიტიკრიუმებმა აღარ იმუშავა. დღევანდელი ინდივიდუალიზმის ეპოქაში როგორც შემფასებელი, ასევე შემქმნელი გახდა ძლიერად გამოკვეთილი კონკრეტული ინდივიდუალობა, რამაც კრიტიკრიუმებზე საუბარი გაართულა. თუმცა, ეს კრიტიკრიუმები არსებობს. როგორ დავინახავთ ნაწარმოებს, რამდენად მნიშვნე-

ეს პროცესი? რა უნდა გააკეთოთ იმისთვის, რომ მეც ვიგრძნო ეს ყველაფერი?

**კახა** – პირველ რიგში გეტყვი, რომ არავის არსად არ აყავხარ. თუ შეგიძლია, ან თავად ადიხარ, ან – ვერა. შეიძლება უცებ ახვიდე, შემთხვევით. ავიღოთ ჯაზი. საიდან არის წამოსული – პლანტაციებიდან, რიტმიდან, საუბრიდან. პირველი რეაქციები ჯაზზე – რას უკრავენ? დამტვრეული რიტმებია, ღრიალებენ, ვინ არიან, რა უნდათ? აშკარად მასა ფიგურირებს აქ. დროთა განმავლობაში, მუსიკა, რომელიც მასამ წამოიწყო, აღიქვა და დაბურძგლა (იმიტომ, რომ სხეულის ენა იყო, ველური და რაღაც პირვანდელი), აბსოლუტურად ნორმალურად განვითარდა და მაღალ ხელოვნებად იქცა. ჯაზი აღმოჩნდა ღრუბელი, რომელმაც ყველაფერი შეისრუტა, დაწყებული ელექტრონული მუსიკით, დამთავრებული სრულიად არამუსიკალური სფეროებით. ჯაზი, ისევე როგორც გემოვნ-

დილობდი “ამერიკის ხმა” დამეჭირა, იმიტომ, რომ მომწონდა უილის ქანოვერის ხმა. მუსიკამ, რომელიც ამ ხმას შემოჰყა, აშკარად შემეცვალა. კარგი ხელოვნება ცვლის ადამიანს – ის აღარ ხარ, რაც იყავი.

**მალხაზი** – აქ რომ მოვდიოდი, თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ გაიჟღერებდა იმპრესიონისტული ფრაზა დაბურძგვლის შესახებ, რაც საკითხის განხილვის თვალსაზრისით, ჩიხში შესვლას ნიშნავს ხოლმე. გემოვნების საკითხმაც ბევრი ვინმე შეიყვანა ჩიხში. ლიტერატურის თეორია ვერასდროს თანხმდება კლასიკის პრობლემაზე, რადგან გემოვნების საკითხი არა მართო ლიტერატურაში, არამედ სხვა სფეროებში, თითქოს ერთი ცნებაა, მაგრამ საბოლოო ჯამში, ეს არის უზარმაზარი მარაო კომპლექსური ცნებებისა. მეც ვეთანხმები იმ აზრს, რომ ისეთი მყარი კრიტიკრიუმი, როგორიც, ვთქვით, ქრისტიანულ სამყაროში არსებობდა, დღეს

## დისკუსია

აღარ არსებობს. სამაგიეროდ, არსებობს კრიტიკრიუმთა სიმრავლე, პრინციპში თანამედროვე აზროვნებაც ეგ არის. უკვე ლიტერატურის თეორიის დაბადებიდანვე განისაზღვრა რაღაც ჯგუფები – ახალი კრიტიკა, დეკონსტრუქტივიზმი, სტრუქტურალიზმი და ა.შ. ამათ ყველას თავისი ავტორთა წრე ჰყავდათ, რომლებზეც ისინი თავიანთ იდეებს აფუძნებდნენ და პირიქით... კანტიდან მოყოლებული, გემოვნების საკითხი სუბიექტურობის საკითხად განიხილება. როცა ვსაუბრობთ კლასიკაზე, გემოვნებაზე, ღირებულებაზე, ობიექტურობაზე საუბარი ზედმეტია, რადგან ეს სამი ცნება, პრინციპში, ერთმანეთს ფარა-

იმპრესიონიზმი, იმ კრიტიკოსებით რომ არ გაბითურებულიყვნენ, მთელი შემდეგი საუკუნე ისე წარიმართა, რომ ყველაფერ ახალს ესთეტიკურად მიიჩნევდნენ. ამიტომ ვლასპარაკობით კრიტიკრიუმების მოშლაზე. არანაირი კრიტიკრიუმი არ არის. თუ ახალია, ე.ი. კარგია! დღეს დასავლეთში უამრავმა კრიტიკოსმა გაითქვა სახელი იმით, რომ დანერა და სახელი დაარქვა იმას, რასაც ადრე ვერ არქმევდნენ. როდესაც ვილაცამ პირველმა თქვა, რომ ჯოისი გადასაგდები კი არა, ძალიან საინტერესოა, მან ზუსტად მოძებნა ის არსენალი, რომელმაც ამის თქმის საშუალება მისცა.

რომ ვართ მეცნიერება, მაშასადამე გვაქვს ინსტრუმენტები, რომელსაც შეფასების დროს ვემყარებით. როდესაც სამგანზომილებიანი სამყაროს აღქმასთან დაკავშირებით ვლასპარაკობთ სიბრტყეზე, ვამბობთ, რომ ის შეიძლება იყოს მაღალმხატვრული ან დაბალმხატვრული, თუმცა აქ ჩნდება ძალიან სიფრიფანა პლასტი. ერთი ფრანგი ხელოვნებათმცოდნე წერდა ბურდელზე და ამბობდა, ეს არისო “Из области Бога.” რას ნიშნავს ეს? გამოსახვის საშუალებათა მიხედვით, შედეგში და იმაში, ვინც გაიმეორა შედეგრი, შესაძლოა ერთი და იგივე კომპონენტები იდოს, მაგრამ არის რაღაც, რაც



ვს. იყო მცდელობები, ეს ყველაფერი ისტორიულ ჩარჩოში მოექციათ, ანუ ერთმანეთისთვის შეედარებინათ პირველი მკითხველები და გაეგოთ, წლების განმავლობაში როგორ ვითარდებოდა ამა თუ იმ ნაწარმოების აღქმა და წაკითხვა. XIX საუკუნეში და უფრო ადრეც, ძალიან ხშირი იყო შემთხვევები, როცა მწერალი სათანადოდ ვერ ფასდებოდა. თითქმის ყველა დიდ მწერალს ჰქონდა ეს პრობლემა. ჯონ დონი თომას ელიოტმა აღმოაჩინა XX საუკუნის დასაწყისში. ის ადამიანები და კრიტიკოსები, ვინც XIX საუკუნის საფრანგეთში გემოვნებას განსაზღვრავდნენ, აბსოლუტურად არაფრად აგდებდნენ ბოდლერს, ზოლას, სტენდალს. ეს იმდენად გავრცელებული მოვლენა იყო, რომ ჩამოყალიბდა გარკვეული კომპლექსი – როდესაც პირველი მკითხველი კარგად აღიქვამდა ნაწარმოებს, ცუდ ტონად ითვლებოდა. ეგრევე ჩნდებოდა ეჭვი, რომ რაღაცაშია საქმე.

**ლიკა** – ამასთან დაკავშირებით არსებობს ასეთი აზრი – იმის გამო, რომ კრიტიკოსებმა თავის დროზე ვერ გაიგეს და არ მიიღეს

**ქეთი** – ვინც ჯოისზე თქვა, რომ ის საინტერესოა, ხომ ახსნა, რატომაა საინტერესო. სხვანაირად ჯოისს ვერ გაიგებდა დანარჩენი საზოგადოება. მარტო ემოციის დონეზე ხომ არ ხდება შეფასება? ინტელექტი ხომ არის საჭირო იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს დახვეწილი გემოვნება? რატომ არსებობს დღეს კრიტიკა და ხელოვნებათმცოდნეობა, თუკი მათ არ აქვთ მკვეთრად განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები და ვერ ამიხსნიან, რა არის გემოვნებიანი და რა – არა?

**ლიკა** – თანამედროვეობა არის სხვა კულტურული რეალობა, რომელსაც წარსულში ანალოგი არ აქვს. 30 წლის წინანდელი სამყარო აბსოლუტურად არ ჰგავს დღევანდელს. პოსტმოდერნისტული სამყარო მკაფიოდ განსხვავდება ყველა დანარჩენი კულტურული ეპოქებისგან. თქვენ გაინტერესებთ, რა არის შეფასების კრიტერიუმი? მუსიკისმცოდნეობის და ლიტერატურათმცოდნეობის მსგავსად, ხელოვნებათმცოდნეობის კრიტერიუმიც მუდმივად ემყარება მხატვრულ დონეს. რადგან გვაქვს ამბიცია,

ანალიზს აღარ ემორჩილება. ის, რაც შედეგისთვის ღირებულებას ანიჭებს, ანალიზს მიღმაა. ის პლასტიც ამას გულისხმობს.

**ანი** – დიფერენცირება აქაც შეიძლება. ნებისმიერი ნაწარმოების მხატვრულ ანალიზს გარკვეულ დასკვნამდე მიყვავართ, მაგრამ ვილაცისთვის, ისევე როგორც იმპრესიონისტებისთვის, ფასეულია შთაბეჭდილება, ვილაცისთვის კი – დიდი საკაცობრიო იდეა. თუ საკაცობრიო იდეებს მივიღებთ კრიტერიუმად, გამოდის, რომ იმპრესიონიზმი გადასაგდები ყოფილა, რადგან იქ არ არის ეს იდეები. “მე” შემოტრიალდა შიგნით და ადამიანი ამბობს, რომ მისი შთაბეჭდილებაა ღირებული.

**მალხაზი** – ყველა ეპოქას თავისი შეფასების კრიტერიუმი აქვს. XIX საუკუნეში მთელ მსოფლიოში მთავარი კრიტერიუმი გახდა ეროვნული შეგნების ჩამოყალიბება, XX საუკუნეში შეიქმნა სკოლები, რომლებიც ლიტერატურის მთავარ კრიტერიუმად სხვადასხვა რამეს მიიჩნევდნენ. თანამედროვე კრიტიკა სრულ უკიდურესობამდე მივიდა.



ლიტერატურული კაფე "ქარავანი"  
წარმოგიდგინთ:

6 იანვარი, შაბათი, 3 სთ

გონა ჯაფარიძე

აღმოსავლეთმცოდნე,

ისტორიის მეცნიერებათა დოკტორი -

„ქართული ილენთოგა და გამლუქავი“

17 იანვარი, ოთხშაბათი, 18 სთ

გაგა ნახუცრისშილი, პოეტი

პოეზიის საღამო

31 იანვარი, ოთხშაბათი, 18 სთ

ბესო ხვედელიძე, მწერალი

შემოქმედებითი საღამო



„ცხელი შოკოლადის“ ძველი ნომრები შეგიძლიათ შეიძინოთ ლიტერატურულ კაფე ქარავანში, 3 ლარად  
მისამართი: ფურცელაძის 10, საჯარო ბიბლიოთეკის შენობა

## დისკუსია

კულტურული ანთროპოლოგიის სფერო რომ ავილოთ, 70-იანი წლებიდან ძალიან დაინტერესდა საკვლევო სფეროები. ახლა უკვე ინერება სარკის ისტორია, გასაღების ისტორია, სურნელის ისტორია. წამყვანი აღმოჩნდა ძალიან უცნაური იდეოლოგიური საკითხები, სექსუალური, ეთნიკური უმცირესობის და გენდერული პრობლემები.

**ქეთი** – გინდა თქვა, რომ იდეა დაიკარგა?

**ლიკა** – იდეა კი არ დაიკარგა, საზრისი შეიცვალა. აქედან გამომდინარე, შეიცვალა კულტურის ყველა სფერო, რომელიც ამ საზრისზე იდგა.

**ქეთი** – მგონი, ჩვენი “გემოვნება” სხვა მხა-

სებში, ჩინოვნიკების მიერ დაგეგმილი გაყიდვის განსხვავებული ტექნიკაა. მათ იციან, რომ რუბს ვერ გაყიდი ისე, როგორც პოპს, “პაპსას” ვერ გაყიდი ისე, როგორც ჯაზს. აკადემიური მუსიკის სფეროში არავინ საუბრობს ცუდ გემოვნებაზე, რადგან იქ სხვა კრიტერიუმები მუშაობს. იმ ხალხს კი, ვინც დღეს აკადემიურ მუსიკას და ჯაზს უსმენს, არანაირი გავლენა არ აქვთ მასაზე.

**ლიკა** – ამიტომაც, კლასიკური მუსიკა სამუზეუმო ხდება.

**ქეთი** – ნორმალურ ქვეყნებს სპეციალიზებული ტელეარხები აქვთ იმისთვის, რომ კლასიკა სამუზეუმო ექსპონატად არ იქცეს. ისი-

ცვლა გამოიწვია, ჩემი აზრით, პოლიტიკაც და მედიაც დღეს ერთი მიზნით მოქმედებენ – როგორ მართონ მასები.

**ლიკა** – როდესაც ადამიანი საკუთარი თავის ზრდითა და ინტერესებული, ის პიროვნებადქცევსკენ მიდის. როდესაც ცდილობ სიღრმეში წვდომას, მაშინ იბადება გემოვნება. შევხვედრივარ ნამდვილ გლესს, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა მინასთან და თანდაყოლილი გემოვნებით იყო დაჯილდოებული, იმიტომ, რომ მას ჰქონდა კავშირი ნამდვილ და არა ყალბ, მოგონილ სამყაროსთან. ამაზე იგება ხელოვნება – ტყუილ და მართალ სამყაროზე. ნამდვილი მუსიკა,



რეს გაგვექცა. იქნებ კონკრეტულ შემოვიტანოთ.

**კახა** – თანამედროვე მუსიკა, 50-იან წლებიდან მოყოლებული, იყიდება იმასთან ერთად, რასაც ცხოვრების სტილი ჰქვია. ესაა ძალიან მნიშვნელოვანი. არცერთი მწერალი არ იყიდება მხოლოდ იმის გამო, რომ გრძელი თმა აქვს ან მოდურად აცვია. მუსიკა, ცხოვრების სტილთან ერთად, გამარტივებული სახით შემოდის ჩვენთან და ნამდვილი მუსიკის ანტიპოდად იქცევა. მექანიკური მიბაძვა კი ყოველთვის ინვესტ გემოვნების გაუფასურებას.

**ქეთი** – ანუ ბაზრის კონიუნქტურას ემორჩილება?

**კახა** – კონიუნქტურა ცუდი სიტყვაა. იზრდება მასები და მათთან ერთად იცვლება რაკურსი, მიდგომის მეთოდები – როგორ მიანოდო და გაყილო ესა თუ ის პროდუქტი. ჩვენ ვწუნუნებთ იმაზე, რომ მასას ცუდი გემოვნება აქვს. არადა, ეს აბსოლუტურად ნორმალურად, კარგად ორგანიზებულ ოფი-

ნი აუდიტორიას ყოველგვარი ძალდატანების გარეშე სთავაზობენ მალალ ხელოვნებას.

**კახა** – ჩვენ ზევიდან არ უნდა ვუყუროთ მათ, ვინც აკადემიურ მუსიკას არ უსმენს ან კლასიკას არ კითხულობს. ადამიანების ის ჯგუფი, ვინც ამ საქმითა დაკავებული, მაქსიმალურად უნდა შეეცადოს, რომ ტელევიზიასა თუ რადიოში ღირებული პროდუქტი შეაგდოს და ვილაცას მაინც წამოიკიდებს. შეუჩვეველი ადამიანის ფსიქიკისათვის მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიურის აკუმულირებაც დამანგრეველი იქნება, კარგი ნელ-ნელა უნდა შეუშხაპუნო. ამ შემთხვევაში უკვე შესაძლებელია გემოვნებაზე ზეგავლენის მოხდენა.

**მალხაზი** – მასკულტურაში არის ასეთი შემხაპუნების მაგალითები, თუნდაც უოლტ დისნეი გავისხენოთ, რომელიც თავის საბავშვო ანიმაციურ ფილმებში ბევრ უცნაურ კოდს (მათ შორის ეროტიულს) აპარება.

**ქეთი** – ლიკამ თქვა, რომ პოლიტიკა ჩვენაცვლა კულტურას, რამაც ღირებულებათა

ისევე როგორც ლიტერატურა და მხატვრობა, იბადება მაშინ, როდესაც მიღწეულია სიღრმე. ეკზიუპერის ადამიანური ურთიერთობებიც მართალ და სიღრმისეულ სამყაროში იბადება. კარგი გემოვნება არის ის, რაც ნამდვილთან, ბუნებრივთან, ნაღდთან არის დაკავშირებული და მთლიანად ემყარება მსოფლმხედველობას, შინაგან დამოკიდებულებას, ჩაღრმავებას.

**კახა** – ერთი რამ მაინტერესებს. ადამიანი, რომელიც უსმენს ბრიტნი სპირსს, რით არის იმ ადამიანზე უარესი, რომელიც უსმენდა ვაგნერს, მერე მიდიოდა და გაზს უშვებდა საკონცენტრაციო ბანაკებში. ე.წ. დახვეწილ “ესესელებზე” არანაირად არ აისახა მაღალი ხელოვნება მაშინ, როცა ისინი იდეოლოგიას ემსახურებოდნენ.

**ქეთი** – როგორც ჩანს, ყველა ადამიანში არ არის მოცარტი. რაც შეეხება უარესობა-უკეთესობის საკითხს, ამ დისკუსიით არავის არაფერს ვასწავლით და მით უმეტეს, არ ვამცირებთ – რატომ უსმენს ერთს და არა მეო-

რეს, ეს მისი უფლებაა. ისევ კონკრეტიკისკენ ნავიდეთ და ვთქვათ, რამდენად გემოვნებიანია დღევანდელი ქართული ლიტერატურა.

**მალხაზი** – არსებობს ტექსტი და არსებობს მკითხველი. ამბობენ, რომ არსებობს მესამე გზაც, ე.წ. ტექსტი-პარტიტურა, რომელსაც ყველა თავისებურად კითხულობს, ამ ტექსტებს თავიანთი ინტერპრეტაციები ჰყავთ. გემოვნების საკითხი დამოკიდებულია ასეთი ტექსტი-პარტიტურების სიმრავლეზე. რაც უფრო მეტია, ერთი მხრივ, მოძრავი, მოქნილი და მეორე მხრივ, მონოლითური ტექსტი, მით უფრო მეტი საფუძველია ვილაპარაკოთ გემოვნებიან ლიტერატურაზე. თანამედროვე

არიან და არა ჩვენი დროის. ბრიტნი სპირსზე რომ თქვა კახამ, იმას დაუბრუნდები. მუსიკა და მხატვრობა ისეთი რამეა, შეიძლება თავი დაიძვრინო, თქვა, რომ ნახე ან მოისმინე... ლიტერატურა სხვაა, წიგნი აუცილებლად უნდა წაიკითხო. ცუდ ლიტერატურასაც აქვს თავისი პლიუსი. თუკი ბრიტნი სპირსის მოსმენა ჩვენთვის გამაღიზიანებელია, თითქმის არ მაღიზიანებს ადამიანი, რომელმაც არ იცის ვინაა სულხან-საბა, მაგრამ კითხულობს მდარე ლიტერატურას. მთავარია, რომ კითხულობს. გავა დრო და იქნებ უკეთესი ავტორებიც “შემოვიკითხოს”.

**ანი** – გაღიზიანების მომენტი არ არის

მთლიანობაში მწყობრ სტრუქტურას იძლევა, ჩვენ ამას გონებით ვერ ვხვდებით, მაგრამ თვალთ ბუნებრივად აღვიქვამთ და ჰარმონია იბადება სულში. ახლა ეს გადმოიტანეთ თანამედროვეობაში და წარმოიდგინეთ, რა დღეში ვართ, რადგან ეს უსახური არქიტექტურა, რომელმაც უკანასკნელი წლების მანძილზე, პრაქტიკულად, მთელი ჩვენი გარემო წაღეკა, მუდმივად მოქმედებს ჩვენზე.

**ლიკა** – წიგნიც კი არ ვიცი, სადაც მსგავსი შენობები ხატია. მგონი ლათინოამერიკულ სერიოზულებში აქვთ ნანახი. აბა საიდან გადმოიღეს დღევანდელი ქართული არქიტექტურა?!

**ანი** – აქ მართლა შემიძლია კატეგორიუ-



ქართული ლიტერატურა ასეთი ტექსტებით ვერ დაიკვეხნის.

**ქეთი** – იქნებ განვავრცოთ თემა, რომელიც კახამ წამოჭრა: როგორ ხდება ხელოვნება ბაზარზე ორიენტირებული. ბაზარს, თავის მხრივ, აქვს კანონები, რომელიც თავის გემოვნებას აყალიბებს.

**მალხაზი** – აკა მორჩილაძე ბაზრის შეკვეთას ასრულებს; საზოგადოების მოთხოვნა დავარქვათ, თუ გნებავთ. ასევე ლაშა ბუღაძეც. ამ შემთხვევაში შეფასებითი არ არის ჩემი ნათქვამი და არც გემოვნებას უკავშირდება. დიდხანს მეგონა, რომ საქართველოში დოკუმენტური პროზა ამოხეთქავდა და ყველანაირ ჯებირებს გადმოსარღვევდა, მაგრამ ასე არ მოხდა. როგორც ჩანს, ქართველები მართლა ვერასოდეს ვერაფერს ვაფასებთ, ვერ ვიაზრებთ იმას, რაც ჩვენს თავს ხდება. კი, შეიქმნა საინტერესო რომანები, გამოჩნდნენ საინტერესო ავტორებიც, მაგრამ ისინი სოციალურად არ მუშაობენ. ჩვენ გვყავს ცოცხალი კლასიკოსებიც, მაგრამ ისინი 60-იანელები

სწორი. ნუ შევაფასებთ, კარგია ეს თუ ცუდი, რადგან არჩევანის უფლება აქვს ყველას, მაგრამ ვთქვათ, რომ მედიამ საზოგადოებას არჩევანი აღარ დაუტოვა, ალტერნატივა არ არის, წარმოდგენილია მხოლოდ მასკულტურა და არა მთელი სპექტრი. საზოგადოება იძულებულია უყუროს და უსმინოს იმას, რასაც მედია სთავაზობს. ცხადია, “მეცოს-ნაირი” არხი ჩვენთვის ფუფუნებაა, მაგრამ ჩემი აზრით, სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს ნება, განსაზღვროს კულტურის პოლიტიკა და ალტერნატივა დაუშვას.

**ქეთი** – ძალიან მნიშვნელოვანია გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ და რომელიც ქვეცნობიერად მოქმედებს ჩვენზე. თანამედროვე არქიტექტურაზე რას იტყვი?

**ანი** – ბაზრის მუსიკა გესმის ბაზარში, სადაც საათზე მეტხანს ვერ გაჩერდები, ასევე დროებითი შეხება გაქვს წიგნთან და ნახატთან, მაგრამ არქიტექტურა მუდმივად მოქმედებს ჩვენზე ისე, რომ ვერც ვგრძნობთ. პარტენონში არის დარღვეული ფორმები, რომელიც

ლად ვთქვა, რომ დღევანდელი არქიტექტურა არაფერში არ ჯდება – არც ესთეტიკურში, არც იდეურში. ეს არის ძალადობა საზოგადოებაზე.

**ქეთი** – გამოდის, რომ ელექტრონული მედია და არქიტექტურა არის ორი მოძალადე სფერო, რომელიც ამკვიდრებს და თავს გვახვევს თავის გემოვნებას.

**ლიკა** – კულტუროლოგიაში ასეთი შეფასება: თუკი წინა ეპოქებში აქცენტი იყო კულტურის შემქმნელ ადამიანზე, პოსტმოდერნულ ეპოქაში აქცენტი გადმოვიდა კულტურის პროდუქტ ადამიანზე. დღეს ადამიანი თავად გახდა კულტურის შემოქმედიც და პროდუქტიც. ჩვენ ყველანი ეპოქის პროდუქტები ვართ და ამავე დროს, თავად ვბადებთ მომავალ ეპოქას.

**ქეთი** – ცოტა ხნის წინ ითქვა, რომ ადამიანი თავისუფალია არჩევანში. გამოდის, რომ გემოვნების საკითხი არჩევანის თავისუფლებასთან მიდის, მაგრამ თავისუფლება რომ პასუხისმგებლობის გარეშე არ არსებობს?

## დისკუსია

**ლიკა** – კულტურას ქმნიან პიროვნებები და სარგებლობს მასა. დღევანდელი მასკულტურა არის სუროგატი. პლანეტარული მასშტაბით, ჩვენ ვცხოვრობთ გარდამავალ ეპოქაში, როცა დამთავრდა ერთი კულტურული 500-წლიანი ეპოქა და რა დაიწყო, ამის კვალი ფიკაცია მეცნიერებას ჯერ არ აქვს. ე.ი საქმე გვაქვს ქაოსთან, როცა კულტურის 100%-ით ჩამოშლა ხდება და არ ჩანს ის კონცეპტი, რაზეც დავდგებით. დღეს რეალური სიტუაცია ასეთია – პასუხისმგებლობა იმაზე, რაც ხდება, უგემოვნობა, არჩევანის უქონლობა – სად ვექმდებით გამოსავალი ამ ჩაკეტილი წრიდან? პასუხი ერთია – ისევ შენს საკუთარ სიღრ-

ასეთი აფეთქებები, რომლებსაც შედარებით მცირე მასშტაბი და პერიოდული სახე ჰქონდა. ასეთი აფეთქებები საქართველოში, როგორც ვხვდებით, არ მოხდება, რადგან საქართველო ღრუბლის მდგომარეობაშია, რომელიც მხოლოდ იწოვს და რეალობის შეფასება-გადაფასებას ვერ ახერხებს. რაც მთავარია, ვერ ახერხებს არტიკულირებას. გარკვეული გზა გასავლელი. ჩვენ ვლაპარაკობდით საზოგადოების გემოვნებაზე და ითქვა, რომ გამცემს არა აქვს ის გემოვნება, რომელიც მიმღების გემოვნებაზე იქონიებს გავლენას. არადა, გამცემზე ძალიან ბევრია დამოკიდებული. გემოვნებამ ხარისხობრივად რომ აინიოს,

**კახა** – ისე, ყველამ რომ ჯოისი იკითხოს, ვის ვეკამათოთ მერე?

**ქეთი** – მერე ჯოისზე ვეკამათოთ.

**მალხაზი** – ჩვენს ქართულ სიზარმაცეზეც ბევრია დამოკიდებული. ვამბობთ, რომ ყველაფერი მორღვეულია. არადა, რამე რომ მოირღვეს, ჯერ აგებული უნდა იყოს. რომელ მორღვევაზეა საუბარი, როცა თვალსაზრისები არ არსებობს საქართველოში, კრიტიკული აზრი არ გაისმის, ანალიტიკური შეფასება არ ხდება – ვინ აყალიბებს გემოვნებას, ვის ვენდოთ და ვის – არა. არ არსებობს კულტურული მედია, არ არსებობს ლიტერატურული ჟურნალისტიკა. ყველაფერი ლიტერატურულ კაფეებში სიარულით და სიტუაციების აღწერით შემოიფარგლება, მიწოდების კულტურა კი არ არსებობს. ასეთი ქვეყანა ჩვენთან.

**ქეთი** – სადაც უმეტესობა იმისკენ კი არ მიისწრაფის, რომ განსხვავებული იყოს, იმას ცდილობს, როგორ დაემსგავსოს სხვებს, გაპაპსავებულ “ცნობად სახეებს”.

მალხაზის შეფასების მერე, მართლა ისე ხომ არ გამოვიდა, რომ ამ ქვეყანაში გემოვნებაზე დავასაც არ აქვს აზრი.

**ლიკა** – თანამედროვეობაზე უმბერტო ეკო ამბობს: “კომუნიკაციის, რეპრეზენტაციის კრიზისი სახეზეა, რადგან სიტყვებმა დაკარგეს მნიშვნელობა”. კონფუციუსი კი თავის დროზე ნათქვამი აქვს: “როდესაც სიტყვები კარგავენ მნიშვნელობას, უნდა გადახვიდე აქტიურ ქმედებაზე”. აქედან გამომდინარე, ჩვენი დღევანდელი დისკუსია ქმედებაზე გადასვლის მცდელობა იყო. გამოიკვეთა საერთო აზრიც იმის შესახებ, რომ გემოვნების საკითხი დაკავშირებულია ძალიან ბევრ რთულ საკითხთან, დაკავშირებულია იმ კულტურულ რეალობასთან, რომელშიც ვცხოვრობთ. დღევანდელი ქაოსი არის ისტორიული დროის გამონევა, რომელსაც საქართველო აუცილებლად გადალახავს. ჩვენ ვართ გზაში. ადამიანი არ იბადება პიროვნებად, ის პიროვნებად ყალიბდება. პიროვნებადქცევის გზა კი უსასრულოა და მის გარდაცვალებასთან ერთად თავდება. დიდი ადამიანების შემთხვევაში, მათი ქმნილება იწყებს თავის გზას და გვიყალიბებს გემოვნებას.

**P. S. რა გვიქნა ამ გემოვნებამ, ვისი სული აღარ შეგვანუსებინა, სად აღარ გვატარა. არ სჯობდა, დაგვეჯერებინა ძვირფასი ლათინებისთვის, ვისი რა საქმე იქნებოდა, შენი გემოს რეცეპტორები მჭადს უფრო სათუთად შეიგრძნობს თუ პურს, აჯიკა მოგწონს თუ ტყემლის სანებელი. თქვენც ასე ფიქრობთ, ხომ?**

**და ვ ი ლ უ ჰ ე !**

დისკუსია გაიმართა ლიტერატურულ კაფე „ქარავანში“.



მეში, შინაგან სამყაროში. აღზრდა შესაძლებელია თვითჩაღრმავებით. როცა გარეთ არ გყავს არცერთი იდეალი, უნდა იზრდებოდე ძველი, კლასიკური იდეალების და ავტორიტეტების გადასინჯვით, პოსტმოდერნიზმი ამას გთავაზობს. როცა თავისუფლება არ არის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული, ხდება გავლურება. დასავლეთს ეს უკვე დაემართა თავისუფალი სექსის პროპაგანდით. თქვენ გინდათ ვთქვათ, აღზრდელი არსებობს თუ არა? უნდა არსებობდეს. თქვენი მცდელობა, ვიდავით გემოვნებაზე, უკვე ნიშნავს იმას, რომ ეს უღარესად საჭირო დავაა.

**კახა** – საბოლოო ჯამში, იმ დასკვნამდე მივდივით, რომ არსებობს ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც საკუთარ თავზე ან იღებს პასუხისმგებლობას, ან – არა. მაგალითად, თანამედროვე მუსიკამ 60-იანი წლების პოპ-მუსიკის მემკვიდრით, ხალხის ფართო მასებში გაშალა ინტერესი აღმოსავლური რელიგიებისადმი, აღმოსავლური მუსიკისადმი, ტრანსცენდენტული მედიტაციისადმი. ეს იყო ხარისხობრივად სხვა ნაბიჯი. შემდეგაც იყო

ყველაზე დიდი დატვირთვა მაინც გამცემს აქვს – ადამიანებს, ვინც იმ ღირებულებათა აკუმულირებას ახდენს, რაც ჩვენს გარშემო, ჰაერშიც კი ტრიალებს. მოდით, ასე ვთქვათ: ვისაც ანტენები აქვს გახსნილი, ის იჭერს და გადასცემს. ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ზეგავლენაზე ლაპარაკი. თუმცა, გააჩნია იმასაც, რა მიმართულებით წავა და საითკენ იმოძრავენ დარჩენილი სამყარო, იმიტომ, რომ სამყაროების ურთიერთმიმართება ძალიან დიდია.

**ანი** – მართალია, საბოლოოდ ვერ გავწვავით გემოვნების საკითხი, მაგრამ ერთი არსებითი მაინც გამოიკვეთა: ყველაფერი მიდის კონკრეტულ პიროვნებებთან. ის აღმქმელიც კონკრეტული უნდა იყოს და ისიც, ვინც გასცემს. დიდაქტიკისგან ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ, სანამ არ იქნება ის პასუხისმგებლობა, რაზეც ვსაუბრობდით, მანამდე იქნება ქაოტური სიტუაცია. მე მინდა, მე მომწონს – აღარ არის განმსაზღვრელი, სხვა კრიტერიუმებია საჭირო. მეც ვფიქრობ, რომ ამის გააზრებას დრო სჭირდება.



# ახალი iPod nano

2-ჯერ მეტი მუსიკა. 2-ჯერ უფრო დიდხანს.

მოცულობა:	2, 4 ან 8 გიგაბაიტი
ტევადობა:	500-დან 2000 კომპოზიციამდე
დისპლეი:	1.5-დუიმიანი (დიაგონალურად) თხევადკრისტალური დისპლეი ფონური განათებით
დისპლეის გარჩევადობა:	176x132 პიქსელი
სიხშირეების მხარდაჭერა:	20Hz-დან 20000Hz-მდე
აუდიო ფორმატების მხარდაჭერა:	AAC (16-დან 320Kbps-მდე), დაცული AAC (iTunes Music Store)-დან, MP3 (16-დან 320Kbps-მდე), MP3 VBR, Audible (ფორმატები 2, 3, და 4), Apple Lossless, AIFF, და WAV
ავტონომიური მუშაობის ხანგრძლივობა:	24 საათამდე მუსიკის დაკვრის რეჟიმში, 5 საათამდე მუსიკის თანხლებით ფოტოების თვალიერების რეჟიმში.
კვება:	კვება ხორციელდება კომპლექტში არსებული კაბელის მეშვეობით კომპიუტერის USB 2.0 პორტიდან ან სპეციალური დამტენის მეშვეობით (იყიდება ცალკე). 1.5 საათი - დატენვა 80%-მდე, 3 საათი - სრული დატენვა.
პორტები:	დოკის კონექტორი, 3.5 მმ აუდიო მინიჯეკი ყურთსასმენებისთვის
ზომა:	სიმაღლე: 8.89 სმ, სიგანე: 4.06 სმ, სისქე: 0.66 სმ.
წონა:	40 გრამი
კომპლექტაცია:	iPod nano, ყურთსასმენები, USB კაბელი, დოკის ადაპტერი და დოკუმენტაცია
ფასი:	\$224 (2GB მოდელი), \$299 (4GB მოდელი), \$356 (8GB მოდელი)*

\* ფასი მითითებულია დღგ-ს ჩათვლით. ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში მიმდინარე კურსით.



Authorized Dealer

თბილისი, ი. აბაშიძის ქ. 10  
ტელ: +995 32 200700  
ელ.ფოსტა: info@hamaki.ge  
ვებ საიტი: www.hamaki.ge  
პროექტის საიტი: iPod.ge

# კოშკების მხარეში

ავტორი: ანა კორძია-სამაღაშვილი



დოქტორ ქრისტოფერ ბარუთი, ამერიკის გეოგრაფიული საზოგადოების კურატორი.

ვილიამ ოსბურდ ფილდი და სხვაბი, სხვაბი, სხვაბი

*კავკასიის მრისხანე უმთავრესი ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთის მიყრუებულ მთის კალთებში, მუდმივი თოვლითა და მყინვარებით დაფარულ და გარშემორტყმულ ენგურისა და ცენის წყლის სათავეებში, უძველესი დროიდან ცხოვრობენ იაფეთური მოდგმის, ქართველი ხალხის მესამე შტოს ხალხი, რომლებსაც სვანები ჰქვიათ, ხოლო მათ სამკვიდრებელ ქვეყანას – სვანეთი. თვით სახელი სვანეთის “სავანე” (შესახიზნი) თავისთავად ახასიათებს ამ ქვეყანას...*

ეგნატე გაბლიანი







ეს არის ამბავი იმისა, თუ როგორ შეხვდნენ ერთმანეთს ქართული პრესის ინტერნეტ არქივის დირექტორი, ფილოსოფიის დოქტორი ირაკლი იაკობაშვილი და ერთი საოცარი კაცი, უილიამ ოსგუდ ფილდი.

უფრო სწორად, ეს არის ამბის პრომოუშენი, რადგან მისი სრულად გადმოცემისა და მთელი ვიზუალური მასალის მკითხველისთვის მისაწოდებლად “ცხელი შოკოლადის” ფურცლები არ კმარა. მაგრამ იმედია, ირაკლი იაკობაშვილი, მისი მეუღლე, ირინე

ნიკოლეიშვილი, და მათი მეგობრები, ელენე მამულაიშვილი და არჩილ მენაღარიშვილი, წამოწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანენ და მომავალ წელს ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე წაიკითხავთ, რომ ამა და ამ დღეს შედგება კატალოგის პრეზენტაცია, გამოფენის გახსნა, კინოპრემიერა და სხვა. და მერე მთელი ეს საგანძური იქ გადაინაცვლებს, საიდანაც მისი “მოგზაურობა” დაიწყო – სვანეთში, და იქ მრავალ ადამიანს გაუხარდება თავის წინაპართან შეხვედრა, ისევე, რო-

გორც ჩვენს სანდრო და ელენე ნავერიანებს გაუხარდათ – აი, როგორი კაცი ყოფილა მათი დიდი ბაბუა, ლეგენდარული სიღვესტრ ნავერიანი, მესტიიდან ზუგდიდში ფეხით რომ ჩადიოდა ხოლმე პროკლამაციების გასავრცელებლად...

ეს ამბავი დაიწყო გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, როცა ირაკლი იაკობაშვილს ერთმა კარგმა კაცმა ერთი კარგი წიგნი აჩუქა, “ხუროთმოძღვრება ხუროთმოძღვართა გარეშე”. სხვა მრავალ საინტერესო ფოტოს-



## პრომოუშენი

ადგილმდებარეობის  
წყალობით, სვანეთი  
მონყვეტილია მთელ  
ქვეყნიერებას,  
განსაკუთრებით  
იმ შვიდი-რვა თვის  
განმავლობაში,  
როცა სვანეთში  
მიმავალი  
საცალფეხო  
გზები თოვლისგან  
შეკრულია. ამ ხნის  
განმავლობაში  
მიმოსვლა მთების  
მწვერვალებზე  
მხოლოდ  
თხილამურების  
საშუალებით  
შეიძლება, მაგრამ  
ყოველწლიურად  
მრავალი  
სვანი ხდება ამ  
მოგზაურობის  
მსხვერპლი.

საშოვარზე  
მიმავალი სვანები  
აღსარებას  
ამბობდნენ ხოლმე  
– არავინ იცოდა,  
ელირსებოდათ თუ  
არა შინ დაბრუნება.  
ქალები მათ  
ლამის ცოცხლად  
ტიროდნენ. გზა  
საშინელი იყო,  
ბუნება – სასტიკი,  
ცხოვრება –  
დაუნდობელი...



თან ერთად იქ დაბეჭდილი იყო უშგულის ორი ხედიც, ავტორი – უილიამ ოსგუდ ფილდი, გადაღების თარიღი – 1929 წელი. უშგული ვიციტო, წელიც გასაგებია, ფილდი კი...

მისი ვინაობის დასადგენად ირაკლი იაკობაშვილმა წერილი მისწერა ჟურნალ National Geographic-ის რედაქტორს. მან უპასუხა: ჩვენ არ ვიციტო, მაგრამ ამერიკის გეოგრაფიულ საზოგადოების მისამართს გამოგიზავნით, ეგებ მათ იცოდნენ რამეო. მათ იცოდნენ, და აღმოჩნდა, რომ თავად ბატონი ფილდიც ცოცხალია, და ირაკლი მას უშუალოდ შეეხმიანა. უილიამ ოსგუდ ფილდი მყინვარების მკვლევარი ყოფილა, თან ძალიან სერიოზული, ისეთი, ოთხმოცს გადაცილებულიც კი რომ ხელმძღვანელობდა ალიასკაზე ექსპედიციებს.

თურმე ბატონი ფილდი 1929-1933 წლებში კავკასიაში მოგზაურობდა; თურმე თვლიდა, რომ ამქვეყნად ყველაზე მშვენიერი, ყველაზე საინტერესო და წარმტაცი ადგილი ზემო სვანეთია და, შესაბამისად, მრავალ სხვა

არაჩვეულებრივ ფოტოსურათთან ერთად 1929 წლის სვანეთის სურათებიც ჰქონია, მეტსაც მოგახსენებთ: არამარტო ფოტოსურათები, არამედ კინოფილმებიც კი!

სვანეთში ყოფნის ჟამს ის ჯერ სულ ახალგაზრდა, ლამაზი კაცი იყო და როგორც ჩანს, უშრეტი ენერჯის პატრონი ბრძანდებოდა: მისი დღიურების მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, ყველა და ყველაფერი აინტერესებდა (განსაკუთრებით კი ერთი სვანი ქალი, ნინა, ოლონდ ვინაა ეს ნინა, ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ და იქნებ არცაა საჭირო – შევეუნახოთ საიდუმლო). ფილდი ქართულ ანბანსაც სწავლობდა, ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებსაც, რაც კი რამ სვანეთის შესახებ კვლევა მოიპოვა, ყველა გადაიკითხა და სრული ბიბლიოგრაფია ჩამოწერა. ფილდი იწერდა ყოველი ჩავლილი დღის ამბავს, ძალიან ხატოვნად და, რა დასამალია, სასაცილოდ – ძალიან ბევრ სვანურ ქეიფს დასწრებია საბრალო და სულ ჩივის, დილით თავი მტკიოდაო. მოგზაური, ჩანს, თავადაც






კალას წმინდა კვირიკესა და ივლიტას მონასტერში ინახება ბიზანტიური, ძვირფასი ქვებით შემკობილი მე-12 საუკუნის ხელობის ტიხრული მინანქრის ხატი, “შალიანის ხატად” ცნობილი. ამ ხატს წელიწადში სამჯერ ბანენ. მის ნაბან წყალს ინახავენ სურაში, ხატის ნაბან წყალს ჩამოატარებდნენ ხოლმე მთელს სვანეთში ქურდობის აღმოჩენისთვის – შალიანის რიდით და შიშით ფიცის გატეხას ვერავინ ბედავდა თურმე იმ დროს.

## პრომოუშენი

შუაში მდგომი, ჩოხიანი კაცი  
მურზაყან დადუქელიანი გახლავთ.  
მარჯვენა მხარეს, საყდრის წინ მდგომ  
მამაკაცებს საგანგებოდ გადაღებისთვის  
აცვიათ ფუთა დადუქელიანისული  
ტანსაცმელი.





ძალიან სასიამოვნო კაცი იყო, რადგან მისთვის ყველა სახლის კარი ღია იყო, ყველგან სიხარულით ხვდებოდნენ, ათას საინტერესო ამბავსაც უყვებოდნენ, და ფილდი ყველაფერს გულმოდგინედ იღებდა ფოტო და კინო კამერით, ყველაფერს ინერდა...

ამჟამად ეს საგანძური ვისკონსინის შტატში, ქალაქ მილუოკის უნივერსიტეტში, ამერიკის გეოგრაფიული საზოგადოების ბიბლიოთეკასა და არქივში, გოლდა მეიერის სახელობის ბიბლიოთეკაში, ექვს დიდი ზომის ყუთშია დაცული. იქ ირაკლი იაკობაშვილმა და მისმა მეუღლემ, ხელოვნებადმცოდნე ირინე ნიკოლეიშვილმა, რომლებმაც მხოლოდ წელს შეძლეს შეერთებულ შტატებში ჩასვლა და ოთხმოციან წლებში დაწყებული კვლევის გაგრძელება, ხუთი თვის განმავლობაში იმუშავეს არქივში და მათ მიერ არქივში ფილდის ციფრულ ფორმატში გადაყვანილ ხელნაწერ და ფოტო არქივს თამამად შეიძლება მეოცე საუკუნის ოციანი წლების სვანეთის მატიაწე ვუნოდოთ. სამწუხარო ისაა, რომ მკვლევარმა არქივის მფლობელს ვერ ჩაუსწრო – უილიამ ოსგუდ ფილდი 90-იან წლებში ასაკოვანი – 94 წლისა გარდაიცვალა, იმის მტკიცე რწმენით, რომ ის უცნაური ქართვე-

ლი, ირაკლი, ადრე თუ გვიან აუცილებლად ჩააკითხავდა “თავის წილ” სვანეთს...

“ეს არის გერმან მემანიშვილი, ჯერ მღვდელი, მერე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გაბატონების შემდეგ კი სოფლის მასწავლებელი და მჭედელი; ინტელექტუალი კაცი, ესაა მურზაყან დადემქელიანი, ფილდის მფარველი სვანეთში” - ჰყვება ირაკლი იმას, რაც უილიამ ოსგუდ ფილდის ჩანაწერებში ამოიკითხა. ფოტოსურათზე გამოსახულ ჩოხოსან მამაკაცს პაპიროსი უჭირავს, ამაყადაა დაყრდნობილი აივნის მოაჯირს. შთამბეჭდავი გარეგნობა კი ჰქონია თავად დადემქელიანს... “პირველ მსოფლიო ომის ოფიცერი, შემდგომში ქაქუცას შეფიცულთა რაზმშიც ყოფილა. ფილდი წერს, რომ დადემქელიანმა მთელი თვის განმავლობაში მეგზურობა გაუწია ამერიკელ სტუმარს, თუმცა უსასტიკესი დიზინტერია ტანჯავდაო. მაგრამ იმასაც წერს, რომ თავადი არაფერს იმჩნევდა – აი, ფაქტიც სახეზეა. “ეს არის... ეს ყოფილა...” – ირაკლის გაუთავებლად შეუძლია მოყოლა, და ეკრანზე გაუთავებლად იცვლება გამოსახულებები. იქ ხევესურეთიცაა, კოლხეთის ჭაობებიც და დაღესტანიც, მაგრამ მეტწილად მაინც სვანეთია.





აი, როგორი კაცი ყოფილა  
 ლეგენდარული სილვესტრ  
 ნავერიანი, მესტიიდან  
 ზუგდიდში ფეხით რომ ჩადიოდა  
 ხოლმე პროკლამაციების  
 გასავრცელებლად...  
 მარცხნივ, ზევით განლაგებულ  
 ფოტოსურათებზე გერმანე  
 მემანიშვილი და მისი ოჯახი  
 არიან გამოსახული.

...

სვანეთი გადასერილია ენგურითა და ცენის  
 წყლით და იმ მდინარეებით, რომლებიც ამ  
 ორ მთავარ წყალს ერთვის. მას გარშემო ყო-  
 ველი მხრიდან არტყია მაღალი ციცაბო მთე-  
 ბი, რომელთა მწვერვლებს მუდმივი თოვლი  
 და მყინვარები ამკობენ, ხოლო მათ ძირებში  
 მრავალნაირი ყვავილოვანი საბალახო მთე-  
 ბია გაშლილი, მათ მისდევს დაბურული გაუ-  
 ვალი ტყეები. ამ ტყეთა შორის ალაგ-ალაგ  
 აგებული და გაშენებულია მაღალი ორსარ-  
 თულიანი ციხე-კოშკებიანი სახლები – ესაა  
 სვანეთის სოფლები.

...

სვანური გადმოცემა ამბობს, რომ დადემ-  
 ქელიანების წინაპარს, დალესტენლს, თავისი  
 სახლიკაცი მოუკლავს და მთებში იმალე-  
 ბოდა. ზამთარში ველარ გაძლო და აირჩია  
 რომელიმე უცხო ქვეყანაში გადახვენილიყო.  
 თოვლში დათვის კვალს მიაგნო, რომელსაც  
 გაჰყვა და ამ კვალმა ის სვანეთამდე მიიყვანა.  
 ეცერში ის ესტუმრა მღვდელ კახიანს. უცხო  
 სტუმრის დანახვით გაოცებული მასპინძე-  
 ლი შეეკითხა მას: “ვინ ხარო?” სტუმარმა  
 უპასუხა თურმე: “დაგდაშდან გელან”, რაც  
 ნიშნავს “მოვედი ამ მთებიდან”. მღვდელმა  
 გადაწყვიტა, რომ ეს სტუმრის გვარი იყო –  
 დადემქელიანი.

...

ჰყვებიან, რომ უშბაზე პირველები სვანები  
 ავიდნენ და თან უამრავი შუმა აიტანეს. და  
 ღამით მთელმა სვანეთმა დაინახა, როგორ

ააღდა უშბას ორი მწვერვალი – ნიშანი იმი-  
 სა, რომ ბოროტს კეთილმა სძლია – “უშბა”  
 ხომ “კუდიანების სვანეს” ნიშნავს.

იმასაც ჰყვებიან, რომ თავად დადემქე-  
 ლიანს ინგლისელ მთამსვლელთა ჯგუფი  
 წვევია ეცერს. ინგლისის სამეფო ოჯახის  
 წევრი, დიდგვაროვანი ქალიც ყოფილა მოგ-  
 ზაურთა ჯგუფში. დადემქელიანის სახლში  
 გაჩერებულან, რა თქმა უნდა. დილას, დადე-  
 მქელიანების სახლის აივანზე, ევროპულად  
 გაშლილ ჩაის სუფრასთან მჯდარ იმ დიდ-  
 გვაროვან ქალს, გაგიკვირდებათ და უშბა  
 მოსწონებია. ჰოდა, მეორედაც რომ თქვა,  
 “რა მშვენიერია ეს მთაო”, თავადმა უთხრა:  
 “ეს მთა ჩემს მინაზე დგას, ჩემი საკუთრებაა  
 და ამიერიდან თქვენი იქნება - მიჩუქებიაო”.  
 მისი იყო და აჩუქა, ქაღალდიც დაუნერა, მე,  
 თავადი დადემქელიანი, ამ ღამაზე ქალს უშ-  
 ბას ვჩუქნიო. ქალს, ამბობენ, ენაც კი დაება,  
 როდესაც ამ საჩუქრის ამბავი უთარგმნეს.  
 მერე კი უთქვამს, ბევრი კარგი საჩუქარი  
 მიმიღია, მაგრამ ასეთი თვალისმომჭრელი  
 რამ, თანაც ასეთი მეფური გულუხვობით  
 - არასდროს!!! ვერც გაიგებდა, სხვა არა-  
 ვინ თვლიდა, რომ უშბა მისია, შესაბამისად,  
 ვერც ვერავინ ვერავის ველარ აჩუქებდა.

...

დადემქელიანებმა მოინდომეს თავისუფალ  
 სვანეთზე გაბატონება, მაგრამ თავისუფლე-  
 ბას შერჩვეულ სვანებს ქედი ვერ მოახრევენიეს...  
 ხალხს უნდოდა, რომ ფუთა დადემქელიანის



მოკვლა ერთ ვინმეს არ დაბრალებოდა და ამიტომ მოაგროვეს თურმე თითო მარცვალ-ი თოფის წამალი. ყველამ თავიანთ თოფების ტყვიას ჩამოათალა და მისგან გააკეთა ფუთას მოსაკლავად ერთი ტყვია. ამ ტყვიანამლით გატენილი თოფი შეიტანეს უშგულის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში და ტუჩი იქით უქნეს, საიდანაც ელოდნენ ფუთას მოსვლას. თოფის გასროლაშიც რომ ყველას მიეღო მონაწილეობა, თოფს ჩახმახზე გამოაბეს გრძელი ბანარი... ეკლესიის გალავნიდან გავარდა თოფი, რომლის ტყვიამ ფუთა გამოასალმა წუთისოფელს.

უშგულის ღვთისმშობელს ენყინა ეს ამბავი, ამბობს ერთი გადმოცემა, და დასაჯა უშგულელები იმით, რომ სამი წლის განმავლობაში არცერთი ძროხა არ დამაკებულა და არცერთი წვეთი რძე არ გამოუნველიაო...

მურზაყან დადეშქელიანი დაწერილებით მოუყვა ამ ამბავს ცნობისმოყვარე სტუმარს, ფუთა დადეშქელიანიდან მის ოჯახობამდე გენეოლოგიური “ხეც” დაუხატა, სტუმარმა კი ინგლისურად თარგმნა და ლამაზი ხელითაც ჩაიხატა თავის რვეულში ...

## პრომოუშენი

ის, რისი პირველად გამოქვეყნების პატივიც გვხვდა წილად, მხოლოდ პანანინა ნაწილია ირაკლი იაკობაშვილის და მის მეუღლის მიერ ამერიკის გეოგრაფიული საზოგადოების ბიბლიოთეკასა და არქივში მოპოვებული მასალისა. მიუხედავად ამისა, ვიმედოვნებთ, რომ ცალი თვალთ მანც ჩაგახედეთ მათ მიერ შესწავლილ იმ უზარმაზარ ყუთშები და იმ სამყაროში, რომელიც ერთმა კარგმა კაცმა, უილიამ ოსგუდ ფილდმა კავკასიაში აღმოაჩინა. ფოტომასალაცა და ფილმებიც უკვე თბილისშია და მნახველს ელის.



მარცხნივ: კოშკი, რომელიც, თქმულების თანახმად, ენგურში დევის მიერ ჩაგდებულ ქვაზეა აშენებული. თოვლში მდგომ მამაკაცთაგან კი ერთ-ერთი თავად ვილიამ ოსგუდ ფილსია.



# სახალწლო მოგზაურობა ედვინის ქალაქში

ავტორი: თამარ სუნიშვილი  
ფოტო: პირადი არქივი

შინგაბი ახალი წლის ღამეს

ყველაფერი “ვეფხისტყაოსნით” დაიწყო. ჰო, ეგრეა. ისე გამოვიდა, რომ ედინბურგში სწორედ “ვეფხისტყაოსნის” წყალობით (“რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა...”) მოვხვდი. ახლავე აგიხსნით. დიდ ბრიტანეთში ჩემი “მოძრაობა” საკონფერენციო განრიგს მისდევდა. სულ “გავლა-გავლა” რომ არ გამომსვლოდა, “ჯერ სწავლა – მერე გავლას” პრინციპი ავირჩიე და მინდა გითხრა, რომ ძალიანაც გაამართლა. თუმცა, რაღა დაგიძლოთ და გული პირველისკენ უფრო მიმინევდა. ასე ჩავები დიდ საკონფერენციო ფერხულში და სააპლიკაციო ფორმების შევსების, სამოგზაურო გრანტების მოპოვების, საკუთარი შეუსებელი ავტობიოგრაფიისა და ჯერ დაუნერელი სტატიების რევიზიების თხზვის ტექნიკაც შესანიშნავად ავითვისე. არა, მაინც რა ნიჭიერები ვართ არა, ეს... (სამ წერტილში ვისაც ვგულისხმობ, ხომ გასაგებია).

“ვეფხისტყაოსანი”? – “ვეფხისტყაოსანი” ჩემი პირველი საკონფერენციო თემა იყო: “ქალთა უფლებები XI-XIII საუკუნეების საქართველოში და “ვეფხისტყაოსანი”. ვიფიქრე, რომ აუჩემებიათ ეს ბრიტები და კელტები, ცოტა რამეს ჩვენზეც გავაგებინებ-მეთქი. ჰოდა, ავდექი და საორგანიზაციო კომიტეტს პატარა რეზიუმე გავუზავნე, ისე როგორც წესი ითხოვდა. იქიდან გულწრფელი და ინგლისური ზრდილობით გაჯერებული პასუხი

მოვიდა – ჩვენ აზრზე არა ვართ, ეგ რა არიო, მაგრამ ძალიან საინტერესო რამე კი ჩანსო (არა, ბიჭო?!). და ძალიან დაგვაფაღებთ, თუ მონაწილეობას მიიღებთო. მეც აღარ გავიპრანჭე.

მოკლედ გეტყვით. ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ლეღითაც უკვე ნაკლებად ველავდი, იმიტომ რომ წინა დღით რეპეტიცია გავიარეთ. ჩვენმა “რეჟისორმა”, პროფესორმა ჰარდიმ ორატორული ხელოვნების საიდუმლო გაგვანდო. ის გვიხსნიდა, თუ როგორ უნდა დაიჭირო თავი მოხსენების კითხვის დროს, როგორ უნდა დაიყენო მზერა... გაგაკვირდებოდა და, თანამედროვე სოციოლოგიური გამოკვლევებით, აუდიტორია თურმე ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევს მოხსენების შინაარსს. ამ გამოკითხვის შედეგებს თუ გავითვალისწინებთ, გადამიწვია მთელი აუდიტორია. ბევრი კითხვა გაჩნდა. უკვირდათ, ასეთი პოემა თუ არსებობდა, რატომ აქამდე არაფერი ვიცოდითო. კონფერენციის მერე ვიღაც სტუდენტი მოვიდა და მადლობა გადამიხადა: “ვეფხისტყაოსანი” დიდი ხნის წინ წავიკითხე და ბევრი რამ აღარ მახსოვდაო. რასაკვირველია, გული ძალიან ამიჩუყდა. ერთმანეთს გამოვეცნაურეთ და, ვაი, ... გიორგი მქვიაო. მაინცდამაინც რუსი არ აღმოჩნდა?! მერე ერთმა ავსტრალიელმა პროფესორმა “ვეფხისტყაოსნის” თარგმანი მთხოვა. ჩვენი აქტივისტი ჯასტინიც

დაინტერესდა: ნეტა, ამისთანა რა ჯადო ჰქონდა ამ ფატმანს, აგერ უკვე ორი თვეა სწავლა დაიწყო და ერთი ბოიფრენდი ვერ მიშოვიაო. ერთი მეც უნდა ნავიკითხოო. სწორედ ამ კონფერენციაზე გავიცანი ენდრიუც, რომელიც იმ დროს შოტლანდიის ახალგაზრდული კონფერენციის საქმეებში იყო ჩაფლული და იქვე შემომთავაზა მორიგ კონფერენციაში მონაწილეობაც და სამგზავრო გრანტიც. მეც რა მენალვებოდა, მაშინვე შევადგინე ჩემი ინდივიდუალური “ბიზნესგეგმა”: მოთელვა (ედინბურგის დათვალეობა), კონფერენცია, პატარა გასვლა შოტლანდიის მთებში და... ფესტივალი “ჰომანეი”.

მშვენიერი განრიგი გამომივიდა. ამის გულისთვის ნამდვილად ღირს ბიბლიოთეკებში ღამისთევა. თქვენთან დასამალი რა მაქვს, მაგრამ კონფერენციაზე მეტად ის მიხარია, რომ ახალ წელს, არც მეტი – არც ნაკლები, შოტლანდიის დედაქალაქში შევხვდები, სადაც, როგორც ამბობენ, ევროპაში ყველაზე მხიარული ახალი წელი დგება.

მატარებელში, რომელიც ლონდონიდან ჩრდილოეთის მიმართულებით მიდის, ტევა აღარაა. სულ მგონია, რომ ახლა უცებ ვიღაც ნაცნობ ფრაზას დაიძახებს: “ჩამოიდე, ქალო, ფეხი, თავზე რომ მადგამ!”

მატარებელში ყაყანი მატულობს, უშფოთველი



სოფელი მოტლანდიური ლოსის პირას

ბრიტანელებიც კი შფოთავენ. ბირმინგემი – დერბი – შეფილდი – ლიდსი... ჩასვლით არავინ ჩადის, ამომსვლელები კი – იცოცხლეთ!

ამ მატარებელს ასე ნელა ალბათ არასოდეს უვლია. ძალიან ვაგვიანებთ. გზაზე კიდევ რაღაც შეფერხებები. აქა-იქ აღშფოთებას გამოხატავენ მოტლანდიური როხროხით. დროდადრო ვიღაც ბრიტანული აქცენტითაც წამოიკნავლებს. რაც უფრო ჩრდილოეთისკენ მივიწვევთ, ეს კნავილი სულ უფრო და უფრო სუსტდება. თანამედროვე პოეტის ერთი ლექსი ამეკვიტება, რომელიც რელსების ხმაურის რიტმშია დანერვილი: *Sassenachs, Sassenachs here we come, Sassenachs, Sassenachs rum-tum-tum... Sassenachs* – ამ სახელით მოტლანდიელები ინგლისელებს არცთუ პატივისცემით მოიხსენიებენ. მატარებელში კვერცხის სენდვიჩების საძაგელი სუნი დგება. ო, როგორ მძულს ეს საზოგადოებრივი კვერცხის სენდვიჩები! ჩემს გვერდით სკამზე ვერონიკას სძინავს ტანჯული სახით. თავზე ორი ძალიან თბილი ქუდი ახურავს. ვერონიკა ეკვადორელია. ეს ვერონიკა რაღას ავიკიდევ, სიცვივსაგან არ ჩამაკვდეს ხელში ამ ედინბურგში... მატარებელში ცივა და კვერცხის ჩაგუბებული სუნი დგას. ამდენს მეც ვედარ ვუძლებ და მუჯღუგუნებით მივიკვლევ გზას ბარისკენ. ამ დროს ცხელი ყავა პირდაპირ მისწრება – შაქრიანი, უშაქრო,

კარგი, ცუდი, ვიღა დაეძებს. ალბათ ამიტომაც “ახალტურებენ” ყავას ყველა მატარებელში.

“ხუთ წუთში ედინბურგში ვიქნებით,” – გვაფრთხილებს გამცილებელი. ედვინი ერქვა VII საუკუნეში ნორთუმბრიის მეფეს. მისი სახელი დაურქმევიათ ამ ქალაქისათვის – *Edwin's Burg*. “რა ზღაპრული ქალაქი ყოფილა,” – ამბობს ვერონიკა. მე თავს ვუქმენ. მართლაც ასეა. ედინბურგი ჩრდილოეთ ევროპის ერთ-ერთ უღამაზეს ქალაქად ითვლება. თუმცა ის კი ვერ გამიგია, რატომ ეძახიან მას “ჩრდილოეთ ათენს”.

უცნაური მიზიდულობის ძალა აქვს ამ ქალაქს. სულ რაღაც თხუთმეტობე წუთის ჩამოსული ვარ და უკვე ვგიჟდები ედინბურგზე. თუმცა მიხარია, რომ ედინბურგში არ ვსწავლობ. ბიბლიოთეკაში ან ლექციაზე რა გამაჩერებდა, სწავლა აზრადაც არ მომივიდოდა; ალბათ სულ გართობაზე ვიფიქრებდი, რადგან თვალის სანახავი აქ არ დაიღვავა. არ ვიცი, როგორ “შეელიან” ამ ქალაქში თავს სტუდენტები, ყველაფერი გართობისკენ გექაჩება: სახელგანთქმული “ფრინჯი” და ხელოვნების სხვა (ტრადიციული თუ ალტერნატიული) ფესტივალები, ჯაზი, როკი, ქალაქში მოძრავი გამოფენები, მოხატული ძროხები, მთები, ტბები, ლეგენდები, ლამეულ მოჩვენებათა შოუები, ამ ყველაფრის დამავრგვინებელი საახალწლო ზეიმი და მერე ისევ

ეს ყველაფერი თავიდან...

ერთი ასეთი სიმღერა იყო, ბაიათის მელოდიაზე აწყობილი: “პასტაიანა შაბათიაო”; ჰოდა, აქაც ეგრეა საქმე, განსაკუთრებით, ახალი წლის დღეებში.

მე და ვერონიკა პრინსეს სტრიტზე მოვსეირნობთ და აღფრთოვანებას ვერ ვმაღავთ. პრინსეს სტრიტი ყველაზე გრძელი ქუჩაა მთელ ევროპაში. ქვედა მხარეს ქუჩას ასეთივე გრძელი და ლამაზი ბალი დაუყვება. გადაღმა ხიდია. სწორედ ეს ხიდი ქმნის პირველ მატყუარა შთაბეჭდილებას. გგონია, რომ ქალაქი მდინარეზე გამეწეული, სინამდვილეში კი ხიდის ქვეშ რკინიგზის სადგურია. პრინსეს სტრიტს კლდეზე აღმართული მეფის ყოფილი სასახლის ანსამბლი გადმოჰყურებს. ამ არქიტექტურულ ანსამბლში უძველესი ნაგებობა XI-XII საუკუნეებში აუგიათ, კაპელა სენტ-მარგარიტი...

წინასახალწლო დღეებში პრინსეს სტრიტი მგონი ყველაზე ხალხმრავალი ქუჩაცაა. აქ ხომ ახალი წლის შესახვედრად მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოდიან. “ჰომანის” ქუჩის წვეულება (ეს ქუჩა სწორედ პრინსეს სტრიტი გახლავთ) მართლაც რომ განსაკუთრებული მოვლენაა. აქ მინიმუმ 100 ათასი კაცი იყრის თავს. ყოველწლიურად იზრდება სცენებისა და მონაწილე ხელოვანთა რიცხვი. ტრადიციული ნომრების გარდა, ყოველ წელს



აღნიშნული მომენტები

არის კიდევ რაღაც ახალი – ის, რაც წინა წელს არ ყოფილა და მხიარულებაც სულ უფრო და უფრო მატულობს. ქუჩის წვეულებას შოტლანდიის სამეფო ბანკი აფინანსებს. ამიტომაც მას ზოგჯერ სამეფო ბანკის ქუჩის წვეულებასაც ეძახიან. ჰო, რასან ბანკზე ჩამოვარდა სიტყვა: შოტლანდიურ ქალაქის სტერლინგს ინგლისური სტერლინგისგან განსხვავებული დიზაინი აქვს, შოტლანდიის სამეფო დინასტიის ნარმოდგენელთა პორტრეტებით. ამ ფულს ინგლისში ცოტა არ იყოს ეჭვის თვალით უყურებენ. ამიტომ ნურც ის გაგიკვირდებათ, მაღაზიის გამყიდველმა უცებ ბანკში რომ დარეკოს და ფულის ნამდვილობა გადაამოწმოს. თემას გადავუხვიე...

მე და ვერონიკა კიდევ დიდხანს ვუზიარებთ შთაბეჭდილებებს ერთმანეთს. დახვეწილი და რაფინირებული ოქსფორდული გარემოს შემდეგ თავდაპირველად აქაურობა ცოტათი გვეუცხოება. დიდად არც ინგლისური ზრდილობა ჭრის. ამას ჩამოსვლისთანავე ვხვდებით, როცა სულის მოსაქმელად პირველსავე ბარში შევდივართ და ვერონიკა თვალბის ფახულითა და თავზიანობის ეტიკეტის სრული დაცვით ეკითხება ბარმენს: “გამარჯობა, სერ. რა შესანიშნავი ატმოსფეროა ამ

ბარში. ხომ ვერ მეტყვი, გეთყვია”... ბარმენს კი უკვე ზურგი შეუქცევია ვერონიკასთვის და ჭიქაში ყინულს აჩხრიალებს. ჰოდა, ვერონიკაც იძულებულია, ხმა დაიბოხოს, თითი დახლისკენ გაიშვიროს და თამამი, ცოტა მბრძანებლური ტონით მოითხოვოს: “ჯიგარო, ერთი ეს ვისკი მაიტა!” აი, ასე სულ სხვაა...

ედინბურგში ჩვენს ჩამოსვლას აღვნიშნავთ და ერთმანეთს ვემშვიდობებით. შევთანხმდით, რომ ახალ წელს შევხვდებით. მანამდე კი ჩვენ-ჩვენი საქმე გვაქვს. მე კონფერენციისთვის უნდა მოვემზადო; ვერონიკა მეგობრებს მოინახულებს, მათ შორის იმ ფრედსაც, ამას წინათ ლონდონში რომ გაიცნო. ფრედი ედინბურგის უნივერსიტეტში პოლიტოლოგიას სწავლობს, თუმცა მე თუ მკითხავთ, პოლიტოლოგიაზე უფრო მეტად სხვა საქმიანობა გატაცებული. თან ამ საქმეს აქაური კლიმატიც როგორ უწყობს ხელს... გარეგნობაც ასეთი აქვს. ძალიან სიმპათიური ყმაწვილი კია, მაგრამ ალბანელ ნარკოდირს უფრო ჰგავს, ვიდრე პედანტ და მონენსიგებულ პოლიტოლოგ-პოლიტიკოსს.

...კონფერენციისთვის მომზადებას მერეც მოვასწრებ, ჯობია საშინელებათა გამოფენა დავათვალიერო. რაღა დაგიმალოთ და ცოტათი გუ-

ლისკანკალით მივუყვები კიბეებს და მიწისქვეშ ჩავდივარ; ამ მიწისქვეშეთიდან ისეთი კვნესისა და არაადამიანური გმინვის ხმა ამოდის, რომ ფეხები უკან მრჩება, მაგრამ საკუთარ თავს არ ვუტყდები. ბოლოს აღმოჩნდება, რომ ყველაზე ძნელი ამ კიბეებზე ჩასვლა ყოფილა. “ვამპირებს ხელით არ შეეხოთ, – გვაფრთხილებს ბილეთების გამყიდველი გოგონა, და თვითონაც ვამპირივით იცინის, – თორემ შედეგზე პასუხს არ ვაგებთ”. ნეტა ვიცოდე, რომელი ჭკუათმყოფელი დააპირებს ვამპირების დაჭერას?.. საშინელებათა ექსპოზიცია ოსტატურადაა გაკეთებული – ცვილის ფიგურები, სინათლისა და აკუსტიკური ეფექტი, ზღაპრულ-ისტორიული თემატიკა... ეს ყველაფერი დამთვალეობაზე კარგად მუშაობს და თუ მაინცადამაინც მყარი ფსიქიკა არ გაქვთ, დიდად არ გირჩევთ იქ მისვლას. აი, ვამპირების ცოცხალი შოუ კი დიდი სულელური ნარმოდგენაა. ჩაბნელებულ დერეფანში მიიკვლევ გზას და ხან ერთი ხელმოცარული მსახიობი გამოგიხტება სახეზე წათხუპნული სისხლებით, ხან – მეორე. მოკლედ, სანამ იქიდან გამოვიდოდი, ძალიან მომბაზრეს თავი. განსაკუთრებით ერთი მსუქანი “ვამპირი” აქტიურობდა. “ყველას შეგჭამთ, ყველას სისხლს დავლევო,” – ბლაღა და გიჟივით



ქალაქში სწრაფი ვისკის ბარი



ქრონისის ბაზრის პრინსის სტრუქტურა

დახტოდა. აი, იმას კი ყველა გაუბოძდა. დიდად საშიში არც ის იყო, უბრალოდ, პაროდონტოზი სჭირდა იმ საწყალს...

თავს ვუშველე. პირველსავე შემხვედრს ტურისტული სააგენტო "სკოტლანდ თრეველის", თურაღაც ამდაგვარის, გზას ვეკითხები. ბედი არ გინდა? სწორედ ამ სააგენტოს ექსკურსიამძღოლი არ გამოდგა?! ბენი ჩემი პირველი ედინბურგელი ნაცნობია – ხანშიშესული, მხიარული კაცი. თუ მაინცდამაინც იმას არ ეტყვი, რომ ინგლისელებზე გიჟდებით და იქვე ვითომ სხვათაშორის უოლესის ლეგენდასაც გაიხსენებთ, ჩათვალეთ, რომ მისი მამაცი გული მოიგეთ. ბენი მეუბნება, რომ მის სააგენტოს ორი მარშრუტი აქვს – ერთი გლაზგოა, მეორე – მთიანი მხარე, ლოხ ნეი და ლოხ ლომონი. ბენი მთაში დადის. მეც მთები და ტბები რატომღაც უფრო მიზიდავს და ბენის ჯგუფში ვენერები.

ტურისტულ ჯგუფში ბევრნი არ ვართ: გაუგებარი წარმოშობის ოჯახი, მთელი გზა მხოლოდ ერთმანეთში ლაპარაკობენ და ისიც ძალიან დაბალ ხმაზე; პატარა და მრგვალი ამერიკელი ქალბატონი, ეგზოტიკურ ადგილებში რომ მოგზაურობს, იქ ყოვლად უვარგის ფოტოებს იღებს და მერე იმ ფო-

ტოებს საკუთარ სალონში გვარიან ფასში ყიდის; კისკისა ავსტრალიელი გოგონები, რომლებიც ირწმუნებიან, რომ მათი წინაპრები შოტლანდიიდან წამოსულან და პარიზელი წყვილი, რომლებიც მთელი გზა გაუთავებლად ასლოკინებენ (რიგრიგობით) და ამაზე ისე კვდებიან სიცილით, თითქოს უფრო სასაცილო არაფერი ენახოთ. ფრანგი ტურისტები იფიცებიან, რომ ინგლისში ბალები და ორანჟერები ბევრად უფრო ლამაზია, ვიდრე საფრანგეთში. შოტლანდიაში, – იქვე უკეთებს კორექტირებას ბენი, კმაყოფილებით იბღინძება და კიდევ უფრო დიდი შემართებით გვიყვება მშობლიური მხარის საამაყო ისტორიას: უძველეს დროში შოტლანდიის ტერიტორიაზე პიქტები სახლობდნენ, ძვ. წ. პირველ ასწლეულში აქ კელტებმა იწყეს დასახლება. ახ. წ. V-VI საუკუნეებში ირლანდიიდან შოტლანდიაში სკოტები გადმოსახლდნენ, სახელწოდება Scotland-იც აქედან მოდის – სკოტების ქვეყანა.

ნელ-ნელა ზემოთ ავდივართ – პატარა, ვიწრო ხეობებიდან დიდ, გაშლილ სივრცეში ვხვდებით. რომ არ ვიცოდეთ, რომ კარგა მაღალზე ვართ, ისე ბარში გვეგონება თავი... აქ მამაცი გულია დამარხული... ეს უზარმაზარი ტბები მართლაც

სასწაულია, ტბის პირას პატარა-პატარა სოფლებია. ზოგიერთი ქოხი ისევე იმ გვაროვნული წყობიდან შემორჩენილ ქვის ქოხებს ჰგავს, განსაკუთრებით – ზამთრის მდუმარებაში. გაზაფხულზე ისევე გამოცოცხლება იწყება. ფერად ყვავილნარში ჩაფლულ ქოხებზე უზარმაზარი წარწერები ჩნდება: "ვაქირავებ ბინას". შოტლანდიის მთებში დასვენება ძვირია ფუფუნება.

ედინბურგი ზამთარ-ზაფხულ ყოველთვის მხიარულია. ერთადერთი, ამინდში არ უმართლებს ქალაქს. თითქმის მთელი წლის განმავლობაში გადაუღებლად წვიმს. "აქ ასე იცის, გამოიძარებს, განვიმდება, გამოიძარებს, განვიმდება. ამ დროს ყველაზე კარგი ანტიდეპრესანტი ვისკია, – მისხნის ჩვენი კონფერენციის ორგანიზატორი ენდრიუ, – გადმოიღებ ვისკის, დაასხამ, დალეე, დაასხამ, დალეე და... მერე კალამიც უფრო ადვილად გემორჩილება..."

ვისკის გარეშე საახალწლო მხიარულებას რა ფასი აქვს! ეს სასამელი მარტო საახალწლო რიტუალის განუყოფელი ნაწილი კი არა, გაციებისგან თავდაცვის ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა. ცოტა თუ არ მომავრდი, მთელი ღამე ქუჩაში რა გაგაძლებინებს!



ისე კი გაგვიმართლა. არც წვიმა მოსულა და არც თოვლი. და, აი, ახალი წლის საღამოც დგება! შებინდდება თუ არა, ცენტრალურ ქუჩას – ჩვენს პრინსეს სტრიტს გადაკეტავენ. ყველა კუთხეში პოლიციელები დგანან. ქალაქის დაცვა განსაკუთრებით გაძლიერებულია. პრინსეს სტრიტი ახალი წლის წინა ღამეს გამორჩეულად ლამაზია; გაბრწყვიალებული ემმაკის ბორბლიდან მთელი ედინბურგი ხელისგულივით მოჩანს. ქუჩაში ჩამწკრივებული ვაგონებიდან ცხელ საჭმელს, ლუდს, ბუშტებს და ყველაზე პოპულარულ საახალწლო სუვენირებს – ედინბურგის ჰოგმანის ქუდებს ყიდვიან. მერე ვილაცა იწყებს “Hogmanay”-ს სიმღერას და მთელი ქუჩა გუგუნებს.

ამასობაში სულ დამავიწყდა მეთქვა, რომ “Hogmanay”-ს შოტლანდიაში ახალი წლის ღამეს ეძახიან.

“ჰოგმანის” სტუმრებს მთის წვერზე გადმომდგარი ედინბურგის ციხე-სიმაგრეც მასპინძლობს. რამდენიმე წლის წინ, აქ პოპულარული შოტლანდიური ჯგუფის – TEXAS-ის კონცერტი გაიმართა. ამჯერად TEXAS-ი პრინსეს სტრიტის ბაღში სცენაზე სხვა ჯგუფებთან ერთად გამოდის. ამ კონცერტზე უმეტესობა სწორედ TEXAS-ის ხათრითაა მოსული. გამოგიტყდებით და მისი დიდი მოყვარული არ ვარ, ამიტომ გული ისევ პრინსეს სტრიტისკენ მიმიწევს. და იქ სიურპრიზიც მხვდება: ერთ-ერთ სცენაზე Panjabi MC არ დახტის და თავის hune hune hoi mutare-ს არ მღერის?!

კინალამ ჩირაღდნების პროცესია გამომრჩა. არადა, ამ სანახაობამ მგონი ყველაზე დიდი

შთაბეჭდილება მოახდინა. ეს პროცესია ყოველ 29 დეკემბერს, საღამოს შვიდის ნახევარზე იმართება. ათასობით ადამიანს ანთებული ჩირაღდანი უჭირავს და ძველი ქალაქიდან კელტონ ჰილისკენ მარშით მიემართება. ყლერს შოტლანდიური მუსიკა და დოლის ენერგიული ბაგა-ბუგი. ზემოდან თუ გადმოიხედავთ, ქალაქი ცეცხლში გამოხვეულს ჰგავს. ჩირაღდნების პროცესია საქველმოქმედო ღონისძიებაა, პროცესიაში მონაწილეობა უფასოა, მხოლოდ ჩირაღდნები უნდა შეიძინოთ; ეს ფული კი გაჭირვებული ბავშვებისთვის გროვდება.

თავის დროზე ვიკინგებმა ბარკასი კელტონ ჰილზე აათრიეს და იქ ცეცხლი წაუკიდეს. ამ ცეცხლში ახლა ძველი წელი იწვის და ახალს უთმობს გზას. კიდევ რაღაც ლეგენდა უნდა მომეყოლა, მაგრამ სულ ერთმანეთში ამერია სატუსალოში გამოკეტილი საყვარლების, მოჭრილი თავებისა და ავი სულების ამბები და ჯობია გააჩუმდე.

პროცესიას ვწყდები და ჯორჯ სტრიტისკენ ავდივარ ზევით. ჯორჯ სტრიტზე არაჩვეულებრივი სანახაობაა – Night Afore Fiesta (ღამე ფიესტას წინ) – შოტლანდიისა და სხვა ქვეყნების გართობის ტრადიციების ნაზავი; თვალს მოგტაცებთ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული დასების თეატრალური თუ ქორეოგრაფიული წარმოდგენები და აკრობატების შოუები. შოტლანდიის მინაკატალონიურ კარნავალსაც მასპინძლობს. მთელი ღამე დაუზარელად მუშაობენ ვიზაჟისტები და დიზაინერები და მსურველებს (ასეთები კი ბევრნი არიან) საკარნავალო თმის ვარცხნილობასა და მაკიაჟს უკეთებენ.

და კიდევ, ქალაქში დინოზავრები დადიან. ცოტა კი მეშინია, ეს უზარმაზარი რკინის კონსტრუქცია, საზარელ ხმებს რომ გამოსცემს, თავზე არ ჩამომემხოს...

ჯორჯ სტრიტზე ვერონიკას ვხვდები. თავის სტიქიაშია. მოცეკვავეებთან ერთად ცეკვავს სამბას. ფრედის ამბავს მიყვება. პაემანი დაუნიშნავს, ცენტრში რომ ქალის ქანდაკებაა, იქ მოდიო. ვერონიკამაც რა იცოდა, ვილაც ქალის ქანდაკების ძებნა დაუწყია. მერე? – “ოთხი წელია ედინბურგში სწავლობს, ეგ დებილი. იცი, ვისი ქანდაკება დგას ქალაქის ცენტრში? – ვისი და უოლტერ სკოტის. უბრალოდ მანტია აქვს ნამოსხმული.”

ახალ წელს ზუსტად პრინსეს სტრიტის ცენტრში ვხვდებით, სკოტის ძეგლის პირდაპირ. ქუჩაში ხალხი უფრო და უფრო მატულობს. 12 საათზე დიდი ფეიერვერკი იწყება. ფეიერვერკებს ქალაქის შვიდი ნერტილიდან უშვებენ. მთელი ქალაქი ბრდღვიალებს. თავზე თითქოს ვარსკვლავები გეყრება. ყველა ერთმანეთს ეხვევა და კოცნის, იცნობს – არ იცნობს, მნიშვნელობა არა აქვს. ტრადიციაა ასეთი – კოცნაზე უარს ვერავინ გეტყვის. მერე ყველა ერთხმად მღერის შოტლანდიურ საახალწლო სიმღერას რობერტ ბერნის ლექსზე – Auld Lang Syne. ბოლოს, სიმღერა და მტლამა-მტლუში რომ დამთავრდება, ზოგი ბარს შეაფარებს თავს და იწყება ისევ ნაცნობი: დაასხი-დალიე, ზოგიც მთელი ღამე დაეხეტება ქუჩებში და დილაამდე ისმის ნამთვრალევი ხმები: HAPPY NEW YEARRR!!!

ახალ წელს გილოცავთ!








# რეპრესირებული სექსუალობა

ავტორი: ნინო ქანკავა

რამდენიმე თვის წინ, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოში“ მეგობრის სანახავედ მისულმა, მის სამუშაო მაგიდაზე საქალაქის სახით შეკრულ ნაბეჭდ და შიგადაშიგ ხელნაწერ ფურცლებს მოვკარი თვალი. თაბახის გვერდები საგულდაგულოდ იყო შეკონინებული, ვილაცას არ დაზარებია და დაკარგული ტექსტი ხელით აღუდგენია. მაგრამ მთავარი, რამაც ჩემი ყურადღება მიიქცია არა დოკუმენტის ვიზუალური მდგომარეობა, არამედ სათაური იყო: „**The Vagina Monologues**“, Eve Ensler (2000).

როდესაც ჩემმა მეგობარმა რამდენიმე აბზაცი წამიკითხა, შევცბი, არა იმიტომ, რომ კითხვისას ხშირად ფიგურირებდა ქალის გენიტალის სახელი, შემაცბუნა იმ მოულოდნელმა გულწრფელობამ, რითაც მთხრობელი ქალბატონები ამ თემაზე საუბრობდნენ.

„საკუთარ ვაგინაზე ფიქრი გვალეღვევს, უფრო სწორად, ის გვალეღვევს, რომ ამაზე საერთოდ არ ვფიქრობთ. არადა, ვაგინა არსებობს, მასზე უნდა ვიფიქროთ; არსებობისთვის მას სხვა ვაგინების კონტექსტი სჭირდება, ვაგინის ერთგვარი კულტურა. ეს თემა ისეთ წყვედიადში და საიდუმლოების ბურუსშია გახვეული, რომ ბერძენის სამკუთხედს მაგონებს. თუნდაც უსასრულოდ ელოდო, ხმას არავინ მოგანვდენს.“



ეპიზოდური პიესა „ვაგინა მონოლოგები“. ავტორი, ივ ენსლერი, ამ პიესისთვის ობის პრიზით დაჯილდოვდა. პიესა თარგმნილია ოცდაოთხ ენაზე და ინსცენირებულია ოცზე მეტ ქვეყანაში.

ეპიზოდური პიესა „ვაგინა მონოლოგები“ ყოველ წელს ახალი ტექსტებით ივსება. ავტორი, ივ ენსლერი, ამ პიესისთვის ობის პრიზით (ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული თეატრალური პრიზი აშშ-ში) დაჯილდოვდა. თარგმნილია ოცდაოთხ ენაზე და ინსცენირებულია ოცზე მეტ ქვეყანაში (მათ შორისაა ბულგარეთი, თურქეთი, კოლუმბია, ეკვადორი, ინდონეზია, სლოვაკია, ხორვატია, სერბეთი, კორეა, ისრაელი, პაკისტანი, იაპონია). პიესა ძალიან პოპულარულია როგორც შუაგული ევროპის ქვეყნებში, ასევე ტერცო მონდოში. თუმცა, საქართველოში, თვალების ჯიბეში შენახვის ქვეყანაში (აკა მორჩილაძე), ის ჯერ არავის უთარგმნია, ინსცენირებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმდეტია.

„ვაგინა მონოლოგები“ ძალიან საინტერესო და ეფექტური ტექსტია არა მხოლოდ მთხრობელ ქალთა ლიაობის, არამედ იმ გამბედაობის გამოც, რითაც პიესის ავტორი მწვავე თემატიკას უდგება. ეს გამბედაობა უთუოდ გაახსენებს მკითხველს ამერიკელი და ევროპელი მწერალი ქალების შემოქმედებით გამოცდილებას, გაახსენებს შეზღუდვებში შექმნილ გენიალურ ნაწარმოებებს, ერთი შეხედვით უნიადგო სივრცეში დაბადებულ ტექსტებს, რომლებსაც ქსენოფობურ და პატრიარქალურ გარემოში ქალები ხელისცეცებით ქმნიდნენ.

ენსლერმა მონოლოგების პირველი სამუშაო ვერსია 1996 წელს შექმნა, 200 ქალთან აღებული ინტერვიუს მიხედვით. საუბრის თემა სექსს, ურთიერთობებსა და ქალების მიმართ ძალადობას უკავშირდებოდა. როგორც წერენ, თავდაპირველად, ინტერვიუებს მეგობრული საუბრების ფორმა ჰქონდა. შემდეგ წრე თანდათანობით იმით გაფართოვდა, რომ მთხრობელი ქალები საკუთარი

ისტორიების გარდა, სხვა ქალების ისტორიებზეც ალაპარაკდნენ.

ენსლერი ამბობს, რომ ვაგინების თემა იმიტომ შეიპყრო, რომ ის ძალადობრივ საზოგადოებაში გაიზარდა: „ქალების დაქვემდებარებულობა ღრმად არის დაკავშირებული მათ სექსუალობასთან“, შეიძლება ითქვას, რეპრესირებულ სექსუალობასთან. „ვაგინა მონოლოგები“ არ ითვლება ისეთ რევოლუციურ ისტორიულ ფაქტად, როგორც ადამიანის მრავალფეროვანი სექსუალობის შესახებ ექიმ ალფრედ ქინსის მიერ ჩატარებული კვლევები და ამ კვლევების შედეგებია, მაგრამ თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, ამავე თემის გადახედვამ ახალ ეპოქასა და ახალ კონტექსტში, კიდევ ერთხელ დაამტკიცა მისი აქტუალობა.

ახალგაზრდა, ასაკოვანი, გათხოვილი და გაუთხოვარი ქალები, ლესბოსელები, პროფესორები, მსახიობები, სექსოლოგები, აფრო-ამერიკელი, აზიელი, ისრაელელი თეთრკანიანი და შავკანიანი ქალები სექსუალობასთან, გენიტალიებთან დაკავშირებული შეგრძნებებისა და ტრავმების შესახებ მოგვითხრობენ. თავიდან მათ ეძნელებოდათ და ეჩოთირებოდათ მოყოლა, მორცხვობდნენ კიდევ, მაგრამ შემდეგ მათი შეჩერება შეუძლებელი ხდებოდა. „ქორწინება კომპრომისზე წასვლა“, „სექსუალური აქტის დროს, შუქი უნდა ჩააქრო“, „ქვემოთ სარდაფია — საშიში, ნებოვანი და ნოტიო — იქ წურასოდეს ჩახვალთ, მერწმუნეთ, ავად გახდებით, გული აგერევთ“... ეს ის სტერეოტიპებია, რომელთა ტყვეობაშიც ქალების მოქცევას ცდილობდნენ, ან რომლებითაც ეს ქალები თვითონ ხელმძღვანელობდნენ.

ხანდახან ტრავმირებული ქალები სახელითაც არ მოიხსენიებენ ვაგინას, აგრესიითა და ზიზლით ეკიდებიან მას, რადგან ეს ის არის, რაც მათ არცხვენს, უხერხულ მდგომარეობაში ადგებს.

ერთ-ერთ ესეში ივ ენსლერი გვეუბნება: „მე მწამს საგნების სახელდების ძალა და საიდუმლო. ენას ჩვენი ჩარჩოების ტრანსფორმირების, ქცევის ნასწავლი მოდელების გადახედვის და ფიქრების ახლებურად წარმართვის შესაძლებლობა აქვს. მჯერა იმის სახელდების, რაც ჩვენს წინაშეა, რადგანაც ხშირად უხილავი სწორედ ის არის. იფიქრეთ სიტყვაზე „ვაგინა“. მჯერა, რომ ყოველი წარმოდგენისას, 128-ჯერ ამ სიტყვის გამოვრებით, ჩემი სირცხვილის დასახელებით, ჩემი საიდუმლოებების გამჟღავნებით, ჩემი მისწრაფების გამოვლენით მოხდა ის, რომ საკუთარ თავს, საკუთარ სხეულს დავუბრუნდი. საკმაოდ ხშირად და საკმაოდ ხშირად მისი თქმით ისეთ ადგილებში, სადაც ეს მოსალოდნელი არ იყო, ამის გაჟღერებას

ერთდროულად პოლიტიკური და მისტიკური ხასიათი ჰქონდა და მან ქალების მიმართ ძალადობის დასრულების მსოფლიო მოძრაობას მისცა დასაბამი.“

საკუთარ გენიტალიასთან გაუცხოებისას, მისი სხეულის ნაწილად აღქმაც არ ხდებოდა. ლოგიკურია, როცა ეს ომგამოვლილ ბოსნიელ ქალებს ემართებათ (იუგოსლავიის ომის დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში, 500 000 ქალი გააუპატიურეს). საინტერესოა, რატომ გვაქვს იგივე სურათი ადამიანებთან, რომლებსაც არც ომის საშინელებები გამოუვლიათ და არც რაიმე ექსტრემალურ პირობებში მოუწიათ ცხოვრება? ანუ რითი შეგვიძლია ავხსნათ პრობლემის წარმოშობა სოციალურად და პოლიტიკურად მონერვილებულ გარემოში? ძალადობის რამე ქაწინებები მოქმედებენ ასეთ დროს?

პიესაში ნახსენები და ჩამოთვლილია დაახლოებით 37 მოფერებითი სახელი, რითაც ამერიკის სხვადასხვა შტატში ვაგინას მოიხსენიებენ. ჩვენში როგორც კაცის, ასევე ქალის გენიტალიის ფარგონული სახელწოდება სალანძღვ სიტყვად გამოიყენება. ამ შემთხვევაშიც, ენაში ის შეფასებითი მნიშვნელობები კოდირებული, რომელსაც ადამიანები მას გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ანიჭებენ. ეს, თავისთავად, ხაზს უსვამს არამარტო სიტყვასთან, არამედ, ზოგადად, სექსუალობასთან საზოგადოების მიმართებასაც. საქართველოში, როცა ამ სიტყვას ხმამაღლა ამბობენ, ილანძღებიან ხოლმე; როცა ჩურჩულებენ, ეს ნიშნავს, რომ რალაცის ერიდებათ. ნიშანდობლივია, რომ ძირითადად მამაკაცები ყვირიან, ხოლო ქალები ჩურჩულებენ. ამიტომ მოჩურჩულე ქალბატონებზე ანუ მათზე, ვისთვისაც ვაგინაზე საუბარი არადელიკატურობასთან ასოცირდება და ვისშიც მისი ნომინალური არსებობაც უხერხულობის, დისკომფორტის განცდას იწვევს, ეს პიესა თერაპიულად ზემოქმედებს. ერთ-ერთ ინტერვიუში ენსლერი ამბობს: ქვეყნიდან ქვეყანაში, ქალაქიდან ქალაქში სპექტაკლით მოგზაურობისას, მისი ნახვის შემდეგ, ასობით ქალი მელოდებოდა საკუთარი ისტორიის მოსაყოლად. სპექტაკლი ხელახლა აღძრავდა მათ მოგონებებს, ტკივილსა და ვნებებს. ქალები ხელახლა პოულობდნენ იმ სამყაროს, რომელთან მისასვლელიც დიდი ხნის წინ დალუქეს.

სანამ ვინმე პიესის ინსცენირებულ ვერსიას თბილისში იხილავდეს, ქალების თვითშეფასების, საკუთარ სექსუალობაზე მათი წარმოდგენის შეცვლაში, მორალური შეზღუდვებისგან გათავისუფლებაში „ვაგინა მონოლოგების“ ქართული ვარიანტის წაკითხვა ასევე მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა.

ამასთან დაკავშირებით ვესაუბრე ლიტე-



REUTERS

ახალგაზრდა, ასაკოვანი, გათხოვილი და გაუთხოვარი, თეთრი და შავკანიანი ქალები სექსუალობასთან, გენიტალიებთან დაკავშირებული შეგრძნებებისა და ტრავმების შესახებ მოგვითხრობენ.



რატურულ მთარგმნელს, დათო გაბუნისას, რომელიც დიდი ხანია ოცნებობს, „ვაგინა მონოლოგები“ ქართულად თარგმნოს. „ამ პიესამ თავიდანვე მომხიბლა თავისი გაბედულებით, აქტუალობით. სიმართლე გითხრათ, წაკითხვამდე ცოტა სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, მაგრამ გარწმუნებთ, წაკითხვისთანავე შემეცვალა აზრი და დღემდე უძლიერეს შთაბეჭდილებად მახსოვს.“

პიესის ქართულად თარგმნას ბევრი სიძნელე უკავშირდება. პირველ რიგში, იგულისხმება ენობრივი სიძნელებები — ძნელია მოძებნო ისეთი მრავალფეროვანი ლექსიკა, რომელიც შესაბამის ინგლისურ ეკვივალენტებს სრულად გადმოსცემს. ჩვენს ენობრივ გარემოში ავტომატურად ხდება სექსუალობის აღმნიშვნელი ყველა სიტყვის პერიფერიაში განდევნა, ყველაფერს შეურაცხმყოფელი ელფერი აქვს, რაც ძალიან კარგად ასახავს რეალობას: სექსზე ცივილიზებულად არ ვლაპარაკობთ და ეს თემა მთლიანად მამაკაცური გინების მონოპოლიად გადაქცეულია.

შესაბამისად, ძნელია თარგმნო ქართულ ენაზე ტექსტი, რომელიც ქალის გენიტალებზე ასე ღიად და მოურიდებლად ლაპარაკობს და თან პიესის მთავარი სათქმელი — ქალის „აკრძალული“ სექსუალობის გათავისუფლება — არ დაკარგო, შაყირად არ გადააქციო, რაც ჩვეულებრივ ხდება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

თუმცა, ქართულ ზეპირსიტყვიერებაში



უხვად არის ეროტიკულ-სექსუალური მოტივები, შესაბამისი ტერმინოლოგიით. ამ მხრივ ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ გამოცემული „მოუკრეფავნი“ ნამდვილად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

ქართული სკაპრეზული პოეზიის პირველი კრებულის წინასიტყვაობაში ვახუშტი კოტეტიშვილი წერს: „თუ გადავხედავთ წარმართობის ხანის არქეოლოგიურ მასალას, ფალოსისა თუ ვაგინის უტერირებულ გამოსახულებებს, ჩვენს თვალწინ გადაიშლება უმრავალფეროვნესი გამა მაგიური ეროტიკისა, რაც შეუძლებელია უკვალოდ გამქრალიყო საზოგადოებაში. ქრისტიანული ზნეობრიობის საყოველთაო გამარჯვების შემდგომ წარმართული ეროტიკა კარგავს რელიგიურსა თუ მაგიურ დატვირთვას და არსებობას განაგრძობს სახეცვლილი, მსუბუქი იუმორის სახით“.

**ქალო, შენ გახარებასა,  
რა გაქვ მა ფეხთშუაშია?  
ამ ჩემსა ჩამოკიდულსა  
სჯობავა მარიფათშია?**

ფსიქოლოგ რუსუდან მირცხულავას აზრით, დღეს ჩვენს კულტურაში მართლაც არსებობს აკრძალული და ტაბუირებული თემები: „საქართველოში იმდენად ბევრი პრობლემატიკაა დაგროვილი — სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, წმინდა მატერიალური პრობლემები, რომ სექსუალობაზე ფიქრი და ამ თემის აქცენტირება ფუფუნებად არის ქცეული. თუმცა, პარადოქსულია ის, რომ სექსუალობა თავისთავად არის ბიოლოგიური ფუნდამენტი, რომელზეც ნებისმიერი ცოცხალი არსება დგას და მიუხედავად ამისა, ხდება მისი იგნორირება. არანაკლებ მნიშვნელოვანი თვითანალიზის პროცესია, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს დაფიქრდეს იმაზე, რითაც მისი გონებაა მოცული, რაც მის სხეულს სჭირდება და რაც შინაგანი კომფორტის მოსაპოვებლად აუცილებელია.“

ქალის სოციალური როლიდან გამომდინარე, რომელიც ისტორიულად ყალიბდებოდა, ჩვენი ფსიქიკიდან სექსუალობისა და ეროტიკის — ამ მდიდარი და საინტერესო სფეროს — აბსოლუტური მიჩქმალვა, ერთგვარი ატროფიაც კი ხდებოდა. მთელი პატრიარქალური კულტურა ინსტინქტთა დამორჩილებას, ფანტაზიებისა და ემოციების მოკვეთას ეფუძნება. ამიტომ, სანამ საზოგადოებაში მამაკაცის კულტი იარსებებს, ქალის როლი ფსიქოლოგიურად დაკნინებული იქნება. ის, რომ ქალი არის პარლამენტის თავმჯდომარე, არსობრივად არაფერს ცვლის“.



**ფეხებს შორის რაღაც მაქვს, თუმცა არ ვიცი – რა. არ ვიცი, სად არის ის. არ ვეხები. არც ახლა. არც აღარასოდეს. არც იმ დღიდან მოყოლებული.**

პიესაში საკმაოდ ვრცელი ადგილი ეთმობა პირველი მენსტრუალური გამოცდილებების აღწერას. ბევრისთვის ეს უკავშირდებოდა საოცარი შიშის განცდას – „დარწმუნებული ვიყავი, რომ სისხლისგან ვიცლებოდი და ნელ-ნელა ვკვებოდი“; რადგან ისინი მოულოდნელად ევჯახებოდნენ აუხსნელ ფენომენს, რომელთან შეხებაც ზოგიერთს დანაშაულის გრძობასაც კი უვითარებდა. რუსუდან მირცხულავა ამბობს, რომ „ძალიან გამაღიზიანებელია ქალის ასაკის აგდებით მოხსენიება, აგრეთვე მისი ფიზიოლოგიის (კლიმაქსი, ალემბი, მენსტრუალური ციკლი) ირონიზება. ქალი მშვენიერია მთელი თავისი ფიზიოლოგიით, ასაკობრივი ცვლილებებით“. თუმცა, ხშირია შემთხვევები, როდესაც თავად ქალები აუგად იხსენიებენ თავიანთ ფიზიოლოგიურ პროცესებს, რომლებიც მათში შიშს იწვევენ. თავის დროზე, ფრანგებმა მენსტრუალურ ციკლს ძალიან პოეტური განმარტება მოუძებნეს – საშვილოსნოს ტირილი.

მოზარდობის ასაკში, საკუთარი სხეულის არაადექვატური აღქმა და მოგვიანებით, საკუთარი სექსუალობის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული ტრავმები ხშირად არცოდნის შედეგია. „გაგინა მონოლოგებში“ არის ერთი ეპიზოდი, სადაც 72 წლის ქალბატონი ფიგურირებს. მას არასოდეს განეცადა ორგანო და არასოდეს ენახა საკუთარი გენიტალია. ტრავმა, რომელმაც მას სრულფასოვანი სექსუალური ცხოვრება დააკარგვინა, სწორედ მის არაინფორმირებულობას უკავშირდებოდა.

ასეთი მაგალითები კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისთვის სწორი ინფორმაციის დროულად მიწოდება. ამ პრობლემის არსებობას თავისთავად მივყავართ კითხვამდე, თუ რატომ არ ისწავლება სკოლებში სექსუალოგია – მეცნიერება, რომელიც სექსობრივ ურთიერთობებს ფსიქოლოგიურ, სოციალურ და ფიზიოლოგიურ ასპექტებში განიხილავს. თუმცა, ამასაც მოეძებნება პასუხი, თუკი გავიხსენებთ, რა უშფოთველად ახერხებდნენ მასწავლებლები სკოლაში იმ თავის გამოტოვებას, სადაც საუბარი ადამიანთა განაყოფიერებაზე იყო. მოზარდების მხრიდან საკითხის დამახინჯებულად აღქმის ალბათობა ყოველთვის დიდია, რადგან დიდია არაზუსტი ინფორმაციის მიღების შანსი.


პიესაში აღწერილია ვაგინისადმი მიძღვნილი ვორქშოფიც, რომლის მონაწილეებსაც საკუთარი გენიტალიის დახატვა სთხოვეს. ამ

დავალებამ ქალბატონები უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო, რადგანაც ბევრ მათგანს ნანახიც არ ჰქონდა ის, რაც უნდა დაეხატა. კვირები, თვეები და ზოგჯერ წლებიც გადის ისე, რომ არ ვუყურებთ მას — ამბობდნენ ქალები. ამის მიზეზად ისინი დროის დეფიციტს ასახელებდნენ, მაგრამ რეალურად, აღმოჩნდა, რომ უმეტესობას ამის კეთება, უბრალოდ, არასდროს მოსვლია აზრად. არც ამ ქალებს და არც მათ მეუღლეებს, შეყვარებულებს და სექსუალურ პარტნიორებს არასდროს მიუციათ ერთმანეთისთვის ეს უფლება. მონოლოგებში წარმოდგენილი სხვა ფაქტებიც მხოლოდ იმაზე მიუთითებს, თუ რამდენად დაბალი შეიძლება იყოს ადამიანების მიერ სხეულის არახილული მხარეების შეფასება და რამდენად მნიშვნელოვნად ცვლის ასეთი მიმართების ხელახლა გააზრება არამხოლოდ მათი სექსუალური ცხოვრების, არამედ, ზოგადად, ცხოვრების წესს.

შეიძლება მსგავსი აღმოჩენები თვითკრიტიკულ ფონზე მიმდინარეობდეს და გარშემო მყოფთა მხრიდან რეპრესიული განწყობაც თან ახლდეს, მაგრამ თვითნაალიზი და ურთიერთობების ანალიზი ის ერთადერთი გზაა, რომლითაც ადამიანი საკუთარ თავში საყრდენის პოვნას შეძლებს.

აკი ერთ-ერთ ინტერვიუში ივ ენსლერიც ამბობს:

**„საგნების სახელდება, ტაბუების ნგრევისა და უარყოფის მეშვეობით, ყველაზე საშიში, შემამფოთებელი და კრიტიკული სამუშაოა. ეს უნდა მოხდეს პოლიტიკური კლიმატის და ძალადობის, კრიტიკის ქარ-ცეცხლში მოხვედრის საშიშროებისა და განდევნის მიუხედავად; მიუხედავად იმისა, რომ არ ეყვარებით“.**



**„სექსუალობა თავისთავად არის ბიოლოგიური ფუნდამენტი, რომელზეც ნებისმიერი ცოცხალი არსება დგას“.**





# როსა მიწა, როგორც მიწა, სადაც მიწა, რასაც მიწა

ავტორი: ანა კორძია-სამალაშვილი  
ფოტო: ღვით მესხი



“ფორმატი” საძაგელი ცნებაა. სულ რაღაც ჩარჩოში ხარ მოქცეული. ამ რუბრიკის ფორმატი რომ არა, გიამბობდით, როგორ აღმოვაჩინე 1995 წელს შორეულ გერმანიაში “ფაუსტი” და კახა ბაკურაძე – მას კი არ ვახსოვარ, მაგრამ ეგ არაფერი. გიამბობდით, როგორი წარმოდგენები გამართა “მოძრაობის თეატრმა” თეატრალურ სარდაფში თუ სამეფო უბნის თეატრში. გიამბობდით... მოკლედ, რას არ გიამბობდით, მაგრამ ვაგლახ! ფორმატი უნდა დავიცვა. ამიტომ იმით შემოვიფარგლები, თუ როგორ გავატარე კახა ბაკურაძესთან ერთად ერთი კარგი დღე.





კახა ბაკურაძე წარსულით არ ცხოვრობს. თავად განსაჯეთ: მისი თეატრი მოძრაობის თეატრია და სულ უკან-უკან რომ იყურებოდეს, აბა, სად მოხვდებოდა?

თუმცა მკითხველს მაინც მოვასხენებ იმას, რასაც ჩემი გმირი თავადაც ხალხით ჰყვება: ის დაიბადა სცენაზე, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. – ცხრა თვის ორსული დედა ტანგოს ცეკვავედა და კახაც გაჩნდა. მას ზრდიდა უამრავი მსახიობი – მამის სამეგობროში პირველი ვაჟიშვილი იყო და ახლა, მრავალი წლის შემდეგ, კახას შეუძლია დანამდვილებით თქვას, რომ ოცდახუთი მსახიობის ენერჯია სულ თან დაჰყვება და მასში ხან ერთის თვისებები წამოჰყოფს თავს და ხან – მეორისა. მას კარგად ახსოვს, როგორ თამაშობდნენ მსახიობები სარეპეტიციო დარბაზში რაგბის – ბურთი ჩვენი გმირი, კახა ბაკურაძე ბრძანდებოდა, იმხანად ძალიან პატარა. ჯერ კი დანდობით ესროდნენ ერთმანეთს, მოკლე მანძილებზე, მაგრამ მერე, როცა აღმოაჩინეს, რომ ძალიან მოქნილ “ბურთთან” ჰქონდათ საქმე, დისტანცია გაიზარდა და კახაც ყოჩაღად ჩაეჭიდებოდა ხოლმე მას, ვისაც მის თავს აწოდებდნენ.

იმ დროიდან მოყოლებული, კახა ბაკურაძემ მთელი ცხოვრება სცენაზე გაატარა და დედამიწას თეატრებთან ერთად ორჯერ შემოუარა. ეს ყველაფერი ძალიან კარგი იყო, ახლა კი კახას ყველაზე კარგი ხანა აქვს: თავის “მოძრაობის თეატრთან” ერთად უკვე შეუძლია ითამაშოს როცა უნდა, როგორც უნდა და სადაც უნდა. სცენა ყველგანაა, კახა და მისი მსახიობები თამამად ითამაშებენ კედელზე, გამოქვაბულის ქერზე – ესეც გაუკეთებიათ. მაგრამ ეს ისე, ცალკეული სურათებია. მთავარი მაინც ისაა, რომ “მოძრაობის თეატრისთვის” სცენა მთელი სამყაროა და არავის უწევს მისი ძებნა და ბილეთის ასაღებად რიგში დგომა: კახა ბაკურაძე და მისი თეატრი თქვენთან თავად მოვლენ, თან ძალიან საინტერესოდ, ვთქვათ, ოჩოფეხებზე შემომდგარი.

...  
ამ შვიდი ავადსახსენებელი ოჩოფეხის გამო ამოყვავი თავი ელიავას ბაზრობაზე, სადაც ძალიან ციოდა და ალაგ-ალაგ, სრულიად ულოგიკოდ, გაუსაძლისი ქარი უბერავდა. ელიავაზე გავყვევი კახა ბაკურაძეს, გიორგი ბაბალაშვილს, რომლის თანამდებობასაც, მისი თქმით, ჰქვია ჯარისკაცი, და

კიდევ ერთ ყმანვილს, რომელიც საჭესთან იჯდა, არავინ გამაცნო, და შემდეგ, ჩემი გულის გასახეთქად, აღმოჩნდა, რომ კახას შვილია, სოსო – რამხელა ჰყოლია!

მე: ოთხი წლისამ გააჩინე?

კახა: არა, ორსული გაეჩნდი.


მანქანა იყო მრავალჭირნახული, თუმცა ერთი შეხედვით მშვენიერი. სოსომ თქვა, მამაჩემი მანქანებს სწორედ ამ პრინციპით არჩევს: კარგი მაგნიტოფონი თუ აქვს და თუ შეიხედება, მოსწონსო. ერთია, საბრალო მანქანას დიდძალი ბარგის ტარება უწევს ხოლმე და ზოგჯერ მუცელს უხახუნებს მინას. მერე ბაბალას და სოსოს მოჰყავთ კაცებთან, რომლებსაც შესანიშნავი სახელები ჰქვიათ, მაგალითად, ხადავიკი, და ისიც კვლავ გონს მოდის.

ამჯერად ალუმინის მილებისა და დიურალუმინის ფურცლისთვის – ნახეთ, როგორ გავერკვიე! – რკინის კაცებთან მივედით, რომლებიც მსახიობებს უკვე შესანიშნავად იცნობენ და მათი საოცარი მოთხოვნები აღარ უკვირთ ხოლმე. არადა, პირველად, ცოტა არ იყოს, ცერად უყურებდნენ – რა ოჩოფეხები... ახლა უკვე დიდი ურთიერთგაგება და სიყვარულია: Art metal-თან – მე

მოგვკვდე, ასე ეწერა – ჩამომდგარმა კახამ ხელის ტელეფონით დაურეკა “თავის” რკინის კაცს, კმაყოფილმა მოგვახსენა, რასაც ისმენდა: – а нам все равно... და განაცხადა, ოც წუთში მოვაო.

ის კაცები, ჩანს, მართლა რკინისები არიან – რა აძლებინებთ?! მე ცოტა ხანში ისე გავიყინე, რომ ბაზრობის სასადილო სამოთხის კარად მეჩვენა. იქ კაცებმა მშვენიერი, მგონი ქალაქის სოსისები შეუკვთეს და მეც დავლიე რაღაცა, რაც ერთი შეხედვით ძალიან ჰგავდა ყავას. დავსხედით და კახამ თეატრის შესახებ ლაპარაკი დაიწყო.

ცოდვა გამხელილი ჯობია: ცალკეული დადგმების გარდა, მე დრამატული თეატრი არ მიყვარს. თუ რამე სოციალურ-პოლიტიკური დატვირთვისა უნდა იყოს, ამისთვის თეატრი ნამდვილად აღარაა საჭირო. მე მგონი, ის დრო გავიდა, როცა სცენიდან მსახიობი დასძახებდა, მოსამართლეები მე-ქრთამეები არიანო, და მერე მაყურებელი ეშმაკურ-კმაყოფილი სახით იქნევა თავს: “გაიგე, რა თქვა?” თუ მაინცდამაინც ვინმეს უვარგისობით გინდათ გულის მოფხანა, თეატრში რა გინდათ, ჩართეთ ტელევიზორი, იქ პირდაპირ ღრიალებენ: “მოსამართლე





დონლუიკაშვილი მექრთამე და ფურთხია!” ვერაფრით ვერ ვხვდები, რატომ მიყვირიან სცენიდან გაბრაზებული ქალები და კაცები, – განსაკუთრებით ქალები! ნათელი დასტური იმისა, რომ ქართველი ქალი ბუნებით ავია და ისტერიული. რა აუცილებელია, გმირებმა სრულიად უადგილო ადგილას დავლური დაუარონ, საერთოდ, რატომ მძაბავენ, რა უნდათ ჩემგან?

კახამ ამიხსნა, რომ ეს არის “გამჭოლი მოქმედება”: ვილაცა ვილაცას რაღაცას ეტყვის ან უზამს, ის დაფიქრდება, გაიაზრებს, რაც დაემართა და... ყვირილს დაიწყებს.

არ მინდა. გამჭოლი მოქმედება არ მომწონს.

კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი სულაც არ ისახავს მიზნად ჩემს გაუბედურებას. მსახიობები ცეკვავენ, და ეს ყველაზე კარგია. თუ კარგად ცეკვავენ, მეც ავცეკვდები, და როცა ცეკვა დამთავრდება, ან გული დამწყდება, რატომ მორჩაო, ან კვლავ ცეკვას განვაგრძობ. კახამ ასე განმარტა: თუ თეატრი არ გახარებს, არ გამხიარულებს, სიყვარულს არ გაძლევს და არ გასვენებს, გამოდის, რომ ის ნერვებს გიშლის, გამძიმებს, გაბრაზებს და გლისს – გინდა ასეთი თეატრი? არა, არ მინდა.

მე მინდა, რომ ჩემი ქალაქის ქუჩებში ლამაზი, ფერადი, მხიარული კაცები და ქალები დადიოდნენ, კარგ მუსიკას უკრავდნენ და ხალისიან წარმოდგენებს მართავდნენ. მერე თავიანთი ლამაზი შაპიტოთი – ექნებათ, აბა, არ ექნებათ? – მთელი საქართველო მოიარონ და ყველა პატარა სოფელშიც გაისმას დოლის ბაგუნი: კახა ბაკურაძის თეატრი ჩამოვიდა! ამ მსახიობებს ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ, არამარტო გმირების განსხიერება, ოჩოფეხებით ცეკვა და ცეცხლით ჟონგლიორობა, არამედ – მთავარი! – სიხარულის მოტანა. ვაჟა, ვაჟა, კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი ჩამოვიდა!




მანამდე კი სასადილოში ესხედვართ და კახა ყვება, რა დაგვემართება, თითო არაყი “ჯოკერი” რომ დავლიოთ: დავცოფდებით და დიდ პოგრუმს მოვანწყობთ ელიავას ბაზრობაზე. ისე, რა, ესეც ხომ შოუ იქნებოდა...

...

დიაგნოზი: ტოპოგრაფიული იდიოტიზმი. ვერაფრით ვერ მივხვდი, რომ ქუჩის მოპირდაპირე მხარეს დიდუბის მეტროა, თავი რაღაც გაუგებარ ფილმში მეგონა.

ეს არის უზარმაზარი დარბაზი, სადაც უამრავი რკინაა, ცინავს და საშინელი ბრაგაბრუგია. კახამ უშველებელ მანქანასთან მიმიყვანა და ძალიან თვალსაჩინოდ წარმომიდგინა გილიოტინა: დადებ თავს და – “ბრახ!” დაიძახა მანქანამ და რკინის ნაჭრები გადმოყარა. სასიამოვნო იყო-მეთქი, ნამდვილად ვერ ვიტყვი.

აქ კახა ოჩოფეხებს ამზადებინებს. სწორედ ამ ქარხნის გვერდით შეუძენიათ წინადლით – გორგოლაჭებიან ფეხსაცმელს რა ჰქვია? მოკლედ, როლიკები. ვაჭრობა ასე წარიმართა: კახამ თქვა, რომ თუ ფასს დაუკლებდნენ, სამ წყვილს იყიდდა და თან ფოკუსს აჩვენებდა. გამყიდველი დათანხმდა. კახამ, ფოკუს-მოკუსო, და ცხვირსახოცი გააქრო. გამყიდველმა, ფოკუსის გაკეთება მასწავლე და ერთ წყვილს გაჩუქებო, და ასე შეიძინა “მოძრაობის თეატრმა” ოთხი წყვილი, ბოდიში მომითხოვია და როლიკები.





სანამ რალაცა იჩარხებოდა და გილიოტინა გრუხუნებდა, კახა ბაკურაძემ მითხრა, გულდასაწყვეტია, საქართველოში მსახიობებს თავიანთი საქმის მიმართ დამოკიდებულება ასე მკვეთრად რომ შეეცვალათ. აღარც ჯირითი იციან, აღარც ფარიკაობა, – გახსოვთ, ძველ ფილმებში რას არ სჩადიოდნენ! კახა თვლის, რომ მსახიობი, რომელიც რომელიმე როლს, რომელიმე სახეს ცხვირს უბზუებს, მსახიობი არაა. თავად ამბობს, რომ ახლა მსახიობისთვის ყველაზე კარგი ასაკი აქვს და შეუძლია, ყველა და ყველაფერი ითამაშოს, მაგალითად, ქალი. დავეჭვდი: კარგი კაცია, მაგრამ ვითომ, ლამაზი ქალი იქნებოდა? კახამ მითხრა, რომ ძალიან ჰგავს დედამისს, დედამისი კი ლამაზი ქალია, ასე რომ...

...

ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე ცხოვრობს თეატრი. აქ დილით ვარჯიში იწყება, საკმაოდ მძიმე და სერიოზული. სიტყვა “თავდაუზოგავად” კახას დასს საუკეთესოდ ესადაგება. სწავლობენ ყველაფერს, რაც აკრობატებმა, ჟონგლიორებმა, მიმებმა, მეკლდეურებმა და მძლეოსნებმაც კი უნდა იცოდნენ, და სწავლობენ სამსახიობო ხელოვნებას, თავიანთი საქმის მიმართ სწორ დამოკიდებულებას. “არ მინდა” და “არ შემოდია” აქ არ ჭრის: ყველას ყველაფერი უნდა და შეუძლია.

ყველაზე “ხანშიშესული” მსახიობი ოცდაორი წლისაა. კახას თქმით, მისი პრობლემა ისაა, რომ მსახიობები ხშირად იცვლებიან – ხელმოკლეობის გამო, “მოძრაობის

თეატრს” ხომ დამფინანსებელი არა ჰყავს. ხშირად ხდება ხოლმე, რომ სხვა თეატრში გადასული მსახიობი კვლავ კახასთან ბრუნდება, ხოლო თუ სხვაგანაც წარმატება აქვს, კახას ძალიან უხარია: “ეს ნიშნავს, რომ ჩემს საცხოვრებელ გემრეცხვარს ნამცხვარი სხვაგანაც გემრეცხვარს”.

ოთახში, სადაც ღუმელი გიზგიზებს, კოსტიუმები კიდეა და კედლებზე უამრავი ნიღაბი მიმაგრებული, მონევა არ შეიძლება, “ჰიგიენის ამბავია, თორემ გაგვიჩნდება მერე ჯიბილობები...” კოსტიუმების ნაწილი თავად კახამ შეკერა – ოდესღაც ითვლებოდა, რომ არქიტექტორი უნდა გამხდარიყო და ხაზვაც ეხერხება და ხატვაც, კერვა კი ბებიისგან ისწავლა, “დავუბადიებდე და ახლა ხელით ავერლოკის გაკეთებაც შემიძლია”. რამდენიმე სამოსი მოდელიორებმა აჩუქეს, ორმა კარგმა გოგომ ულამაზესი ქუდი შეუკერა და ახლა კახას ერთი დიდი, ბრჭყვიალა გულსაბნევი უნდა, რომ ქუდზე დაამაგროს და მთლად ნაპოლეონით იქნება.

კახას ფული იმისთვის უნდა, რომ ახალი კოსტიუმები შეიძინოს და საუკეთესო ხმის აპარატურა ჰქონდეს, თორემ რა – ის, რისთვისაც მავანნი იბრძვიან, უფასოდაც აქვს. მანამდე კი სხვაგვარად გავა ფონს – აი, ამ ძველ ჩეხურ გიტარას განმენდს, გახეხავს, მერე გოჩა თოფურია მოხატავს და მშვენიერი გიტარა გამოვა. აფსუს, “ციკლოკის” მერე როგორი წმინდა ნახერხი ჰქონდა და სად წავიდა ის ნახერხი...

ბაბალამ სადღაც ისეთ ადგილს მიაგნო, სადაც ლობიანები და მართლა ყველიანი

ხაჭაპური იყიდება, და ახლა დაბალ კარადაზე მეფური სუფრა აქვს გაშლილი. საღამოს რეპეტიციის დაწყებამდე როლიკებიანი მსახიობები ამ სუფრას ჩაუვლიან, ჩამოუვლიან და მიირთმევენ. იქვე ვილაცა ახალ ოჩოფეხებზე დადგომას ცდილობს. კახამ ამიხსნა, რომ ოჩოფეხებზე სიარულის სწავლისას ჯერ ნაქცევა უნდა ისწავლო, და საერთოდ, მსახიობი, უპირველეს ყოვლისა, ძალიან მოქნილი უნდა იყოს, “ისე კი არა, კარადას რომ წამოედებოდა ხოლმე და მერე ისეთი ამბავი ტყდება, გეგონება, მანქანა დაეჯახაო...” მოქნილი ყველა თვალსაზრისით, რადგან მსახიობი თავად უნდა მოერგოს ყველას და ყველაფერს – ყველანაირ მაყურებელს და ყველანაირ გარემოს. მან მაშინაც უნდა ითამაშოს, როცა გარშემო სამყარო ინგრევა.

არაფერიც არ დაინგრევა. ყველაფერი კარგად იქნება. ჯერ – ჩუმად! რეპეტიცია იწყება! საახალწლოდ ქუჩაში ხშირად შეგვხვდება კახა ბაკურაძის “მოძრაობის თეატრი”. მერე კი, როცა დათბება და კახას აუცილებლად ექნება ახალი შაპიტო, ისინი გზას გაუყვებიან და საქართველოს ყველა ქალაქსა და სოფელში ჩაბერავენ სტივირებს, ყველა ქუჩაში ჩაივლიან ოჩოფეხებზე შემდგარი მსახიობები და დოლის ბაგუნი და საკარნავალო მსვლელობა ყველას ამცნობს: ვაშა, ვაშა, კახა ბაკურაძის თეატრი ჩამოვიდა!

**P.S. კახა ბაკურაძესთან ერთად გატარებული დღისთვის ავტორები მადლობას მოახსენებენ გიორგი ბაბალაშვილს.**



# ქალი OFFროულ ნა თაბაგარი

ავტორი: თამარ ბაბუაძე  
ფოტო: დავით მესხი, გობიბა ზუბანიძე, ნა თაბაგარის კირალი ფოტოგრაფი

## ასე დაიწყო

სანამ უზარმაზარი ჯიბი ადგილიდან დაიძრება, გგონია, რომ ამ მანქანის საჭესთან ეს სუსტი ქალი არ უნდა იჯდეს. თან ქუსლიანი ფეხსაცმლით! მაგრამ ნუ ჩქარობ, მანქანას დაქოქავს, სიჩქარეში ჩააგდებს და შენც ორი წუთის წინ გონებაში გავლელულ ფიქრს – “ამხელა ჯართს გოლფ 3 არ ერჩია?” – თვითონვე უარყოფ. ია თაბაგარი ჯიბის გოგოა – რაც შეიძლება დიდის და რაც შეიძლება ოფროუდის. იმიტომ, რომ ია თაბაგარი ტურისტული კომპანია “კავკაზუს თრეველის” დირექტორია. კავკასიაში თრეველი კი – ამ მხარის კარგად ცნობილი უსწორმასწორო რელიეფის გამო – გოლფითა და ფაეტონით არ შეიძლება.



## ალმა-ღალმა

ამ ტიპის რესპონდენტი მეორედ მყავს. პირველად მთამსვლელ გოგოს გადავეყარე, რომელიც გუშინ ამაღაბლამიდან იყო ჩამოსული, დღეს ოფისში საბუღალტრო აღრიცხვებს ანარმობდა და ხეალ შიმალაის დასაპყრობად ემზადებოდა. მაგრამ ის გოგო პატარა იყო, ამიტომ უკვე განხორციელებულ გეგმებზე გაცილებით ბევრი განსახორციელებელი გეგმა, ჩანაფიქრი და ცხოვრებისეული მოსაზრება გააჩნდა.

ჩემი მეორე რესპონდენტი კი – ასევე ორ რეალობაში მცხოვრები – კიდევ უფრო საინტერესო აღმოჩნდა; იმიტომ, რომ თავისი კაბინე-



მამუნას ნაკრძალი, დედოფლის წყაროს რაიონი, აზერბაიჯანის საზღვართან, 2006



ტის მაგიდაზე, ლებტოპის მარცხნივ, უამრავი გამოცდილება, შთაბეჭდილება, თავგადასავალი და ამ გამოცდილებებზე, შთაბეჭდილებებსა და თავგადასავლებზე დაყრდნობით ჩამოყალიბებული შეხედულებები, არჩევანი და მზა ცხოვრებისეული აქსიომები დამიხვავა. რაც უფრო ბევრს ვლაპარაკობდით, მით უფრო ხშირად ტივტივებოდა თავში ერთი გაცვეთილი ამერიკული ბიზნეს-ფრაზა “success-story”, ანუ როგორ მოახერხა იამ ამდენი?!

მაგრამ ამ ფრაზას არ ავყოლივარ. მე უფრო იას ავყევი, რომელიც, როგორც გახსოვთ, ორიოდ ნუთის წინ, ოფროუდ ჯიპის საჭესთან მოკალათდა და თავისი მანქანის მთავარი სიკეთის გამოყენებას შეუდგა – გატკეპნილი გზატკეცილიდან გადაუხვია და ჩემთან ერთად, ყველა იმ მიუვალი ადგილის თავიდან მონახულება გადანწყვიტა, რომელთაც ბავშვობიდან იცნობს.

წინ დიდი გზა გვიდევს. ამ ჩვენი დედამინის რელიეფი ხომ საკმარისად უსწორმასწოროა და ჩვენც, ალბათ, დღეს ბევრს ვიმოგზაურებთ სულ აღმა-დაღმა, აღმა-დაღმა და არა გაცვეთილი “success-story”-ს ხაზით.



**საჭესთან მოყოლილი აზიები, როსა ჰორიზონტზე გზის ბარდა არაფერი ჩანს**

ია ცდილობს, ყველა კითხვას ლოგიკური პასუხი მოუძებნოს. ასე იყო მაშინაც, როცა პასუხი უნდა ეპოვა კითხვაზე – “რა პროფესია ავირჩიო?” მსჯელობა მაშინ ასე დაიწყო: რა მიყვარს ძალიან, მოგზაურობის გარდა? რა და ახალი ადამიანების გაცნობა, მათზე დაკვირვება, კონტაქტი. რა პროფესია ჰგავს ყველაზე მეტად ადამიანების ცოდნის სიყვარულს? ეთნოგრაფია. ეთნოს – ხალხი. გრაფია – აღწერა. ასე დაიწყო იამ ადამიანების გაცნობა უკვე პროფესიონალურად. განსაკუთრებით მოსწონდა ის, რომ საკუთარისგან განსხვავებული ცხოვრების წესით უხდებოდა ცხოვრება. რაც უფრო ახალი და უცხო იყო ყოფა და გარემო, მით უფრო იზრდებოდა ადამიანების გაცნობის სურვილი. სტუდენტი იაც კიდევ უფრო მეტი ემოციით უსმენდა შებინდებისას, სოფლის ორღობეში, სკამზე ჩამომსხდარ თუშ ქალებს. “თუ გაგეხსნენ და დაგიმეგობრდნენ, საოცარ ამბებს მოგიყვებიან. ისეთ, ქალურ ამბებს, ბევრს რომ კომპლექსი აწუხებს და ხმამაღლა ვერ ჰყვება. მთის ქალები კი ფიქრობენ, რომ ეს ცხოვრებაა და ჩვეულებრივად ჰყებიან ქმრებზე, ინტიმზე და სიყვარულზე. გაგიკვირდება, ისეთი გახსნილები ხდებიან.”

...  
 ორღობეში ჩამომსხდარი მთიელი ქალები იამ პირველად ბავშვობაში ნახა. ეს ის დრო იყო, როცა პროფესიით ექიმი მამა თავის ოჯახს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმდენს ამოგზაურებდა, რომ მეგობრებმა მას ხუმრობით “დიდი მოგზაური” დაარქვეს. თა-

ბაგარებს არ ჰქონდათ აგარაკი და სუფთა ჰაერის უხვად ყლაპვის მიზნით, ბავშვები ხან სვანეთში მიჰყავდათ, ხან – ხევსურეთში. ხშირად ეს ვოიაჟები მთელი ზაფხულის არდადეგებზე იწელებოდა. და, რა გასაკვირი იყო, რომ უკან, თბილისში დაბრუნებულ იას თემა “როგორ გავატარე ზაფხულის არდადეგები” ყველაზე ვრცელი და თავგადასავლებით სავსე გამოსდიოდა.

“მამა დაჯდებოდა, გაშლიდა საქართველოს რუკას და დედასთან და ჩვენთან ერთად ადგენდა იმ ერთი ზაფხულის მარშრუტს. ორისამი კვირა სადმე მთაში უნდა წავსულიყავით, შემდეგ – ზღვაზე. ყველას ჩვენ-ჩვენი ზურგჩანთა გვექონდა. ჩემი ბარგი აუცილებლად თვითონ უნდა ჩამელაგებინა. თავიდან ჩემს ლურჯ ზურგჩანთაში იმდენ წიგნს ვდებდი, ტანსაცმლისთვის ადგილი აღარ მრჩებოდა. თანდათან, ზაფხულიდან ზაფხულამდე ვისწავლე, რა უნდა წაიღო თან და რომ წიგნებზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია ფოტოაპარატი და ფირები.

რამდენჯერმე მარტო ჩვენ ოთხნი წავედით სამოგზაუროდ, შემდეგ ჩვენს ოჯახს მამის მეგობრები და მათი ოჯახებიც შეუერთდნენ და უკვე დიდ ჯგუფებად დავედიოდი. თუ სადმე სოფელში მოვხვდებოდი, ოჯახებში ვჩერდებოდი და იქედან ვანყობოდი გასვლებს – ახლო-მახლო მიდამოების დასალაშაქრად; დაუსახლებელ ადგილებში კი პირდაპირ კარვებს ვშლიდით”.

იამ მაშინ, ბავშვობაში მოიარა თითქმის ყველა ის ადგილი, რომელ-თაც წლების შემდეგ, ჯერ სტუდენტობისას, შემდეგ კი “კავკაზუს თრეველში” გიდად მუშაობისას, თავიდან დაუბრუნდა. 8-9 წლიდან



თელ-ავივი, 2006



იკრუსალიში, ალბოჩის ტაძარი, 2006

უკვე ზეპირად იცოდა, რომელია რაჭაში ყველაზე ლამაზი სოფელი; როგორი ბავშვები ცხოვრობენ ხევში; რაზე ჭორაობენ თუში ქალები; რა ლეგენდებს უყვებიან ძილის წინ სვანი დედები შვილებს...

“11 წლის ვიყავი, როცა პირველად ჩავედი შატილში. შემდეგ დიდხანს არ მქონდა იქაურობა ნანახი და ერთ დღესაც, წლების შემდეგ, “კავკაზუს თრეველიდან” ტურისტული ჯგუფის შატილში წაყვანა მთხოვეს. თავიდანვე ვიცოდი, რომ ბავშვობის მოგონებები დამეხმარებოდა, არც ჩემს ტურისტებს დავკარგავდი სადმე და არც თვითონ ამეზნეოდა გზა. მაგრამ იმას, რაც შატილში დამემართა, ნამდვილად არ ველოდი. თურმე, ამდენწლიანი ინტერვალის მიუხედავად, აბსოლუტურად ერთი-ერთზე მასსოვდა თითოეული კუნჭული, ბილიკი, ხეობებში გასასვლელ-გამოსასვლელი, რომ აღარაფერი ვთქვათ ბავშვობაში მოსმენილ ისტორიებზე... მაშინ დავრწმუნდი, რომ ბავშვობაში მიღებულ შთაბეჭდილებას დრო ვერ ერევა და ეს მაშინ, როცა ახლა შეიძლება გუშინწინ ნანახ ადგილს ვერ მივაგნო”.

...

“ბიჭო, დაანებე მაგ ბავშვებს თავი, დროზე მოდი, ცხვრები მოსარეკი” – ეს ფრაზა ყველაზე მტკივნეული მოსასმენი იყო. თუ სოფელში ჩერდებოდნენ და არა კარავში, იქაურ ბავშვებს მალე დაუმეგობრდებოდნენ ხოლმე. თითქოს, ყველანი ერთნაირები იყვნენ, მაგრამ სოფლელ ბავშვებს რეალობაში ზემოთ ხსენებული ფრაზა აბრუნებდა. “მასსოვს, როგორ მეცოდებოდნენ. მათ არასდროს ვუყურებდი ზევიდან, როგორც ქალაქელი ბავშვი. პირიქით, მაინტერესებდა როგორ ცხოვრობდნენ და ეს ფრაზა კი ორივეს გვაფხიზლებ-



საერთაშორისო ტურიზმის ბაზოფანა, ლოსდონი, 2006

## ისტორია

და – მეც და მათაც. მეც 12 წლის ვიყავი, ჩემი მეგობარი გოგოც 12-ის და გახურებულ თამაშში დედა დაუძახებდა ხოლმე, წამოდი, ძროხებია მოსანველიო. მაშინ ვხვდებოდი, რომ ჩვენს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. ქალაქში გაზრდილი ბავშვი უფრო ზარმაცია. თუ არ დაანახე და აგრძნობინე, სოფელში როგორ ცხოვრობენ, სულ ასეთი დარჩება და ეგონება, რომ სოფელს და ბუნებას ყოველთვის შორიდან უნდა უყუროს...

განსაკუთრებით მიყვარდა საღამო. შებინდებისას სოფელში ცხოვრება დულდა. რალაც სხვა ტემპი იგრძნობოდა, სოფლისთვის და-მასხასიათებელი ტემპი, იდუმალებით და კვამლით მოცული...

...

შემდეგ, ეთნოგრაფობის წლებში, ეს არაქალაქური ტემპი კიდევ უფრო ახლოს და სხვანაირად იგრძნო. რადგან ბებია სვანი ჰყავდა და სვანეთი განსაკუთრებით უყვარს, ეთნოგრაფიული კვლევაც სვანეთზე გააკეთა. ამიტომ იქ რამდენიმე წლის განმავლობაში, ზედიზედ ყოველი ზაფხულის გატარება უნებდა. და რადგან ბავშვობიდან შეეჩვია უსწორმასწორო რელიეფზე სიარულს, არც სვანეთში მარტო წასვლის ეშინოდა. იპოვიდა იქ ვინმე ხანდაზმულ მთხრობელს და მათგან იწერდა სვანურ რიტუალებსა და გადმოცემებს.

“ყველაზე საინტერესო, რაც იმ წლებში მიწახავს, სულელების თაყვანისცემის რიტუალი იყო. ეს კვირეული იანვარში ეწყობა. სხვა შემთხვევებში სტუმართმოყვარე სვანები ამ დროს კარჩაკეტილები ხდებიან. ეს იმდენად ოჯახური დღესასწაულია, რომ არ სურთ სხვები ჩარიონ. მზადება რამდენიმე დღეს გრძელდება. ლაგდება სახლი, კეთდება გემრიელი კერძები, შემდეგ ერთ არჩეულ დღეს, სახლის უფროსი სასაფლაოზე მიდის და გარდაცვლილი ნათესავების სულელებს გამოიხმობს. ითვლება, რომ უკან სულელებთან ერთად ბრუნდება. სასაფლაოდან დაბრუნებულებს სახლის კარი ღია ხვდება. სულელებისთვის ცალკე სუფრა იმლება, ოჯახის ცოცხალი წევრებისთვის – ცალკე. სჯერათ, რომ მიცვალებულები სახლში ერთ კვირას რჩე-



ღმინის ბათრაბი, 2005



ვახლოვანის ნაკრძალი, 2006



იორდანია, კატრა, 2003

ბიან. მთელი ამ ხნის განმავლობაში, სვანებთან ცხოვრებას და მათზე დაკვირვებას აბსოლუტურად მისტიკურ სამყაროში გადაყავხარ. სულებს თავს ევლებიან, უმღერიან, ზღაპრებს უამბობენ, საუკეთესო კერძებით უმასპინძლებიან, ხშირად კედლებზე ნახატებსაც უხატავენ. თითქოს ჩვეულებრივად საქმიანობენ, მაგრამ რომ მახსენდებოდა, რისთვისაც აკეთებენ ამ ყველაფერს, ხანდახან მეგონა, ზღაპარში ვიყავი. ამ ერთი კვირის განმავლობაში, შინ ყველაფერი ჰარმონიული უნდა იყოს, პირველ რიგში კი – ოჯახის წევრების განწყობა. იკრძალება საყვედურის ტონით ლაპარაკიც კი...

რიტუალის ზოგიერთი დეტალი ღიმილსაც კი იწვევდა: თუ რომელიმე გარდაცვლილი ხეიბარი იყო, იგულისხმებოდა, რომ კოჭლობით უფრო გვიან მოვიდოდა, ვიდრე სხვები და ამიტომ სახლის კარს ღიას უფრო დიდხანს ტოვებდნენ...

ერთი კვირის შემდეგ, ისევ იგივე მეორდებოდა. შებინდებისას, ოჯახის უფროსი სულებს გარეთ გაიხმობდა და მათ ისევ სასაფლაოზე აბრუნებდა. რომ გეკითხათ, თუ რატომ იქცეოდნენ ასე, გიპასუხებდნენ, რომ სანაცვლოდ, გარდაცვლილი ახლობლების სულები საიქიოდან დაიფარავენ. და ესეც რომ არა, თვითონ რომ გარდაიცვლებიან, მერე თავიანთი შვილები დააფასებენ მათ სულებს.

ეს ის რიტუალი იყო, როცა სვანები ზუსტად ხსნიდნენ მის შინაარსს და დანიშნულებას, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ვერაფრით მეუბნებოდნენ, რატომ იცავენ ამა თუ იმ ტრადიციას. მაგალითად, სვანეთში დღემდე შემორჩენილია თავგის კულტი. ახალ სახლში გადასვლისას, თუ თავი ნახეს, არ მოკლავენ. პირიქით, წრუნუნებს კედლების ჭუჭრუტანებში პურის ნამცეცებსაც დაუყრიან. როცა ჰკითხავ, რატომ აკეთებენ ამას, არ იციან. გიპასუხებენ, ბებიაჩემიც ასე აკეთებდა და იმიტომო.

...

ამ ისტორიების მოსმენა საინტერესოა, მაგრამ როცა ყოველთვის მზად ხარ, ეს ყველაფერი საკუთარ თავზე გამოსცადო და თან მუდმივად, საქმე უკვე სერიოზულადაა. მაშინ, უბრალოდ, მეუღლეს

## ისტორია

შენაირი უნდა გყავდეს და მეგობრებიც; რომ არასდროს დაგელიოს სალაპარაკო თემა და თან ზუსტად იცოდე, რომ რასაც იტყვი, ბოლომდე გაგიგებენ – იმიტომ, რომ ეს ყველაფერი მათაც უყვართ. ეთნოგრაფმა იამაც ჯერ არქიტექტორების, მხატვრების მოგზაურთა წრე შემოიკრიბა და შემდეგ ქმარიც თავისნაირი იპოვა. ფოტოგრაფ გოგიტა ბუხაიძესთან ერთად, ახლაც ბევრს დადის; ხოლო იმ წლებში, როცა გოგიტა დავით გარეჯის ძეგლების რესტავრაციაზე მუშაობდა, ია თავისი ორი შვილით – ლევანითა და ელენითი, გარეჯში ორ-ორ კვირას ცხოვრობდა, თანაც ნელინადის სხვადასხვა დროს – ცივ ზამთარშიც და ცხელ ზაფხულშიც. დავით გარეჯში კი ერთიც ძალიან ცივი იცის და მეორეც – ძალიან ცხელი.

“ცუდი პირობები იყო. მასხოვს სულ მენუნუნებოდნენ, ბევრი წყალი არ დახარჯო, ბევრი შეშა არ დანვა. მაგრამ ახლა ეს დისკომფორტი საერთოდ აღარ მასხოვს და მხოლოდ კარგი დეტალები მასხენდება. დავით გარეჯი ხომ საოცარი ადგილია, მონყვეტილი ხარ ყველაფერს, გაიხედავ აივნიდან და არაფერი ჩანს, სტეპის ლანდშაფტის გარდა. ძალიან მშვიდად ვცხოვრობდით. უამრავი წიგნი მქონდა წაღებული და ბევრს ვკითხულობდი. ახალ-ახალი ექსპედიციების ჩამოსვლას ველოდებოდი. განსაკუთრებით მიყვარდა ზოოლოგების ჩამოსვლა. მთელ დღეს გარეთ ატარებდნენ. საღამოობით კი ყველანი ერთად ვვახშობდით და ქვენარმავლებზე ათასგვარ ამბებს ჰყვებოდნენ, რომელი ქვის ქვეშ რა იპოვეს, რამდენი ზოლი ჰქონდა... ხშირად დაჭერილი ხელიკებიც მოჰყავდათ და იყო დიდი განხილვები.

ამიტომ ჩემი შვილებიც თავიდანვე შეეჩვივნენ ბუნებას. ახლაც ხშირად დავდივართ ხოლმე ერთად. თუ რამე ახალი მარშრუტი არ დაგვეგმეთ, ბირთვისში მაინც მივდივართ”.

“ყველაფერი ნანახი მაქვს. ყველგან ნამყოფი ვარ” – საქართველოს შესახებ იას ეს ნამდვილად შეუძლია თქვას. მაგრამ როგორც ეთნოგრაფი, სტაჟიანი მოყვარული მოგზაური და ტურისტული სააგენტოს ხელმძღვანელი, ია მაინც სულ ცდილობს, ახალი აღმოჩენები გააკეთოს. “ზაფხულში, მე და გოგიტა ვაშლოვანის ნაკრძალში ვიყავით. ნახევრად უდაბნოს ტიპის ადგილია და ისეთი უცნაური, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ვერცერთ სხვა ლანდშაფტს ვერ შევადარებ. ადრე იქაურობა ძნელად მისაღწევ ტერიტორიად ითვლებოდა, მაგრამ ახლა ღიაა, უბრალოდ არ არის პოპულარული ადგილი და ბევრმა არ იცის, რა სიამოვნებას უშვებს ხელიდან, იქაურობას რომ არ ნახულობს”.

...

ახალი მარშრუტების ძიება ახალ თავგადასავალს ნიშნავს. ახალ მარშრუტებს კი “კავკაზუს თრეველში” ხშირად ეძებენ, ტურისტებს ტრადიციულ და ძველ სანახაობებთან ერთად, ახალიც რომ შესთავაზონ. ახლა ია, ძირითადად, თბილისში, ოფისში მუშაობს და საორგანიზაციო საქმეებს აგვარებს, მაგრამ როცა ახალი ღირსშესანიშნაობის აღმოჩენაზე მიდგება საქმე, შანსს ხელიდან არასდროს უშვებს. ამ უცხო გზებზე სიარულისას კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს – ზეკარის უღელტეხილზე ნახევრად გადასულს, შეიძლება გზად თოვლი დაგხვდეს და უკან მოგაბრუნოს, სვანეთში ასვლისას, ნახევარი გზის გავლის შემდეგ, მიხვდე, რომ წინ ველარ ნახვალ და უკან მობრუნდე.

მსგავს ექსტრემალურ სიტუაციებში ია არ იზნევა. ყოველთვის მობილიზებულია, აქტიურობს და მხოლოდ განსაცდელის გავლის შემდეგ განიცდის ხოლმე მომხდარს. შოკისმაგვარი ფიქრი – “თურმე, სად გადავრჩი!” – უკვე გადარჩენის შემდეგ მოდის. მანამდე კი მხოლოდ ადრენალინით ქვეცნობიერი ტკბობაა.

ასე იყო მაშინაც, როცა დავით გარეჯის უდაბნოში, აბსოლუტურად უკაცრიელ გზაზე მანქანა გაუფუჭდა, ტელეფონი კი არ იჭერდა. თან მხოლოდ მეგობრის ორი მცირეწლოვანი გოგონა და მეგობრის დედა ახლდა – სულ მოსავლელი ქალები. ია კი მგზავრებს ამშვიდებდა და, რაც მთავარია, იცოდა, რომ დღის რაღაც მონაკვეთში ვინმე აუცილებლად გამოივლიდა და შუაგზაზე გაჩერებულებს დაეხმარებოდა. სამსაათიანი ლოდინის შემდეგ, ასეც მოხდა.

კიდევ უფრო უარესი იყო გომბორის უღელტეხილზე მომხდარი შემთხვევა. იქ ია, თანამშრომელთან ერთად, ერთი ტურისტული ჯგუფის გამო მოხვდა. უცხოელები გაჯიუტდნენ და ამბობდნენ, რომ უღელტეხილზე გადასვლა სურდათ. “კავკაზუსში” გამოძიება დაიწყო – იყო თუ არა გახსნილი გზა. ნაწილი ამტკიცებდა, რომ გომბორზე გადასვლა შეიძლებოდა, ნაწილი ამტკიცებდა, რომ – არა. სანამ უცხოელებს გაუშვებდნენ, იამ თქვა – “ჩვენ ნავიდეთ და ვნახოთ”. ასეც მოიქცნენ. “მთის ერთ ტალახიან ფერდზე მანქანა ამოტრიალდა. მთლიანად გადანვა გვერდით. საშინლად ციოდა. ტელეფონი კი იმ მონაკვეთში არ იჭერდა. ძლივს დავრეკეთ თელავში, საიდანაც დასახმარებლად სატვირთო მანქანა გამოგვიგზავნეს. მაგრამ მძღოლმა რომ დაგვინახა, ისე შეეშინდა, ჩვენი მანქანის მარტო ამოყვანაზე უარი განაცხადა. უახლოესი სოფელი თეთრინწყლები – ხევსურების დასახლება – 15 კმ.-ში იყო. მძღოლმა მითხრა, შენც გაიყინე, წამო, ნავიდეთ და დასახმარებლად ხევსურები ამოვიყვანოთ. სოფელში რომ შევედით, კაცის ჭაჭანება არ იყო. ვილაცას შემთხვევით გადავანყდით და გვითხრა, ერთი ხევსური გარდაიცვალა და ყველანი ქელებში ნავიდნენო. რა ექნა, ჩემი მძღოლი ხევსურებს ქელების სუფრაზე შეუვარდა, საბარგულზე რამდენიმე კაცი დაისვა და შემდეგ ჩვენი მანქანა წუმპედან ერთად, ხელით ამოიტანეს...”

ექსტრიმი რისი ექსტრიმია, თუ ერთი გაფიქრება არ იფიქრე, რომ ეგაა – ბოლო მოვიდა. დაახლოებით ასეთი სიტუაცია იყო მაშინაც, როცა ია თავის მეგობრებთან ერთად, ხრამის ხეობაში გაიჭედა. “უფრო სწორად, მდინარე ხრამში გაიჭედე. მანქანამ ჩაძირვა დაიწყო. წყალი კაპოტზე გადადიოდა. ჩვენ გადმოვედით და სახურავზე დავსხვდით. იქ ველოდებოდით დახმარებას. თითქოს არ მეშინოდა, მაგრამ უცებ ერთი მეგობრის მონაცოლი გამახსენდა – ჩემი მეგობარი – ერთხელ მითხრა – მდინარეზე მანქანით გაიჭედა. როცა წყალმა აწევა დაიწყო, სახურავზე აძვრა, მაგრამ მანქანა ამოყირავდა და საკუთარი მანქანის ქვეშ მოექცაო... ეს გამახსენდა თუ არა, სახურავიდან ჩამოვედით – და სასწრაფოდ ნაპირზე გავედით. მერე სვანები ეჯაჯგურნენ მანქანას და ვერაფერი უყვეს, შემდეგ ჩვენს მიერ გამოძახებული დახმარებაც მოვიდა და მანქანაც ხრამიდან ამოათრია. ეს ყველაფერი რამდენიმე საათს გრძელდებოდა და როცა ხიფათი

პარაჟის საზღვარი, 2003





ბირთვინის კანიონი, 2005

დამთავრდა, მხოლოდ მაშინ გავიზარე მთელი ასი პროცენტით, რომ, შეიძლებოდა ყველაფერი ცუდად დამთავრებულიყო.”

...

მსგავსი ისტორიების სიმრავლის მიუხედავად, იას ის დრო მაინც ენატრება, როცა მხოლოდ გიდი იყო. ენატრება და როცა დრო აქვს, ტურისტები მარშრუტებზე კვლავაც მიჰყავს. ბოლოს, სექტემბერში იაპონელებს გაჰყვა სვანეთში. ისინი საქართველოს შესახებ დოკუმენტურ ფილმს იღებდნენ და სვანეთში სვანური ეპიზოდი გადაიღეს.

როცა საყვარელ ადგილებს უცხოელებს აჩვენებს, მაშინ საკუთარ თავს ხანდახან ამჩნევს ხოლმე, რომ იმ ადგილს თვითონაც ახლებურად, უცხოელივით აღიქვამს. თუმცა, ყველაზე სახალისო იასთვის მაინც უცხოელების რეაქციაზე დაკვირვებაა.

“საქართველოს დაბალ ინფრასტრუქტურას ყველაზე ნაკლებ ყურადღებას ისრაელიდან ჩამოსული სტუმრები ანიჭებენ. რამდენი ხეობაა, მდინარეა – აღფრთოვანებულები იძახიან და თვალს ხუჭავენ დანგრეულ გზებზე.

ალბათ, ყველაზე ცნობისმოყვარეები იაპონელები არიან. შეუძლიათ მასპინძლის სახლში უნებართვოდ დაიარონ ყველა ოთახი და ყველა კარადის უჯრა გამოაღონ. ბოლოს სვანები გააგიჟეს. გაცეხული მასპინძლები ღიმილით უყურებდნენ, როგორ სწავლობდნენ იაპონელები მათ ცხოვრებას და ნივთებს გამადიდებელი შუშით. რაში აინტერესებთო – ღიმილით უპკირდათ. და კიდევ კარგი, მხოლოდ ღიმილით!

კიდევ ერთი რამ შევნიშნე: გერმანელი და პოლანდიელი ტურისტები დიდი განათლებით გამოირჩევიან. სანამ ჩამოვლენ, საქართველოს შესახებ იმდენს კითხულობენ, რომ მერე ზუსტად იციან, რისი ნახვა აინტერესებთ.

კიდევ არის ტურისტების ერთი თვისება, რომელიც ნაციონალობას სცდება. არსებობს ქალაქელი ტურისტი და ტურისტი, რომელსაც სოფლად, ან თუნდაც ფერმაში უცხოვრია. ეს უკანასკნელი, როცა სოფელში მიგყავს, გარემოს ჩვეულებრივად აღიქვამს. პირველი ტიპის ტურისტი კი ადამიანებს ზედაც არ უყურებს, ფოტოაპარატითა და კამერით ღორებს, ქათმებს და ძროხებს დასდევს, ადგილობრივები კი ვერაფრით ხვდებიან, რატომ იწვევს უცხოელებში ამხელა აღტაცებას შინაური ცხოველები.”

...

თვითონ ია უფრო მოგზაურია, ვიდრე სტანდარტული ტიპის ტურისტი. და რადგან ბავშვობიდან მოგზაურობს, თანაც ყველანაირი საშუალებით – ფეხით, ცხენით, მანქანით, უცხო ქვეყანაში მოხვედრისას, ზუსტად შენიშნავს ხოლმე იმ ქვეყნის დამახასიათებელ დეტალებს. იაპონიაში მაღალი ტექნოლოგიები და უძველესი ტრადიციები ერთ რეალობაში ჰარმონიულად რომ თანაცხოვრობენ, მაშინ იგრძნო, როცა ცათამბჯენის კარში შესვლისას, იაპონელმა მამაკაცმა არ გაატარა. “შემთხვევით შევასწარი. ჩავთვალე, რომ უნდა გარჩეულიყო, მაგრამ აზრადაც არ მოსვლია. მექანიკურად გავასწარი და გაოგნდა. ეს ჩემთვისაც შოკი იყო. კიდევ უფრო გამიკვირდა,



მამუსას ნაკრძალი, 2006

როცა შევნიშნე, რომ თავისუფალ სკამზე ყოველთვის მამაკაცი ჯდება, ქალი კი ფეხზე დგას. ტოკიოში რომ ჩავედი, მაშინ მივხვდი, რატომ უჭირთ იაპონელებს საქართველოს ცხოვრების პირობებთან შეგუება. იქ ყველაფერს ინსტრუქცია მოჰყვება, ყველაფერს წარწერა აქვს, საპირფარეოდან დანყებული – ავტოფარეხით დამთავრებული. ალბათ რამდენი ხანია, ჩვეულებრივი ლითონის გასაღები არ სჭერიათ ხელში, სულ პლასტიკური ბარათები, ბარათები...

...

როცა წარმატებული საქმიანი ქალი გქვია, გყავს მეუღლე და ორი შვილი, და ძალიან გიყვარს მოგზაურობა, მაშინ სულ სხვა ხიბლი ახლავს ხოლმე თან იმგვარ უცხოურ ვოიაჟებს, როგორც იამ სამი წლის წინ მოიწყო. თბილისში დატოვა შვილები, ქმარი, შეკრიბა მეგობარი გოგოები და მათთან ერთად ბეირუთი და ამანი მოიარა.

“მართლა დაუენიწყარი მოგზაურობა იყო. მხოლოდ ჩვენ, მეგობარი გოგოები ვიყავით. იორდანიაში მცხოვრები ერთი ჩვენი მეგობარიც დაგვხვდა და ქვეყნიდან ქვეყანაში, სოფლიდან სოფელში დიდი ჯი-

პით გადავდიოდით. სუფთა გოგოების მოგზაურობა იყო და ამიტომ სხვანაირად მხიარული. ყველანაირ სისულელეზე ვიცინოდით და ჩვენი გამბედაობის გამო, ადგილობრივ მამაკაცებს ვაოცებდით – როგორ, თქვენთან საქართველოში ისეთი ემანსიპირებული ქალები ცხოვრობენ, რომ ასე, მარტოებს გიშვებენ მანქანით? – გვეკითხებოდნენ საზღვარზე. საქართველო კი ყველამ იცოდა, პეტრაში – გამოქვაბულებში მცხოვრებმა ბედუინებმაც კი. ვარდების რევოლუცია ახალი მომხდარი იყო და ბედუინების ელემენტებზე მომუშავე რადიოშიც თურმე წამდაუნუნე გადასცემდნენ ცნობებს საქართველოს შესახებ”.

სანამ გაემგზავრებოდნენ, ყველა აფრთხილებდა, რომ იქეთ წასვლა სახიფათოა, მაგრამ იასთვის ექსტრემალური სიტუაციები მოგზაურობის ერთგვარი ხიბლიცაა. როცა ხუთი გოგო, დიდი ჯიპით, მკვდარ ზღვაზე სერპანტინის გზით ეშვებოდა, იაც და დანარჩენებიც ცუდად გახდნენ. მაგრამ არ შეშინებულან. ცოტა ხანში მიხვდნენ, რომ გულისრევის, თავის ტკივილის და ენერჯის გამოცლის მიზეზი

მანქანის სიჩქარე იყო. “რაც უფრო მეტად ეშვები მკდარი ზღვისკენ, მით უფრო მეტად არ შეიძლება სწრაფად სიარული იმიტომ, რომ წნევა ეცემა და ორგანიზმი ამხელა ცვლილებას ვერ უძლებს. კიდევ კარგი, დროულად მივხვდით, სიჩქარეს მოვუკლეთ და მკვდარ ზღვამდე ნორმალურად ჩავა-  
ლნიეთ.”

...

გაცილებით უფრო ექსტრემალური იყო იას ფრენა ორლანდოდან თბი-  
ლისამდე. ფლორიდაში სემინარზე ჩასული ია თბილისში ჩიკაგოს გავლით  
ბრუნდებოდა. ჩიკაგოში ჩასულს საშინელი ქარიშხალი დახვდა და ფრენა  
გადაიღო. იასნაირ დღეში ათასობით ადამიანი აღმოჩნდა. “აეროპორტში  
სრული საგიჟეთი ტრიალებდა, მთელი ქალაქის სასტუმროები გადაჭედული  
იყო, ადგილი ვერსად ვერ ვიშოვეთ. ამიტომ აეროპორტში მეძინა. რეისები  
ერთმანეთის მიყოლებით იდებოდა. მეორე დღეს, დიდი წვალებით, ლონ-  
დონის რეისზე ვიშოვეთ ბილეთი, ლონდონიდან მიუნხენში გადაგვაფრინეს  
და როცა მიუნხენიდან, ბოლოს და ბოლოს, თბილისში ჩამოვალნიე, მაშინლა  
მივხვდი, რამხელა სტრესი გამივლია. ტრაპზე რომ ჩამოვდიოდი, ჩემთვის  
გავიფიქრე, ამ ჩვენს აეროპორტში რა კარგი ჰაერი უბერავს-მეთქი. თბილი-  
სის ჰაერიც კი მესიამოვნა”.



...

“რა კარგი ჰაერი უბერავს” – ამ ემო-  
ციის ბოლომდე განცდა მხოლოდ იას-  
ნაირ off-road ქალებს შეუძლიათ. დღეს  
ჩვენი მგზავრობა დამთავრდა. მანქანა  
გაჩერდა და რედაქციასთან ჩამომს-  
ვა. მაგრამ მოგზაურობის შემდეგ უკან  
დაბრუნების სიამოვნება იას კვლავაც  
წინ აქვს. მისი ჯიპი ხომ სწორ გზაზე  
ვერ დადის – ქვა-ლორღი, აღმართი,  
წუმბე და ხიფათი ურჩევნია.





# სიკეთა მარტო დანანნალებს დედამინაზე

ავტორი: ათი სადღოპალაშვილი  
ფოტო: ლევან ხარხაშვილი

*1921 წელი იწურება. საქართველოს დამოუკიდებლობის სამწლიანი ილუზია უკვე გამქრალია – თბილისის თავზე ნითელი დროშა ფრიალებს. საქართველოდან ემიგრირებულია ნაკადი არ წყდება – ზოგი ევროპაში გარბის, ზოგიც თურქეთში.*

*ჟორდანია მთავრობის მინისტრი ალექსანდრე ჯაფარიძე მეუღლესთან, ოლღა იოსელიანთან და მცირეწლოვან შვილთან ერთად, ბათუმიდან საფრანგეთისკენ მიმავალ გემზე ადის. მათთან ერთად, ოლღას ძმა, კონსტანტინე იოსელიანი და მისი ფეხმძიმე ცოლი, საშა ულენტიც მიემგზავრებიან. ის დროა, ზღვისპირა ქალაქებსა და სოფლებში მალარიის ეპიდემია რომ მძვინვარებს. გემის გასვლამდე, ფეხმძიმე ქალი შეუძლოდ ხდება, სასწრაფოდ მოჰყავთ ცნობილი ბათუმელი ექიმი ქვარია, რომელიც ქალს ციებას დაუდგენს. ბავშვის გადარჩენას ისედაც არავინ ფიქრობს, მთავარია, დედა გადაარჩინონ. კონსტანტინე ცოლთან ერთად გემიდან ჩამოდის, დას და სიძეს ამშვიდებს – თუ გადავრჩით, აუცილებლად ჩამოვალთო – და თბილისში ბრუნდება.*

*იბადება პირველი შვილი, შვიდთვიანი გოგონა – ლილი კონსტანტინეს ასული იოსელიანი.*

*ბედისწერა მას სასტიკი დროის საქართველოში, განსაცდელით სავსე ცხოვრებას არგუნებს და იქვე მოთმინებითა და ამტანობით, სისუფთავითა და გულისხმიერებით, სიყვარულითა და სიკეთით... მოკლედ, დიდი პიროვნული და შემოქმედებითი ნიჭით აჯილდოებს.*

*მოდით, მთელისა და ნაწილის ურთიერთმიმართების პრინციპით (წვეთში ზღვა იგრძნობა), ისტორია ეპიზოდებით მოვყვით, რადგან თითოეული ეპიზოდი თავისთავადაა ისტორია, ეპიზოდების ერთობლიობა კი ერთ დიდ ისტორიას ქმნის.*

“მძიმე” პროფესიის, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერი კონია იოსელიანი მელომანი გახლდათ. თავადაც მშვენიერი ლირიული ტენორი ჰქონია. ვანო სარაჯიშვილისა და დათიკო ანდლულაძის მეგობარი, ოპერის თეატრში აღამებდა და კარგად იცოდა არა მარტო საოპერო რეპერტუარი, არამედ თეატრის შიდა ინტრიგებიც. ამიტომაც აღშფოთდა, როცა ქალიშვილმა გამოუცხადა, რეჟისორობა მინდაო. მაშინ თბილისში სარეჟისორო ფაკულტეტი არ არსებობდა, სამსახიობო სტუდიები იყო მხოლოდ. რეჟისურის შესასწავლად მოსკოვში უნდა წასულიყავი. ბევრი უმტკიცა მამამ შვილს, ეგ კაცური პროფესიაა, დიდ ფიზიკურ დატვირთვასა და გამძლეობას მოითხოვს, ათასნაირი ინტრიგის ატანა მოგიწევსო და ერთი პირობა, თითქოს გადააფიქრებინა კიდევ.

ლილიმ უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ენების (გერმანული) ფაკულტეტზე ჩააბარა, პიერ კობახიძის დრამწრეში ჩაენერა, ერთი-ორჯერ ბიჭის როლიც ითამაშა და მისი რეჟისორობის სურვილს აღარ შეუწუხებია ოჯახი. თურმე სად ხარ?!

“მეოთხე კურსზე ჩემი გვარი ჟურნალიდან ამოვარდნილა და სტიპენდიას ვეღარ ვიღებდი. იმდენად მორიდებული ვიყავი და ისე მრცხვენოდა ფულზე ლაპარაკი, ვერც კი ვიკითხე, რატომ არ მძღვედნენ სტიპენდიას. ჩემმა მეგობარმა ყველაფერი გაარკვია და 8

თვის სტიპენდია ერთიანად მომცეს. ისე მინდოდა რეჟისორობა, სხვა აღარაფერზე ვფიქრობდი. ოჯახს წერილი დავეუტოვე, არ გენყინოთ, მოსკოვში მივედივარ და არც იღვლეოთ, ფული მაქვს-მეთქი. 1941 წელია, ომი ახალი დაწყებულია, მტერი მოსკოვსაა მიმდგარი. მატარებლით წავედი. ვერ აგინერთ იმ საშინელებას, რაშიც მოვხვდი – სიბინძურეში, ლტოლვილებისა და ჯარისკაცების გარემოცვაში, დასაჯდომს თუ მონახავდი მატარებელში, ე.ი. გაგიმართლა. ჩავალნიე მოსკოვში და ნაცნობის ნაცნობთან მივედი, რომელმაც დასაბინავებლად ერთ მარტოხელა ქალთან გამიშვა.”

ლუნაჩარსკის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტის ხელმძღვანელი ცნობილი საბჭოთა რეჟისორი ლობანოვი გახლდათ. საგამოცდო კომისიაში შედიოდნენ ლეონიდოვი, მოსკოვინი, იაკუბოვსკაია და სხვები. საგამოცდო დარბაზში პატარა ტანის, ნაწნავებიანი გოგონა შევიდა. მოსკოვინმა ლეონიდოვს წასწურჩულა: “у нас что - детский сад?” – შეშინებული ლილი კიდევ უფრო დაიბნა. ორი ეტიუდი უნდა შეესრულებინა – სამსახიობო და სარეჟისორო. ჯერ პუშკინის “Бесы” წაიკითხა, შემდეგ კი ასეთი დავალება მიიღო – აბარებთ გამოცდას სარეჟისორო ფაკულტეტზე, შედეგის გასაგებად მისულმა შეიტყვეთ, რომ მიღებული არ ხართ, როგორ მოიქცეოდით? ლილი

ლილი შვიდწლედის დამთავრების შემდეგ



დედ-მამა: კონსტანტინე იოსელიანი და ალექსანდრა (სამა) ულენტი

ლილი ბებიასთან ერთად



მორიდებულად მიმართავს ლეონიდოს – “Хочу узнать отметку по специальности” – სახელოვანი არტისტი შეგნებულად აჭიანურებს პროცესს და აკვირდება აბიტურიენტს, რომლის სახეზე მღელღარება, შიში, უხერხულობა და მძიმე წინათგრძობა ერთმანეთს ცვლის. “В принятых такой фамилии нет” – როგორც იქნა, ამოღერღავს ლეონიდოვი. ლილი ჯერ წითლდება, მერე ფითრდება და შერცხვენილი, ჩქარი ნაბიჯებით მიდის კარისკენ. მოსკვინი აჩერებს და ეკითხება: “А если мы на самом деле не примем вас - не заплачете?” “Нет” – გულახდილად პასუხობს ლილი, “Это будет сильнее слез”. სარეჟისორო ეტიუდსაც ასეთივე ბუნებრიობით გადმოსცემს და... ინსტიტუტში ირიცხება. სახლში სიხარულით სავსე წერილს აგზავნის: “მოვეწყვე და კარგად ვარ, თქვენი შეწუხება არ მინდოდა. გთხოვთ, არ იჯავროთ.” ომია და წერილი დაგვიანებით მიდის იოსელიანების ოჯახში, რომელსაც უბედურება და პრობლემები ისედაც არ აკლია. უმცროსი ძმა ნ წლის ასაკში გარდაიცვლება, უფროსს კი, ჯაბა იოსელიანს 15 წლის ასაკში აპატიმრებენ. სამ თვეში მამა მოსკოვში ჩადის და ლილი ტირილ-ტირილით ისე მოჰყავს საქართველოში, ინსტიტუტიდან საბუთების წამოღებასაც ვერ ასწრებს.

თბილისში უკვე გახსნილია თეატრალური ინსტიტუტიც და სარეჟისორო ფაკულტეტიც, სადაც ლილი თავიდან აბარებს გამოცდებს, გიორგი ტოვსტონოგოვის კლასში სწავლობს და პირველი პროფესიონალი რეჟისორი ქალი ხდება.

“ადრეც ამბობდნენ, რომ რეჟისურა კაცური პროფესიაა, რადგან ნიჭისა და გონიერების გარდა, საჭიროა დიდი ფიზიკური დატვირთვა. თითქოს იმ კომპონენტების გააზრებას, რომელსაც შეიცავს სპექტაკლი (მხატვრობა, დეკორაცია, კოსტიუმები, მუსიკა, მსახიობები), ორგანიზატორობას და კატორღულ შრომას ქალი ვერ შეძლებს. იქნებ კაცებს უფრო მეტი გონებრივი შესაძლებლობები ჰქონდეთ, რაშიც ეჭვი მეპარება, მაგრამ ქალი რომ ტკივილებს უძლებს, იმას კაცი ვერ აიტანს. ასეთ სკეპტიციზმში ვცდილობდი დამემტკიცებინა, რომ რეჟისურა სწორედაც ქალის საქმეა, ცხოვრებისეული სიმართლის სათუთი შეგრძნება სცენაზე, მტკიცე ნებისყოფა და უკომპრომისობა ქალისთვის უფროა დამახასიათებელი.”

თეატრალურ ინსტიტუტში ლილი იოსელიანის მიერ დადგმული საკურსო და სადიპლომო სპექტაკლები უცებ იპყრობს საზოგადოების ყურადღებას. შემდეგ ერთმანეთს ენაცვლება მოზარდ მაყურებელთა, მარჯანიშვილის, რუსთავის, გორისა და რუსთაველის თეატრები. ყველა თეატრი თავის წილ ინტრიგასა და, შესაბამისად, იმედგაცრუებას უტოვებს დამდგმელ რეჟისორს, ვითომ ტოტალიტარული დროის სისასტიკე და საკუთარი ტკივილები არ ეყოფოდას.

კლდიაშვილის “დარისპანის გასაჭირი” და “ირინეს ბედნიერება”, ნულეისკირის “აღმაშენებლის ქვა” რუსთაველის თეატრში გასინჯვაზე მოიხსნა. სატელევიზიო თეატრში ტოლსტოის “ოჯახური ბედნიერების” II სერია ვერ დაფინანსდა. თეატრალურ სარდაფში შექსპირის “ჰამლეტის” მხოლოდ გენერალური რეპეტიცია შედგა. და რამდენი ასეთი.

“ყველაფერს ხომ ვერ იტყვი. მარჯანიშვილში დავდგი “პიგმალიონი”, რომელშიც მთავარ როლებს სერგო ზაქარიაძე და მედეა ჯაფარიძე ასრულებდნენ. როცა სერგო რუსთაველის თეატრში გადავიდა, მამა თუმანიშვილმა მეც მიმიწვია ჯგუფთან ერთად. მაშინ ოთარ მეღვინეთუხუცესი, ნოდარ მაგლობლიშვილი და სხვა მსახიობები წამომყვენ. როცა რუსთაველის თეატრის ერთი ჯგუფი მიმას და სერგოს დაუპირისპირდა და ჩემს მიმართ არაჯანსაღი დამოკიდებულება ვიგრძენი, თვითონ წამოვედი თეატრიდან.”

ავტობიოგრაფიულ წიგნს წერდა, თითქმის დასასრულს უახლოვდებოდა. ერთ დღეს შუქი გამოირთო და სანთელზე განაგრძო მუშაობა. მეზობელ კორპუსში შუქს მოჰკრა თვალი და მეორე სანთლით მეზობელთან გავიდა ამბის გასაგებად. ჯაბას გამო ისედაც

ერჩოდნენ და იფიქრა, ალბათ მარტო ჩემთან გათიშეს სინათლეო. როცა შემობრუნდა, ოთახი ცეცხლში იყო გახვეული, სანთელი წაქცეულა. 600-გვერდიანი წიგნის მასალიდან ფერფლია დარჩა. აი, იქ კი ნამდვილად ამბობდა ყველაფერს.

“ლილი იოსელიანი ის რეჟისორია, რომლისაც ყველაზე მეტად მეშინია, მას ვერ გამოაპარებ ვერცერთ ნიუანსს, მის წინაშე არ შეიძლება მოიტყუო და ითამაშო განცდის გარეშე. ალბათ ამიტომაც, რომ ლილის სპექტაკლებში თამაში დიდ სიხარულთან ერთად, შიშსაც მგვრის.”

სერგო ზაქარიაძე

“ამბობენ, რომ მასთან მუშაობა რთულია, რომ ის ძალიან მომთხოვნი და პრინციპულია. დიახ, ეს ასეა, მაგრამ ვინც უძლებს მის მკაცრ სკოლას, მას დიდი ხნის “უჟანგავობა” აქვს გარანტირებული ხელოვნებაში.”

მიშა თუმანიშვილი

“თვალს რომ გადავავლებ მისი და ბატონი მიშას გაზრდილთა რიცხვს, ფაქტობრივად თანამედროვე ქართული თეატრი მათ მონაფეხზე დგას.”

თემურ ჩხეიძე

“ლილი იოსელიანი უსათნოესი ადამიანია, მაგრამ სასტიკი და დაუნდობელი ხდება, როცა საქმე პროფესიას ეხება. მასთან მუშაობა ერთდროულად საოცრად საინტერესოც არის და მტკივნეულიც. რო-

დესაც იმ წლებზე ვფიქრობ, ის სალამოები მაგონდება, როცა ჩემს პედაგოგს ინსტიტუტიდან სახლამდე ვაცილებდი. მიყვებოდა თეატრზე, კინოზე, პოლიტიკაზე, თავისი ოჯახის სატკივარზე და ეს საუბრები ისეთ რეჟისორულ ანალიზს ეფუძნებოდა, რომ ჩემთვის უძვირფასეს გაკვეთილებად რჩება.”

რობერტ სტურუა

ლილი იოსელიანის სწავლების სისტემასა და პედაგოგიურ ნიჭზე ლეგენდებს ჰყვებიან. ჩემი მეგობარი თამაშობდა მის სპექტაკლში, ჰაუპტმანის “მშვიდობის დღესასწაულში”. იმ დროს ფეხმძიმედ იყო და მითხრა, იმდენი მარბენინა კიბეებზე – “არ მჯერა, არ მჯერა”-ს ძახილით, კინალამ მუცელი მომეშალაო. დამწყებ მსახიობებსა და რეჟისორებს ასე აფრთხილებდა: ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ არჩეული პროფესია შეგაძულოთ. ვინც გაუძლებს ამ წვალებას და ბოლომდე ერთგული დარჩება, ის იქნება ჭეშმარიტი პროფესიონალიო.

“ქართველი კაცი ბუნებით არტისტია. მისი მიზანი უცხოეთის, ვილაცისთვის თავის მონონებაა. ეტყობა ისტორიულად, ცხოვრებისა და გარემოების გამო უხდებოდა ასე მოქცევა. ქართველის უსაზღვრო სიკეთეც მისი არტისტულობიდან მოდის. ქართულ თეატრში, ლაღო მესხიშვილიდან მოყოლებული, ძალიან არტისტული ადამიანები იყვნენ. ჩემი სწავლების მეთოდიკა ამ არტისტიზმის გაძლიერება კი არა, მისი ჩაქრობაა, თამაში კი არა, ბუნებრიობა. როცა თამაშობ, შენი შინაგანი ბუნება იცვლება. მე კი შენი თვითმყოფადობა მაინტერესებს და არა



## ისტორია

ნილაბი. ჩემი ამოსავალიც შენგან მომდინარე სინამდვილეა და არა სიყალბე. არა თამაში, არამედ პიროვნულ-ინდივიდუალური არსებობა, რადგან თამაში ყოველთვის შეიცავს სიყალბეს.

ვცდილობდი ისეთი მსახიობები ამეყვანა, რომელთაც ბუნებრივი მონაცემები ჰქონდათ. თუმცა სხვაგვარადაც ხდებოდა. პირველ კურსზე ერთი ლამაზი და ინტელიგენტი ბიჭი მოვიდა, ძალიან უნდოდა არტისტობა. არადა, თამაშობდა, არ ჰქონდა უშუალობის ნიჭი – ამას დიდხანს ვებრძოდი. ერთხელ მივეცი ეტიუდი – ზიხარ შენთვის, თითქოს გციოდა და უცებ დაგცხა, გაიხადე, მაგრამ ისევ გცხელა... ნელ-ნელა ვურთულე, ხანძარია ქვევით მეზობელთან და ქვევიდან გცხელა, რას იზამ-მეთქი. თვითონაც ვერაფერი იგრძნო და ვერც მე მაგრძნობინა.

მახსოვს, ერთხელ ნემიროვიჩი-დანჩენკომ მომცა ეტიუდი, ვითომ ხანძარი გაჩნდა ჩაკეტილ ოთახში. ისე განვიცადე, ძლივს ჩამომხსნეს საქანელის რგოლებიდან. ჭერზე ავდიოდი. ის ბიჭი კი, ჩემი რჩევით, თეატრალურიდან წავიდა, შესანიშნავი ექიმი გახდა და მადლობაც გადამიხადა.

*– სპექტაკლი არ არის წიგნი, რომელსაც მაშინ გადმოიღებ თაროდან, როცა მოგენატრება; არ არის მუსიკალური ნაწარმოები, რომლის ჩანაწერსაც (თუ კონცერტზე ვერა) სახლში მოუსმენ; ნახატი, რომელსაც მაშინ შეხედავ, როცა მოგიწდება. სპექტაკლი არის მირაჟი, რომელიც კონკრეტულ დროში იბადება და ქრება. სადაა თქვენი სპექტაკლები, რომელთაც მთელი ცხოვრება შესწირეთ...*

– არსად. ალბათ ვილაციის, ერთეულების მახსოვრობაშია ამბად შემონახული. ბევრს კამათობდნენ თეატრის, განსაკუთრებით ფსიქოლოგიური თეატრის სიკვდილზე. ახლანდელი სპექტაკლები მხოლოდ ართობს მაყურებელს. როცა თეატრი ვერ აკმაყოფილებს ანმეოსა და მომავლის პერსპექტივაში ადამიანის რაობის შესახებ გაჩენილ ინტერესს, არ უჩვენებს თავისი დროის ტკივილებსა და პრობლემებს, ის თეატრი აღარ არის. ბერიკებიც კი თავისი დროის სულს და საზოგადოებრივ დამოკიდებულებას გადმოსცემდნენ. თეატრის დანიშნულება შექსპირიდან მოყოლებული დღემდე იგივეა: იყოს თავისი დროის სარკე, სადაც ადამიანი საკუთარ თავს დაინახავს, თეატრი უნდა ემსახურობდეს არა გართობას და უმიზნო ირონიას, არა გრძნობების იმიტაციას, არამედ ფიქრსა და ნამდვილ გრძნობას“.

პირადი ცხოვრება თეატრის პარალელურად მიდიოდა. საზოგადოების ჩასაფრებელი დამოკიდებულება ლილი იოსელიანის მიმართ შესაძლოა მისი ძმის, ჯაბა იოსელიანის ფაქტორმაც განაპირობა. ის უკმაყოფილო მსახიობები, რომელთაც როლზე არ დააკავებდა, ლეგენდებს თხზავდნენ მათ ოჯახზე. მსახიობების საგრძობადიდან ხშირად მოუსმენია ამბავი, როგორ გაიტანა მისმა ძმამ ბანკი ლენინგრადში, მერე თვითმფრინავი გაიტაცა და ახლა ლონდონში გაძარცვა სამეფო ბანკი, როგორ დაუნერეს დისერტაცია და პიესები ჯაბა იოსელიანს ჯერ დამ და მერე რეზო თაბუკაშვილმა. მან ყველაზე კარგად იცოდა ძმის ბუნება და ხასიათი; ისიც, რომ გარშემო



ატეხილ ამბებთან არაფერი ჰქონდა საერთო და ამიტომაც, მთელი ცხოვრება ცდილობდა ძმის გადარჩენას. ხან ციმბირში ჩადიოდა მის სანახავად, ხან ლენინგრადში. საკუთარ თავზე არასდროს უფიქრია. მაგრამ ერთხელაც, მოსკოვიდან გადმოვიდა ძალიან სიმპათიური ახალგაზრდა კაცი და სამსახიობო ფაკულტეტზე ლილის დის ჯგუფში მოხვდა. (დამ თეატრალური ინსტიტუტი ველარ დამთავრა, სრულიად ახალგაზრდა, ტუბერკულოზით გარდაიცვალა). ლილი უკვე საკურსო სპექტაკლებს დგამდა, ერთხელაც ტოვსტონოგოვმა ურჩია, ახალი სტუდენტი დააკავებ სპექტაკლში.

“მოლიერის “ექვით ავადმყოფს” ვდგამდი. უკვე დაკავებული მყავდა მსახიობები, მაგრამ ტოვსტონოგოვს უარი ველარ ვუთხარი და ახალბედა მსახიობს ჩეხოვის “დათვი” შევთავაზე. დაინტერესდა და დაინწყით მუშაობა. კარგი შესახედაობის გამო, გოგონები გიჟდებოდნენ მასზე. მუშაობის პროცესში ისე მოხდა, რომ ჯაბა დაიჭირეს. ის თანამიგრძნობდა და სახლშიც ხშირად მოდიოდა ჩვენთან. ვუჩვენეთ “დათვი”. მთელი ინსტიტუტი ალაპარაკდა მის ნიჭიერებაზე. ტოვსტონოგოვმაც ათამაშა თავის სპექტაკლებში, მერე რუსთაველის თეატრში მიიღეს. ჩვენ დავახლოვდით. მალე ჩემი და გარდაიცვალა, მერე მამაც. მას ყურადღება არ დაუკლია, დედას ანუგეშებდა. გარეგნობით მეც მომწონდა, მაგრამ ჩვენს შორის სულიერ თანხვედრას ვერ მივაღწიე. მექალთანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ ერთ დღეს წინადადება გამიკეთა. იმ დროს მოზარდ მასწავლებელთა თეატრში სადიპლომო სპექტაკლს ვაკეთებ და გვიანობამდე მაქვს რეპეტიცია – ომია, თერთმეტი საათიდან ქუჩაში პატრული მორიგეობს. წინა დღეს შინ გვიან მივედი და დედამ მითხრა, დიდხანს გელოდაო. მეორე დღეს მითხრა, საღამოს მოგაკითხავო (თვითონ უკვე რუსთაველის თეატრში როლზე მუშაობდა). გვიანი ღამეა, გამოვედი და ვხედავ, არ არის. ვიფიქრე, ეტყობა, სხვა მხრიდან წამოვიდა და გზაში შემხვდება-მეთქი. მაშინ პლენანოვზე ვცხოვრობდი, ვორონცოვის ხიდზე გადმოვედი და მსახიობების სახლთან მისული ვხედავ, ერთ მსახიობ ქალთან დგას და ერთმანეთს კოცნიან. ძალიან ცუდად გავხდი, უცებ მოვბრუნდი და რომ არ დავენახე, ხიდის მეორე მხრიდან, საბჭოს ქუჩით დავბრუნდი სახლში. დილა-საღამოს ჩვენთან იყო და ვიცოდი, რომ მომაკითხავდა. დედას ვუთხარი, თუ მოვიდეს, უთხარი, შეუძლოდ ვარ და არ შემოვიდეს-მეთქი. მაინც შემოვიდა. თავზე ხელები გადავიფარე – ოღონდ ახლა არაფერი მითხრა და სხვა დროს ვილაპარაკოთ-მეთქი. ყველაფერს მიხვდა. და ასე დამთავრდა ეს ამბავი. ეტყობა, ჩემი გამოყენება უნდოდა. ამის შემდეგ აღარაფერი მინდოდა, ისე ვიყავი დაკავებული ჩემი უბედურებებით.

**– შვილი?**

– როცა ამაზე სერიოზულად დავფიქრდი, უკვე გვიან იყო.”

გვიან შეძლო განსაცდელით საგსე ცხოვრება ისე მიეღო, როგორც ღვთისგან დაშვებული კანონზომიერება. მანამდე კი: “სწორედ ჩემს თავს დატეხილმა უამრავმა განსაცდელმა მაფიქრებინა, ალბათ ღმერთი არ არის, თორემ ამდენ უბედურებას როგორ გამომიგზავნიდა-მეთქი. სასწონარკვეთილი ვფიქრობდი ასე. მამა, ძმა, და გარდაცვლილი, ჯაბა დაჭერილი. ჩემს პროფესიაში შური და უმადურობა. გაცნობიერება გვიან მოხდა, თორემ ბავშვობაში ჩემს მორწმუნე ბებიასაც ვუყურებდი, დილა-საღამოს რომ ლოცულობდა და კათოლიკურ ეკლესიაში ორღანის მოსასმენადაც დავდიოდი ჩუმად.

აქ ერთი ამბავიც გამახსენდა, მაშინ 18 წლის ვიქნებოდი. მეგობართან ერთად სიონთან გავიარე. შევიდეთ-მეთქი – ვთხოვე. გნამსო – მეკითხება მეგობარი. რომ გითხრა, მწამს, მთლად არა, მაგრამ არც ისეა, რომ არ მწამდეს-მეთქი. შევედით. ტაძარი ცარიელია, ნახევრადჩაბნელებული. ვიღაც ყმანვილი მუხლებზეა დაჩოქილი და გამალებული ლოცულობს, არავის აქცევს ყურადღებას. გაკვირვებული ვუყურებ და ვხედავ – ჩემი ძმაა. რომ არ დავენახე, სასწრაფოდ

დავტოვეთ იქაურობა. გავიდა რამდენიმე დღე და ჯაბას ვეკითხები – ჩემო ძმაო, რა ჩაიდინე ისეთი, ეკლესიაში გამწარებული რომ ლოცულობდი-მეთქი. ვაი, შენ რა იციო? დაგინახე და შენ რა, გნამს-მეთქი? კიო, დამიქნია თავი. ამან ძალიან იმოქმედა ჩემზე. 14 წლის იყო, ერთ წელიწადში დაიჭირეს კიდევც.

როცა ზვიად გამსახურდიამ ჯაბა დააპატიმრა, მან 40 დღე იმომშილა, სიკვდილის პირას იყო და ხმაც კი გავრცელდა, აღარ არის ცოცხალიო. ვის არ მივმართე, სად აღარ მივედი, არავინ შემიშვა მასთან. სასწონარკვეთილმა პატრიარქთან მისვლა გადავწყვიტე. ჯაბა არავის უჯერებდა და ვიფიქრე, იქნებ მისი რიდით მაინც შეწყვიტოს შიმშილობა-მეთქი. დაფუჩოქე, ვემთხვიე და ვთხოვე უწმინდესს: ორმოცი დღეა მშიერია, იმდენი ცოდვები ეწერება ჩემს ძმას და კიდევ ერთს, თვითმკვლელის ცოდვას ნულარ დაუმატებს, თხოვეთ, თქვენ დაგიჯერებთ-თქო. არაფერი მითხრა. ეს სიჩუმე ასე მივიღე – ალბათ ვერც უარი მითხრა და ვერც თანხმობა. წამოვედი სახლში. მეორე დღეს უწმინდესი მირეკავს და მეუბნება: ვნახე ჯაბა და რაც საჭირო იყო, ყველაფერი გავაკეთეთ. შიმშილობის მერე რაც სჭირდებოდა, მის მღვდლებს მიუტანიათ და გადარჩა ჩემი ძმა. ამის შემდეგ უფრო გაღრმავდა ჩემი რწმენა.”

ლილი იოსელიანის მოწაფეები თუ მეგობრები მის ყველაზე გამოკვეთილ თვისებად, მოთმინებასა და გამძლეობასთან ერთად, უკომპრომისობას ასახელებენ. არ გინდა იმ დროში (ამ დროშიც) უკომპრომისობის შენარჩუნება?!

”რომ შევინარჩუნე, ამისთვის საფასურს ვიხდიდი. უკომპრომისობისთვის მსჯიდნენ, არა ციხით, არამედ უღირსი დამოკიდებულებით ჩემი საქმისა და ადამიანური ურთიერთობისადმი. ისევე, როგორც ჩემს ძმას, მეც ბევრი წყენა, ორპირობა, ღალატი და ტყვივლი მინახავს.

**– ცხოვრება სასტიკი, დრო სასტიკი – დრამატურგიულად რომელ უანში თავსდება თქვენი ცხოვრება?**

– არც მელოდრამაა, არც ტრაგედია, რაღაც სხვა უანია, გაუთავებელი ტკივილით. განსაცდელს რომ მოგანერს ღმერთი, უნდა გადაიტანო, მაგრამ ჩემი დაკვირვებით, ადამიანის ბედი არის მისი ხასიათი. ჩემი ხასიათი როგორიცაა, ისე ვიცხოვრე. ძალიან მორცხვი და მორიდებული ვარ. ვერავის ვერასოდეს ვერაფერს ვთხოვდი, ვერ დავავალებდი, მშიერიც რომ ვყოფილიყავი და იყო ასეთი დღეებიც. ჩემი ტკივილები არავისთვის მიგრძნობინებია, სულ ვიღიმოდი და უკვირდით ხოლმე — შენ არაფერი გეტყობა უბედურებისო. ეტყობა, მშობლებიდან და წინაპრებიდან მოდის ეს თავმდაბლობა და მორიდება. ჩემი ბედი, ჩემი ძმის ბედი, მშობლებისა და ბებია-ბაბუის ბედიც ერთნაირია. იქნებ წინა თაობების ცოდვებს ვისყიდდით ამ ჩვენი ბედისწერით?

**– ერთხელ თქვით, სიკეთე მარტო დანაწლავს დედამინაზო, რატომ იფიქრეთ ასე?**

– ამ აზრამდე ჩემი ცხოვრების გამოცდილებამ მიმიყვანა. წესიერი ადამიანი ყოველთვის უცხო იყო ამ საზოგადოებისთვის. სიკეთე არაა მატერიალური, ის სუფთა სულიერი მდგომარეობაა, თვისებაა, რომელიც სამაგიეროს არ ითხოვს. სიკეთეს რცხვენია თავის გამჟღავნება. სიკეთეს იმიტომ აკეთებ, რომ სხვა გაახარო, სხვას მოუტანო ბედნიერება. მარტოა, აბა, რა არის? ვინც კი მოვიდა რეჟისურაში, ყველას გავუკეთე სიკეთე, რომელიც ცუდად მომიბრუნდა. როდესაც საკითხი დგებოდა, ვინ-ვინ, ჩემი მოწაფეები სხვებს ირჩევდნენ, ეგონათ, ვერაფერს ვხვდებოდი, რადგან რეაქცია არ მქონდა. არასოდეს დამიცავს ჩემი სპექტაკლები, რომლებიც ყოველთვის ექსტრემალურ ვითარებაში მზადდებოდა, რომ ჩავარდნილიყო და მეც ხელი ჩამექნია. ეჰ, ასეთები რომ მოვყვე, იცით, რამდენია? აღარ მინდა გახსენება, იმიტომ, რომ დღემდე მიყვარს ყველა. სიკეთე კი ნამდვილად მარტოა, სრულიად მარტო, შეუმჩნეველი და... ასეც უნდა იყოს!



პელაგია სისორდია



პისტი ნოდია

დემოკრატიული იდეების ქადაგებისთვის, ბაბუაჩემი ანტონი სამჯერ იყო დაპატიმრებული. ბოლოს ციმბირიდან მომაკვდავი ჩამოასვენეს. მისი გარდაცვალების შემდეგ, ბებია – პელაგია სისორდიამ ჭამა აღიკვეთა და შიმშილით მოიკლა თავი. იმდენად უყვარდა ბაბუა, რომ ვერ გადაიტანა მისი სიკვდილი. მამაჩემი ბაბუდამ, პისტი ნოდია გაზარდა.



## იოსელიანების საბჭოთაო ფოტოარქივიდან

დედას ბიძა, ალექსანდრე ჟღენტი გენერალი გახლდათ. მასთან ერთად ფოტოზე პოლონელი ცოლი და შვილები არიან გამოსახულნი.



მამას დეიდაშვილი, შორეული ნაოსნობის კაპიტანი ვლადიმერ ჩოჩია უაღრესად საინტერესო ადამიანი იყო. ჰყავდა ფრანგი ცოლი, შვილები არ დარჩენიათ.



თამარ იოსელიანი



ნოე ჟორდანიას მთავრობის მინისტრი ალექსანდრე (საშა) ჯაფარიძე.



თამარ იოსელიანი მამას ბიძაშვილი იყო. ქუთაისში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად. შემთხვევით გაიცნო ოლდენბურგის პრინცმა და ქმარს მოსტაცა. თამარი კარგად იცნობდა მერი შერვაშიძეს, რომელიც რუსეთის იმპერატრიცას ფრეილინა გახლდათ, სწორედ რომანოვების კარზე შეხვდა მერი ოლდენბურგსა და თამარს და იმპერატრიცას დის ფოტოსურათი უსახსოვრა. ამას წინათ, “კულტურაზე” ვნახე რომანოვებზე გადაღებული დოკუმენტური ფილმი, სადაც ეს ფოტოც აჩვენეს.



ეს ფოტო მამას, ვანო სარაჯიშვილთან (შუაში, თეთრი ქუდით) ერთად, ბორჯომში გადაუღია. ერთხელ ვანოს მატარებელზე დაგვიანებია. მამამ, რომელიც რკინიგზის ინჟინერი იყო, თურმე 20 წუთით გაუჩერა მატარებელი და მთლიანად დაარღვია გრაფიკი. ამისთვის შეეძლოთ კონია დაეპატიმრებინათო – იცინოდა ხოლმე ვანო. ვანო და მამა ხშირად სტუმრობდნენ „ქართულ კლუბს“, სადაც აკაკი წერეთელი ბანქოს სათამაშოდ დადიოდა და ხშირად აგებდა კიდევ. ერთხელ მამას ძვირფასი საგვარეულო ბეჭედი აკაკის ვალში ისე დაუტოვებია, რომ აკაკის არაფერი შეეცყო ამის შესახებ.

უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ლიტერატურას ცნობილი პედაგოგი გიორგი ნადირაძე მასწავლიდა. არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვექონდა. როცა ბატონი გიორგი გარდაიცვალა, მისმა მეუღლემ მაჩუქა ეს ფოტოსურათი, რომელზეც ვაჟა ფშაველა, შიო მღვიმელი და ერთაწმინდელი არიან გამოსახულნი.





1952 წელს, მარჯანიშვილის თეატრში, სპექტაკლებს შორის პაუზისას გალაკტიონის საღამო გავაკეთე. გალაკტიონმა ჩემი გაცნობა მოინდომა, მაგრამ შემრცხვა და კულისებში დავიმალე. ერთხელაც, გვიან გამოვედი რეპეტიციიდან, ვხედავ გალაკტიონი მოდის ბარბაცით. უცებ ჩემი სახელი მომესმა. გაცნობის შუამდგომლობა. რატომ გავიკვირდაო – მიცინის, შენ ჩემი ლექსების საღამო არ გააკეთეო? არ გამიშვა და დიდხანს მელაპარაკა ჩემს სპექტაკლებზე. საიდან იცით, სპექტაკლებზე ხომ არ დადიხართ-მეთქი? მართალია საზოგადოებაში არ ვჩნდები, მაგრამ ამხანაგების ჯგუფი მყავს, ვისთან ერთადაც ვსვამ და მათგან ვიგებ ყველაფერსო. იქვე დაამატა, ათასგზის ნიჭიერი, გენიოსიც რომ იყო, ადამიანებს არაფერი შურთ, მდგომარეობის და ქონების გარდა. ჩემი არაა, უფრო გოგლასი და ირაკლი აბაშიძის შურთ, იმიტომ, რომ მდგომარეობაც აქვთ და ქონებაც. ჩემი სახით კი, საქართველოს პოეტი გადავურჩინე, თორემ დამიჭერდნენო. მოგვიანებით, სპექტაკლში გამოვიყენე გალაკტიონის ლექსი, რომელზეც სანდრო მირიანაშვილმა სიმღერა დაწერა. სწორედ მაშინ მაჩუქა სანდრომ ეს ფოტოსურათი.



ეს ფოტო ლენინგრადში გადავიღეთ. ჯაბა ციხიდან გაიქცა და ჩვენი ახლობლის, შოთა ქარუხნიშვილის პასპორტით იმალებოდა. სწორედ მაშინ ჩააბარა ლენინგრადის უნივერსიტეტში, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტს რომ ამთავრებდა, მაშინ დაიჭირეს.

ამ ფოტოზე მე, რეზო თაბუკაშვილი და მედეა ჯაფარიძე ვართ. მე და მედიკო სკოლიდან ვმეგობრობდით. სწორედ მედიკომ იხსნა ჩემი ძმა, როდესაც მას სიკვდილი მიუხაჯეს.



„ჭეშმარიტი ღირებულება ერთადერთია –  
კავშირი ადამიანისა ადამიანთან“.

ანტუან დე სენტ ეკზიუპერი

# გზაზე ორი კაცი მიდიოდა

ავტორი: ნინო ლომაძე  
ფოტო: ლევან ხერხეულიძე, საოჯახო ფოტოგრაფივი







კინოს სახლი. 1988 წელი

ერთმანეთისთვის ცოლ-ქმრის და პარტნიორების გარდა მეგობრებიც ვართ. ალბათ, ურთიერთობაში, სწორედ ეს არის მთავარი.



სენათი, 1986 წლის ზაფხული

თეატრალური ინსტიტუტის შენობასთან უამრავი ხალხი ირეოდა. მისაღები გამოცდების ზაფხულის ცხელი დღეები იყო. ნინო ბურდული აბიტურიენტთა და გულშემატკივართა დიდ არმიას შეუმჩნევლად შეერია. არავის მიუქცევია ყურადღება ერთი პატარა გოგოსთვის, კუშტი მზერით და მამაკაცური სიარულის მანერით, როგორ ჯიქურ გაემართა კიბეებისკენ. გამოცდაზე ძმასთან ერთად მივიდა. მშობლებს იმთავითვე არ უნდოდათ, მათი შვილი მსახიობი რომ გამოსულიყო.

თავისი შეუპოვარი ხასიათით, დამაჯერებელი საუბრის მანერითა და ჩვიდმეტი წლის გოგოსთვის გასაოცარი ლოგიკურად მსჯელობის უნარით, ყურადღება უმაღლესი მიიპყრო, ინსტიტუტში ჩაირიცხა და ახალ გარემოში თავიც ძალიან ადვილად დაიმკვიდრა.

იმხანად სარეჟისორი ფაკულტეტის სტუდენტებს ლექციები კინოსტუდიის ერთ-ერთ შენობაში უტარდებოდათ. ფილოსოფიის, ეთიკის, ლიტერატურისა და კინოს ისტორიის ლექციებზე კი თეატრალურ ინსტიტუტში უწევდათ სიარული. ხანდახან ისე, უბრალოდაც შეისეირნებდნენ ხოლმე, ახალგაზრდა მსახიობებზე თვალის შესავლება. სწორედ ერთი ასეთი გასეირნებისას გაიცნეს ერთმანეთი ანდრო ჭიაურელმა და ნინომ. ანდრო საკურსო ფილმს იღებდა და მთავარი როლისთვის გოგოს დაეძებდა. სინჯებზე მხოლოდ ერთი სტუდენტი, პირველკურსელი ნინო ბურდული მიიწვია და როლზეც მაშინვე დაამტკიცა.

**ანდრო:** “ინსტიტუტში ნინოზე ბევრს ლაპარაკობდნენ, ძალიან ნიჭიერი გოგოა, ნახეთ რა მაგარი იქნებაო! მაგრამ მე ის სულ სხვა ნიშნით ავირჩიე. მომეწონა და იმიტომ.”

მართალია, ნინოს მსახიობის ხელოვნების სრულად დაუფლება ჯერ ვერ მოესწრო, მაგრამ ლილი იოსელიანთან რამდენიმეთვიანი “მეცადინეობის” შედეგად, თეატრის მსახიობის ძირეული პრინციპები უკვე გვარნიანად გაეთავისებინა. ამიტომაც იყო, ანდროს გამუდმებით რომ ეკამათებოდა და უმტკიცებდა, კინომსახიობებს მხოლოდ ერთ ხაზზე სიარულისკენ კი არ უნდა ჰქონდეთ გონება მექანიკურად მომართული, არამედ გადაღების დროს თავიანთი პერსონაჟების ბოლომდე გახსნა უნდა შეძლონ და მათი გაცდები,

ემოციები თავად განიცადონო. ანდროც სარეჟისორო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი გახლდათ და მანაც კარგად იცოდა კინემატოგრაფის არსებითი კანონები. კინოკადრი მსახიობის ვარიაციულ გადაწყვეტაზე კი არა, ერთ კონკრეტულ, გეომეტრიულ ხაზზე იწყობა. ისიც ახალგაზრდა, ენერგიულ ნინოს დინჯად და მოთმინებით უხსნიდა, რომ კინოში ეს ყველაფერი სხვაგვარადაა. გადასაღები მოედანი და სცენა, მართალია, ორივე ცხოვრების წარმოსახვის, წარმოჩენის არენაა, მაგრამ ეს ორი აბსოლუტურად განსხვავებული სამყაროა და ორივეს თავთავიანთი წესები აქვსო. ნინო მანაც თავისას ამტკიცებდა.

**ანდრო:** “ძალიან ჯიუტია. აი, ასე იცის, ყველა თავის მოსაზრებას ერთანირად არგუმენტირებულად და ლოგიკურად გისაბუთებს. ამ დროს არ არის მართალი. ამიტომ, მასთან კამათი თითქმის შეუძლებელია.”

**ნინო:** “რა ვქნა, ასეთი ვარ. მგონი ეს კარგიცაა, რალაცაზე ასე რომ ვფიქრობ, ვცდილობ დავასაბუთო კიდეც.”

მოკლედ, საკურსო ფილმი გადაიღეს და მათი პირველი “თანამშრომლობა” ასე, მარტივად დასრულდა. ორივე თავის გზას დაადგა. მას მერე რვა წელი გავიდა.

მეორედ, ისევ გადასაღებ მოედანზე შეხვდნენ.

ტიტო კალატოზიშვილის ფილმში “სკაპენის ოინები” ნინო ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდა. გადაღებებზე, ზაფხულში მთელი



სყნაძი, 1987 წელი

**შვილების მერე, ოჯახში დამოკიდებულება თავისთავად შეიცვალა. გაჩნდა საერთო საზრუნავი, შვილები ჩვენს ცხოვრებაში ცენტრალური ფიგურები გახდნენ.**

გადამღები ჯგუფი იალტაში გაემგზავრა: ტიტო და მიშა კალატოზიშვილები, არჩილ გომიაშვილი, ნინო ბურდული, ნინელი ჭანკვეტაძე, ლევან აბაშიძე, იმედა კახიანი, გურამ ლორთქიფანიძე და სხვები. ფილმის პირველი სერიის გადაღების დასასრულს, ნინო რამდენიმე მსახიობთან ერთად, ცოტა ხნით თბილისში დაბრუნდა, სადაც მოულოდნელად ტიტო კალატოზიშვილის გარდაცვალების ამბავი შეიტყვეს. მალევე გადაწყდა, რომ ფილმის მეორე სერიას ტიტოს შვილი, მიშა კალატოზიშვილი გადაიღებდა.

ისევ იალტა. მიშა კალატოზიშვილმა ანდრო ჭიაურელს სთხოვა დახმარება და მეორე რეჟისორად თან წაიყვანა. აი, იქ უკვე მეორედ, ისევ კინოში შეხვდნენ, მაგრამ ამჯერად აღარ “დაკარგულან”.

**ნინო:** “არც მახსოვს, ეს ყველაფერი როგორ დაიწყო. ალბათ ისე, როგორც საერთოდ იწყება ხოლმე. შენ გახსოვს ანდრო?”

**ანდრო:** “მახსოვს, იმ ატრაქციონზე დავდიოდით, “პულპო” რომ ერქვა. ამერიკულ მთებს გავადა, ოღონდ ეს ყველა მიმართულებით ტრიალებდა. რეტდასხმულები გადმოვდიოდით იქიდან. გიჟდებოდა ნინო, ისე მოსწონდა. მისი ხათრით, თითქმის ყოველდღე პულპოზე ვისხედით.”

**ნინო:** “მე ის მახსოვს, კატერინა რომ გავისეირნეთ. მე და შენ რომ ვიყავით. კატერინა გაპოზილ, აქაფებულ ზღვას ვუყურებდით, იყო მზე და თითქოს საგანგებოდ ჩვენი ლანდშაფტის გასაფორმებლად, თოლიების დიდი გუნდი, სულ ახლოს, ჩვენს თავებთან ფრენდნენ. კარგი იყო.”

იალტის მერე, თბილისში, მეგობრებთან უკვე ხშირად იკრიბებოდნენ. აქ ურთიერთობა ახალ ფაზაში გადადის, უფრო სერიოზულში, ვიდრე უბრალოდ მეგობრობაა.

**ნინო:** “ერთხელ ანდროსთან ვიყავით. ანდრომ ვინჩენცო ბელინის ერთი ცნობილი ოპერა, “პურიტანები” ჩართო. საკმაოდ დიდი ოპერაა. ერთმანეთის გვერდით დავსხედით და მთელი ამ ხნის განმავლობაში, არცერთს სიტყვა არ დაგვიძრავს. ახლა მგონია, ეს მარტო ჩვენ ორს შეგვეძლო. ასე მღუმარედ ვმსხდარიყავით, მუსიკისთვის მთელი ჩვენი არსებით გვესმინა და ყველაფერი ერთად განგვეცადა.”

დღეს, როდესაც მეკითხებიან, ანდრომ სიყვარული როგორ აგისხნაო, სულ ბელინი მახსენდება. ჩვენი ურთიერთობის გარკვევა, ჩემთვის, სწორედ იმ მომენტში დაფიქსირდა.”



ნინო და ანდრო პატარა საანდროსთან ერთად, 1987 წელი

ანდრომ ნინო თავის ფილმში “სიკეთის ტელეფონი” მთავარ როლზე დაამტკიცა. გადაღებამდე ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე და ფილმზე მსჯელობდნენ. ნინომ თავისი გმირისთვის სახასიათო გრიმი მოიგონა. ზედა ქუთუთოებზე მეორე თვალები უნდა დაეხატათ, რომ გმირის ირეალური ბუნებისთვის ხაზი გაესვათ. ანდროს მოსწონს ნინოს იდეები.

**ანდრო:** “მასთან ერთად მუშაობა საინტერესოა. როცა აზრს ეკითხები, არასდროს გპასუხობს “არ ვიცი”. ყოველთვის იცის, რატომ ფიქრობს ასე და არა სხვაგვარად.”

მალე ქორწინდებიან. ფილმის გადაღებებზე ნინო უკვე ფეხმძივდაა. აქ მათი ოჯახური თანაცხოვრების პირველი ხანა იწყება.


**ნინო:** “რვანლიანი “განშორება” აბსოლუტურად ლოგიკური იყო. რომანი მაშინვე რომ დაწყებულიყო, აუცილებლად მალე დასრულდებოდა. მაშინ ოჯახის შექმნისთვის მზად არცერთი არ ვიყავით. ეს რვა წელი ჩვენი პიროვნებების, ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი იყო. ორივეს გვექონდა რომანები, იყო მსუბუქი ფლირტიც, დავქროდით და ვერთობოდით. აი, რვა წლის მერე, ოჯახის შექმნა სრულად გაცნობიერებული და გააზრებული მქონდა. შეყვარებული მანამდეც ვყოფილვარ, მაგრამ არასდროს მიფიქრია, რომ ეს ურთიერთობა მაინცდამაინც პასპორტში ბეჭდით დასრულდებოდა. ამაზე არც მერე მიფიქრია, მაგრამ ანდროსთან ვხვდებოდი, რომ უკვე ოჯახი, შვილი მინდოდა. ჩემთვის



თეატრალური სარდაფი, „მარსკვლავედი“, 1999 წელი



„ჩვენი პატარა ქალაქი“, მიხეილ თუშანიშვილის სახელობის ქირომსახიობთა თეატრი, 1983 წელი



**პირადი ურთიერთობის პარალელურად საერთო შემოქმედებითი ცხოვრება მიდის. აქვთ საერთო პროექტები- სპექტაკლები და ფილმები**

ოჯახი სწორედ ესაა. ოჯახს ბავშვი ქმნის, ორი ადამიანის ურთიერთობას მესამე ამყარებს და ეს ყოველგვარი ქორწინების მოწმობაზე თუ ნებისმიერ სხვა რიტუალზე უფრო ძლიერი კავშირია.”

ძალიან მალე, ქვეყანაში სახელმწიფოებრივი კატაკლიზმების ხანა დაიწყო. მეოცე საუკუნის მიწურულს, ჭიაურელი-ბურდულების ოჯახშიც დაისადგურა მომავლის აუტანელმა შიშმა და უიმედობამ.

**ანდრო:** “ძალიან გვიჭირდა, მაგრამ ეს მძიმე სოციალური ფონი ჩვენს პირად ურთიერთობას არ შეხებია. მაშინ ყველაზე მაგრად ვიყავით ერთმანეთს ჩაჭიდებულები. ამაში გამოვიბრძმედეთ. ერთიანობამ გადაგვატანინა ის საშინელი პერიოდი.”

ნინო და ანდრო არ აღმოჩნდნენ იმ ადამიანთა რიცხვში, რომლებმაც ყველანაირ სიტუაციას ადვილად აუღეს ალღო. მათ სამუშაოდ ადამიანური ურთიერთობები და კომფორტული გარემო სჭირდებოდათ.

**ნინო:** “სულ ვფიქრობ, რა დამემართებოდა, ანდრო გვერდზე რომ არ მყოლოდა. ამ დროს, შორს, თავის სახლში, საკუთარ პრობლემებში ჩაძირული მეგობარი ვერაფერს გიშვების. შენ ეს ადამიანი იქვე, გვერდზე გჭირდება, ეს აუტანელი სიმძიმე შენთან რომ გაიყოს, შენთან ერთად რომ განიცადოს.”

**ანდრო:** “რეალურად კი ერთმანეთს ვერაფრით ვშველოდით. ერ-

თად ყოფნით კარგად არცერთი არ გავმხდარვართ, მაგრამ ხშირად მითქვამს კიდევ, მაშინ ერთმანეთი რალაცნაირად დავიჭირეთ-მეთქი. არ ვიცი, ამას შეიძლება, უბრალოდ, პატივისცემა ჰქვია. ხომ გესმის, რომ ის მეორე ადამიანიც ცუდად არის, რატომ უნდა დაუმატო მას შენი ტვირთი? პირიქით, ხომ უნდა გაათავისუფლო? მგონი ასეა.”

სანდრო წლინახვერის იყო, ნინო თეატრიდან ორი თვით გასტროლზე რომ წავიდა. მაშინ მიხეილ თუშანიშვილის სახელობის თეატრში ორი საგასტროლო სპექტაკლი ჰქონდათ, “დონ ჟუანი” და “ბაკულას ღორები”. ამ სპექტაკლებით ლამის მთელი მსოფლიო მოიარეს. იყვენენ ახალ ზელანდიაში, ავსტრალიაში, კუბაში, ვენესუელაში, არგენტინაში, ეკვადორში, ევროპის მრავალ ქვეყანაში, ამერიკაში.

**ნინო:** “მაშინ ძალიან ბევრი ვიმოგზაურეთ. სულ მენანებოდა, ამ სილაპაზეს მართო რომ ვნახულობდი. ამ დროს ანდრო სახლში იყო და სანდროს უვლიდა. ძალიან მენატრებოდნენ.”

ნონოსთვის მოგზაურობა დამთრგუნველი რუტინული ყოფისგან თავის დაღწევის და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გამორკვევის საუკეთესო საშუალებაა. თანაცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, წყვილებისთვის მოგზაურობა აუცილებელიც არის. ამ დროს, ყურადღება მხოლოდ ერთმანეთზე კონცენტრირდება და, შესაბამისად, აქცენტებიც სწორად ნაწილდება. ეს ბევრ ქართულ ოჯახს დღესაც აკლია.

პირადი ურთიერთობის პარალელურად, ანდროს და ნინოს ერთობლივი შემოქმედებითი ცხოვრება მიდის, აქვთ ერთობლივი პროექტები. ორივე ერთ სფეროში ქმნის. “სიკეთის ტელეფონი” პირველი ასეთი პროექტი იყო. მას მალე პირველ არხზე მხატვრულ-დოკუმენტური სერიული ფილმები “ჩვენი დრო” და “აღმოსავლეთი-დასავლეთი” მოჰყვა.

საბჭოთა კავშირის დრო იყო. ტელევიზიას ჰქონდა ფული და ცუდი პროექტები. ანდრო ცდილობდა, ამ ძალიან მშრალ და უინტერესო დოკუმენტური ფილმებისთვის მხატვრული ელფერი მიეცა და “თამაშის” ელემენტები შემოეტანა.

ურთიერთობას წარსულით აფასებენ, ცოტა ფილოსოფიურადაც უდგებიან. ამაზე ბევრს ფიქრობენ და იმიტომ



ნინო, 1987 წელი



„ყავა და ლულის“ გადაღებაზე, 2003 წელი

**დღე ყველანაირი შეიძლება იყოს – სახლში რუტინულ საქმეში თავჩარგული, კომპიუტერის ეკრანთან გატარებული საათები, წიგნები, ფილმები, ან ოცდაოთხი საათი გარეთ – თეატრი და გადასაღები მოედანი**

**ანდრო:** “შედეგები, ცხადია, არ შეგვიქმნია, მაგრამ რალაც გამოგვივიდა, არა უშავდა.”

მერე იყო საერთო სპექტაკლი. სამოქალაქო ომი ახალი დამთავრებული იყო, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრში მონოსპექტაკლი რომ დადგეს. ბავშვს რომ დააძინებდნენ, ნინო მაგიდას მიუჯდებოდა და ლამპის შუქზე, გერლინდ რაინჰარდის პიესის, “კლოუნესას” თარგმნას შეუდგებოდა. ანდროც იქვე იჯდა და თავისთვის ფიქრობდა, სპექტაკლისთვის წარმოსახვაში სცენებს ათამაშებდა.

**ნინო:** “ეს ის დრო იყო, როდესაც ორივეს გვჭირდებოდა, რომ ჩვენი თავიდან რალაც ძალით ამოგვექაჩა. ასეთ დროს ძალიან ადვილია ხელი ჩაიქნოს და, უბრალოდ, ცხოვრების მდორე დინებას გაჰყვე. გადარჩენისთვის, სულიერი სიმშვიდის და ფსიქოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისთვის აქტიურ მოქმედებაზე გადასვლა იყო საჭირო. ასეც მოიქცნენ და “კლოუნესას” მიხედვით “კაპრიჩიო” დადგეს.”

1993 წელი იყო. ნინო მეორე შვილზე, ნიკოლოზე იყო ფეხმძიმედ. საშინელი სუსხიანი ზამთარი იდგა. აფხაზეთი დევკარგეთ. პურის ქარხნებთან ერთი კილო ცომის საყიდლად სიცივისგან გაფითრებული, ლოყებმოყინული ხალხი ოთხ, შვიდ, ან თორმეტსაათიან რიგში დგას. გააჩნია, იმ დღეს როგორ გაგიღიმებს ბედი. ქუჩებში ჯერ კიდევ გაბმულად ისმის სროლის ხმა.

სახლიდან ყველანაირ საქმეზე ერთად გადიოდნენ – მალაზიაში, სამსახურში, მეგობართან. ანდროს პურის საყიდლადაც თან მიჰყვებოდა ხოლმე, ასე ერჩინა.

**ნინო:** “უფრო მშვიდად ვიყავი, ანდრო გვერდზე რომ მყავდა. გახსოვთ, დიდი მინისძვრა რომ იყო? მაშინ სანდრო ჩვენს გვერდით სადარბაზოში დადიოდა ბაღში. ახლაც მახსოვს ის პანიკური შიში. თავქუდმოგლეჯილები გავრბოდი, რომ არ დაგვეგვიანა. სანდრო ასე, გულზე ავიხუტეთ და სამივე ერთმანეთზე ჩაჭიდებულები დავბრუნდით უკან. მაშინ ეს ერთიანობის განცდა ძალიან ძლიერი იყო.”

ქუჩაშიც ერთად დადიოდნენ. სანდრო შუაში მოდიოდა, ორივესთვის ხელები ჩაეკიდა და რიგ-რიგობით ხელებზე კოცნიდა, ხან ნინოს, ხან – ანდროს. უყვარდა ასე სიარული.

**ანდრო:** “ახლა აღარ გვკოცნის.”

**ნინო:** “შენ არა, მაგრამ მე ხანდახან დამდებს ხოლმე პატივს.”

ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის უნივერსიტეტში სანდრო ფილოსოფიისა და სოციოლოგიური მეცნიერების ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტია. ჩვენი სტუმრობის დროს, ახალგაზრდული პროექტის ფარგლებში, პოლონეთს სტუმრობდა. ნინო ამბობს, სანდრო ძალიან აქტიური, კომუნიკაბელური და უაღრესად ინტერესიანი ადამიანია, ხასიათით მე მგავსო. ისე, რომ შეხედავ, მამას გაჭრილი ვაშლივით გავს, ოღონდ ჯერ არც ჭალარა შერევა და წვერსაც არ ატარებს.

სულ ახლახანს, ნინომ რეჟისორის პროფესიაშიც მოსინჯა თავი და კინომსახიობთა თეატრში ჩეხოვის და აკუნინის ერთი და იმავე სახელწოდების მქონე პიესების, “თოლიას” მიხედვით სპექტაკლი “ვთამაშობთ თოლიას” დადგა. მზადების პერიოდი ასეთი იყო: დილით ადრე, უმცროს ნიკოლოსთან ერთად, საუზმე და მერე თეატრი, გვიან ღამემდე რეპეტიციები, ათასი გადათამაშებული სცენა. სახლში ღამით ბრუნდებოდა, როცა ნიკოლოს უკვე ღრმად ეძინა. აი, ვის ენატრება სულ დედა.

2 დეკემბრის პრემიერის მერე, სკოლიდან დაბრუნებულს კარს ნინო რომ უღებს, უხარია. მაგრამ ეხუტება და დიდხანს, დიდხანს კოცნის.

ბავშვების მერე, ოჯახში დამოკიდებულებები თავისთავად შეიცვალა. მთელი ყურადღება შვილებზე კონცენტრირდა. გაჩნდა საერთო საზრუნავი და ერთი მიზანი – შვილების ბედნიერი მომავალი.

**ნინო:** “უფრო გავძლიერდით. საერთოდ ასეა – ადამიანები გაცილებით კეთილშობილები, მიმტევებლები ხდებიან, როდესაც ზრუნვის ობიექტები თვითონ არ არიან. შვილების სახით, ჩვენ ორი მეგობარი შემოგვემატა. სანდრო და ნიკოლო ნამდვილად არიან ჩვენი

## ისტორია

მეგობრებიც. ჩვენს ცხოვრებაში შვილები ცენტრალური ფიგურები გახდნენ. ამას მეც და ანდროც ერთნაირად ვაცნობიერებთ და პასუხისმგებლობასაც თანაბრად ვინაწილებთ. არა, ანდრო?”

**ანდრო:** “ჰო, მგონი ყველგან ასეა.

(თუმცა, ყველგან როგორაა, ეს ღმერთმა უნყის.)”

თუ ცხოვრების წესს ყოველდღიურობასთან გავაგივივებთ და ერთი ჩვეულებრივი დღის ქრილში განვიხილავთ, მაშინ გეტყვით, რომ მათ ასეთ ცხოვრების წესი არ აქვთ. დღე კი ყველანაირი შეიძლება იყოს — სახლში, რუტინულ საქმეში თავჩარგული, კომპიუტერის ეკრანთან გატარებული საათები, წიგნები, ბავშვები, კინო; ან ოცდაათი საათი გარეთ — თეატრი და გადასაღები მოედანი, არქივი და მასალის მოსაძიებლად გამართული უსასრულო შეხვედრები.

ხასიათით, გნებავთ ცხოვრების წესით, ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან.

**ნინო:** “ანდრო მშვიდი ადამიანია, არ არის საზოგადოებრივად აქტიური. უფრო მჭვრეტელის, ფილოსოფოსის ტიპის კაცია. მე კი პირიქით, ძალიან აქტიური ვარ. დიდხანს ერთ ადგილას ვერასდროს ვჩერდები. სულ მოძრაობაში ვარ.”

**ანდრო:** “ნინოსთან ურთიერთობა არ არის ადვილი. ძალიან ჯიუტი და რთული ადამიანია — ამ სიტყვის კარგი გაგებით. ერთი მხრივ საინტერესოა, როდესაც ყველაფერზე თავისი გამოკვეთილი აზრი და პოზიცია აქვს. ეს ნიშნავს, რომ აზროვნებს და უკვე კარგია. მუშაობის დროს, ეს საჭიროცაა. მაგრამ მეორე მხრივ, როდესაც ეს შემოქმედებას არ ეხება და ყოფაში გადადის, შენთან კონფლიქტში მოდის და ხანდახან გაღიზიანებას იწვევს. ნინო არაქართულ ყოფას, მაგალითად, გერმანული ტიპის ცხოვრებას ადვილად შეეგუებოდა. არანორმალურად მოწესრიგებულია, მე ასეთი მოწესრიგებული არ ვარ. ისევე ყოფას ვუბრუნდებით, მთავარი კი საერთო გზა, ერთი მიზნისკენ სწრაფვაა.”

**ნინო:** “ყოფაც მნიშვნელოვანია, მაგრამ არაპირველხარისხოვანი. ამას ხანდახან ვივინყებთ ხოლმე და ეს ცუდია.”

ერთხელ, კლუბ “სარდაფში” სტუმრობისას, ერთი საინტერესო იდეა გაუჩნდათ — კლუბის სივრცე ცოცხალი, თეატრალური დადგმებისთვის გამოეყენებინათ. დადგმებს პირობითად ასე ერქვა — “სიყვარულის ამბავი შექსპირიდან”. მთავარი როლის შემსრულებლები ნინო ბურდული და კაბუ, რეჟისორი და ოპერატორი ანდრო ჭიაურელი გახლდათ.

რამდენიმე სალონური ტიპის საღამო გაიმართა, მაცურებელიც წყალობდათ. მაგრამ მალე კლუბი ჯერ კაფედ, მერე კაზინოდ გადაკეთდა, საბოლოოდ კი გაიყიდა. მოკლედ, დადგმებიც შეწყდა.

მერე ანდრომ აკაკი ბაქრაძის პიესის მიხედვით დოკუმენტურ-მხატვრული ფილმი “საუბარი ნინო ჭავჭავაძესთან” გადაიღო. ფილმში ორი პერსონაჟი ქალია და ორივეს როლს ნინო ასრულებს. ნინოც და ანდროც ერთხმად აღნიშნავენ, რომ ეს ის შემთხვევა არ არის, როდესაც რეჟისორები ფილმებში საკუთარ ცოლებს და შვილებს მხოლოდ იმ ნიშნით იღებენ, რომ ისინი მათი ოჯახის წევრები არიან. საქმეში ერთმანეთს მხოლოდ პროფესიული ნიშნით აფასებენ და თანამშრომლობაც, შესაბამისად, წმინდა პროფესიულიაო, ამბობენ.

**ნინო:** “მუშაობის დროს, ანდრო მხოლოდ ჩემი რეჟისორია. მე რეჟისორისგან სწორი მითითება მჭირდება, რეჟისორს კი უნდა, რომ ის მითითება ზუსტად, ან ვარიაციულად შევასრულო. ხშირად ვკამათობთ, საკმაოდ ცხარედაც, მაგრამ საბოლოოდ საერთო აზრამდე მაინც მივდივართ. ასე არ არის, ანდრო? ხომ წესიერად ვიქცევი ხოლმე?”

**ანდრო:** “კი, ნამდვილად ასეა. ნინო ძალიან მაგარი პროფესიონალია.”

ბოლო ერთობლივი პროექტი მეცხრე არხზე ჰქონდათ. ნინოს

თოქ-შოუს ტიპის გადაცემა, სახელად “ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ” მიჰყავდა, ანდრო რეჟისორი იყო. სანამ მეცხრე არხი დაიხურებოდა, რამდენიმე გადაცემის ეთერში გაშვება მოასწრეს. მას მერე ერთად აღარ უმუშავიათ. ასეა, იდეები გაცილებით მეტია, ვიდრე რეალიზებული პროექტები.

თანაცხოვრების ამ ოცმა წელმა ბევრი რამ ჩაიტია. შესაბამისად, გასახსენებელიც ბევრი დაგროვდა. თუმცა, ყველაზე პირადულს საიდუმლოდ ინახავენ და ვინ იცის, იქნებ შვილიშვილებს განვლილ ცხოვრებაზე ლამაზად შეფერილი, ზღაპრულად თბილი და მართალი ამბები მოუყვანენ.

ურთიერთობას წარსულით აფასებენ, ცოტა ფილოსოფიურადაც უდგებიან. ამაზე ბევრს ფიქრობენ და იმიტომ.

**ნინო:** “ადამიანებს რატომღაც აშინებთ ფაქტი, რომ წყვილებს შორის დამოკიდებულება დროში იცვლება. სინამდვილეში, ეს სრულიად კანონზომიერად ხდება. ურთიერთობა იცვლება ისე, როგორც თავად ეს ადამიანები იცვლებიან. ნამდვილი ინფანტილიზმი — ოცი წლის მერე იცხოვრო ილუზიით, თითქოს შენს ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა.”

მათი ურთიერთობა არასდროს ყოფილა მხოლოდ ემოციაზე დამყარებული. მთლიანად გააზრებული და გაანალიზებული ჰქონდათ, რა და რატომ უნდოდათ ასე და არა სხვაგვარად. “შეყვარებულობა” პირველი ძალიან ხანმოკლე პერიოდი იყო. ის პირველი, ფერადი ემოცია მალე ჩაქრა და დროთა განმავლობაში, ამ განცდას სხვადასხვა შრე დაემატა. სიყვარული, ერთად ყოფნის სურვილი უფრო ძლიერი გახდა, როცა მას პიროვნული პატივისცემა — როგორც მამის, პარტნიორის პატივისცემა დაერთო თან.

**ნინო:** “ყოფილა პერიოდები, როდესაც ჩვენი ურთიერთობა სულ არ ყოფილა შეყვარებული ადამიანების “თანაცხოვრების ბედნიერი ხანა”. იყო კონფლიქტიც, გაღიზიანებაც და შერიგებაც. იდეალური შტილიც იყო და იყო შტორმიც. ასეთი გაღიზიანება მხოლოდ ყოფითი კონფლიქტით იყო გამოწვეული და ურთიერთობის დანგრევის მიზეზი არასდროს გამხდარა. არასდროს გვექონია სკანდალები და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ერთმანეთს არ დავლაპარაკებოდით.”

რაოდენ უცნაურადაც არ უნდა გეჩვენოთ, კონფლიქტის დროს ერთად სხდებიან და მსჯელობენ. არ არის აუცილებელი, ერთმანეთს ყველაფერში დაეთანხმონ. პრინციპი მარტივია: უბრალოდ, ყველაფერი უნდა ითქვას.

არადა, ჩვენს რეალობაში ეს ხშირად მხოლოდ ემოციურ დონეზე ხდება და დიდ აფეთქებას გავს. პრობლემა კი ინტელექტუალური ხასიათისაა და შესაბამის გადაწყვეტას მოითხოვს.

**ნინო:** “ჩვენი კონფლიქტი ბავშვებისთვისაც არასდროს დაგვიმაღლავს. ეს ყველას საერთო პრობლემა გამხდარა. ისინიც ხომ ოჯახის ისეთივე სრულყოფილებიანი წევრები არიან, როგორც ჩვენ და ყველა ერთად, ერთი მთლიანობა ვართ. როდესაც პრობლემა გვაქვს, ყველამ უნდა იცოდეს. მგონია, რომ ასე უფრო სწორი და სამართლიანია.

დღეს რომ ვფიქრობ, ასე მგონია, რომ ბედნიერი ცხოვრებით ვცხოვრობთ. გვყავს კარგი შვილები. ორივეს საინტერესო პროფესია გვაქვს.”

როდესაც ანდროს და სანდროს ერთად ვუყურებ (ერთმანეთს საოცრად გვანან), რალაცნაირად ვხვდები, ვგრძნობ იმ უზენაეს ჭეშმარიტებას, რის გამოც კითხვები მიჩნდება — რისთვის ვართ აქ, რა არის ჩვენი მისია? კი ვერ ვხვდები, მაგრამ რალაცნაირად ვიჭერ, რა შეიძლება იყოს ეს ცხოვრების უწყვეტობაში და ერთიანობაში, სადაც სიკვდილი არა დასასრული, არამედ ჯაჭვის ერთი რგოლია და “ყოფნა-არყოფნა” ერთი პროცესის ორი შემადგენელი ნაწილია. არ ვიცი, ალბათ ამის გაგება ბედნიერება. თუმცა, ბედნიერება ცოტა სევდიანია, არა?







# ბოზ დილანი ქრონიკები

ამ ადამიანის გაჩერება შეუძლებელია. ამას ბევრი ცდილობდა, მათ შორის თვითონაც. სხვებმა ეს ვერ მოახერხეს. დღეს უკვე შეძლებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკურად გაანადგურებენ მას. თვითონ კი, როდესაც გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს, უკვე ორმოცდაათს მიტანებული, ლოკაროში ტურნეს დროს მიხვდა, რომ ჯერ კიდევ არაფერი გაუკეთებია, ყველაფერი თავიდან დაიწყო. ოთხმოცდაათიანების დასაწყისში ის ე.წ. “დაუსრულებელ ტურნეში” წავიდა, რომელიც დღემდე გრძელდება. ამ ტურნეს ფარგლებში, რამდენჯერმე მოიარა ყველა კონტინენტი. “ლაივის” დროს, ის ზოგჯერ საოცრებებს სჩადის, ზოგჯერ კი დარბაზში რამდენიმე ასეული ადამიანი რჩება, ისიც იმის გამო, რომ ის ბოზ დილანია. ის ნებისმიერ პრეზიდენტზე, მონარქზე, კოსმონავტზე თუ “სელბრიტიზე” უფრო ცნობილია. მის სიმღერებზე იზრდებოდნენ თაობები; მის შემოქმედებაზე იწერებოდა და იწერება დისერტაციები და სქელტანიანი სამეცნიერო ნაშრომები, რომ არაფერი ვთქვათ ბიოგრაფიებზე. მისი სიმღერები ნამღერი აქვს ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილ მუსიკოსს, მას უსმენდნენ თეთრ სახლში და ვატიკანში. ის წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე და ეჭვი მაქვს, რომ ამ პრემიას, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მიიღებს... და რაც მთავარია, ის დღესაც ისეთივე რელიევანტურია, როგორც მეოცე საუკუნის სამოციან და სამოცდაათიან წლებში. **“Listen, God, look closely after him. He’s more fragile than most people”** (შეისმინე, ღმერთო, მიხედე მას, ის დანარჩენებზე უფრო ადვილად მსხვრევადია) მღეროდა მასზე ჯოან ბაეზი და როგორც ჩანს, ეს თხოვნა შეისმინეს. თავისი კარიერის მანძილზე, მან გაბედა ყველაფერი, რისი გაბედვაც ადამიანს და მუსიკოსს შეუძლია, იმის ჩათვლით, რომ თბილისში სტუმრად ყოფნისას, ფეხზე არ წამოდგა, როდესაც მის სადღეგრძელოს სვამდნენ, თუმცა ეს ცალკე ისტორიაა. წელს მან ახალი ალბომი გამოუშვა, სახელწოდებით **Modern Times**. 2004 წელს კი, როგორც იქნა, გამოაქვეყნა თავისი პირველი ავტობიოგრაფიული წიგნი **Chronicles (Simon&Schuster)**. ის, ვინც მას იცნობს, ამტკიცებს, რომ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც წიგნში აღწერა; ის ამბობს, რომ მისი ცხოვრების შესახებ არაფერი გაეგებათ. დანარჩენი თვითონ განსაჯეთ. წინამდებარე ნაწყვეტი **Chronicles**-იდან მოიცავს 1968-1970 წლებს, როდესაც დილანის პოპულარობამ მწვერვალს მიაღწია და ის და მისი ოჯახის წევრები ლამის პირად კატასტროფამდე მიიყვანა.

კახა თოლორდავა

...1968 წელს, "ბითლზი" ინდოეთში იყო. ამერიკა მასობრივი არეულობის საბურველში გაეხვია. სტუდენტები ქუჩებში ამტვრევდნენ მანქანებს, ამსხვრევდნენ ფანჯრებს. დაუსრულებელ ომს ვიეტნამში ღრმა დეპრესიაში შეყავდა ქვეყანა. ცეცხლოვებულ ქალაქებში ძალადობა სუფევდა. ჩაფხუტიანი პროფკავშირელები ბეისბოლის ჯოხებით ცემდნენ ახალგაზრდებს. ლიტერატურული პერსონაჟი, ვინმე დონ ხუანი (კარლოს კასტანედას წიგნების მთავარი გმირი – კ.თ), საიდუმლოებით მოცული შამანი მექსიკიდან, ახალ მოდურ სიგიჟედ იქცა. ის მაჩეთესავით აქნევდა ახალი რეალობისთვის გაღვივებულ სასიცოცხლო ენერგიას. წიგნები მის შესახებ მალაზიების თაროებიდან თვალისდახამამბაში ქრებოდა. ექსპერიმენტები LSD-ზე მასიურ ფენომენად იქცა; ითვლებოდა, რომ ჰალუცინოგენები სამყაროს სწორი აღქმის საშუალებას აძლევდნენ ადამიანებს. ყველაფერი ეს ცვლიდა საზოგადოებას და აჩქარებდა მოვლენებს. სტუდენტები ცდილობდნენ თავიანთი კონტროლის ქვეშ მოექციათ ეროვნული უნივერსიტეტები; აქტივისტები, რომლებიც ვიეტნამში ომის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ხალხს ძალადობისკენ მოუწოდებდნენ. მაისისტები, მარქსისტები, კასტროიანელები და მემარცხენე ახალგაზრდობა, რომელიც ჩე გევარას წიგნებით ხელმძღვანელობდნენ, ეკონომიკის შერყევას ცდილობდნენ. ჯექ ქერუაქი აქტუალური აღარ იყო და პრესა ცდილობდა, ისედაც არეულ-დარეული სიტუაცია საყოველთაო ისტერიად ექცია. საკმარისი იყო ახალი ამბებისთვის მოგესმინათ, რომ გეფიქრათ, ამბოხის ქარცეცხლი მთელ ქვეყანას მოედო; ისე ჩანდა, თითქოს ყოველდღე, ამერიკის სხვადასხვა ქალაქში ახალ-ახალი არეულობა იწყებოდა. ყველაფერს მოსალოდნელი საფრთხის და ცვლილების იერი დაკრავდა. ამერიკული ჯუნგლები სუფთავდებოდა და თუ ადრე ყველაფერი ტრადიციულ შავ-თეთრად აღიქმებოდა, მოვლენები ახლა უკვე ნათელი ფერებით ფერადდებოდა.

მე მოტოციკლეტის ავარიამი მოვყევი, სერიოზულად დავშავდი, მაგრამ გამომვჯობინდი. მართალი რომ ვთქვა, ვირთხების ამ დოლიდან მინდოდა გამოსვლა. ბავშვების ყოლამ ჩემი ცხოვრება შეცვალა, დამაცილა ყველას და ყველაფერს, რაც გარშემო ხდებოდა. ოჯახის გარდა, სერიოზულად არაფერი მაინტერესებდა და ამიტომაც, ყველაფერს სხვანაირად ვხედავდი. თვით ყველაზე საშინელ ახალ ამბებსაც კი, ისეთს, როგორიცაა ძმები კენედების, ლუთერ კინგის და მალქოლმ X-ის მკვლელობები, აღვიქვამდი არა როგორც ლიდერების მკვლელობებს, არამედ როგორც მამების სიკვდილს, ვისი ოჯახებიც დაზარალებდნენ. ამერიკაში, თავისუფლების და დამოუკიდებლობის ქვეყანაში დაბადებული და გაზრდილი, ყოველთვის ვაფასებდი თანასწორობის და თავისუფლების იდეალებს და ღირებულებებს. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, ამ იდეალებზე გამეზარდა ჩემი შვილებიც.

რამდენიმე წლის წინ, Newport-ის ფოლკ-ფესტივალზე რონი გილბერტმა ჯგუფ The Weavers-იდან იქ შეკრებილ მსმენელს ასე წარმადგინა: "აი ისიც, აჰა, აიღეთ, თქვენ მას იცნობთ, ის თქვენია". მაშინ ამ წარდგენაში ავისმომასწავებელი ნიშნები გამომეპარა. არავის მოსვლია თავში ელვისის ასე წარდგენა. "აჰა, აიღეთ, ის თქვენია!". რა სიგიჟეა ამის თქმა! რამდენადაც ჩემთვის იყო ცნობილი, არავის ვეკუთვნოდი არც მაშინ და არც ახლა. მყავდა ცოლი და შვილები, რომლებიც ამ ქვეყანაზე ყველაზე უფრო მიყვარდა. ვცდილობდი მიმეხედა და საფრთხისგან დამეცვა ისინი, მაგრამ ყვითელი პრესა ჯიუტად აგრძელებდა ჩემს, როგორც თაობის მესაყვირის, უფრო მეტიც – თაობის სინდისის წარდგენას. სასაცილო იყო. ერთადერთი, იმას ვაკეთებდი, რომ გულახდილ სიმღერებს ვმღეროდი, ახალი რეალობებით დამუხტულს. ძალიან ცოტა მქონდა საერთო და კიდევ უფრო ცოტა ვიცოდი იმ თაობაზე, რომლის მესაყვირეც

*ვირთხების დოლიდან მინდოდა გამოსვლა. ბავშვების ყოლამ ჩემი ცხოვრება შეცვალა, დამაცილა ყველას და ყველაფერს, რაც გარშემო ხდებოდა. ოჯახის გარდა, სერიოზულად არაფერი მაინტერესებდა*

თითქოსდა მე ვიყავი. სულ რაღაც ათიოდე წლის წინ ჩამოვედი ჩემი მშობლიური ქალაქიდან და არავის მოსაზრებებს არ გამოვთქვამდი. ჩემი ბედი ცხოვრების მიერ შემოთავაზებულ ჩემსავე გასაველელ გზაზე იდო და არავითარი საერთო არ ქონდა ვინმეს მოსაზრებების გახმავანებასთან. ყოფილიყავი მართალი საკუთარ თავთან – აი, რა იყო მნიშვნელოვანი. მე უფრო კოვბოი ვიყავი, ვიდრე ვირთხების მესტერი.

ადამიანებს გონიათ, რომ პოპულარობა და სიმდიდრე ძალაუფლების საწინდარია და რომ მას სიდიადე, ღირსება და ბედნიერება მოაქვს. შესაძლებელია ასეცაა, მაგრამ ზოგჯერ სხვანაირადაც ხდება. ქალაქ ვუდსტოქში გამომწყვდეული, დაუცველი აღმოვჩნდი, თან მხრებზე ოჯახური ტვირთიც მანვა. გაზეთებში რომ ჩაგეხედათ, ყველაფერი ვიყავი, მეოჯახე კაცის გარდა... როგორც ჩანს, მსოფლიოს ყოველთვის ესაჭიროება განტევების ვაცი, ვილაც, ვინც რომის იმპერიის წინააღმდეგ გაილაშქრებს. ამერიკა კი არ იყო რომის იმპერია და ამიტომაც, მოხალისეს როლი ვინმე სხვას უნდა ეკისრა. არასდროს ვყოფილვარ იმაზე მეტი, ვიდრე ვიყავი, – აცრემლებული თვალებით, ნაცრისფერ ბინდებუნდს ჩამტვრეული ფოლკ-მუსიკოსი, რომელიც ნათელ ბურუსში მოფარფატე სიმღერებს წერდა. ახლა კი ეს ყველაფერი თითქოს თვალწინ ამიფეთქდა და ჩემს წინააღმდეგ შემოტრიალდა. სასწაულმოქმედი მოძღვარი არ ვყოფილვარ. ამ სიტუაციაში ნებისმიერი შეიშლებოდა ჭკუიდან.

სულრამდენიმეწლითადრე, ვუდსტოქმა კარგისტუმართმოყვარეობა გაგვიჩინა. ეს პატარა ქალაქი იქ გადაბარგებამდე დიდი ხნით ადრე აღმოვაჩინე. ერთხელ, ღამით, კონცერტის შემდეგ, სირაკუზიდან მანქანით რომ ვბრუნდებოდი, ჩემს მენეჯერს მოვუყევი ამ ქალაქის შესახებ. გზად ეს ქალაქი უნდა გაგვევლო. მან მითხრა, რომ ექებდა შესაფერ ადგილს, სადაც სააგარაკო სახლს იყიდდა. ქალაქში რომ შევედი, ერთ სახლს მოკრა თვალი, რომელიც მოენონა და იქვე, იმავე დღეს იყიდა. მე ოდნავ მოგვიანებით შევიძინე სახლი ვუდსტოქში და დაუპატიჟებელმა სტუმრებმა, დღის ნებისმიერ დროს, სწორედ ამ სახლში დაიწყეს კარის შემომტვრევა. მთელი ეს სიგიჟე თითქმის ჩვენი იქ გადასვლისთანვე დაიწყო და ბოლომდე არ მოგვცა ამოსუნთქვის საშუალება. ადრე ეს სახლი ჩუმი და მყუდრო თავშესაფარი იყო ჩვენთვის, მაგრამ ახლა უკვე აღარ. რუკები, სადაც ჩვენი სახლის ადგილმდებარეობა იყო დატანილი, როგორც ჩანს, ქვეყნის ორმოცდაათივე შტატში დააგზავნეს ყველა ჯურის ნარკომანის და მანანწალას გულის გასახარად. უსაქმური მიმომხილველები კალიფორნიიდანაც კი ჩამოდიოდნენ. კრიმინალები დღე-ღამის ნებისმიერ დროს ცდილობდნენ სახლში შემოჭრას. დასაწყისში ეს ადამიანები, ძირითადად, საკმაოდ უვნებლები, უსახლკარო მოხეტიალეები იყვნენ, მაგრამ მერე მათ ყოველგვარ პასუხისმგებლობის შეგრძნებას მოკლებული რადიკალები მოყვნენ, რომლებიც ვუდსტოქში პროტესტის პრინციპის სანახავად ჩამოდიოდნენ, – ქიმერასავით ქალები, საფრთხობელები და "ფართინგის" მოყვარული უქნარები. ჩემმა მეგობარმა, ფოლკ-მომღერალმა ფითერ ლაფარჟმა, "ქოლთის" ორი პისტოლეტი მაჩუქა, მე კი ჩემი საკუთარი "ვინჩესტერი" მქონდა, მაგრამ იმაზე ფიქრიც კი მაშინებდა, თუ რა შეიძლება მოყოლოდა მათ





*მინდოდა ცეცხლს მიმეცა ეს ხალხი. ეს მოძალადეები, ჯაშუშები, მანიაკები და დემაგოგები ჩემს ოჯახურ სიმყუდროვეს ამღვრევდნენ და სრულიად მაგიჟებდა ის ფაქტი, რომ არ უნდა გამებრაზებინა ისინი, იმიტომ, რომ მათ შეეძლოთ ჩემთვის ეჩივლათ...*

გამოყენებას. ვუდსთოქის პოლიციის უფროსმა (ქალაქს სულ სამი პოლიციელი ემსახურებოდა) მითხრა, რომ ვინმეს შემთხვევითი დაზარალების შემთხვევაში, თუნდაც გამაფრთხილებელი გასროლის შედეგად, პასუხისმგებლობა მე დამეკისრებოდა. მეტიც, მანიაკებს, რომლებიც ჩვენი სახლის სახურავზე ფეხების ბრაზუნით დარბოდნენ, შეეძლოთ სასამართლოში ეჩივლათ ჩემთვის, თუ რომელიმე მათგანი სახურავიდან ჩამოვარდებოდა. ყველაფერ ამას მდგომარეობიდან შეეძლო გამოეყვანა ადამიანი. მინდოდა ცეცხლს მიმეცა ეს ხალხი. ეს მოძალადეები, ჯაშუშები, მანიაკები და დემაგოგები ჩემს ოჯახურ სიმყუდროვეს ამღვრევდნენ და სრულიად მაგიჟებდა ის ფაქტი, რომ ყველაფერ ამასთან ერთად, არ უნდა გამებრაზებინა ისინი, იმიტომ, რომ მათ შეეძლოთ ჩემთვის ეჩივლათ... ყველაფერი ისე არ ხდებოდა, როგორც უნდა ყოფილიყო; სამყარო აბსურდული იყო და ის ჩემს კუთხეში მომწყვდევას ლამობდა. ასეთ სიტუაციაში, უახლოეს და უსაყვარლეს ადამიანებსაც კი არ შეეძლოთ დახმარება.

ერთხელ, ზაფხულში, ამ გაგანია სიგიჟის პერიოდში, რობი რობერტსონთან ერთად, რომელიც მოგვიანებით The Band-ის გიტარისტი გახდა, სადღაც მანქანით მივდიოდით. ამ დროისთვის უკვე ვგრძნობდი, რომ თავისუფლად შემეძლო მზის სისტემის ნებისმიერ სხვა კუთხეში მეცხოვრა. მან მითხრა: “როგორ ფიქრობ, საითკენ მიგყავს ეს ყველაფერი?”

ვუთხარი: “რა ყველაფერი?”

“მთელი ეს მუსიკალური მიმდინარეობა.” მთელი ეს მუსიკალური მიმდინარეობა! ფანჯრის შუშა ოდნავ იყო ჩამონეული. მე ის ბოლომდე ჩამოვნიე, ქარს სახე მივუშვირე და დაველოდე, სანამ მისი სიტყვები ჩაკედებოდა – ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩემს წინააღმდეგ შეთქმულება ეწყობოდა. დედამინის არცერთი კუთხე საკმარისად შორი არ იყო მათგან თავის დასალწევადა. არ ვიცი, რაზე ოცნებობდნენ დანარჩენები, მაგრამ მე ცხრიდან ხუთამდე სამუშაო ადგილზე, გამწვანებულ რაიონში თეთრი ღობით გარშემოვლებულ სახლზე და უკანა ეზოში ვარდებზე ვოცნებობდი. ეს მართლაც რომ კარგი იქნებოდა და ეს ჩემი სანუკვარი ოცნება იყო. გარკვეული დროის შემდეგ, ხვდები, რომ პრივატულობა ისაა, რისი გაყიდვაც შეგიძლია, მაგრამ რასაც უკან ვედარ იყიდი. ვუდსთოქი კომპარად, ქაოსის ადგილად იქცა. მოვიდა დრო, რომ გუდა-ნაბადი აგვეყარა იქედან და თბილი ადგილი სხვაგან გვეძებნა. ასეც მოვიქეცი და



იმ იმედით, რომ ადრე თუ გვიან მოვახერხებდი ჩემზე არსებული წარმოდგენის დამსხვრევას, ჩვენ ნიუ იორკში გადავსახლდით. იქაც იგივე ხდებოდა, თუ უარესი არა. დემონსტრანტებმა გაიგეს ჩვენი ადგილსამყოფელის შესახებ და ჩვენი სახლის წინ სიმღერით და ყვირილით მარშირება დაიწყეს, – ისინი ჩემგან მოითხოვდნენ, მათთან გავსულიყავი და გაურკვეველი მიმართულებით მსვლელობას სათავეში ჩავდგომოდი. ისინი მოითხოვდნენ, რომ როგორც თაობის სინდისს, პასუხისმგებლობა ჩემს თავზე ამელო. ერთხელ, პოლიტიკურმა აქტივისტებმა ალყაში მოაქციეს სახლი და მთელი დღის განმავლობაში ყვიროდნენ და ღრიალებდნენ. მეზობლებს ვეჯავრებოდით. მათთვის საკარნავალო ექსპონატი ვიყავი. ყოველთვის, როცა მხედავდნენ, დაჟინებით მათვალთვლებდნენ ხოლმე, თითქოს ლილიპუტი ან ჯუნგლების უზარმაზარი ვირთხა ვყოფილიყავი. თავს ვიკატუნებდი, თითქოს ფეხებზე მეკიდა ყველაფერი.

შემდეგ დასავლეთში გადასვლა ვცადეთ, — ვნახეთ კიდევ რამდენიმე ადგილი, მაგრამ რეპორტიორები თითქოს ყნოსვა-ყნოსვით მოყვებოდნენ ჩვენს ნაკვალევს იმ იმედით, რომ ან რაღაც საიდუმლოს შეიტყობდნენ ჩემზე ან მე თვითონ გამოვუტყვებოდი მათ საშინელ ცოდვაში. ჩვენი მისამართი, როგორც წესი, ადგილობრივ პრესაში ქვეყნდებოდა და ყველაფერი ისევ თავიდან იწყებოდა.

დავუშვათ და მიმეცა მათთვის სახლში შემოსვლის უფლება, რას ნახავდნენ ისინი იქ? სათამაშოების გროვას, მისაწოლ თუ დასაქოქ სათამაშოებს, საბავშვო ჭოჭინებს და სკამებს, უზარმაზარ მუყაოს ყუთებს, სათამაშო ბარაბნებს, კონსტრუქტორებს და საბავშვო თავსატეხებს... თუმცა მე არავის სახლში შემოშვებას არ ვაპირებდი. რაც შეეხება წესრიგს სახლში, ჩვენ ბევრი წესი არ გვქონდა. თუ ბავშვებს სამზარეულოში კალათბურთის თამაში უნდოდათ, ისინი თამაშობდნენ კალათბურთს სამზარეულოში. თუ მათ ტაფებით და ქვაბებით უნდოდათ გართობა, ჩვენ იატაკზევე ვუყრიდით მათ ტაფებს და ქვაბებს. ჩემი სახლი ისეთივე ქაოტური იყო შიგნით, როგორც გარეთ.

ჯოან ბეზმა საკმაოდ პოპულარული საპროტესტო სიმღერა დაწერა ჩემზე. ამ სიმღერით ის თითქოსდა მიწვევდა, გარეთ გავსულიყავი და მასებს ჩავდგომოდი სათავეში, მათი ინტერესების დამცველი გავმხდარიყავი, სათავეში ჩავდგომოდი ჯვაროსნულ ლაშქრობას. ეს სიმღერა წვევამდელთათვის განკუთვნილ ჯარში გასაწვევ განცხადებასავით მომმართავდა რადიოდან. პრესა თავს არ მანებებდა. იშვიათად იძულებული ვხდებოდი, მართლაც გავსულიყავი გარეთ და ინტერვიუ მიმეცა მათთვის; ესეც იმიტომ, რომ კარი არ შემოენგრიათ. წესისამებრ, შეკითხვები ასე იწყებოდა: “შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რაც ხდება?” “რა თქმა უნდა. და რა ხდება?” ისინი შეკითხვებს მაყრიდნენ, მე კი მათ წამდაუნუმ ვუმეორებდი, რომ რაიმეს ან ვინმეს მესაყვირე კი არა, უბრალოდ, მუსიკოსი ვიყავი. ამ დროს, ისინი ისე დაჟინებით მიყურებდნენ თვალებში, თითქოს ჩემს გამოხედვაში ალკოჰოლის ან ამფეტამინების კვალს ეძებდნენ. წარმოდგენაც კი არ მქონდა, რაზე ფიქრობდნენ ისინი. მოგვიანებით ქვეყნდებოდა სტატია შემდეგი სათაურით: “თაობის მესაყვირე უარს ამბობს იმაზე, რომ ის თაობის მესაყვირეა”. ყოველივე ამის გამო, თავს იმ ხორცივით ვგრძნობდი, რომელიც ძაღლებს გადაუგდეს საჯიჯგნად. *New York Times*-მა ჩემი სიმღერების აბსოლუტურად მცდარი ინტერპრეტაცია თავის ფურცლებზე დაბეჭდა. *Esquire*-მა თავისი ჟურნალის ყდაზე ოთხსახოვანი მონსტრი მოათავსა, რომელიც ჩემი, ჯონ ქენედის, მალქოლმ X-ის და ფიდელ კასტროს შიბრიდი იყო. ნეტავი რას ნიშნავდა ეს ყველაფერი? ასე მეგონა, თითქოს სამყაროს კიდებზე, უფსკრულის პირას ვიდექი. არც კი ვიცი, შეეძლო თუ არა ვინმეს რაიმე აზრიანი დასკვნის გამოტანა ან რჩევის მოცემა. ჩემმა მეუღლემ, ცოლად რომ მომყვებოდა, არც კი იცოდა, რაში ყოფდა თავს; ისევე, როგორც მე. და აი, ახლა ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდით.

თანახმა ვარ, ჩემი სიმღერის ტექსტებმა ისე შეარხიეს მსმენალთა ნერვები, როგორც ეს ადრე არავის გაუკეთებია, მაგრამ თუ ჩემს სიმღერებში მხოლოდ ტექსტი იყო მნიშვნელოვანი, მაშინ რატომ იწერდა დიდი გიტარისტი დუეინ ედი ჩემი სიმღერების ინსტრუმენტული ვერსიებით შემდგარ ალბომს? მუსიკოსებმა ყოველთვის იცოდნენ, რომ ჩემი სიმღერები იმაზე მეტი იყო, ვიდრე სიტყვები, მაგრამ უმრავლესობა მუსიკოსი არაა. მე სხვა ტალღაზე უნდა გადამენყო ჩემი ცნობიერება და მომხდარის გარეშე ძაღლებისთვის გადაბრალება შემეწყვიტა. თავიდან უნდა მესწავლა რაღაც-რაღაცეები და ზედმეტი ბარგისგან გავთავისუფლებულიყავი. უბრალოდ, განმარტობისთვის და სიტუაციის ანონ-დანონისთვის საკმარისი დრო არ მქონდა. რაც არ უნდა ყოფილიყო ეს კონტრ-კულტურა, ის უკვე ყელში მქონდა ამოსული. ჩემი სიმღერების ცალმხრივად და დამახინჯებულად ინტერპრეტაციის მცდელობებმა დამალა; ისინი პოლემიკის საგნად აქცევდნენ მათ. დამალა იმან, რომ წამდაუნუმ ამბოხის დიდ მეუფედ, პროტესტის ქურუმიად, განხეთქილების ხელმწიფედ, დაუმორჩილებლობის ჰერცოგად, მანანნალების ლიდერად, აპოსტაზის კაიზერად, ანარქის არქიმანდრიტად, გავლენიან ტიპად მასახელებდნენ. რა ჯანდაბას

## ისტორია

ნიშნავს ეს ყველაფერი? საშინელი ტიტულებია, რა მხრიდანაც არ უნდა შეხედო. ყველა ეს სიტყვა გარიყულის სინონიმია.

მოკლედ, გამიჭირდა ისე, როგორც ეს მერლ ჰაგარდის სიმღერაშია: “მე ძიებაში ვარ, შარაგზა ჩემი სახლია.” არ ვიცი, მოუწია თუ არა ჰაგარდს საკუთარი ოჯახის გაყვანა ამ შარაგზაზე, მაგრამ მე ნამდვილად ასე შემემთხვა. ეს კი სულ სხვა რამაა. ჩვენს უკან მინა ინვოდა. პრესა არ ჩქარობდა თავისი აზრის ჩეცვლას და მეც უკვე აღარ მქონდა უმოქმედობის უფლება; ხარი რქებით უნდა დამეთრია და ჩემი ყბადალებული იმიჯი და ჩემს შესახებ დანარჩენების აზრი შემეცვალა. ასეთი შემთხვევისთვის განერილი წესები არ არსებობს. ეს ჩემთვის ახალი ხილი იყო და ჩემი ტვინი ამგვარად არ იყო მომართული. გარე სამყაროში ყალბი სიგნალები უნდა დამეგზავნა, უნდა დამემუხრუჭებინა ავარიის პირას მდგარი მატარებელი, ჩემს პერსონაზე განსხვავებული წარმოდგენა უნდა შემექმნა.

თავიდან მხოლოდ უმნიშვნელო, ადგილობრივი მასშტაბის “მოძრაობები”, ტაქტიკური სვლები გამომდიოდა; მოულოდნელი გამოხდომები, როდესაც თავზე ვისკით სავეს ბოთლს ვიპირქვავებდი და მალაზიაში შევდიოდი; ვიცოდი, რომ ჩემი წასვლის შემდეგ, მხოლოდ ამ ჩემს საქციელზე ილაპარაკებდნენ. იმედი მქონდა, რომ ჩემი ეს გამოხდომა გაზეთებში მოხვდებოდა. ამით ამოსუნთქვის საშუალებას მივცემდი ჩემს ოჯახს. დანარჩენ სამყაროს შეეძლო ჯანდაბამდე გზა ქონდა. ჩემი საზოგადოებრივი სახე დამაბნეველი და მოსაწყენი უნდა გამხდარიყო. არადა, ძნელია ასე ცხოვრება. ამას მთელი შენი ძალისხმევა ჭირდება. ამ დროს, პირველი, რასაც უნდა შეელო, შენთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი – საკუთარი თავის ნებისმიერი ფორმით არტისტულად გამოხატვის შესაძლებლობაა. ცხოვრების გვერდით, ხელოვნება უმნიშვნელოა და შენ არჩევანი არა გაქვს. აღარც კი მიჩნდებოდა ამის სურვილი. კრეატიულობა გამოცდილების, დაკვირვების და ფანტაზიის შედეგია და თუ მას რომელიმე ეს ელემენტი აკლდება, ის, უბრალოდ, არ მუშაობს. იმ დროს ჩემთვის შეუძლებელი იყო დაკვირვებოდი რამეს ისე, რომ თვითონ არ ვეცულებოდა დაკვირვების ობიექტად. საკმარისი იყო მალაზიაში გაგსულიყავი, რომ ვინმე აუცილებლად შემამჩნევდა და იმავე წამს ტელეფონის საძებნელად გაიქცეოდა. ვუდსთოქში ცხოვრებისას, ეზოში რომ ვიყავი ხოლმე, ჩემს სახლს მანქანა მოადგებოდა, ვილაც კაცი გადმოვიდოდა და ჩემი მიმართულებით გაიშვერდა ხელს, შემდეგ კი წავიდოდა, მერე კი მას ტურისტების ჯგუფი მოყვებოდა... ზოგჯერ რესტორანში ყოფნისას (ჩემი სახელი საყოველთაოდ ცნობილი იყო, მაგრამ არა ჩემი სახე), რომელიმე იქ მყოფი მცნობდა, მოლარესთან მიდიოდა, თითქმის ჩემსკენ იშვერდა და ჩურჩულთ ამბობდა: “ეს ისაა, აი, იქ.” მოლარე სხვას ეტყოდა და ინფორმაცია მაგიდიდან მაგიდაზე ინაცვლებდა. ამის შემდეგ კი, გვეგონებოდა რესტორანს მეხი დაეცაო. ყველა სახე ჩემსკენ ბრუნდებოდა. ადამიანები, რომლებიც საჭმელს შეექცეოდნენ, ლუკმას უკან აფურთხებდნენ, ერთმანეთს უყურებდნენ და ამბობდნენ: “ეს მართლა ისაა?” “დაიცა, შენ ამბობ, რომ აი, ის ტიპი, რომელიც ბავშვებთან ერთად ზის, მართლა ისაა?” ყოველივე ამის ატანა ისეთივე ძნელი იყო ჩემთვის, როგორც მთების გადადგმა. ჩემი სახლი ყორნებით იყო გარშემორტყმული, რომლებიც განუწყვეტილად ყრანტალებდნენ უბედურებისმომტან წინასწარმეტყველებებს. ვფიქრობდი იმაზე, თუ რა სახის ალქიმიას შეეძლო ისეთი სუნამოს შექმნა, რომელიც ადამიანზე წარმოდგენის შეცვლას, მის მიმართ ნელ-თბილი, აპათიური ინდიფერენტულობის დამკვიდრებას შეძლებდა. ცოტაოდენი ასეთი სუნამო მჭირდებოდა. არასდროს მქონია სურვილი, რომ ასეთი მძიმე შედეგებით სავეს გზაზე მეველო. ეს არ მომწონდა. მე არ ვიყავი არცერთი თაობის თამადა და საჭირო იყო ამ მოსაზრების ძირფესვიანად ამოძირკვა. უნდა მომეპოვებინა თავისუფლება ჩემთვის და ჩემი ახლობლებისთვის. უქმად

*გაზეთებში იბეჭდებოდა ისტორიები იმის შესახებ, თუ როგორ ვცდილობდი საკუთარი თავის პოვნას, როგორ ვატარებდი დროს მარადიულის ძებნაში, როგორ ვიტანჯებოდი შინაგანი ტანჯვით. აი, ეს ყველაფერი კი უკვე მომწონდა.*


ჯდომის დრო არ მქონდა და მე არ მომწონდა ის, რასაც სახეში მაყრიდნენ. ნავითი სავეს კერძი ცოტაოდენი კარაქით და სოკოთი უნდა გაზეთებულიყო და ამის გასაკეთებლად დიდი ძალისხმევა დამჭირდებოდა. არადა, ოდესმე ხომ უნდა დამეწყო?

იერუსალიმში წავიდი და მივალწიე იმას, რომ დასავლეთის კედელთან გადამიღეს სურათი, ტრადიციული ებრაული ქუდით თავზე. ეს ფოტო თვალისდახამხამებაში გავრცელდა მთელს მსოფლიოში და ყველა გავლენიანმა ტაბლოიდმა მაშინვე სიონისტად მომნათლა. ყველაფერი ეს ოდნავ დამეხმარა. უკან დაბრუნებისთანავე, სწრაფად ჩავწერე ალბომი ქანთრის სტილში და ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ ის საკმაოდ მოთოკილად ყლერდა. ხმაც სხვანაირად ჩავწერე. მუსიკალურმა პრესამ არ იცოდა, თუ როგორ მიდგომოდა ამ ალბომს. ხალხს კისრები დაეძაბათ. ჩემივე ხმისჩამწერი კომპანიის დახმარებით, ჭორი დავეყარე, თითქოს მუსიკას თავს ვანებებდი და როდ აიღენდის დიზაინის სკოლაში ვინყებდი მოღვაწეობას. ამ ჭორმა სულ მალე ტაბლოიდების ყურამდე მიაღწია. “ერთ თვესაც კი ვერ გაძლებს,” – ამბობდნენ ზოგიერთები. ჟურნალისტები გაზეთის ფურცლებიდან სვამდნენ კითხვებს: “რა დაემართა იმ დილანს, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით?” ყველა მათგანს ჯანდაბამდის გზა ქონიათ! გაზეთებში იბეჭდებოდა ისტორიები იმის შესახებ, თუ როგორ ვცდილობდი საკუთარი თავის პოვნას, როგორ ვატარებდი დროს მარადიულის ძებნაში, როგორ ვიტანჯებოდი შინაგანი ტანჯვით. აი, ეს ყველაფერი კი უკვე მომწონდა. ჩავწერე ორდისკიანი ალბომი, სადაც ჩავყარე ყველაფერი, რაც დასავლეთის კედელთან დგომისას თავში მომივიდა და რაც მეტ-ნაკლებად ადექვატურად მეჩვენა. შემდეგ კი იმ მასალისგან, რომელიც ამ ალბომში ვერ მოხვდა, კიდევ ერთი ალბომი ჩავწერე. ვუდსთოქის ფესტივალი გამოვტოვე – უბრალოდ, არ წავედი იქ. გამოვტოვე ალთამონთის ფესტივალიც. მერე კი კიდევ ერთი ალბომი ჩავწერე, რომელიც მთლიანად ჩეხოვის მოთხრობებზე იყო აგებული. კრიტიკოსებს კი ეგონათ, რომ ის ავტობიოგრაფიული იყო. ამ სვლებსაც არა უშავდა რა. ვითამაშე ფილმში, სადაც კოვბოური ტანსაცმელი მეცვა და ცხენს დავაჭენებდი. ეს ადვილი იყო. ვფიქრობ, რომ მიაბიჭურად ვიქცეოდი...

ერთხელ მსახიობმა თონი ქერთისმა მითხრა, რომ პოპულარობა პროფესიაა და რომ ის მთელი მეცნიერებაა. თონის გარდა, ამაზე კარგს ვერავინ ვერაფერს მეტყოდა. ჩემი ძველი იმიჯი ნელ-ნელა გაიფანტა და ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინე, რომ მე მე აღარ ვიყავი, მძიმე სარქველის ქვეშ მოქცეული. დროის გასვლასთან ერთად, ჩემი მისამართით ნასროლი განსხვავებული ანაქრონიზმებიც მომეყარეს, შეიძლება უფრო მნიშვნელოვნაც კი, ვიდრე ადრე: ლეგენდა, ხატი, გამოცანა (ჩემი ფავორიტი მაინც ეს იყო: ევროპულ ტანსაცმელში გამოწყობილი ბუდა) და სხვა მსგავსი რამ, მაგრამ ყველაფერ ამას უკვე არა უშავდა. ეს უფნებელი და მშვიდობიანი სიტყვები იყო, გაცვეთილი და ადვილად გადასახარში. წინასწარმეტყველი, მესია, მხსნელი — აი, რა იყო ძნელი სათრევი ტვირთი.

*ინგლისურიდან თარგმნა კახა თოლორდავამ*





# სვეც-პროექტი ნელის

ავტორები: სალომე კიკაღიანი, ნინო ლომაძე  
 ფოტო: თეა დავითი  
 პროდიუსერი: სალომე კიკაღიანი  
 ვიზუალი: ანუკა მურვანიძე, სტუდია „გრიზ-მასკა“

კლასიკური ნოვატი

### წლის მინიჯერი

რადიო “უცნობი” ქართულ რადიოსივცრეში 2 წელია არსებობს, მაგრამ 2006 წელი რადიოს მსმენელთათვის სიახლეებით იყო დატვირთული. მუსიკალურ-გასართობ პროგრამებთან ერთად, გაჩნდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემებიც.

ჩამონათვალი ასეთია: “ამოუცნობი ზარები”, “სიმღერის ისტორია”, “ბიზნეს-ამბები”, “ქალის სურნელი”, “დიალოგები” ეკა ხოფერიასთან ერთად, საინფორმაციო გამოშვება “ხუთი წუთით ადრე” და რადიო “უცნობის” და ტელე-“იმედის” ერთობლივი გადაცემა “ჭიჭიკოს და ბიჭიკოს შოუ”.

ამ პროექტებზე რადიო “უცნობის” მთელი გუნდი ერთად მუშაობს. შესაბამისად, იდეების ავტორებიც ყველანი ერთად არიან. ეს კი, კარგი მენეჯმენტის და მთავარი მენეჯერის, რადიო “უცნობის” “ტვინის”, ბასა ჯანიკაშვილის დამსახურებაა.



# ბასა ჯანიკაშვილი



## წლის პროტესტი

ისინი კარგად ნაცნობი ტელესახეები არიან: ნანა ლეჟავა, თამარ ღვინიაძე, ნათია ლაზაშვილი და თამარ რუხაძე – ჟურნალისტები, ვინც სხვებთან ერთად, წლების განმავლობაში სამაუწყებლო კომპანია “რუსთავი 2”-ის სახესა და რეპუტაციას ქმნიდა.

პოლიტიკური ქართველების ეპიცენტრში ყოფნა, საზოგადოების გაკიცხვა თუ გულითადი მადლობები, ყველაზე მტკივნეულ თემებზე თამამად საუბარი, გაბედული გადაწყვეტილებები, თავდაუზოგავი შრომა და ხშირად 24-საათიანი სამუშაო დღე – ასეთი იყო მათი ცხოვრების წესი.

არხის მენეჯმენტის შეცვლის შემდეგ, მათ “რუსთავი 2” პროტესტის ნიშნად დატოვეს და დღეს საყვარელ საქმიანობაზე მხოლოდ წარსულში საუბრობენ.

# რუსთავი 2



სტილი: "atelle Ten`a"  
ინტერიორი: "Opera design"

# ავთო სქვიტინიძე

## წლის დიზაინერი

2006 წელი, დიზაინერი ავთო ცქვიტინიძისთვის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი და წარმატებული წელიწადი აღმოჩნდა. წელს, დიზაინერმა კიდევ ერთი ახალი საზი „**Avtandil Jeans**“ შექმნა და 2007 წლის სეზონური კოლექციების ჩვენება ისეთ მნიშვნელოვან მოდის კვირეულებზე გამართა, როგორცაა: ათენის, მოსკოვის და კიევის მოდის კვირეულები; ავთო ცქვიტინიძე, ასევე, წლის **VIP** ბრენდის და ფონდ „ქართული ხარისხის“ წოდების მფლობელი გახდა.



ინტერიერი: "Opera design"

# ისტორიანი პროექტები



## წლის პრომოუტარები

“ისტერნ პრომოუშენი” (კახა კანდელაკი, მიხეილ გიორგაძე, გიორგი კერესელიძე, დათო მენაბდე, ალექსანდრე ბითაძე) საქართველოში ოფიციალურად 1998 წლიდან მოღვაწეობს. ქულისოს, “ბონი ემ“-ის, ჯეიმს ბრაუნის, ჯო ზავინულის, რეი ჩარლზის, ტანია მარიას, კენი გარეტის, ჯორჯ დიუკის, ელ ჯეროს, დენის როლინსის, ჯორჯ ბენსონის, მაიკლ ფრენქსის, კრის ბოტის, ბობი მაქფერინისა და კიდევ მრავალი სხვა ცნობილი მუსიკოსის ცოცხალი შესრულება ქართველმა მელომანებმა სწორედ “ისტერნ პრომოუშენის” საშუალებით მოისმინეს.

2000 წლიდან მოყოლებული, მათი თაოსნობით თბილისში ყოველწლიურად იმართება ჯაზის ფესტივალი, სადაც სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ჯაზის მუსიკოსები ქართველ მსმენელთათვის ცოცხალ კონცერტებს მართავენ. 2006 წელს კი ჯაზ-ფესტივალის სტუმრები acid jazz-ჯგუფი Jamiroquai, და ახალი ჯაზური მიმდინარეობის, modern creative - ის წარმომადგენელი, ჰერბი ჰანკოვი გახლდათ. შემოდგომაზე თბილისს ლეგენდარული გარი ბართონი და ჩიკ ქორეაც სტუმრობდნენ. ჯაზის ეს საღამოები ჯაზის მოყვარულთათვის, და არა მხოლოდ მათთვის, ნამდვილი ზეიმი იყო.





# დათო ლომიძე

## წლის პროპაგანდა

საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალური ფან-კლუბი, რომელსაც დიდი ხანი ელოდა გულშემმატკივარი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით და ჯგუფ „ულტრასტეპკომის“ დახმარებით, 2006 წელს დაარსდა. „ულტრასტეპკომში“ რამდენიმე ჯგუფი ერთიანდება: „ულტრა“ (მიხო ქოჩაკიძე) „სტეპრეკორდსი“ (აჩიკო გულედანი, ვახო ბაბუნაშვილი) და „კომუნა“ (სერგი გვარჯალაძე), რომლებიც ფან-კლუბის პიარ-კამპანიაზე ზრუნავდნენ. სწორედ მათი მონაწილეობით შეიქმნა პრომო-კლიპები ფეხბურთელებზე, დოკუმენტური ფილმი „ერთი გუნდი“ (რეჟისორი სერგი გვარჯალაძე) და შიმნი (ავტორები: აჩიკო გულედანი, ვახო ბაბუნაშვილი) „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“. შიტად ქცეულ სიმღერას, ჯგუფ String-ის ვოკალისტი, დათო ლომიძე ასრულებს. შიმნმა რადიკალურად შეცვალა ქართული ფეხბურთის გულშემმატკივართა განწყობა და ჩვენს გუნდს ბევრი ახალი ფანიც შესძინა.





# სოფო

ხალვაში



### წლის პოპ-ალმომჩენა

ტელეკომპანია “იმედის” ახალგაზრდა მომღერალთა კონკურსის, “ნუცას სკოლის” 10 მონაწილეს შორის, სოფო ხალვაში ერთ-ერთი იყო, ვისი შესრულებული სიმღერებიც იურმალას “ახალი ტალღა 2006” მონაწილეთა შესარჩევად მოსკოვში გაიგზავნა. ორეტაპიანი შესარჩევი ტური სოფომ წარმატებით გაიარა და 130 კონკურსანტიდან, “ახალი ტალღა 2006”-ის 16 მონაწილეს შორის მოხვდა.

მსმენელთა წინაშე, პირველად რევაზ ლალიძის “თბილისო”-თი წარსდგა. მერე იყო **Chain Reaction** (ბარი, რობინ და მორის გიბების სიმღერა, დაიანა როსის შესრულებით) და თემურ რცხილადის “საოცრებათა სამყარო”. იურმალას ახალგაზრდა პოპ-მომღერალთა საერთაშორისო კონკურსზე სოსო პავლიაშვილისა და თემურ თათარაშვილის წარმატების შემდეგ, სოფო პირველი იყო, ვინც საქართველოში ტიტულით, მესამე საპატიო ადგილით დაბრუნდა.



# პარსკვლავები



## წლის მსახიობი პარსკვლავები

2006 წელს, რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრების წინ რამაზ ჩხიკვაძის, მედეა ჩახავას, გურამ სალარაძის და ოთარ მეღვინეთუხუცესის ვარსკვლავები გაიხსნა; მათ გარეშე, ჩვენს მეხსიერებაში არ იარსებებდა დაუვიწყარი კინო და სცენური სახეები:

რამაზ ჩხიკვაძის გენიალური მოსამართლე აზდაკი თუ მეფე ლირი...

მედეა ჩახავას ლიდა პლახა („დამიანებო, იყავით ფრთხილად!“) თუ მელანო „ბაში-აჩუკიდან“...

გურამ სალარაძის სცენური სახეები – მილან სტიზორი („როცა ასეთი სიყვარულია“); გუბერნატორი ყაზბეგი, მღვდელი ანდა ეფრეიტორი „კავკასიური ცარცის წრიდან“...

ოთარ მეღვინეთუხუცესის სცენური სახე – სირანო დე ბერჟერაკი, თუ კინოროლები: გიორგი მეხუთე, დათა თუთაშხია, ელიოზი „ნატვრის ხიდან“ ...



# ნინო ანანიაშვილი

## წლის არტ-მენეჯერი

მას შემდეგ, რაც ნინო ანანიაშვილი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასს ჩაუდგა სათავეში, თეატრის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა: საბალეტო რეპერტუარი მრავალფეროვანი გახდა; მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტული არაერთი ნიჭიერი ქორეოგრაფი თუ სოლისტი დაუბრუნდა ქართულ ბალეტს.

ნინო ანანიაშვილისა და თეატრის დასისათვის, 2006 წელი განსაკუთრებით დატვირთული აღმოჩნდა. გასტროლებზე ჩამოვიდნენ მსოფლიოში ცნობილი დიდი თეატრების მსახიობები; ოპერისა და ბალეტის სცენაზე განხორციელდა ჯორჯ ბალანჩინის 6 საბალეტო დადგმა; თბილისს ეწვია მსოფლიოში აღიარებული მოდის ისტორიკოსი და სცენოგრაფი ვლადიმერ ვასილიევი, რომელმაც ქოვენო გარდენის თეატრიდან მოწვეულ მარგარეტ ბარბიერისთან ერთად, თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე ფრედერიკ ეშტონის ბალეტი „ორი მტრედი“ დადგა; დანიის სამეფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ფრენკ ანდერსონის თაოსნობით დაიდგა ავგუსტ ბურნონვილის „კონსერვატორია“.

თეატრი ამჟამად კიდევ ერთი პრემიერისთვის, ვახტანგ ჭაბუკიანის „ლაურენსია“- სთვის ემზადება.





### წლის მხატვარი

2006 წელს ლევან ლალიძემ ყველაზე მასშტაბური და გახმაურებული ფერწერული ტილოების გამოფენა მოაწყო. გალერეა TMS-ში გამოფენილ ნამუშევრებს უჩვეულოდ ბევრი დამთვალეიერებელი ჰყავდა.

ლევან ლალიძე იმ თანამედროვე მხატვართგანია, ვინც თავისი სტილით, ხედვით, არატრადიციული ფერებითა და სახასიათო განწყობის მატარებელი კომპოზიციებით ყველასგან განსხვავებულია.

# ლევან ლალიძე





### წლის წარმატება

“ვილა დ’ ესტე” მანქანის მოდელების ყველაზე პრესტიჟული გამოფენაა, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში მანქანის უკლებლივ ყველა მწარმოებელი და კოლექციონერი მოუთმენლად ელის. 2006 წელს სხვადასხვა ცნობილი ბრენდის მოდელების გვერდით, **BUGATTI**-ს 21-ე საუკუნის ტრადიციულ ელემენტებზე აგებული მილიონნახევრიანი მოდელი, ქართველი დიზაინერის, ზვიად ციკოლიას დიზაინით იწონებდა თავს.

კონკურსში 130 დიზაინერი მონაწილეობდა. კონკურსის გამარჯვებულად კი **BUGATTI**-ს ახალი მოდელის დამკვეთმა სწორედ ზვიად ციკოლია დაასახელა.

ზვიად ციკოლია სამრეწველო დიზაინში მოღვაწეობს. მისი დიზაინითაა შექმნილი ქართული ავიაკომპანიების თვითმფრინავების სალონები, პეჟოს ორი მოდელი – პეჟო 1007-ის ექსტერიერი, და პეჟო 307-ის ინტერიერი, მაჯის საათი, გაზის გამათბობელი და სხვა.

# ზვიად ციკოლია



# ტელე-პროექტი

## წლის ყველაზე მასშტაბური ტელე-კინო პროექტი

დამდგმელი რეჟისორი: ლევან თუთბერიძე, რეჟისორი: მარინა კულუმბეგაშვილი, ოპერატორი: გოგა დევდარიანი, მიმართულების პროდიუსერი: ზურა კინძარიშვილი, სცენარის ავტორი: აკა მორჩილაძე, კომპოზიტორი: ნუკრი აბაშიძე. მთავარ როლებში: დათო იაშვილი, ძიმა ტატიშვილი, გიორგი ნაკაშიძე, გიორგი ლიფონავა, თამუნა გაბრიელაშვილი, დათო ნეფარიძე, მარია ივანოვა, ანა ნიკოლაშვილი, პაატა გულაშვილი, აპოლონ კუბლაშვილი, ეკა ნიჟარაძე და უამრავი სტატისტი – ასეთია ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის და რეჟისორ ლევან თუთბერიძის გადაღები ჯგუფის ძირითადი შემადგენლობა, რომელიც თვრამეტსერიანი ფილმის შექმნაში იღებდა მონაწილეობას. მრავალსერიანი ფილმის გადაღება საქართველოსა და თურქეთში მთელი ზაფხულის მანძილზე მიმდინარეობდა, რომელიც ტელეკომპანიამ სპეციალურად ამერიკიდან ჩამოტანილი იმ უახლესი ტექნოლოგიით და ფორმატით გადაიღო, რომელიც სნგ-ს ქვეყნებში, ჯერ არავის გამოუყენებია. წლის ყველაზე მასშტაბურ ტელე-კინო პროექტს ჯერ საბოლოო სახელი არ აქვს. ის სავარაუდოდ გაზაფხულზე, „ახმედ კაია“-ს ან „ქალაქის ტყვიის“ სახელით გავა ეთერში.





ფოტო გალდუაზლია სტუდიაში – "Opera design"



# ძიუდო

## წლის ჩემპიონები

ნესტორ ხერგიანი, ვახტანგ ხოსიტაშვილი, ზაზა კედელაშვილი, დავით ქევიციანი, გიორგი ბაინდურაშვილი, ირაკლი ცირეკიძე, გრიგოლ მამრიკიშვილი, გიორგი ყიზილაშვილი, ლაშა გუჯეჯიშვილი, გიორგი ხანჯალაშვილი – ის ქართველი ძიუდოისტები არიან, ვინც 2006 წელს ძიუდოს მსოფლიო გუნდურ ჩემპიონატზე გაიმარჯვეს და საქართველოში ოქროს მედლებით დაბრუნდნენ. მათი მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი გახლავთ.

ძიუდოს ფედერაცია 1962 წლიდან არსებობს, მაგრამ ქართველი ძიუდოისტები მსოფლიო ჩემპიონები სწორედ წელს გახდნენ.

# აკა მორჩილაძე

ფოტო: ნიკო ტარიელაშვილი

## წლის ყველაზე მასშტაბური ავტორი

აკა მორჩილაძე ჩვენი თანამედროვეობის ყველაზე ცნობილი მწერალია. მკითხველი მას მისი რომანებით – “ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები”, “გაქრები მადათოვზე”, “ავგისტოს პასეანსი”, “უდაბნოს გლახები”, “ძირს სიმინდის რესპუბლიკა”, “მისტერ დიქსის ყუთი” და კიდევ მრავალი სხვა წიგნით იცნობს.

ამიტომაც არ იყო გასაკვირი, როცა შვეიცარულ-გერმანული გამომცემლობის, Pendo-ს წარმომადგენელმა, საქართველოში სტუმრობისას არჩევანი, სწორედ აკა მორჩილაძის “სანტა ესპერანსაზე” შეაჩერა. გერმანულ ენაზე წიგნი ნათია მიქელაძემ თარგმნა.

“სანტა ესპერანსა” გერმანიაში 2006 წლის დეკემბერში გამოიცა. გამომცემელთა ცნობით, ის უკვე დიდი წარმატებით იყიდება.






ფოტო-პროექტი

ფოტო-პროექტი

# ნეკალი

ავტორი: ტატო კოტეტიშვილი










ნეპალში მოვხვდი მონასტერში, სადაც 600 ლამა ცხოვრობს. დავინახე პატარა ლამა, რომელიც ისეთი საყვარელი იყო, რომ მის ლოყაზე მოჩქმეტა მომინდა.

მაგრამ 70 წლის ლამებს რომ დაუნყო ლოყებზე და ცხვირზე ჩქმეტა, რაზეც ისინი იცინოდნენ, მივხვდი, რომ არ ღირდა. როგორც აღმოჩნდა, ის მონასტრის მთავრის, რიმპუჩის მეგვიდრე, ანუ მეორე ლამა გახლდათ. მის გვერდით მყოფი ლამები კი მისი აღმზრდელები იყვნენ.





ამ არაჩვეულებრივ  
ადგილებში იმდენად  
უჩვეულო განწყობით  
და ამ განწყობით ისეთი  
გაბრუებული დავდიოდი,  
რომ ზოგიერთ დეტალს  
მერე ფოტოებზე  
ვამჩნევდი. მაგალითად,  
2500 მეტრის  
სიმაღლეზე, ამ ლურჯ  
სახლთან მდგომ პატარა  
გაკვირვებულ გოგოს  
ჰალსტუხი რომ ეკეთა,  
მერე შევამჩნიე.









ეს არის ქვეყანა, სადაც არ არსებობს ლარიები და მდიდარი. ისე, ალბათ არსებობს, მაგრამ მე ვერ დავინახე. ამიტომ ხალხს არ ანუხებს გაჭირვება, ისე როგორც ჩვენთან და მთლიანად შეგუებული არიან ცხოვრებას. სადაც უნდათ, იქ იძინებენ და იღვიძებენ.







ყველაზე მეტად, რაც  
 ნეპალიდან დამამახსოვრდა,  
 ალბათ მთებია. საქართველოში  
 თუ კავკასიონი მხოლოდ  
 ჩრდილოეთიდან მოჩანს და  
 მას ძალიან ბევრმა ქართველმა  
 მიუძღვნა ლექსი თუ ნახატი,  
 ნეპალში ეს ემოცია საითაც  
 არ უნდა გაიხედო, ყველგან  
 გხვდება, იმიტომ, რომ ნეპალში  
 მთები ყველგან არის. თან იქ  
 მსოფლიოში ყველაზე დიდი  
 მთებია!



ფოტო: ირაკლი გაღინია

მეჩქარება სკოლაში, რომ ედურა გამოვიყვანო. მას სახლში მივიყვან, შემდეგ კი წყალბურთზე უნდა წავიდეს. მე სტუმრები მეყოლება – მუსიკოსები, ვისთან ერთადაც ვაწყობთ საშობაო სიურპრიზს რამდენიმე ახალი სიმღერის სახით.

## სანდრა ელისაშვილ რულოვსი დღიურები

### 3 დეკემბერი, კვირა

გავიღვიძე მატარებელში... აჭარაში მივდივართ და პატარა ნიკოლოზისთვის ეს არის საუკეთესო და კომფორტული ტრანსპორტი. ასევე ჩვენთვისაც, რადგან მატარებელში შეგიძლია ისე იწირო, იმუშაო, იკითხო, მშვიდად ჭამო, ადამიანებთან ისაუბრო და ა.შ. “ჩვენ” ვართ მე, ძიძა, დაცვის სამი წევრი, ჩემი პრესის ასისტენტი მაკა, ჰუმანიტარული ფონდის ასისტენტი ზეინაბი და ეკა, ჩემი მდივანი იმ საბჭოში, რომელიც ახორციელებს პროექტებს შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ.

ჯერ ექვსი საათიც არ არის და უკვე ჩამოვდივართ მატარებლიდან. პატარამ გაიღვიძა. შემდეგი სამი საათი ვაგრძელებთ ძილს ბობოყვათის სასტუმროში...

ნიკუმას ვაჭმევ ძუძუს, ვსაუბრობ, ვსაუზმობ, ცოტა ხანი პიანინოზეც ვუკრავ და უკვე დროა წასვლის. წირვაზე მივდივარ ბათუმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში, სადაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მოღვაწეობა დაიწყო.

თორმეტის ნახევარზე მივდივართ ბათუმის რეაბილიტაციის ცენტრში, სადაც ორმოცდაათამდე უნარშეზღუდული ბავშვი დადის. აჭარის ჯანდაცვის მინისტრთან და ბათუმის მერთან ერთად ვესაუბრები ბავშვებს და მათ მშობლებს. გადავცემთ საჩუქრებს. ჯინსის ქურთუკში ჩაცმული ერთი ბიჭი, გელა, მეხუტება და გახარებული სახით მეკითხება, თუ როგორ ვარ...

ფრენბურთის ფინალური მატჩი “პირველი ლედის თასზე” წელს ბათუმში პირველად ტარდება და უკვე სამი წელია, ასეთ შეხვედრას ვესწრები... მატჩი ორ საათს გაგრძელდა და დასავლეთ საქართველოს გუნდის გამარჯვებით დასრულდა.

გვაგვიანდება შიდსის ღონისძიებაზე, კინოთეატრში, და ვწერ ვიულობ, რადგან თასი უნდა გადავცე, ინტერვიუ მივცე, უამრავი ადამიანი კი – უცხოელების ჩათვლით – ორი საათიდან გველოდება... ამ ღონისძიებას აჭარის ჯანდაცვის მინისტრი, განათლების მინისტრი და საქართველოს პარლამენტის წევრები ესწრებიან, ასევე ის ხალხი, ვისაც შიდსის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი... ინტერვიუს დროს ყურადღებას გავამახვილებ ნარკომანიასა და ნარკოტიკების მოხმარებაზე, რადგან ეს

სენი უდიდეს ზიანს აყენებს საქართველოს განვითარებას... ორმოცდაათი ათასი ნარკომანი და, სავარაუდოდ, ოთხასი ათასი მომხმარებელი დიდ საფრთხეს უქმნის თავის ჯანმრთელობას. მათ მუშაობის უნარი არ გააჩნიათ და თან ის ფაქტი, რომ დღეში ოცდაათი ლარი სჭირდებათ, იმას ნიშნავს, რომ ხშირ შემთხვევაში მათი საქმიანობა კრიმინალური ხდება... ნარკომანია ჯანდაცვის სექტორისთვისაც დიდ ხარჯთან არის დაკავშირებული. მინდა, რომ სკოლებში უფროსკლასელებს შევხვდე და ასეთ თემებზე ვესაუბრო... მგონი, ეს აუცილებელია და ამისთვის დროს გამოვნახავ.

ლონისძიების შემდეგ ბათუმის შადრევნების ტბასთან ჩემს მეუღლესთან ერთად ვისადილებ, შემდეგ ორ ოჯახს ვენვევი, რომელთაც ზაფხულში დავდიოდი ხოლმე. ერთ-ერთი მათგანი, სადაც მამა და სამი შვილი ცხოვრობს, ძალიან გაჭირვებულია; მეორე ოჯახმა კი ჩემი ხელშეწყობით ტყუპი ბიჭები იშვილა. ერთ-ერთის ნათლია მე ვარ...

შვიდ საათზე, შიდსის დღესთან დაკავშირებით, ბანკეტია დაგეგმილი, შემდეგ კი ახალგაზრდებისთვის დისკოთეკა გაიმართება. არ ვიცი, მეც უნდა ვიციკვო თუ არა, ვნახოთ... სამწუხაროდ, ხშირად ჩემი საქციელი ჩემს ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზე, რასაც ჩემგან ელიან...

ბანკეტის შემდეგ Save The Children-ის მიერ მონყობილ დისკოთეკაზე ვიყავით, სადაც ცოტათი ცეკვაც გავბედე...

**4 დეკემბერი, ორშაბათი**

დღეს მთიან აჭარაში მივემგზავრებით. ხულოს სამი სოფელი უნდა მოვინახულოთ, ჩავუტანოთ სახელმძღვანელოები, ფეხსაცმელები, ბურთები, გლობუსები, რუკები და ვიტამინები.

ხულოში გამგზავრებამდე, ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მივედი და კოლექტივს არსებულ პრობლემებზე ვესაუბრე. გზად ერთი ქალბატონი შემოგვიერთდა, რომელიც გასულ ზაფხულს პატარა გიორგი შანთაძეს პატრონობდა ხულოს ერთ-ერთი სოფლიდან. ეს ბავშვი რეანიმაციულ განყოფილებაში ჯერ კიდევ ბავშვთა სახლიდან გადმოვიყვანე და შემდეგ დიდხანს იმყოფებოდა ამ ქალბატონის მეთვალყურეობის ქვეშ... ასევე შემოგვიერთდა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი ლექსო ჩიკვაიძე. შუახვეში გაჩერდით, რადგან აჭარის ტელევიზიას საახალწლო მილოცვის ჩანერა უნდოდა. შესაბამისი ტექსტი ჩემმა ასისტენტმა და მე რუსულად და ქართულად დავამუშავეთ, საბოლოოდ კი, მგონი, წარმატებულად ჩავწერეთ.

ხულოს რაიონული ცენტრის შემდეგ

ვესტუმრეთ სოფელ დიაკონიძეების სკოლას, სადაც მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები უკვე გველოდნენ. გადავეცით საჩუქრები და მოვისმინე თხოვნები კოლექტივის წევრებისგან. შევედით თითოეულ კლასში და ვესაუბრეთ ბავშვებს ხან გაკვეთილის თაობაზე, ხან ენებზე, სოფელზე, ოჯახებზე. გადავიღეთ ბევრი სურათი და გზა ყვავილებით, ხილითა და თხილით ხელდამშვენებულებმა გავაგრძელეთ...

**გვძარკით მაქინა, ნიკუშას შვიდ**

**საათზე ვაჭამე და ისევ დავიძინე;**

**როდესაც გავიღვიძე, მეუღლის საათზე**

**დავინახე, რომ უკვე ათი საათი და**

**ორმოცდაათი წუთია. ჩქარა, ჩქარა,**

**ჩქარა!.. ერთი ლუკმა პური, ჩაი – და უკვე**

**ზუგდიდისკენ მიმავალ გზაზე ვართ.**

**ზუგდიდის ღონისძიებების შემდეგ, ისევ**

**თბილისში უნდა ვიყო, რადგან გაეროს**

**პრეზენტაციას უნდა დავესწრო და**

**ხუთ საათზე ნავიდე სტუდენტებთან,**

**რომლებსაც ფრანგულს ვასწავლი...**

საჩუქრები სოფელ ბოძაურშიც დავარიგეთ და თან ძალიან ვისიამოვნეთ, რადგან ბავშვებმა ჩვენი სტუმრობა ლექსებითა და სიმღერებით გაახალისეს. რამდენიმე ბავშვი თბილისში, საახალწლო ნაძვის ხეზე დავპატიჟე, რადგან არც ერთი მათგანი თბილისში ჯერ ნამყოფი არ არის.

შევამჩნიე, რომ ბევრ ბავშვს ღია ფერის თვალები და ქერა თმა ჰქონდა, რასაც ნამდვილად არ ველოდი. ერთ გოგონაზე კი ზუსტად ჩემი ფერის თმა რომ დავინახე, მივედი და ჩვენი თმები ერთმანეთს შევადარე, რამაც გამგებლის ყურადღება მიიპყრო და შემდეგ ეს ფაქტი ჩემს სადღეგრძელოშიც ახსენა...

შანთაძეების ოჯახში პატარა გიორგი აკვანში ინვა, ყურის ანთება თუ სეფსისი ჰქონდა, მაგრამ წონაში ცოტათი მომატებული იყო, კიდევ უფრო დამსგავსებოდა თავის მამას – მერაბს...



ფრენბურთის ფინალური მატჩი  
“პირველი ლედის თასზე” წელს  
ბათუმში პირველად ტარდება  
და უკვე სამი წელია, ასეთ  
შეხვედრას ვესწრები...

იმ ოჯახში მთელი ნათესაობა და ნაცნობობა შეკრებილიყო და ხელში ყველას განცხადება ეჭირა. გამონაკლისის გარეშე, ყველა სამედიცინო კუთხით დახმარებას ითხოვდა, ზოგს ოპერაცია სჭირდებოდა, ზოგს – რეაბილიტაცია ან საზღვარგარეთ მკურნალობა. ძალიან ძნელია ამის მოსმენა, როდესაც იცი, რომ ყველას ვერ დაეხმარები, თან სამედიცინო პოლისი აქვთ, მაგრამ ჯერ ვერ გამოიყენებენ ან ნაკლებად იციან, თუ რა უფლებებით სარგებლობენ.

ჩემი მოკრძალებული აზრით, ყველაზე უკეთესი ამ მხარეში მრავალპროფილიანი მობილური ჯგუფების გამოგზავნა იქნებოდა, თვეში ერთხელ მაინც; ასევე, ხულოში კარგი საავადმყოფოს აშენება შესაბამისი აღჭურვილობითა და კადრებით.

დიდი რიყეთის სკოლაში ველარ მოვხვდი, რადგან გზა მოყინული იყო, საჩუქრები ხულოს განათლების განყოფილებაში დავტოვე. გარანტია მოგვცეს, რომ ყველაფერს გადასცემდნენ. მე ამის მჯერა, რადგან ამ ფაქტს თავად მინისტრი დაესწრო... უკანა გზაზე გავიცანი უსაყვარლესი ცოლ-ქმარი, თამარა და თენგიზი, ექვსი შვილის მშობლები, პირველი შვილიშვილის მოლოდინში... ჭაჭით, პურითა და ყველით გაგვიმასპინძლდნენ. საუბრის დროს თენგიზს ვკითხე, რომელი აღმსარებლობის იყო, მან კი მიპასუხა, რომ ხან ეკლესიაში, ხან კი მეჩეთში დადიოდა, ასევე მითხრა, რომ რწმენა ხულოში ძალიან მკაცრი არ არის...

დაღლილები, შუახვევის მთიან-აჭარული სამზარეულოს შემდეგ, (ვგიჟდები კაისეფაზე, სინორსა და ბორანზე!) ბათუმში ლამის ათ საათზე შევედი. არაფრის გაკეთების თავი აღარ მქონდა (და არა მხოლოდ მე) – არც იმეილების შემონმების, არც განცხადებების კითხვის და არც არაფრის... ჩემს ასისტენტს ვუთხარი, რომ დილას ცხრა საათზე ვინყებდით მუშაობას, თერთმეტ საათზე კი ზუგდიდში უნდა წავსულიყავით. ნიკუმას ძუძუ ვაჭამე, შხაპი მივიღე და დავიძინე...

### 5 დეკემბერი, საშხაბათი

მკედარივით მეძინა, ნიკუმას შვიდ საათზე ვაჭამე და ისევ დავიძინე; როდესაც გავიღვიძე, მეუღლის საათზე დავინახე, რომ უკვე ათი საათი და ორმოცდაათი წუთია. ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!.. ერთი ლუკმა პური, ჩაი – და უკვე ზუგდიდისკენ მიმავალ გზაზე ვართ. გოგოები იქიდან წავლენ თბილისში, მე კი,

ზუგდიდის ლონისძიებების შემდეგ, მეუღლესთან და ნიკუმასთან ერთად კიდევ ერთი დღით დავრჩები, ოღონდ ხვალ ორ საათზე თბილისში უნდა ვიყო, რადგან გაეროს პრეზენტაციას უნდა დავესწრო და ხუთ საათზე წავიდე სტუდენტებთან, რომლებსაც ფრანგულს ვასწავლი...

გზაში მე, მაკა, ზეინაბი და ეკა ვსაუბრობთ და ორი საათის შემდეგ შევდივართ ზუგდიდში, სადაც ტუბერკულოზის ცენტრში გველოდებიან. თბილისიდან ჩამოვიდა ტუბერკულოზის ცენტრის დირექტორი, დოქტორი არჩილ სალაყაია.

ზუგდიდის ტუბერკულოზის ცენტრის სამსართულიან შენობაში მოთავსებული არიან “კლასიკური პაციენტები”, ტუბერკულოზით დაავადებული ოცამდე ადამიანი, რომლებსაც მკურნალობის ორ-სამთვიანი ინტენსიური კურსი ესაჭიროებათ. პირველ სართულზე განთავსებულია ლაბორატორია და ამბულატორია, სადაც პაციენტები ინტენსიური მკურნალობის (გადამდები პერიოდის) შემდეგ რეგულარულად მიდიან წამლების მისაღებად, მეორე სართულზე კი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია MSF-ის ოფისია, რომელმაც ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმის მკურნალობა დაიწყო. ზუგდიდის რაიონში ორმოცდაათამდე პაციენტი რეგისტრირებული.

ჰიგიენას უმკაცრესად იცავენ: ნიღბები, შლიუზების კარები, ვენტილაცია და ა.შ. დირექტორთან საუბრის დროს აღმოჩნდა, რომ გაეროს მისია საავადმყოფოს მესამე სართულის რემონტს დაპირებია (სამოცი ათასი ევროს ღირებულებით), რისი განხორციელებაც გაურკვეველი მიზეზით გაჭიანურებულია. გადავწყვიტე, მივსულიყავი UNOMIG-ის ადგილობრივ წარმომადგენლობაში, რამაც საკმაოდ დააბნია მისი ხელმძღვანელობა სოხუმში... აქ მეგობრულად მიგვიღეს და თავადაც კმაყოფილები იყვნენ ჩვენი ვიზიტით. მისიის ხელმძღვანელი მხიარული კორეელი იყო, თან ახლდა ორმოცი სამოქალაქო და სამოცამდე სამხედრო პირი, ოღონდ შეუიარაღებელი... გვითხრა, რომ აპრილში რუსეთის შეიარაღებული სამშვიდობო ძალების (სამიათასკაციანი კონტინგენტის) მანდატი ამოიწურებოდა, თუ გაეროს უშიშროების საბჭო ვადას არ გაუგრძელებდა. “ჩვენ აქ საკმაოდ გვიან ვდგებით” – თქვა მან და დილის შვიდის ნახევარზე ადგომას გულისხმობდა! მე ჩემს მასპინძელ ოჯახში კორეული სამზარეულო შევიტანე, მოგვასხენა. გამიკვირდა, რომ ყველა (გერმანელი, ჩეხი, პოლონელი, პაკისტანელი, ინდონეზიელი) ზუგდიდის სხვადასხვა ოჯახში ექვსი თვიდან ოთხ წლამდე ცხოვრობდა და ამისთვის თანხას იხდიდნენ. ვისაუბრეთ ტუბერკულოზის ცენტრის

რემონტზე, რაც მალე უნდა დაიწყო. სტიმული რომ მიმეცა, დავპირდი, რომ ორი თვის შემდეგ გახსნაზე სიამოვნებით ჩამოვიდოდი. ბოლოს, გაეროს დროში ქვეშ სურათები გადავიღეთ და იქაურობა დავტოვეთ...

დადიანების სასახლის ტერიტორიაზე ვისეირნეთ, ვლაქერნის ღვთისმშობლის ეკლესიაში შევედით და ტუბერკულოზის ცენტრისთვის წმინდა გიორგის ხატი, სანთლები და ლოცვანი ვიყიდე, რადგან იქ არსად იყო სალოცავი კუთხე. ხატი აკურთხეს... პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთში ზაზა გოროზია ყველგან დაუზარელად დავგვყვებოდა. პროკურატურის ახალი შენობაც დავათვალიერე და ბათუმში დავბრუნდი. გზიდან დავურეკე ფოთის პორტის დირექტორს ლაშა ახალაძეს, რომ ფოთში სადმე ერთად გვესადილა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მე ფოთში და ის კი თბილისში იმყოფებოდა... ცოტა ხნის წინ ფოთის ერთი სკოლა ჰოლანდიურ სკოლას დაუძმობილდა და მათ შორის თანამშრომლობა დაიწყო, რაც ძალიან მახარებს. მე და ლაშა, აგრეთვე, ვცდილობთ, რომ ინვალიდ ბავშვებს ეტლები შევუძინოთ. ამისთვისაც ჰოლანდიაში დავამყარეთ კონტაქტები. ჩემს მშობლიურ ქალაქ ტერნუზენსა და ფოთის პორტს 2004 წლიდან თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება აქვთ დადებული.

ქობულეთში ერთ საბავშვო ბაღში გაეჩერდი, სადაც მამა კირიონს ოცდაათამდე ბავშვი ჰყავს ყოველდღე, და სხვადასხვა ზომის ხუთი ველოსიპედი ვაჩუქე ჩემი ფონდის, SOCO-ს სახელით. ის ზაფხულობით ბანაკებს აწყობს ხოლმე და მეუფე დიმიტრისთან ერთად დიდი სურვილი აქვს, რომ უცხოეთში მცხოვრები ქართველი ბავშვები ამ ბანაკებში დაპატიჟოს, რათა ქართული სიმღერა, პოეზია ასწავლოს, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ექსკურსიები მოაწიოს და ა.შ. მან მთხოვა ოცდაათადგილიანი ავტობუსი და ქალაქ ქობულეთიდან ტერიტორიის განათება, საბავშვო ბაღისთვის – სათამაშოები, ჩამოსასრიალებლები, კარუსელები და ა.შ. არ ვიცი, რისი საშუალება მექნება მომავალში, მაგრამ ფაქტია, რომ ძალიან კარგი და კეთილშობილური ინიციატივაა.

საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე მდებარე პატარა ხის ეკლესიაშიც შევედი და სანთლები დავანთე. ბობოყვათის სასტუმროში მარტო დავბრუნდი. ასისტენტები თბილისში წავიდნენ (მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ისინი ტუბერკულოზის საავადმყოფოს დირექტორთან ყოფილან სახლში დაპატიჟებულნი მეგრულ ლომზე, ელარჯზე, საცივზე და კარგ დროსაც ატარებდნენ, მაშინ, როდესაც ჩვენ ცარიელი კუჭებით დავუბრუნდით სანაპიროს...). მეუღლე, ნიკუშა და ძიძაც ვერ-

ტმფრენით წასულიყვნენ თბილისში (პატარა ბავშვისთვის ეს, რა თქმა უნდა, ყველაზე სწრაფი და კომფორტული გზაა), ჩვენ კი ლამის მატარებლით ვაპირებდით წასვლას. ლამის კვება ამის გამო ამოვარდებოდა, მაგრამ ხვალ დილას ორივე უფრო დიდი მონატრებით განვაგრძობდით ძუძუთი კვებას. ეს მაინც ყველაზე კარგია ბავშვის განვითარებისთვის და იმუნიტეტისთვის და მიხარია, რომ უკვე მეთორმეტე თვეა, რაც დღეში მინიმუმ ორჯერ ვაჭმევ. ბავშვი სხვა სახის საკვებსაც იღებს, მაგალითად, გატარებულ ბოსტნეულს, ხილს, ქათამს, ხბოს ხორცს, მანონს, წინიბურას, ბრინჯს და ყველს.

**6 დეკემბერი, ოთხშაბათი**

ისევ მატარებელში ვართ. ის ქობულეთის განახლებული სადგურიდან ზუსტად თორმეტ საათზე დაიძრა და თბილისში დილას, რვის ნახევარზე იქნება. კარგია, ედუჩას სკოლაში თვითონ მივიყვან.

მატარებელში ცოტა სამუშაო მაქვს, მინდა ხვალინდელი ლექციის მომზადება, კომპიუტერში წერილების დანერა და მონაცემთა ბაზაში ახალი კონტაქტების შეყვანა. შოკოლადი, ორცხობილა, წყალი და ჩაი მაქვს, მაგრამ მატარებელში ასევე ძალიან კარგად მძინავს და ამიტომ, მგონი, დიდხანს აღარ ვიფხიზლებ...

დილას რვა საათზე ჩამოვედით თბილისში და, როგორც იქნა, ედუჩა ცხრა საათზე სკოლაში მივიყვანე. შემდეგ ცოტა ჩემს თავსაც მივხედე: დალაქთან წავედი, კიდეც რამდენიმე საათი დავიძინე... დღის ბოლოს პანაშვიდზეც მივედი...

“ქორთიარდ მერიოტში” დავესწარი გაეროს და USAID-ის მიერ ორგანიზებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის შედეგების პრეზენტაციას. 2005 წელს კონტრაცეპტივების მოხმარება 7%-ით გაიზარდა, ამაღლდა ქალების ინფორმირებულობის დონე და შემცირდა აბორტების რაოდენობა. მინდა ეს დავიჯერო, მაგრამ ვიცი, რომ რეგულაცია არის მოსახდენი, იმდენი რამის შეცვლაა საჭირო ამ დარგში; მაგრამ იმედით ცოცხლობს ადამიანი და, რასაკვირველია, იმედს არ ვკარგავ...

ხუთიდან შვიდ საათამდე სტუდენტები მყავს კავკასიის ბიზნესსკოლაში, მათ ფრანგულს ვასწავლი...

ამერიკელ სტუმრებთან, გაეროსა და სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად

მატჩი ორ საათს გაგრძელდა და დასავლეთ საქართველოს გუნდის გამარჯვებით დასრულდა





ქობულეთში ერთ საბავშვო ბაღში გავჩერდი, სადაც მამა კირიონს ოცდაათამდე ბავშვი ჰყავს ყოველდღე, და სხვადასხვა ზომის ხუთი ველოსიპედი ვაჩუქე ჩემი ფონდის, SOCO-ს სახელით.

ვვახშობთ და ცხრა საათზე შევდივარ სახლში.

ედუჩა თავის მეგობართან ერთად არის, ეს ჩვენი მეზობელი ბიჭია და, ამავე დროს, ჩემი ნათლულია.

გავიგე, რომ დღეს საპატრიარქოში ათ საათზე ლოცვა იქნება და ნიკუშასთან ერთად წასასვლელად ვემზადები.

უნმინდესთან ვსაუბრობთ ლოცვამდე და ლოცვის შემდეგაც და ჩაძინებულ ნიკუშასთან ერთად დაახლოებით თორმეტის ნახევარზე შინ ვბრუნდები... ღამის ორ საათამდე მაინც არ ვიძინებ, მეგობრებს ვწერ, ტელეფონით ვესაუბრები. რა კარგია,

რომ საქართველოში გვიანობამდე შეგიძლია რეკვა! ჰოლანდიაში საღამოს ცხრა საათის შემდეგ ტელეფონის ზარი ხალხს აშინებს, რადგან ფიქრობენ, რაღაც ცუდი მოხდაო...

ხვალინდელი შეხვედრებისთვის ვებეჭდავ მასალას და ვგეგმავ. ასეთი ჩვევა მაქვს: წინა ღამით ჩამოვწერო სია, რა უნდა გაკეთდეს შემდეგი დღის განმავლობაში, ვის უნდა დავურეკო, მივწერო, ვის ვხვდები და რისი გარკვევა მინდა. ეს ძალიან სასარგებლოა და მუხმარება პრიორიტეტების განსაზღვრაში.

**7 დეკემბერი, ხუთშაბათი**

ღიღის ოთხ საათზე ნიკუშას ვასმევ ჩაის, შვიდის ნახევარზე კი ძუძუს ვაძლევ. შემდეგ ერთად ვიძინებთ ტახტზე (ისე თავის საწოლშია ხოლმე, საკუთარ ოთახში).

ედუჩას ვაღვიძებ ცხრის ოც წუთზე და ძლივს ვასწრებთ ცხრა საათისთვის სკოლაში მისვლას. საუბარი მაქვს “თბილისის მერიოტში” ანსამბლ “რუსთავის” წევრებთან, შემდეგ კი თურქებთან, რომლებიც ქველმოქმედებას ეწევიან. როგორც შარშან, წელსაც ვაწყობთ გამოფენა-გაყიდვას, შემოსული თანხა კი ბავშვების დამწვრობის ცენტრს მოხმარდება. ეს ჩემი სამიზნე ჯგუფია, რადგან დამწვრობები ხშირად სოციალურად დაუცველ ოჯახებში ხდება, სივინროვის, გაზის ბალონის ან ცუდი ელექტროგაყვანილობის გამო, შუა ოთახში მდგარი ადრულეული წყალი ხშირად ბავშვების დამწვრობის მიზეზი ხდება...

შემდეგ ლუდუშაურის კლინიკაში მელოდებიან. ამერიკელებმა პერინატალურ ცენტრს დიდი ავტობუსი აჩუქეს, რომელიც ალჭურვილია საიმისოდ, რომ ქალებს დიაგნოსტიკა ჩაუტაროს რეგიონებში. შთამბეჭდავია, რომ ეს ერთ-ორ თვეში დედოფლისწყაროშიც

ინყებს მუშაობას და შევთანხმდით, რომ გახსნას დავესწრები.

პირველ საათზე მელოდებიან დამწვრობის ცენტრში, სადაც “დანიური სახლის” საჩუქრებს გადავცემ: ათ საწოლს მატრასითა და ლეიბებით, ორ კარადას და ნაძვის ხეებს...

უზომოდ გახარებული არიან! ჩემი კოლეგა ფონდ SOCO-დან იქ რჩება, რათა ბავშვთა განყოფილებაში ნახოს, თუ ვის ესაჭიროება ყველაზე მეტად დახმარება, წამლები და საოპერაციო თანხა. ჩვენ უკვე წლების მანძილზე ვეხმარებით მათ ასე.

მეჩქარება სკოლაში, რომ ედუჩა გამოვიყვანო. მას სახლში მივიყვან, შემდეგ კი წყალბურთზე უნდა წავიდეს. მე სტუმრები მეყოლება – მუსიკოსები, ვისთან ერთადაც ვაწყობთ საშობაო სიურპრიზს რამდენიმე ახალი სიმღერის სახით. მათთან ერთად ვსადილობ. კომპიუტერში წერილებს ვპასუხობ, ვრეკავ, ვგეგმავ და ვწერ ათ პასუხს შემოსულ განცხადებებზე...

ხვალ დილიდან სამსაათიანი ფრანგული ლექცია უნდა მოვამზადო. ალბათ, ერთ საათს დავიძინებ.

ამ კვირაში ვერ ვიცილი ექთნების კურსებზე დასასწრებად, ცუდი გოგო ვარ...

**8 დეკემბერი, პარასკევი**

პირველის ნახევარზე დავიძინე და ღამის ორ საათზე ნიკუშას ძუძუ ვაჭამე. მეუღლე ლაპარაკის ხასიათზე იყო. შუალამე კი იყო, მაგრამ სიამოვნებით ვუსმენ ხოლმე და ჩემს პროექტებზე, იდეებზე ვესაუბრები, ძირითადად იმაზე, რაც ვნახე რეგიონებში და რა შთაბეჭდილებებით ჩამოვედი – ამ შემთხვევაში მთიანი აჭარადან.

დილას რვის ნახევარზე ძიძამ ნიკუშა შემომიყვანა (როცა ვთხოვ, რჩება ხოლმე, მაგრამ ეს ძირითადად არ ხდება).

სკოლაში სანამ წავიდოდა, ედუჩამ შემახსენა, რომ პირველ საათზე გეოგრაფიის ღია გაკვეთილი და შემდეგ მშობელთა კრება იყო დაგეგმილი. ვიქნები-მეთქი, ვუთხარი...

მეოთხე კურსის სტუდენტთა ნახევარი არ გამოცხადდა... მათ სხვადასხვა ფორმაში სტაჟირება დაიწყეს. კარგია, რომ ზოგიერთს 1000 ან 2000 დოლარი აქვს ხელფასი.

თორმეტ საათზე მანქანიდან ხუთ ადამიანს ვურეკავ. ასე ვაკეთებ ხოლმე. ერთი მხრივ ცუდია, რომ თავად არ ვზივარ საჭესთან, რადგან მე ის მძღოლი არ ვარ, რომელიც, რაიმე რომ მოხდეს, ტროტუარებზე სიარულს შეძლებდა; მაგრამ, მეორე მხრივ, კარგია, რადგან მეტი დრო მრჩება საქმიანობისთვის.

როდესაც ჰოლანდიაში ჩემს მშობლებთან სტუმრად ვარ, მამაჩემი მსვამს ხოლმე საჭესთან და ბავშვით მიხარია.

ედუჩას სკოლაში ღია გაკვეთილზე ბავშვებმა სამხრეთ ამერიკაზე ისაუბრეს. ედუჩა მართლა ძალიან მაღალია, მეტრი და ორ სანტიმეტრი. თანაკლასელებთან ერთად რომ დგას, ეს კიდევ უფრო შესამჩნევია. კრებაზე ვისაუბრეთ ექსკურსიაზე და საშობაო სპექტაკლის თარიღზე. ედუჩა უნდა იყოს მეფე ობერონი “ზაფხულის ღამის სიზმარში”.

სახლში ჩვენი დიასახლისი ავად არის, ამიტომ “მაკდონალდსში” ვსადილობთ. “ივ როშეს” მაღაზიაში ვყიდულობ შხაპისთვის სასიამოვნო დასაბან საშუალებებს ჟოლოს, ვანილისა და ატმის სურნელით, რათა ქალებს შობა-ახალ წელს ვაჩუქო. ზუსტად ჯერ არ ვიცი, ვის რომელი მივცე, მაგრამ ამ მაღაზიასთან რომ გავიარე, ვიფიქრე, რომ ეს კარგი საჩუქარი იქნებოდა. ამიტომ გავჩერდი და ვიყიდე.

გვიყვები საჩუქრების გაკეთებაზე, ძალიან მსიამოვნებს სხვა ადამიანების გახარება და ყოველთვის ვცდილობ, ორიგინალური და ზედგამოჭრილი საჩუქარი იყოს. ხშირად ტანსაცმელსაც ვყიდულობ, რაც არ უნდა რთული შესარჩევი იყოს ზომის ან გემოვნების მხრივ.

მერე წავედი მეგობარ სოსოსთან. იგი უსინათლოა და პირველად წავიყვანე მის მეზობლად მდებარე ერთ მაღაზიაში. ცოტა დაიბნა...

ხუთ საათზე რეპროდუქციული ჯანმრთელობის კონფერენციის დახურვაზე დავპირდი წასვლას, ექვს საათზე კი დავიძრებით ბორჯომის ხეობისკენ, იქ ვიქნებით მთელი ოჯახი. ასპინძაში სოფელ ივერიაში მომიწევს წასვლა, რათა ერთი გაჭირვებული და მგლოვიარე ოჯახი მოვინახულო: მამა და ოთხი მცირეწლოვანი შვილი. ოცდაშვიდი წლის ქალმა სახლში იმშობიარა და უმცროსი ქალიშვილის – სანდრას დაბადების დროს ინფექცია შეეჭრა, სეფსისი დაემართა და რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა. როგორი ტრაგედიაა!.. ასეთი რამ დღევანდელ საქართველოში ხომ აღარ უნდა ხდებოდეს!

ნიკუმა და ძიძა ბორჯომში ამ დილით წავიდნენ, სალამოს კი ჩვენც იქ ვიქნებით. მომენატრა ბორჯომ-ლიკანი, სადაც ორსულობის ბოლო თვე და ნიკუმას სიცოცხლის პირველი ორმოცი დღე გავატარე.

ბორჯომის მფარველი წმინდა ნიკოლოზია და წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში მეორმოცე დღეზე მირქმის ცერემონია ჩავატარეთ თოელსა და ყინვაში...

## 9 დეკემბერი, შაბათი

დღეს ზურაბ ჟვანიას დაბადების დღეა. საფლავზე ვერ მივდივარ და, როგორც ყოველთვის, ნინოს აუცილებლად დავურეკავ...

ბორჯომის სამშობიაროში მივდივართ “და-

ნიური სახლის” ავეჯით. იანვარში იქ უნდა მივიყვანო ჰოლანდიელები, რომლებიც ძალიან დაინტერესებულნი არიან, რომ ამ გარდაცემულ სამშობიაროს დაეხმარონ.

სალამოს ლოცვაზე დასწრებას ვაპირებ კიმოთესუბნის ეკლესიაში. რამდენი უღამაზესი პატარა ტაძარია აქ, თამარ მეფის მიწაზე!..

ორშაბათ დილას, ცხრა საათზე, თბილისში უნდა ვიყო. ედუჩას სკოლაში მივიყვან, ათ საათზე კი ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს ჰემატოლოგიურ განყოფილებაში მივდივარ, სადაც ამჟამად ლეიკემიით დაავადებული ოცდასამი ბავშვი მკურნალობს. მათ ფინეთიდან ჩამოსულმა სანტა კლაუსმა საჩუქრები უნდა გადასცეს. ასეთ ბავშვებს მედიკამენტებით ყოველთვის ვეხმარები და ამიტომ ღონისძიებაში მონაწილეობას მეც ვიღებ... კომპანია “ბორჯომმაც” გამოთქვა სურვილი, რომ ბავშვებს დაეხმაროს, რადგან ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს დღეში თითო ლიტრი “ბორჯომი” სჭირდებათ. ის ფაქტი, რომ საქართველოში ქველმოქმედება ინერგება, ძალიან მახარებს...

## რედაქციისგან:

(სანდრა ელიზაბეტ რულოვსის „რადიო თავისუფლების“ ეთერით გადაცემული „დღიურები“ იბეჭდება შემოკლებით)

პირველის ნახევარზე დავიძინე და ღამის ორ საათზე ნიკუმას ვაჭამე. მეუღლე ლაპარაკის ხასიათზე იყო. შუალაშე კი იყო, მაგრამ სიამოვნებით ვუსმენ ხოლმე და ჩემს პროექტებზე, იდეებზე ვესაუბრები, ძირითადად იმაზე, რაც ენახე რეგიონებში და რა შთაბეჭდილებებით ჩამოვედი – ამ შემთხვევაში მთიანი აჭარადან.



ფოტო: ანდრეი ავაკიანი

# ბიორბი გვანხარია ნაწილი მეთხუთმეტე „პითომა აქ ვარ“ 1987

ილუსტრაცია: მაია სუმბაძე

ნაცნობი გრძნობა ყველასთვის, ვისაც მონევისთვის თავი დაუწე-  
ბებია – სულ რაღაც გინდა, რომ გქონდეს... პირში!

არა, მონევა, რა თქმა უნდა, არ არის ფილტვების ონანიზმი, რო-  
გორც არამწველები გვიმტკიცებენ ხოლმე. მონევა – ურთიერთო-  
ბის საშუალებაა, გარკვეული იარაღია კონტაქტის დასამყარებლად.  
თუკი ურთიერთობა გიჭირს, თუკი არ იცი, რა უთხრა მოსაუბრეს,  
რაღაცნაირად ხომ უნდა "გაალო პირი"? ჰოდა, იძულებული ხარ,  
რომ მონიო. მით უმეტეს, რომ ძალიან გინდა მყუდროდ და უსაფრ-  
თხოდ იგრძნო თავი – ნუ, დაახლოებით ისე, როგორც ძუძუს წოვდი,  
ღრმა ბავშვობაში და გეგონა, რომ სწორედ "ძუძუ" იყო ის, რასაც  
"დედას" ეძახიან... მერე ძუძუ სანოვარათი შეგიცვალეს და ახლა  
უკვე "სოსკა" გადაიქცა "დედად".

**სრულიად ამოვძირკვე ჩემი სხოვრებიდან  
სიბარები „კოსმოსი“, რომელსაც მანეთად  
ვშოულობდი დოლიდის ქუჩის ერთ ბასტრონომში  
და ინდური ხსნადი ყავა. ჩემი სახლის კარი  
დაიკეტა ყველა მწველისთვის, რაც პრაქტიკულად  
იმას ნიშნავდა, რომ სტუმრიანობის ხანა  
გვანხარიას სახლში 1984 წელს დასრულდა!**

ის ხალხი, ვისაც სიგარეტის გადაგდების პრაქტიკა აქვს, მზე-  
სუმზირის კნატუნს გვირჩევს, რათა პირი და "მრუდე მარჯვენა" (ან  
მარცხენა) მუდმივად გქონდეს დაკავებული.

ამაზე არც იფიქროთ! ეს მტრის რჩევაა – სტომატოლოგების შე-  
მოგდებული აზრია, რათა ისე დაიავადოთ ღრძილები, რომ მერე  
მთელი ცხოვრება კბილის ექიმთან მოგიწიოთ რიგში დგომა და ათა-  
სი საზიზღრობის გამოვლება.

87-ში სამი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მონევას თავი დავა-  
ნებე. გოგრის მარილიანმა მზესუმზირამ ისეთ დღეში ჩააგდო ჩემი  
ღრძილები, რომ ყოველ გაზაფხულზე, როცა პირში ყველაფერი ყან-  
ყალს იწყებს, დალოცვილი ლუდვიგ მეორე მახსენდება – ბავარიის

მეფე ლუდვიგი – სილამაზის მეხოტბე, "მთვარის რჩეული", რომელ-  
საც ისე მალე დასცვივდა ყველა კბილი, ისე დამახინჯდა, რომ ყვე-  
ლა სტომატოლოგისთვის თითო საჩვენებელი გახდა – თუკი დროზე  
ადრე არ მიხედავ კბილებს, "ლუდვიგი" დაგემართებაო.

არადა, ჩვენ ხომ ვიცით, რატომ დასცვივდა კბილები?

სინამდვილეს გაექცა, ზღაპრულ სასახლეში გამოიკეტა, რათა და-  
ცულად ეგრძნო თავი.

მაგრამ მაშინაც ხომ გაურბიხარ სინამდვილეს, როცა მონევაზე  
ამბობ უარს? სახლში არ უშვებ მწველებს, გეშინია, არ შეგაცდი-  
ნონ. საერთოდ, ყველაფრის გეშინია. მით უმეტეს, რომ რამდენი-  
მე დღის შემდეგ, სამყარო ახალი "სუნებით" მოგვევლინება. ყნოსვა  
გიმძაფრდება. ისეთი გრძნობა გაქვს, რომ ხელახლა დაიბადე და

თავიდან უნდა დაიწყო ყველაფერი – უსუნო  
სამყაროს და მარტო გაუყვე მის გზებს – გა-  
მცილებლის, მეგზურის, ძუძუსა და "სოსკის"  
გარეშე.

სამი წლის წინ, სრულიად ამოვძირკვე ჩემი  
ცხოვრებიდან სიგარეტი "კოსმოსი", რომელ-  
საც მანეთად ვშოულობდი დოლიდის ქუჩის  
ერთ გასტრონომში და ინდური ხსნადი ყავა  
(საბჭოთა კავშირის დანგრევისთანავე რომ  
გაქრა ჩვენში). ჩემი სახლის კარი დაიკეტა  
ყველა მწველისთვის, რაც პრაქტიკულად  
იმას ნიშნავდა, რომ სტუმრიანობის ხანა  
გვანხარიას სახლში 1984 წელს დასრულდა!

ძვირფასო მწველებო, ნუ შეგეშინდებათ,

თუკი სერიოზულად დაგემთ სიგარეტის გადაგდება! ბოლოს და  
ბოლოს, მზესუმზირის ნაცვლად, შეგიძლიათ რძე მიირთვათ, ყლუპ-  
ყლუპად სვათ მთელი დღის განმავლობაში. გარწმუნებთ, ეფექტი  
გასაოცარი იქნება! მაგრამ არც ესაა მთავარი; თუკი მწველებთან  
კონტაქტს განყვეთ, გირჩევთ აუცილებლად გამოიყენოთ ეს იძუ-  
ლებითი მარტობა, გააკეთოთ რამე, რასაც მხოლოდ სიმარტოვე  
აკეთებინებს ადამიანს.

მაგალითად, დისერტაცია დაწეროთ.

ჩემსავით.

მით უმეტეს, რომ დღეს თქვენს დისერტაციას რუსები, ე.წ. "ვა-  
კის" ჩინოვნიკები აღარ ასწორებენ... აღარაა საშიში ერთი მძიმის



## სრამლიანი სათვალე

გამო 3 წლის ნაშრომი წყალში ჩაგივარდეთ.

ჰო, კიდევ არც დისერტაციის მოსკოველი ხელმძღვანელები გყავთ... თუნდაც ჩემი ევგენი ვასილევინ გრომოვივით, კაკლის მურაბას რომ მიხვოდა ხოლმე მოსკოვში ჩასვლისას. მურაბის ქილას სადღაც, კარადაში დებდა და დისერტაციის კითხვას იწყებდა. მორიგი თავის დასრულების შემდეგ, არ არსებობდა არ ეთქვა – "Ты случайно не еврей?"

ასაკში იყო უკვე პროფესორი გრომოვი და ავიწყდებოდა რალაცეები. იმასაც ვეღარ ხვდებოდა, რომ დისერტაციას თემაზე "ეროვნული პლასტიკური ხელოვნების ტრადიციები ქართულ კინოში" ებრაელობასთან არაფერი ჰქონდა საერთო.

მაგრამ ეჭვიანი იყო. არ მოსწონდა ჩემი დაინტერესება ეიზენშტეინით. ერთსა და იმავეს ამბობდა: "Эйзенштейн – еврей, и к тому же педераст!" დიდად არც ჩემი დისერტაციით იყო აღფრთოვანებული. მთელი კვირა დამჭირდა, მაგალითად, ამეხსნა, რას ნიშნავს გახსნილი ფასადის ცნება ქართულ არქიტექტურაში, რატომ იღვწოდა ასეთი დაჟინებით დავით კაკაბაძე სურათის სიბრტყის გაღრმავებისა და "ცოცხალ სივრცედ" გადაქცევისთვის და რა აქვს ამას საერთო კინოხელოვნებასთან?

ასეთ პროფესორებს სიტყვა "ლიაობა" ვინმე აღან დალასის დოქტრინას აგონებს. სივრცე მათთვის აუცილებლად დაცული და შემოსაზღვრული უნდა იყოს... წინააღმდეგ შემთხვევაში, საშიშროება დაემუქრება იმას, რასაც ეს ხალხი "მეობას" ეძახის.

ეტყობა, სწორედ ასეთი პროფესორების გულის გასახეთქად გადაკვეთა 19 წლის გერმანელმა, მატეას რუსტმა საბჭოთა კავშირის საზღვარი 1987 წლის 28 მაისს (საბჭოთა მესაზღვრის დღეს) და თავისი პატარა თვითმფრინავი პირდაპირ წითელ მოედანზე, "ვასილი ბლაჟენის" ტაძართან დასვა. წითელ მოედანზე მოსეირნე ხალხს, ცხადია, თავში არ მოუვიდოდა, რომ ამ ყესტით ჰამბურგელმა ბიჭმა საბჭოთა იმპერიის ძღვევამოსილების იდეას დასცინა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, აღფრთოვანებული პუბლიკა რუსტს ავტოგრაფებს ართმევდა. ყველა ძალიან დაიბნა, როცა მიწაზე დაშვებიდან 10 წუთის შემდეგ, მატეასი დააპატიმრეს და ერთ თვეში "სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთისათვის" 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ყოჩალი ბიჭი იყო ეს რუსტი. "პერესტროიკას" დიდი საქმე გაუკეთა. სწორედ ამ ინიციატივის მერე დახსნა გორბაჩოვმა თავდაცვის მინისტრი და გენერლები, რომლებიც ყველანაირად უპირისპირდებოდნენ აქამდე. შეიძლება ითქვას, რომ რუსტი საბჭოთა კავშირის დანგრევის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი იყო. მით უფრო სასაცილოა, რომ 2001 წელს იგი ჰამბურგის მაღაზიაში... ჯემპრის ქურდობისთვის დააპატიმრეს.

რუსტის საქციელს ჩემმა პროფესორმა "ჟიდო-მასონების მორიგი ხრიკი" უწოდა. დიდხანს იმსჯელა ქართველი და რუსი ხალხის საერთო მტერზე და მოაყოლა, თბილისში, შენს დაცვაზე როცა ჩამოვალ, გორში წამიყვანე, სტალინის სახლ-მუზეუმის ნახვა მინდაო.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. დაცვა ორი კვირის შემდეგ, ე.ი. ივნისის ბოლოს დანიშნეს. გრომოვისთვის აღარ დამირეკავს და არც დაცვაზე დამიპატიჟებია.

და არა მარტო იმიტომ, რომ გორში წასვლა დამეზარა. უბრალოდ, მაგ მარაზმატიკის გამო (ახლახანს მომკვდარა საწყალი), სიგარეტის მონევა დავინწყე!

სრულიად დარწმუნებულმა, რომ დისერტაციის ორივე ხელმძღ-

ვანელი, ერთი თბილისში და მეორე – მოსკოვში, "რუსულენოვანი" მყავს და ხელმძღვანელები თავად იტვირთებენ რედაქტორის ფუნქციას, ამაყად მივიტანე "ვაკისთვის" გამზადებული ტექსტი ოპონენტებთან. ხელოვნებათმცოდნე ირინა ძუცევა – ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი თბილისელი ქალი, რომელიც ცხოვრებაში მინახავს – გაოგნებული იყო, ამდენი შეცდომა ტექსტში ჯერ არ მინახავსო. ახლა ყველაფერი მბეჭდავზე იყო დამოკიდებული – თუკი დისერტაციის ტექსტში შეცდომები ერთ დღეში არ გასწორდა, მთელი სამი წლის წვალეა წყალში ჩაიყრებოდა.

ძალიან მიქვს ერთი მბეჭდავი ქალი, ენგელის ქუჩაზე. სწრაფად ბეჭდავს და თანაც, რუსულენოვანიაო. მართლაც იყოჩალა და ერთ ღამეში დაბეჭდა. თითქოს ყველაფერი მოგვარდა. გამოვედი დილის

**პროფესორი გრომოვი ეჭვიანი იყო. არ მოსწონდა ჩემი დაინტერესება ეიზენშტეინით. ერთსა და იმავეს ამბობდა: "ЭЙЗЕНШТЕЙН – ЕВРЕЙ, И К ТОМУ ЖЕ ПЕДЕРАСТ!" დიდად არც ჩემი დისერტაციით იყო აღფრთოვანებული. მთელი კვირა დამჭირდა, მაგალითად, ამეხსნა, რას ნიშნავს გახსნილი ფასადის ცნება ქართულ არქიტექტურაში.**

7 საათზე მისი სახლიდან. ფოსტაში წასვლის წინ, კიდევ ერთხელ გადავხედე ტექსტს და ვაიმე! ისევ შეცდომები – არასწორად დაცული დისტანციები, გამოტოვებული სასვენი ნიშნები... სწორედ ის, რასაც გულისყურით აკვირდებოდნენ "ვაკის" ჩინოვნიკები!

ინსტინქტურად შევევარდი გასტრონომში, ვიყიდე ოცდაათკაპიკიანი სიგარეტი "მტკვარი" და გავაბოლე.

ერთ საათში შეშინებულმა მბეჭდავმა შეცდომები გამოასწორა და მეც ამაყად მოვისროლე "მტკვრის" კოლოფი. ლამის ლამის პერანგში ვაბეჭდინე საწყალს. ერთსა და იმავეს ვუმეორებდი, "თქვენს გამო, ქალბატონო, სიგარეტის მონევა დავინწყე!". მართალია დისერტაცია დროზე გავაგზავნე, "ვაკიდანაც" დადებითი პასუხი მივიღე და დაცვამაც კარგად ჩაიარა, მონევის დაწყებას დღემდე სამ ადამიანს ვაბრალებ – პროფესორ გრომოვს, ენგელის ქუჩის მბეჭდავს და ჟანა მოროს.

თუ მონევისთვის ახლადდანებებული გაქვთ თავი, მოერიდეთ ფილმების ნახვას ჟანა მოროს მონაწილეობით! ასეთ მდგომარეობაში საშიშია იმის ხილვა, თუ როგორ ეწევა ეს ქალი, როგორ უჭირავს სიგარეტი და როგორ დაფარფატებს კვამლში, რომელსაც თითქოს მუსიკის მიხედვით უშვებს თავისი ულამაზესი პირიდან.

ჟანა მორო ფილმში "ლიფტი ეშაფოტზე"! მაილს დევისის თემით **Generique...**

87 წლის ზაფხული იწყებოდა. ყველაფერი წარმატებით დასრულდა – დისერტაცია, გრომოვიც. ამ ავანტიურისტმა გერმანელმა ბიჭმაც დაგვაიმედა. მოსკოვის ტელევიზიამ ხომ საერთოდ ყველა გაგვაგვიფა. ახალ სატელევიზიო შოუს "До и после полуночи" ხალხი მთელი კვირა ელოდებოდა.

ასეთ დროს რატომ უნდა მონიო ვითომ სიგარეტი?

არ უნდა მონიო, თუკი მაინცდამაინც მაშინ, როცა ისევ იწყება საკუთარ თავთან ბრძოლის მომქანცველი პროცესი, მზესუმზირითა და სტუმრებისთვის გამოკეტილი კარით, შემთხვევით არ მოხვდი კინოთეატრში, სადაც "ლიფტს" უჩვენებენ.

არადა, 80-იან წლებში "ლიფტი" და ფილმები ყველაზე ლამაზი

# კოსმოსი

20

პირველი კლასის ფილტრირებული  
სიგარეტი



МИНЗДРАВ СССР ПРЕДУПРЕЖДАЕТ:  
КУРЕНИЕ ОПАСНО  
ДЛЯ ВАШЕГО ЗДОРОВЬЯ

სსსრ კმს  
განათლებლება  
თავისუფლება  
ГОСТ 3935-81



МПП ГССР  
ОБЪЕДИНЕНИЕ  
„ТБИЛТАБАК“  
ЦЕНА 70 КОП.

## სრამლიანი სათვალე

მწველებს, ჟანა მოროსა და ანი ჟირარდოს მონაწილეობით, კვირაში ერთხელ გადიოდა "პროფკავშირების სასახლის" მცირე დარბაზში, რომელიც ქართველმა კინოკლუბებმა, ლადო ტოგონიძემ და ოთარ ჭედიამ დაიქირავეს.

კინოკლუბები – უცნაური ხალხია. ზეპირად იციან, რომელმა რეჟისორმა როდის რა გადაიღო. ვინ იყო ფილმის ხმის რეჟისორი და როგორ ამინდში მოუხდა ავტორს ამა თუ იმ სცენის გადაღება.

მაგრამ ლადო და ირაკლი – განსაკუთრებული კინოკლუბები არიან... და არა მარტო იმიტომ, რომ თავის დროზე, როცა ეს თითქმის შეუძლებელი იყო, ტარკოვსკი თბილისში ჩამოიყვანეს და "ოფიცერთა სახლში" დიდი რეტროსპექტივა გაუმართეს. მთავარი ეს არაა – ლადოს და ოთარს შეუძლიათ "უდისციპლინობით" გამორჩეული ქართველი მაცურებელი კინოდარბაზში "გაასუსონ", შეუძლიათ შავი დღე აყარონ კინოშეყვანილს, რომელიც უდიერად მოეპყრობა ფირს, ან ხმას ნორმაზე არ დააყენებს.

თუკი "ლიფტი" ხმის ეფექტი ბოლომდე არაა დაცული, თუკი ბოლომდე ვერ შეიგრძენით 1957 წელს, სულ რაღაც 5 საათში ჩანერგილი მაილს დევისის მუსიკა (დევისი უყურებდა ჟანა მოროს "სვლას" ელისეს მინდვრებზე და იქვე იგონებდა Generique-ს), მაშინ კიდევ არის შანსი, რომ ამ პატარა ქალმა მართლაც არ დაგაბოლოთ და მისი მიბაძვის სურვილი არ გაგიჩნდეთ. მაგრამ "ეშაფოტის" კარგი

პეტრიაშვილისგან, მწერალმა და კინორეჟისორმა გაიმეორა რუსი კინოკრიტიკოსის, იური ბოგომოლოვის აზრი, გამოთქმული 1978 წელს, ჟურნალში "Искусство кино"... ბოგომოლოვი წერდა, ინფანტილური გმირების იდეალიზაციით, ქართულმა კინომ რეალობის გრძნობა დაკარგაო...

რომ იცოდეთ, რა ამბავი ატყდა ქვეყანაში. საქმეში მაშინ პირადად ედუარდ შევარდნაძე ჩაერია – ცეკაში გამოიძახა კინემატოგრაფისტთა ბრიგადა, რომელიც, თავის მხრივ, კონიაკითა და წითელი ღვინით შეიარაღებული, სასწრაფოდ გაფრინდა მოსკოვში მოსკოველი კრიტიკოსის დასახმარებლად.

ქართველები ამტკიცებდნენ, რომ ეროვნული კინო უარს არ ამბობს საბჭოთა რეალობის გამოხატვას... არადა, ყველამ მშვენივრად იცოდა, რომ ქართული კინოს ღირსება სწორედ საბჭოთა რეალობიდან გამიჯვნა იყო – იგავებით, ზღაპრებით, შერეკილებით, პუბლებზე მონადირე "ბებერი ბავშვებით"... ეს ფილმები, ცხადია, მოსწონდათ მოსკოვშიც – იმხანად განსაკუთრებით დამკვიდრდა მოდა ზრდაშეჩერებულ ქართველზე, რომელიც გულიანად აცინებდა რუს მაცურებელს, ახარებდა, რადგან ასეთი "მომინოების" მოთვინიერება ბევრად უფრო ადვილი იყო... ბოგომოლოვი აფრთხილებდა ქართველებს, რეალობას ვერ გაექცევით, ისტორია რომანტიკოსებისა და იდეალისტების მიმართ უღმომბელიაო.

არ დაუჯერეს, გაბრაზდნენ, კონიაკები ჩაიტანეს მოსკოვში.

არადა, ბოგომოლოვის წინასწარმეტყველება სულ რამდენიმე წელიწადში გამართლდება.

ჰოდა, ამ ჩვენმა ბატონმა გურამ პეტრიაშვილმა პირველმა ამოიღო ხმა იმის წინააღმდეგ, რასაც ჩვენი საზოგადოება ქართული კინოს მონაპოვრად მიიჩნევდა.

როგორ არ უნდა შემეყარებოდა ახლა ეს კარგი კაცი?

მას მერე, მისი წერილების აქტიური მკითხველი გავხდი.

1987 წელს, უკვე დისერტაციადაცულმა, გადავშალე გაზეთი "ლიტერატურული საქართველო" და დიდი ინტერესით დავიწყე ბატონი გურამის სტატიის – მისი რეცენზიის კითხვა, სერგო ფარაჯანოვის ფილმზე "ლეგენდა სურამის ციხეზე".

კაკლის მურაბა და გრომოვი! მაშინვე ჩემი პროფესორი გამახსენდა. ისევ შეთქმულების თეორია, ისევ ეროვნული კულტურის "გასომხების" საშიშროება... მწერალთა კავშირის გაზეთის მიერ დამკვიდრებული რიტორიკა, რომელიც ჯერ რობერტ სტურუას მიერ დადგმული ოპერის, "შუშანიკის ნამების" რაღაც უკიდევანო ლანძღვაში გამოიხატა, ახლა კი ფარაჯანოვის "დივერსიის" მხილებაში.

არ მინდა გრომოვი საქართველოში! – ვიფიქრე ჩემთვის და კინოკავშირის პლენუმზე მაშინდელი პრესის განხილვა ვითხოვე. "გავიხსენოთ, მაგალითად, გურამ პეტრიაშვილის პროფამისტური სტატია ფარაჯანოვზე..." – მოვუწოდე ქართველ კინემატოგრაფისტებს.

მოხსენების დასრულების შემდეგ, შესვენება გამოცხადდა. დერეფანში პირდაპირ პეტრიაშვილს შევეფეთე: "შენ ფაშისტი მიწოდე... შე დამპალო..." (არ შეუგინებია)...

და სრულიად მოულოდნელად მხეთქა. ისე ძლიერ, რომ თავბრუ დამეხვა და მგონი ცოტა ხნით გონებაც დავკარგე.


თავისი თქვა და ნავიდა. პლენუმზე ელდარ მენგელაიამ კავშირის წევრებს ეს ამბავი მოუყვა და ბატონი გურამის კინოკავშირიდან გარიცხვა მოითხოვა. სახლში რომ დავბრუნდი, მამაჩემმა ყველაფერი იცოდა – პეტრიაშვილის მისამართს ეძებდა, მოვკვდები და ბოდიშს მაინც მოვახდევინებო.

## „გონი ახლა ყველას დაზვიჟიან!“ – ვიფიქრე და თვალის გავაყოლე ჩვენი კინემატოგრაფისტების დელეგაციას. ისინი კვლავაც ამოქნარაბდნენ დარბაზში და ვერ ხვდებოდნენ, რომ ახლა, მათ თვალწინ, კრამლში სახელმწიფო გადატრიალება იწყებოდა.

პროექციის დროს, თქვენს სურვილს წინააღმდეგობას ვერ გაუწევთ. შეიძლება არც დისციპლინის მოყვარული კინოკლუბების შეგმინდეთ და იქვე გააბოლოთ, კინოთეატრში... ჩემსავით აღმოჩნდებით ყველაზე ლამაზი მწველის მომხიბვლელობის მსხვერპლი – ისევ დაიწყებთ მონევას.

არ ვიცი, რამდენ ასეთ თავყვანისმცემელს მოუწამლა ფილტვები ჟანა მორომ საფრანგეთში. იქ ნაკლებია შანსი, ისე დაგიტხარონ წერვები, რომ სიგარეტის კვამლში, პატარა ქალის ლივლივმა ტვინი გადაგიტრიალოს. მაგრამ აქ, ჩვენთან, 1987 წელს, როცა ხალხმა თავისუფლად დაიწყო ლაპარაკი, რამაც ჰაერის საშინელი დაბინძურება გამოიწვია, დიდი იყო შანსი გეფიქრა – რა მნიშვნელობა აქვს რა მომკლავს – სიძულელით გაჟღენთილი ჰაერი, თუ მანეთად ნაყიდი სიგარეტი "კოსმოსი", კარგი ინდური ხსნადი ყავის "თანხლებით"?

გურამ პეტრიაშვილი პირველად 1982 წელს ვნახე ტელევიზორში, "ჯაყოს ხიზნების" ისტორიულ გარჩევაზე. ისეთი ქოქოლა აყარა "ხიზნების" დამცველ ქართველ მასწავლებლებს, რომლებიც თემურ ჩხეიძის ლინჩის წესით გასამართლებას მოითხოვდნენ, რომ მას მერე მისი მშვენიერი ზღაპრების თავყვანისმცემლად ვიქეცი. ის ქართველები რატომ არ გაღიზიანებთ, პეპელას რომ დასდევნენ ჩვენს მოკლემეტრაჟიან ფილმებში? ასეთი რამ იკითხვა გაბრაზებულმა... ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ქართულ-საბჭოთა ტელევიზიაში ეჭვი გამოითქვა ეროვნულ კინოში "შერეკილებზე" მოდის დამკვიდრებაზე. რამდენად უცნაურიც არ უნდა იყოს ბატონი გურამ



## სრამლიანი სათვალე

მაგრამ ბოდის მოხდა კინალამ მე მომიხდა.

საქართველოს მწერალთა კავშირმა, რომლის გაზეთი (პროფესორი გრომოვიცი და იმ წელს რუსეთში ჩამოყალიბებული ძალიან ძლიერი ორგანიზაცია "პამიატივით") თითქმის ყოველ ნომერში ამტკიცებდა, ჯერ შენი უნდა გიყვარდეს და მერე სხვისიო, უფრო აქტიური აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენი კინოკავშირი. იმხანად ამ ხალხთან კამათს აზრი არ ჰქონდა. მათ ვერ შეაგნებინებდი, რომ "შენის" სიყვარული გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე უცხოისი. იმხანად უკვე პოპულარული გახდა აზრი, რომ წმინდა ნინო კაბადუციელი – ქართველთა განმანათლებელი, თავადაც ქართველთა ტომს ეკუთვნოდა. ერთ წელიწადში ჟურნალ "საბჭოთა ხელოვნებაში" დაიბეჭდა იოსებ ზეთეიშვილის წერილი "აბოს გმირობა და იოანე საბანისძის ღვაწლი", რომელშიც ავტორი გვთხოვს, ნუ დავემსგავსებით რუსებს, რომელთა მემკვიდრე კმაყოფილი წერს, პირველი რუსი წმინდანი, მოციქულთა სწორი ოღლა, "თვით ჩვენგან, რუსთა ტომიდან აღადგინა ღმერთმა"... იოსებ ზეთეიშვილი იხსენებს არსენ მეოთხის ტექსტს "გალობაი წმიდისა მოციქულისა ნინოსი", რომელშიც საქართველოს მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი აღწერს ქართველებს წმინდა ნინოს მოსვლის წინ. ესენი არიან ქედვიცხელი ბარბაროსები, უცნობელი (უმეცარნი) და მძიმენი (უმოდრანნი), სამარეში მყოფი დაყროლებული მკვდრები... წმინდა ნინო კი, რომლისთვისაც ქართული არის "ენა, რომელიც არ იცოდა" – გულთ ბრძენი და ღვთის მხილველი... მას მოჰყვებიან იდეალური უცხოელები – სპარსელები რაჟდენ და ევსტათი, სომეხი შუშანიკი, სირიელები იოანე და დავითი და მრავალი სხვა... მას მოჰყვება "ვეფხისტყაოსანი"...

იოსებ ზეთეიშვილს დღეს სხვა სახელი აქვს – მამა იოსები. იგი ლიტვაში, მართლმადიდებელი ტაძრის მოძღვარია. ჩემთვის – იდეალური ქრისტიანი, თუ გნებავთ იდეალური ქართველი, რომელიც ყოველთვის მენატრება, როცა პროფაშისტურ გამოთქმებს იმ ხალხისგან ვისმენ, ვისაც "ჭეშმარიტი მართლმადიდებლის" პრეტენზია აქვს.

სიძულვილის ინსტინქტი ყოველთვის უფრო სწრაფად მოქმედებს, ვიდრე განსჯა და ფიქრი.

მწერალთა კავშირმა "გაზეთის შეურაცხყოფისთვის" სასამართლოში ჩივილი გადანიშნა. აბობოქრდა საქართველოს ცეკას კულტურის განყოფილებაც – "რას ჰქვია სიტყვა ფაშიზმიო..."

და აბა, როგორ არ უნდა მოწიო ამ დროს სიგარეტი? მით უმეტეს, რომ კინოს სახლში მომხდარმა ამ ინციდენტმა, მგონი, ყველა ჩემს კოლეგას დაანებებინა მოწევა.

"ჩვენების" სიყვარული ადვილია. ამიტომ ყოველთვის ვერიდები სიყვარული აუუსხნა ჩემს კოლეგებს – კინომცოდნეებს. არადა, როგორ მინდა! ძალიან ცოტაა ასეთი უანგარო პროფესია. ხალხი, რომელსაც შეუძლია მძიმე "იაუფები" (ყუთები, რომელშიც კინოფირი ინახება) ათრიოს, მთელ სამყაროს აცნობოს რომელიმე რეჟისორის გამარჯვება და მერე, თუკი ამავე ავტორის სხვა ფილმი ან მისი სტატია აუგად მოიხსენია, აიტანოს მისგან ყველანაირი შეურაცხყოფა, სახეში შეფურთხება და გარტყმაც კი.

მაშინვე შეიკრიბა კინოკრიტიკის სექცია. მოვიდა ყველა ჩემი კოლეგა, მათ შორის ერთი ქალი, რომელთანაც რამდენიმე წლის წინ ყველანაირი კონტაქტი გავწყვიტე და რომელიც დღესაც არ მესალმება.

სწორედ ეს ქალი გახდა ჩემი ყველაზე აქტიური დამცველი. სწორედ მან შეადგინა წერილი, რომელშიც ღიად ამტკიცებდა, დიახაც,

ეს წერილი პროფაშისტურ იდეებს მოიცავსო. "კინოკრიტიკოსების დასკვნა" ცეკაში გაიგზავნა. როგორ არ უნდა მოწიო სიგარეტი, როცა იმ ადამიანისგანაც კი გრძნობ მხარდაჭერას, რომელსაც აქამდე "შენიანად" არ თვლიდი.

მწერლებმა ჩივილზე უარი თქვეს.

ცხადია, ეს იყო პატარა ტაიმ-აუტი, რომელიც მოგვიანებით ახალ, უფრო მასშტაბურ დაპირისპირებაში გადაიზრდება.

თანაც, ამ ხალხს მაშინ გვახარიასთვის არ ეცალა. ჯერ სხვა, მართლაც რომ ჭკვიანი ხალხისთვის უნდა გაეტეხათ სახელი. რობერტ სტურუასა და სერგო ფარაჯანოვს მალე მერაბ მამარდაშვილს მიაცილებენ. ფილარმონიაში, "სახალხო ფრონტელთა" ყრილობაზე, სადაც მამარდაშვილი არ ისურვებს ილაპარაკოს ის, რასაც უმრავლესობა ქადაგებს – იტყვის, ჭეშმარიტება უფრო მაღალი ცნებაა, ვიდრე პატრიოტიზმი... მას დარბაზიდან გააძევენ – ხმაურით, სტვენით, გინებით.

**ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო ვანტარნი და დალიდა მერაბ მამარდაშვილისგან, რომლის ლექსიებზე, უნივერსიტეტში იმხანად მთელი თბილისი დადიოდა. ჩემთვის იგი ასეთი დარჩება – ჩიბუხით ხელში, ჯონ ფორდის სხანების ფონზე. არა მარტო პრუსტზე, არამედ დალიდაზე მოლაპარაკე „ქართველი სოკრატე“.**

იგი გავა და თავის საყვარელ ჩიბუხს გააბოლებს.

მერე ბატონი გურამ პეტრიაშვილი, ისევ და ისევ მწერალთა კავშირის გაზეთში, ქართული ენის ცოდნას დაუწუნებს და "აი იას" სწავლებას დაუწყებს.

"თქვენ ხომ შეგიძლიათ საზღვარგარეთ წახვიდეთ, აქ რა გაჩერებთ?" – ვკითხე ერთხელ ჩემს საკუთარ სახლში (რომელიც ყველა "საზღვარგარეთს" მირჩევნია)... ტატა თვალჭრელიძემ მოიყვანა "კარგი ფილმების" სანახავად. ბევრი არჩია და ბოლოს მკითხა, არ მინდა ასეთი კინო, კარგი ვესტერნი მირჩევნიაო...

"მე რატომ უნდა წავიდე ვითომ? ეგენი წავიდნენ, თუ კარგია!" – ეს თქვა და იმის ახსნა დამიწყო, რომ არც იქა სუფთა ჰაერი, სადაც მე "ვუშვებდი". ჯონ ფორდის რომელიღაც ვესტერნის ყურებაში, რატომღაც ფრანგი მომღერალი დალიდა გაიხსენა. მისგან გავიგე პირველად, რომ დალიდასთვის თვითმკვლელობის საბაბი თავისი საყვარელი მსახურების, ჯუჯების – პეტროსა და ლუჩიას დაღუპვა გახდა. რაღაც უცნაური დაავადებით, 87 წლის 30 აპრილს ერთი ჯუჯა გარდაიცვალა, 1 მაისს კი – მეორე.

3 მაისს დალიდამ თავი მოიწამლა.


ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო ვესტერნი და დალიდა მერაბ მამარდაშვილისგან, რომლის ლექსებზე, უნივერსიტეტში იმხანად მთელი თბილისი თუ არა, "თბილისის ნაღები" მაინც დადიოდა.

ჩემთვის იგი ასეთი დარჩება – ჩიბუხით ხელში, ჯონ ფორდის ცხენების ფონზე. არა მარტო პრუსტზე, არამედ დალიდაზე მოლაპარაკე "ქართველი სოკრატე".

სახლში მაქვს დალიდას ფირფიტა, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ გამოუშვეს. გაარემიქსეს მისი სიმღერები, ახლადჩანერილ მუსიკას მისი ხმა დაადეს და ალბომს "ვითომ აქ ვარ" დაარქვეს.

სასაცილო მუსიკაა. მაგრამ ამ ფირფიტას დავდებ თუ არა, მაშინვე სიგარეტის მოწევა მინდება ხოლმე.





**შეშლილი დათვი**

– ლონდონში, სენტ პანკრასის მიდამოში არის ასეთი რესტორანი სარდაფით.

სარდაფი ბარია: სიგარეტებიდან რატომღაც მხოლოდ “ლაკი სტრაიკი” იყიდება, რომელსაც თვითონ ქალაქში ძნელად თუ გადააწყდები სადმე. ლონდონი ეგეთია, ბევრ ამბავსაც ვერ გაუგებ.

ვთქვათ, ბალიშის ყიდვა მოგიწინა, შენ გგონია იოლი საქმეა? მიხვალ და ეუბნები, ბალიში მინდა-თქო. მოგცემენ ბალიშს და მიხვდები, რომ არ გინდა ის ბალიში, ცხოვრებაში არ გიძინია ეგეთ ბალიშზე. ეს არა-თქო, სხვანაირი-თქო. აააა, კონტინენტური ბალიში გნებავთო, გკითხავენ შეფარული გაკვირვებით და გადმოგიღებენ შენთვის ნაცნობ ბალიშს. ინგლისური ბალიში ხომ სხვანაირია, ვინრო, თხელი და გრძელი. თვითონ ის უყვართ. თავისია, კუნძულია და ყველაფერი თავისი აქვთ. არც გასაკვირია.

ხო, “შეშლილ დათვს” მივუბრუნდეთ.

რესტორანი გახლავს დათვის ტყავებითა და ნაირგვარი ძველებური სანადირო რამეებით განწყობილი, სარდაფს კი მგონი ფსკერი არა აქვს. რაღაცით ჩვენს ძველებურ ღვინის სარდაფებს ჰგავს. აგურის თალები, სიგრილე და ასე შემდეგ. ოღონდაც მთავარი ამ ბარში ტუალეტი გახლავს. და პირველად მიყვანის ეფექტიც ამაში მდგომარეობს: გამასხრების ამბავია და მოულოდნელობებისა.

ანუ, ღირსშესანიშნაობა საპირფარეშოა. პირველად რომ წაგვიყვანა იქ ერთმა ძმობილმა, ხელებს იფშენებდა, ახო, აბაზანაში მიმყავებართო. ნახავთ, რაც მოგელითო. ჯერ თითო არ დაგველია და შემოგვიჩნდა, გინდა თუ არა, საპირფარეშოში წადითო. არ მინდოდა და რა ძალა? კვდებოდა სიცილით. ამნაირი მოქცევა კი, ცხადია, ინტრიგაში გაგხლართავს.

მოკლედ, რომ არ გავაგრძელო, საპირფარეშოს არსი პირველად მისულის გაბითურებაა.

ორი ჩვეულებრივი ყავისფერი კარია ყავისფერსავე კედელზე და დიდად არც ეტყობა, რომ კარია. ქალის რომელია და კაცის რომელი – არ ანერია. ახლა, ქალის თუ ყოველთვის მარცხნივია, ეგებ ამ შემთხვევაში მარჯვნივაც იყოს, რას გაიგებ. არც სახელური აქვს, არც რამე და მიაწვები, შედიხარ და აღმოაჩენ, რომ ქალებისაში შესულხარ. ასე რომ, თავიდან ჯობია შეიხედო, იმიტომ, რომ თუ შეხვედი, გზას ძნელად გამოაგნებ. საკუთარი თავის მეტს ვერაფერს და ვერავის დაინახავ, თუ, რა თქმა უნდა, ქალი არ შემოგეფეთა. ოღონდაც ისიც ხელის ცეცებით ეძიებს კარსა.

რატომ და იმიტომ, რომ შიგნით სულ სარკეებია. ყველაფერი სარკეა. კარის უკანა მხარეც კი და ღრიჭოც არ ეტყობა. ხარ ამ სარკეებში და ხელით ანგები კედლებს.

კაი, შეგეშალა და გამოხვედი, შეხვედი კაცებისაში. იქაც სულ სარკეებია, საკუთარ თავს ვერსად დაემალე, ჭერში აიხედავ და იქაც სარკეა, თან ამ სარკეებზე წყალი მოედინება, როგორც ერთ დროს მელიქიშვილზე, ხილ-ბოსტანის მაღაზიის ვიტრინაზე.

ხელის დაბანაც არ არის იოლი – ონკანი არ ჩანს, გძელი ნიჟარაა და ტიხარს ქვემოდან მოედინება წყალი. უცებ შეწყდება ხოლმე, ყოვლად ვერაგულად და დგახარ ხელეგაშვერილი და ელოდები. ერთი საქმე კიდევ ესაა, რომ ამ ხელების ბანაში, შეიძლება ვიღაც ქალის ხელებს წაატანო ხელი, იმიტომ, რომ ონკანი ზიარია, ტიხარი იმგვარია, რომ იქედანაც მოუდგები.

აი, ასეთი რამეა. სხვები კიდევ, გამოცდილები, გარეთ დგანან და როცა გაარწევ ამ ადგილიდან, გეკითხებიან, ჰა, როგორია? ადრე თუ გვიან გამოაღწევ, მიაგნებ კარს. თან ესეც იანგარიშე, რომ კარის მიგნება იმიტომაც ჭირს, რომ ბარის საპირფარეშოში უფრო შემთვრალი ხალხი დაიარება, ვიდრე ფერწანდო მაგელანი, რომელიც სად აღარ იკვლევდა გზას და ბოლოს მაინც მოკლეს.

მეორე ჯერზე ალაბათ იოლია. იმ ბარს თავისი მუდმივი მოყვარულები ჰყავს და იმათთვის არაფერია. უბრალოდ, როცა ამხანაგების მსუბუქად გათამაშება უნდათ, იქით წაიყვანენ ხოლმე.



**ქუთაისის ქუჩები**

– არსებობს ასეთი საოცარი წიგნი, რომელშიც სრული სიზუსტითაა აღწერილი ქუთაისის ქუჩათა მდებარეობა და სახელები. ეს წიგნი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ შეიტყო, რა ხდებოდა ქალაქში მეოცე საუკუნეში.

მოკვდები, ორიოდ ნანყვეტი რომ არ გადმოვიწერო:

“გიორგი ერისთავის ქუჩა: მდებარეობს მდ. რიონის მარჯვენა მხარეს, ლ.ასათიანისა და კოსმონავტების ქუჩებს შორის, შედის ძეღქვიანის მუნიციპალიტეტში, წარმოქმნილია მე-19 საუკუნის შუახანებში, ამ დროისათვის იგი შედიოდა იურჩენკოვის ქუჩის შემადგენლობაში, შემდეგ ბაგრატიის ქუჩის, ხოლო 1922 წლიდან კი პროფესორ მარის ქუჩის ნაწილს შეადგენდა. 1953 წელს ქუჩას აღნიშნული მონაკვეთი ცალკე გამოეყო და მიენიჭა ქართველი დრამატურგისა და პოეტის, თეატრალისა და საზოგადო მოღვაწის, გიორგი დავითის ძე ერისთავის (1813-1864) სახელი. გააჩნია 1-ლი, მე-2 შესახვევი, მე-2 ჩიხი.”

ანდა ეს:  
 “აკაკი ვასაძის ქუჩა – მდებარეობს მდ. რიონის მარცხენა მხარეს, შედის საფიჩხიის მუნიციპალიტეტში, იწყება გელათის ქუჩიდან და მთავრდება გაპონოვის ქუჩასთან (ყოფილი შაუმიანის ქ. მე-2 შესახ-



ვევთან). გვიანი ფეოდალური ხანის ქუთაისის სინამდვილეში ქუჩის ტერიტორია შედიოდა ქალაქის საგარეუბნო სოფლის, მწვანეყვავილას, ე.წ. ქვარიანების უბნის შემადგენლობაში და ქვარიანების საკუთრებას წარმოადგენდა.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ქუჩის ტერიტორია ამ ქვარიანთაგან ერთ-ერთის, ანდრეი ქვარიანის, ხოლო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მისი შთამომავლების საკუთრებას წარმოადგენდა. (მათი ერთ-ერთი შთამომავალი იყო ჩვენი საუკუნის განთქმული ფალავანი, კოლია ქვარიანი). ქუჩად წარმოქმნა დაიწყო მე-19 საუკუნის შუახანებიდან, როდესაც ქვარიანის გარდა, აქ სხვა მოსახლეებიც გაჩნდნენ. მართალია, იგი მოწამეთას ქუჩის შესახვევად იყო მიჩნეული, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ქვარიანების შესახვევაც უწოდებდნენ (ასევე იწოდებოდა ხანდახან ჯაფარიძის ქუჩის 1-ლი შესახვევიც). 1926 წლიდან ეს შესახვევი თაბუკაშვილის ქუჩის 1-ლი შესახვევია, შემდეგ ჯერ თბილისის, შემდეგ გელათისა და დავით აღმაშენებლის ქუჩის (ყოფილი გელათის) 1-ლი შესახვევი.

1980 წელს შესახვევი ქუჩად გამოცხადდა და მიენიჭა გამოჩენილი ქართველი მსახიობისა და რეჟისორის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, აკაკი ალექსის ძე ვასაძის (1899-1978) სახელი, რომელიც ამ ქუჩაზე მდებარე, ნომერ 23 სახლშია დაბადებული.”

გამაგიჟა ავტორების მიერ თავიანთი ქალაქის ცოდნამ, მაგრამ ამაზე არანაკლებ გამაგიჟა იმან, თუ რა ხდება ერთ, თუნდაც პატარა ქალაქში.

მგონი ქუჩები ტანსაცმელს ჰგავს: ქალაქი იცვლის ხოლმე, თუმცა, ზოგჯერ ისე გამოდის, რომ ძველი ტანსაცმელი ახალს სჯობია. ეგებ ტანსაცმელი უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე ქუჩის სახელი. ამიტომ, არ გვინდა ტანსაცმელი, ჰალსტუხი იყოს. ქუჩების სახელები ჰალსტუხები ყოფილა.

### ჰიტლერის დაბადება

– მასხოვს ჰიტლერის ნიგნის “მაინ კამპფის” პირველი წინადადება: თითქოს სიმბოლურია, რომ ბრაუნაუმი დავიბადე, ინის პირად, ორი გერმანული სახელმწიფოს საზღვარზე”, ანუ ავსტრიისა და გერმანიისაო.

იმ წიგნიდან კიდევ ებრაელებზე მასხოვს რაღაცეები, მეტი არაფერი. მგონი ეს კარნახობდა, რუდოლფ ჰესი კი წერდა და სტილს უკეთებდა, როცა ორივენი ციხეში იხდნენ.

საინტერესოა, როგორ დაიბადა ჰიტლერი. მის ოჯახზე კი წამიკითხ-

ვს რაღაცეები, მაგრამ იქ არ წერია, როგორ დაიბადა და სადა. მეტი კიდევ არ წამიკითხავს.

არის ინგლისელი მწერლის, როალდ დალის (წარმოშობით ნორვეგიელია მგონი) სასაცილო მოთხრობა, რომელსაც “კატასტროფის წინასიტორია” ჰქვია. იქ არის აღწერილი ჰიტლერის დაბადება. ბოლოს, დედამისი კლარა ამბობს, ნეტავ გადარჩესო, იმიტომ, რომ სუსტი ბავშვი ჩანს. ღმერთსაც შესთხოვს. მამა ლოთი და საზიზღარია. ნეტა მართლა ასე ლაპარაკობდნენ, როცა ადოლფი იბადებოდა?

ჰიტერ აკროიდს აქვს “დინ ლინო და ლეიჰაუსელ გოლემში” აღწერილი ჩარლი ჩაპლინის ფეხმძიმე დედა. აუჰ, რა გამახსენდა: ჩაპლინის “ჩემი ბიოგრაფია”, რომლის ბავშვობის ნაწილიც ძან მაგარი ნიგნია.

ხედავ როგორ გადაება? ჩაპლინი და ჰიტლერი. გასაკვირიც არ არი. ალბათ, “დიდმა დიქტატორმა” გადააბა, ან ეგებ ფეხმძიმე დედებმა?

### ბარბუტანი

– ასე ერქვა პატარა კაფეს ქალაქ სენ-ნაზერში. ამ კაფეში ბარე მთელ კვირას დაგვატარებდა კოტე ჯანდიერს და მე იქაური პოეტი კრისტიან ბუტემი, სრულიად დაუეინყარი და გასაგიჟებელი ადამიანი. ბარბუტანის პატრონს ერქვა დედე, ჰქონდა დიდი, აპრეხილი ულვაში და ხუჭუჭა ჭალარა თმა, იყო კაი ბეხლენი კაცი და ძალიან მაგონებდა ალექსანდრ დიუმას. დედე ტერორისტებს გვეძახდა, ალბათ წვეროსნობის და მუქი სამოსის გამო. ერთხელ კოტეს ლიმონათიც კი გაუკეთა. იყო ერთი კალვადოსების და სიდრების სინჯვა, ხოლო ბუტემი იშვიათი უნარის მსმელი გახლდათ.

საკუთრივ სენ-ნაზერი გვარიანი ოდენობის ხალხის სანავსადგურო ქალაქი იყო. იქ შენდებოდა “მერი2”, ახლა რომ ყველაზე დიდი გემია მსოფლიოში. კოტემ სურათიც გადაუღო. მეორე მსოფლიო ომის დროს სულ დაენგრიათ, სამი სახლილა გადარჩენილიყო, ზღვაში კი ამერიკელი ჯარისკაცის ქანდაკება იდგა. მგონი პირველი მსოფლიო ომის დროის სამოსში.

კაი წვიმა იცოდა იმ სენ-ნაზერში. ატლანტიკური ლუარა, ბრეტონი. ეს “ბარბუტანი” კი ლამის ყველაზე მოდური ადგილი იყო ქალაქში, უფრო ბინძურ ამბავში. ერთი ჭალარა კაცი მასხოვს იქა, მზით სულ გარუჯული. ამბობდნენ, აი, ახლახანს დაბრუნდა მარტინიკის კუნძულიდან, ნახე როგორი ზაგარი აქო, მარტო კუნძულის მზემ იცის ასეთიო.

# დათო ტურაშვილი საახალწლო პიესა

ილუსტრაცია: მამუკა ჭყავთაშვილი

# შავი კეტები

(ორმოქმედაზიანი სეზლა თეთრი  
იუმორის თანხლებით)

მოქმედი პირები (და არა მხოლოდ პირები):

**დედა გოია** – საროსკიპოს დიასახლისი და მფლობელი

**მზია** – საროსკიპოს სტაჟიანი თანამშრომელი

**ზეზვა** – პროფესორი (საროსკიპოს შემთხვევითი კლიენტი)

**მედიკო** – საროსკიპოს თანამშრომელი (ორი შვილის დედა)

**ლოლა** – საროსკიპოს თანამშრომელი (თანამშრომლებს შორის ყველაზე ახალგაზრდა ქალი, მაგრამ ყოველთვის მაღალ ქუსლებზე, კლიენტების მომსახურების დროსაც კი)

**ბატონი გურამი** – საროსკიპოს მუდმივი კლიენტი ქალი ჯანმრთელობა - გურამის მეუღლე

**პოლიციელი** – მუქთა კლიენტი

**დეპუტატი** – საროსკიპოს ხშირი სტუმარი

**მარო** – დაღლილი ახალგაზრდა კაცი

**ბიჭი** - შეყვარებული კლიენტი

**ბოდლო ყვალთავა** – (უნებლიე კლიენტი) და მისი ორი კაცი





## პიესა

ამ საახალწლო პიესის მოქმედება ხდება თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის მეშვიდე სართულზე, ერთ-ერთ ნაქირავებ ბინაში. ბინა წარმოადგენს არალეგალურ საროსკიპოს, რომელიც სამოთახიანია, მაგრამ მაცურებელი ხედავს მხოლოდ წინა ოთახს, რომლებსაც ერთმანეთისგან ყრუ კედელი ჰყოფთ და ორივე ოთახს აქვს ცალ-ცალკე შემოსასვლელი მესამე, დიდი ოთახიდან. უკანა, მისაღებ ოთახს (რომელსაც მაცურებელი ვერ ხედავს), აქვს მოსაცდელის ფუნქცია, ხოლო კლიენტების მომსახურება ხდება სწორედ წინა ოთახში და ზოგჯერ ერთდროულადაც კი, ერთმანეთის პარალელურად. ორივე ოთახს აქვს თითო ფანჯარა, საიდანაც ზოგჯერ მანქანებისა და ქუჩის ხმაური აღწევს. საახალწლო პიესა კი იწყება ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე საროსკიპოს ერთ-ერთ წინა ოთახში, სადაც შუქი ჩამქრალია და სიბნელეში მხოლოდ გახშირებული სუნთქვის ხმა ისმის. ამ ხმას პერიოდულად ერთვის კენესა, რომელიც მორიგეობით აღმოხდება ხოლმე ქალსაც და კაცსაც სექსუალური აქტის დროს ეს ხმები ნელ-ნელა მატულობს და სწორედ იმ წამს, როცა ეს ურთიერთობა კულმინაციას აღწევს, კონტრაპუნქტში ქალი და კაცი, ერთდროულად, საბოლოოდ ამოიკვნესებენ და სინათლეც აინთება.

სინათლის ანთებისთანავე, ორივენი სასწრაფოდ, აჩქარებით გადაიფარებენ ზეწრებს შიშველ სხეულებზე და გაოგნებული სახეებით შეხედავენ დედა გოიას, რომელმაც დაუჟაკუნებლად შემოალო კარი მათ ოთახში და სინათლეც თვითონვე აანთო.

**დედა გოია** – სწრაფად ჩაიცვით, პოლიცია მოდის!

(პოლიციის ხსენებაზე კაცი ისეთი სახითა და სისწრაფით ჩაიცვამს, რომ ქალებს გულწრფელად გაუკვირდებათ და უადგილოდ გაეღიმებათ).

**მზია** – ჩანთა დაგრჩათ (წამოიყვირებს მზია და პროფესორის ჩანთით ხელში, უკვე ოთახიდან გასულ კლიენტს აჩქარებით გაეკიდება).

**დედა გოია** – ბავშვებით არიან (იტყვის უფრო თავისთვის და გვერდით ოთახის გამყოფ კედელზე გამეტებით დააკაკუნებს. იმ ოთახში საროსკიპოს სხვა თანამშრომელს, მუდამ მხიარულ ლოლას სძინავს, რომელიც კაკუნის ხმაზე გაიღვიძებს და გაიზმორება. კაკუნი ისევ განმეორდება და ლოლაც წამოდგება, ნაუცბათედად, ერთობ შილიფად შემომოსება და იმ ოთახში შევა, სადაც ამ საროსკიპოს მფლობელი დედა გოია ისევ კედელთან დგას და აკაკუნებს. მხოლოდ ლოლას დანახვისას დაუშვებს ხელს, კედლის

საათს შეხედავს და გაბრაზებული მიმართავს მას):

**დედა გოია** – ორ საათამდე გძინავს!

**ლოლა** – მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, სტუდენტებს სტიპენდიები აუღიათ და დღემდე არ ამომასუნთქეს...

**დედა გოია** – (ანწყვეტინებს) წუთი-წუთზე პოლიცია მოვა

**ლოლა** – (გულწრფელად გაბრაზებული) გუშინ ხომ იყვნენ?!

**დედა გოია** – დღეს მოადგილე მოდის, უკვე დარეკეს

**ლოლა** – ესე იგი ტყუილად გამაღვიძე, ძალოვანებს მზია და მედიკო მოწონთ, ჩემნაირებს უფრო სტუდენტი-ახალგაზრდობა ეტანება...

**დედა გოია** – (ისევ აწყვეტინებს მზიას) მედიკო სოფელშია წასული

**ლოლა** – მზია ხომ აქ არის

**დედა გოია** – ორივე მოადგილე რომ მოვიდეს?

(ლოლა ისევ დააპირებს შეპასუებას, მაგრამ ღია კარში აქოშინებული მზია გამოჩნდება)

**მზია** – ლექციაზე მაგვიანდებაო და ისე გარბოდა, ძლივს დავენიე

**ლოლა** – (მზიას, გაკვირებული) დღესაც იყვნენ სტუდენტები?

**მზია** – (ამყად) სტუდენტი კი არა, უნივერსიტეტის პროფესორია

**ლოლა** – მეც არ გამიკვირდა? სტუდენტებმა მთელი სტიპენდია გუშინ აქ დატოვეს და მერე გზის ფულსაც მე მოხოვდნენ...

**დედა გოია** – (ორივეს) გზის ფულიც აღარ გექნებათ, პოლიციის მოსვლამდე აქაურობას თუ არ დავალაგებთ

**მზია** – (დედა გოიას) დედა გოია რატომ შეგარქვეს?

**დედა გოია** – ახლა ამის დროა?

**ლოლა** – (დედა გოიას, უკვე ცოცხით ხელში) სულ გვპირდები და მაინც არ გვეუბნები.

**დედა გოია** – ვითომ არ იცი

**ლოლა** – მზიამ ხომ არ იცის

(დედა გოია ძალიან მკაცრ გამომეტყველებას მიიღებს და კედელზე ჩამოკიდებულ შიშველი ქალის სურათს ამოატრიალებს, რომლის უკანა მხარესაც რომელიღაც ციხესიმაგრეა გამოსახული. ლოლას გაეღიმება და რაღაცის თქმასაც დააპირებს, მაგრამ შემოსასვლელიდან ზარის ხმა ისმის და საროსკიპოს დიასახლისი ხელგამაღილი მიდის კლიენტის შესაგებებლად)

**დედა გოია** – (იმერულად, ხმამაღლა) მობრძანდით, მობრძანდით

(ფართოდ გაღებულ კარის ზღურბლს შინაურულად გადმოაბიჯებს უნიფორმიანი პოლიციელი და მასპინძლებს ომანიანად მიესალმება).

**მზია** – (იმავე ინტონაციით) მობრძანდით!..

**პოლიციელი** – (სერიოზული და საქმიანი გამომეტყველებით) აბა როგორ მიდის საქმეები, რამე გაუგებრობები ხომ არ ყოფილა?

**დედა გოია** – ისეთი არაფერი...

**პოლიციელი** – მაინც?

**დედა გოია** – ამასწინათ სტუდენტები იყვნენ და ცოტა ფული დააკლდათ...

**პოლიციელი** – მერე?

**მზია** – არაფერი ისეთი, ცოტა ნასვამებიც იყვნენ

**პოლიციელი** – რაღაც ძალიან მოუმატეს სტუდენტებმა თქვენთან სიარულს

**დედა გოია** – სტუდენტებს სტიპენდიები მოუმატეს და უკეთეს ადგილას სად წავლენ

**პოლიციელი** – ყველას მოუმატეს?

**ლოლა** – მარტო ხუთოსნებს და სწორიც არის, ვინც კარგად სწავლობს, იმან უნდა ისიამოვნოს

**დედა გოია** – პენსიებს რატომ არ ზრდიან?

**პოლიციელი** – პენსიონერებზეც იზრუნებენ, ხუთოსნები ხომ უკვე დააფასეს

**მზია** – ოროსნებმა რა ქნან?

**დედა გოია** – (ღიმილითა და მარჯვენა მუშტის ვერტიკალური მოძრაობით) უნდა ისწავლონ

**პოლიციელი** – ზოგს უჭირს სწავლა

**ლოლა** – (პოლიციელს) ალბათ თქვენც გიჭირდათ

(საროსკიპოს მფლობელი თვალებს დაუბრიალებს ლოლას და პოლიციელს განსაკუთრებული მღიქვენლობით მიმართავს)

**დედა გოია** – ხომ არ გირჩევნიათ რომ ჯერ ისიამოვნოთ (ხელით ქალებზე ანიშნებს) და მერე ვისაუბროთ და ჩაიც მიირთვით, დღეს მედიკო აპირებს სოფლიდან დაბრუნებას, იმედია მოგისწრებთ და მურაბასაც ჩამოიტანს, დედამისი ისეთ მურაბებს აკეთებს...

**პოლიციელი** – (ანწყვეტინებს) დღეს ამისთვის არ მცალია, სერიოზულ საქმეზე ვარ მოსული, დავალბაა ზეიდან, აინტერესებთ რა ხალხი დადის აქ ყველაზე ხშირად, როდის გყავთ ყველაზე მეტი კლიენტი და ეგეთი რაღაცეები

**ლოლა** – (პოლიციელს, გახარებული) სოციოლოგიურ გამოკითხვას ატარებთ? მეც სოციოლოგიის შესწავლა მინდოდა

(უკვე გაბრაზებული პოლიციელი დედა გოიას გადახედავს ისეთი გამომეტყველებით რომ მისთვის გასაგები იყოს რისი თქმაც სურს პოლიციელ ჩინოვნიკს)

**დედა გოია** – მე გიხდით ბოდიშს, ასე უშნოდ და უადგილოდ ხუმრობა მაინც ვერ მოვაშლევინე ამას

**ლოლა** – (გულწრფელად) არ ვხუმრობ, მართლა მინდოდა რომ სოციოლოგი გავმხდარიყავი, ძალიან საინტერესოა, თანაც ჩვენთან ადრე სოციოლოგია არც არსებობდა...

**დედა გოია** – (პოლიციელს) ნუ მიაქცევთ ყურადღებას (ლოლას თვალებს დაუბრიალებს)

და გვკითხეთ, რაც გაინტერესებთ

**მზია** – ნუ დაგვზოგავთ

**პოლიციელი** – (ჩაახველებს) ესე იგი ჩვენ გვინტერესებს რა ხალხი დადის ძირითადად, როდის მოდიან უფრო ხშირად...

**დედა გოია** – (ანვევტინებს მონდომებული) ძირითადად მოდიან ღამე, სუფრების მერე, რომ დათვრებიან ხოლმე და ხალისობა მოუნდებათ და ქალებთან ბლარაძუნი

**პოლიციელი** – არა, ჩვენ გვინტერესებს სეზონების მიხედვით რა ხდება, ზაფხულში უფრო ხშირად დადიან ესე იგი შევებულეების დროს თუ სამუშაო საათებში, თუ როდის

**ლოლა** – ზამთარში. ყველაზე მეტი კლიენტი ზამთარში გვყავს ხოლმე, იმიტომ რომ ზამთარში ცივა და კაცებს კი სიცვივის ეშინიათ

**პოლიციელი** – (უნებურად) რატომ კაცებს?

**ლოლა** – იმიტომ რომ კაცები სუსტები არიან და ზამთარს და სიცვივს ჩვენთან ემალებიან.

(პოლიციელს გაახსენდება რომ ლოლას აზრი ყველაზე ნაკლებად უნდა აინტერესებდეს და დემონსტრაციულად გადახედავს დედა გოიას პასუხის მოლოდინში)

**დედა გოია** – (თითქოს დაფიქრდება და გაიხსენებს) ისე მართლა ზამთარში უფრო მეტი კლიენტი გვყავს, ვიდრე სხვა დროს

**ლოლა** – მეც ეს ვთქვი და ამიტომაც ზამთარი ჩვენთან უფრო გრძელია, ვიდრე სხვაგან...

**პოლიციელი** – (ახლა მზიას მიუბრუნდება) რა ხალხი დადის ყველაზე მეტად?

**მზია** – იცით რა, ყველანაირი ხალხი დადის: სტუდენტები უკვე გითხარით, დეპუტატები, ბიზნესმენები...

**პოლიციელი** – პოლიტიკოსებიც ხშირად დადიან?

**მზია** – ზოგჯერ ისინიც მოდიან

(პოლიციელი ჭერს ახედავს, დანარჩენებიც ჭერს ახედებენ, ოღონდ შეშინებული სახეებით, რადგან მიხვდებიან პოლიციელის ჩანაფიქრს. მხოლოდ ლოლას გაეცინება)

**პოლიციელი** – მთავრობა მოდის ხოლმე თუ ოპოზიცია?

**მზია** – (დედა გოიას გადახედავს) ისინიც და ისინიც

**ლოლა** – (თითით ჭერზე ანიშნებს) კამერები უნდა დაგვიყენოთ?

(პოლიციელი კიდევ ერთხელ, საზგასმით შეეცდება არ მიაქციოს ყურადღება ლოლას, კედლის საათს შეხედავს და აშკარად უკმაყოფილო სახით დედა გოიას მიმართავს)

**პოლიციელი** – უფროსი მელოდება, უნდა წავიდე, ამ დღეებში ისე გამოვივლით და მანამდე იქნებ ჩამოწეროთ რაც ჩვენ გვინტერესებს და კლიენტების სახელი და გვარი თუ იცით, ჩაინერეთ და დღეებიც აღნიშნეთ...

(პოლიციელი გასასვლელისკენ დაიძრება და ყველანი მლიქვნელური ღიმილით გააცილებენ. მხოლოდ ლოლა დარჩება წინა ოთახში და კიდევ ერთხელ ახედავს გაბზარულ ჭერს)...

**ლოლა** – ამათ ჩვენ მგონი მართლა ბოზები ვგონივართ

**დედა გოია** – (ლოლას, გაბრაზებული და ხელებგამილი) რა სოციოლოგია აგიტყდება ხოლმე?!

(ლოლა (რასაკვირველია) დააპირებს შეპასუხებას, მაგრამ ვერ მოასწრებს, რადგან ოთახში მედიკო შემოვა ორი დიდი, სასვე ჩანთით და ხმამალა მიმართავს კოლეგებს)

**მედიკო** – ყველაფერი ჩამოვიტანე ახალი წლისთვის

**მზია** – გოჭიცი?

**მედიკო** – გოჭი არა, მაგრამ ბოლოკი ბევრი წამოვიღე

**დედა გოია** – რა დროს გოჭია, ახალი წლის წინა დღეს ვიყიდით და შევანვევინებთ

**ლოლა** – (მედიკოს) ბავშვები როგორ არიან?

**მედიკო** – (ბედნიერი სახით) ჩემი დანახვა ისე უხარიათ ხოლმე რომ მთელი დღე არ მშორდებიან. თან პატარას უკვე კითხვა უსწავლია და სულ წიგნით ხელში დამსდევდა. დედაჩემი მიუბნება თვითონ ისწავლაო და ისეთი საყვარელია, ისეთი საყვარელი რომ წამოსვლა აღარ მინდოდა (უცებ ცრემლები წამოუვა)

**ლოლა** – ორივენი აქ ჩამოყვანე ოცდათერთმეტში და ახალ წელს ჩვენთან ერთად

შეხვდებიან

**მედიკო** – (სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდება, მაგრამ მაშინვე გაახსენდება რეალობა და დედა გოიას გადახედავს) მართლა შეიძლება?

**ლოლა** – (ყველას დაასწრებს პასუხს) რა თქმა უნდა შეიძლება, ახალი წელია და ახალ წელს ყველაფერი შეიძლება (გახარებული მედიკო დედა გოიას აკოცებს და კარისკენ გაიქცევა, რადგან ზარის ხმა ისმის, რაც იმის მაუწყებელია რომ კლიენტი მოვიდა).

სინათლე ქრება და ინთება ერთ-ერთ ოთახში, სადაც მხოლოდ ორნი სხედან საწოლის მოპირდაპირე კიდეებზე: მედიკო და ბატონი გურამი - საროსკიპოს მუდმივი კლიენტი. მედიკო ნელ-ნელა იმოსება, ბატონი გურამი კი დაღლილი და ოფლიანი, სინანულით დაჰყურებს საკუთარ ღიბს და გულზეხელმოკიდებული, აჩქარებით სუნთქავს)

**მედიკო** – აი ჩვენ ხომ გვეძახიან მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს და რომ დაუკვირდე, რა გამოდის?

**ბატონი გურამი** – (ძლივს გასაგონად) რა გამოდის?


**მედიკო** – გამოდის რომ პატიოსანი ქალები არიან მძიმე ყოფაქცევის, ასე არ არის?

**გურამი** – (აშკარად არ უსმენს) რა?

**მედიკო** – რა და მძიმე ყოფაქცევის და მძიმე ხასიათის ქალს, არ ჯობია მსუბუქი ყოფაქცევის და მსუბუქი ხასიათის მხიარული ქალი?

**გურამი** – (მარცხენა ხელის მაჯაზე ცერა თითით ეძებს პულსს და გაუგებრად პასუხობს ხელებგამილ მედიკოს) ჩაბუჯიმდ...

**მედიკო** – აი, ამამია საქმე, რომ საქართვე-



# პიესა

ლოს გარდა ჩვენს შრომას ყველგან აფასებენ და ჩვენი პროფესიის ქალებს უცხოეთში ხელისგულზე ატარებენ

**ბატონი გურამი** – (ისევ გულზე მოიკიდებს ხელს და ახლა უკვე აშკარა ბუტბუტზე გადავა) ბუდიდუბ...

**მედიკო** – (ქალი მაინც ვერ ამჩნევს რომ ბატონი გურამი აშკარად ცუდად არის და მედიკოც თავის მონოლოგს ენერგიულად აგრძელებს) უნდა წავსულიყავი, ჩემი ბრალია, მარტო ჩვენი სოფლიდან რამდენი წავიდა თურქეთში, მე რა ვერ წავიდოდი? ახლაც შემიძლია წასვლა. რომ მოვინდომო, რა ვერ წავალ?

**ბატონი გურამი** – (გულზე მიდებული ხელი ჩამოუცურდება უკვე სულ გათეთრებულს და სიტყვებსაც ველარ ამბობს, მხოლოდ ასოებს თუ ბგერებს) ბმდგ...

**მედიკო** – არა, თურქეთში არ წავალ, არ მინდა, საბერძნეთი მიჩვენია, წავიყვან ჩემს შვილებს და გავთხოვდე, მამაჩემის ოქროს

სასმისსაც თან წავიღებ და თუ გამიჭირდა, ბოლო-ბოლო გავყვიდი..

(მედიკო მონოლოგს მოულოდნელად შეწყვეტს, რადგან აღმოაჩინს რომ მისი ლიპიანი კლიენტი ლოგინზეა გაშხლართული და მგონი არც სუნთქავს. მედიკო სასწრაფოდ გააღებს კარს და ყველას ერთად საშველად უხმობს. დედა გოია მაშინვე, პირველი შემოვარდება ოთახში და გულწასულ კლიენტს შეშინებული დახედავს)

**დედა გოია** – გული წაუვიდა? რამდენჯერ უნდა გასწავლოთ რომ კლიენტთან ნელ-ნელა უნდა გაიხადოთ, რამდენჯერ უნდა აგიხსნათ რომ არ უნდა იჩქაროთ

**მედიკო** – (ანწყვეტინებს) ძალიან ნელა გავიხადე და თვითონაც გამაფრთხილა ძალიან ნაჭამი ვარო, მაგრამ რომ მოვრჩით, მერე გახდა ცუდად, დასაწყისში კი არა. რას ვიფიქრებდი თუ აწყენდა, პირველად ხომ არ არის ჩვენთან და თან ნაჭამზეც რამდენჯერ მოსულა აქ და არაფერი...

**მზია** – დავრეკო სასწრაფოში?

(დედა გოია ისეთი სახით გადახედავს მზიას, რომ ეს უკანასკნელი ცივად, შეპასუხების გარეშე დადებს ტელეფონის ყურმილს და სხვებს მიეხმარება ამ მართლაც ძალიან მძიმე კლიენტის ტრანსპორტირებაში. ჯერ იატაკზე გადმოაგორებენ ბატონ გურამს ყველანი ერთად და მერე უკანა ოთახში

გაახოხიანებენ მას ოხვრითა და კრუსუნით. მაყურებელს მხოლოდ შემოსასვლელი კარის გაღების ხმა ესმის, მაგრამ მოქმედებას ვერ ხედავს და ამიტომაც დანამდვილებით არ იცის რა ბედი ენია ბატონ გურამს. თუმცა ხმებისა და რეპლიკების მიხედვით მაყურებელს (საფუძვლიანი) ეჭვი უჩნდება რომ გულწასული კლიენტი უბრალოდ კიბეზე დააგორეს)...

სანოლზე ორნი სხედან, ერთმანეთთან ძალიან ახლოს და ორივენი სიგარეტს ეწევიან. ლოლა ზურგით ეყრდნობა კედელს, ბიჭი კი ოდნავ წელში მოხრილი ზის და ლოლასაგან განსხვავებით, აშკარად ლელავს.

**ბიჭი** – პირველად რომ ვიყავი აქ, მაშინვე მინდოდა რაღაც მეკითხა შენთვის, მაგრამ მომერიდა

**ლოლა** – ახლაც გერიდება?

**ბიჭი** – ახლაც მერიდება, მაგრამ მაინც გკითხავ

**ლოლა** – მკითხე

**ბიჭი** – არ გეწყინება?

**ლოლა** – არც მეტყინება

**ბიჭი** – (ღიმილით) დარწმუნებული ხარ?

**ლოლა** – დიდი ხანია

**ბიჭი** – მაინც?

**ლოლა** – აქ რომ აღმოვჩნდი, იმ დღიდან

**ბიჭი** – ეგ დღე როდის იყო?

**ლოლა** – როდის იყო თუ რატომ იყო?

**ბიჭი** – რატომ იყო

**ლოლა** – ეს გაინტერესებდა?

**ბიჭი** – ესეც მაინტერესებს, მაგრამ ვიცი რომ არასოდეს მეტყვი

**ლოლა** – შეიძლება ოდესმე მართლა გითხრა და ყველაფერიც მოგიყვე

**ბიჭი** – როდის, აქედან რომ გაიქცევი, მერე?

**ლოლა** – აქედან ვერ გავიქცევი

**ბიჭი** – რატომ?

**ლოლა** – კეტები არა მაქვს

**ბიჭი** – რა კეტები?

**ლოლა** – შავი კეტები, ოღონდ ძირებიც შავი უნდა ჰქონდეს, მოდაშია

**ბიჭი** – ადრე თეთრი კეტები იყო მოდაში

**ლოლა** – როდის?

**ბიჭი** – ადრე, ბავშვობაში

**ლოლა** – საქართველოში ყველაფერი ეგრეა: ან თეთრი ან შავი, უკიდურესობების ქვეყანა ვართ, შუალედი არ არსებობს

**ბიჭი** – (გაკვირვებული) შენ რაზე სწავლობდი?

**ლოლა** – ნუ გეშინია, ფილოსოფიას არ ვსწავლობდი, უბრალოდ დაკვირვება მიყვარს და ზოგჯერ ანალიზი, თანაც სამსახური მაქვს ასეთი, ყურადღებით ყოფნა აუცილებელია

**ბიჭი** – ამ სამსახურში ეს მაღალი ქუსლებიც აუცილებელია?

**ლოლა** – (ღიმილით დახედავს თავის მაღალ-ქუსლიან ფეხსაცმელებს)

ეს ჩემი პროტესტია

**ბიჭი** – ამიტომაც ყოველთვის გაცვივა?

**ლოლა** – ალმოდოვარის ჯინაზე

**ბიჭი** – იცი რატომ უყვარდებათ ქართველ კაცებს პუტანკები ასე ადვილად?

(კარზე კაკუნისა და დედა გოიას ხმა ისმის)

**დედა გოია** – მალე მორჩებით?

**ლოლა** – რა ხდება?

**დედა გოია** – ხალხია მოსული

**ლოლა** – ვინ არიან?

**დედა გოია** – ბოდლო ყვალთავა და მისი ორი კაცი

**ლოლა** – მზიასთან შეუშვი

**დედა გოია** – მზიას კენჭის გავლა აქვს და პოლიკლინიკაში ჩავიდა ნემსის გასაკეთებლად

**ლოლა** – მედიკო?

**დედა გოია** – მედიკო საბერძნეთის საელჩოშია წასული საბუთების შესატანად

**ლოლა** – დაელოდონ, რომელიღაც ხომ დაბრუნდება, პოლიკლინიკა აქვე არ არის? ხუთი ნუთი უნდა ნემსის გაკეთებას



დედა გოია – კლიენტებს რა ვუყოთ?

**ლოლა** – მეც კლიენტი მყავს (დედა გოია ლოლას თავს დაანებებს და მოსაცდელიდან ისმის თუ როგორ სთავაზობს სტუმრებს ჩაის და ყავას)

**ბიჭი** – (ზურგით მიეყრდნობა კედელს და ლოლას თვალეში შეხედავს) არ მინდა რომ შენთვის მხოლოდ კლიენტი ვიყო

**ლოლა** – (ამ თემაზე საუბარს აშკარად თავს არიდებს) მედიკომ უკვე მესამედ შეიტანა საბუთები, მაგრამ კონსული მანც არ აძლევს საბერძნეთის ვიზას

**ბიჭი** – გიკვირს?

**ლოლა** – რა თქმა უნდა მიკვირს, იაზონი და ბერძენი არგონავტები აქ რომ მოგვადგინენ, საქართველოს ვიზები მათთვის არავის მოუთხოვია

(ბიჭს აღარ გაელიმება, ლოლას თავისკენ შემობრუნებს და ტუჩებში აკოცებს. მერე ადგება და კარისკენ წავა)

**ბიჭი** – მე არ მინდა რომ შენი კლიენტი ვიყო (ბიჭი კარს ხმაურით გაიხურავს და ლოლას ოთახში სინათლე ქრება და მაშინვე ინთება გვერდით ოთახში, სადაც მზია შემინებული უყურებს უცნაურ კლიენტებს: ჩოხებში გამონყობილი ბოდლო ყვალთავა და მისი ორი კაცი (ყაბალახებით თავნაკურულები), ყურადღებით აკვირდებიან კედელზე გაკრულ პლაკატს შიშველი ქალის გამოსახულებით. ბოდლო ყვალთავა ფანჯარასთან მივა, ეზოში გადაიხედავს და მერე თავისიანებისკენ შებრუნდება)

**ბოდლო ყვალთავა** – თქვენ ქვემოთ ჩადით და ცხენებს მიხედეთ, უკვე მოშიებულებიც იქნებიან და რამე დაუყარეთ და აჭამეთ (ბოდლო ყვალთავას სიტყვებს ბრძანების კილოც დაჰკრავს, მაგრამ ამ ფრაზის გამეორება კიდევ ერთხელ მოუწევს ბატონ ბოდლოს რადგან მისი თანმხლები პირები თვალს ვერ ამორებენ შიშველი ქალის პლაკატს. როცა ისინი ოთახს დატოვებენ, ბოდლო ყვალთავა ნაბადს სკამის ზურგზე გადაკიდებს, ხანჯალსა და იარაღს შეისწორებს და იმავე სკამზე ჩამოჯდება. მერე ჩაახველებს და შეშინებულ და გაკვირვებულ მზიას ომახიანად და პათეტიურად მიმართავს)

**ბოდლო ყვალთავა** – ჩვენ დემოკრატიულ საზოგადოებას ვაშენებთ და ამიტომაც ძალადობის ყოველგვარი ფორმა, ჩვენთვის მიუღებელია, მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ მშვიდობიანად ვიზრუნოთ გზაბნეულ ადამიანებზე და მათ ჭეშმარიტებისაკენ მოვუწოდოთ. ჩვენი ორგანიზაცია აღიარებს ვენის, ჰააგისა და ჟენევის კონვენციებს და ადამიანის უფლებათა დაცვა ჩვენი უმთავრესი საზრუნავია, მაგრამ როცა ჩვენს გვერდით ცხოვრობენ ამორალური ადამიანები, ჩვენ არა გვაქვს დუმილის უფლება. მეტიც:

ჩვენ მოვალენი ვართ ისინი გადავარჩინოთ და ზნეობისა და მორალის გაკვეთილები ჩავუტაროთ...

**მზია** – (გულწრფელად) საშინაო დავალებებიც გვექნება?

**ბატონი ბოდლო** – (ცოტა დაბნეული) მგონი თქვენ კარგად ვერ გამიგეთ

**მზია** – შევეცდებით რომ ყველაფერი გაგიგოთ, აქ ზოგჯერ ისეთ უცნაურ რაღაცეებს გვთხოვენ ხოლმე, მაგრამ ჩვენ მანც ვცდილობთ უკმაყოფილო არავინ გავუშვათ. ამასწინათ მაგალითად ერთი შეხედვით ჩვეულებრივი კლიენტი გვყავდა, ძალიან ნორმალური, მაგრამ უცებ ისეთი რამე მომთხოვა, თქვენ ჯვარი გწერიათ და...

**ბოდლო ყვალთავა** – (ანყვეტინებს) თქვენ არა მარტო თქვენს თავს ღუპავთ, არამედ ახალგაზრდობასაც უბიძგებთ გარყვნილებისაკენ, თქვენ სხვებსაც ითრევთ ამ ჭაობში

**მზია** – (გაკვირვებული) სად?

**ბოდლო ყვალთავა** – ამ ჭაობში, აქ

**მზია** – რას ამბობთ, აქ ადგილი არ არის, სულ ორი ოთახი გვაქვს და სამნი ვმუშაობთ, ყველას უნარს ვეუბნებით სამსახურზე, სადაც მრცხვენი კიდევ რომ მე სამუშაო მაქვს და ირგვლივ ამდენი უმუშევარია, თანაც ისეთი კარგი გოგოები გვეხვეწებიან, მაგრამ რა ვქნათ, ჩემს ადგილს ნამდვილად ვერავის დავუთმობ, ოჯახი როგორღა უნდა ვარჩინო

**ბოდლო** – ოჯახიც გყავთ?

**მზია** – (ძალიან გაკვირვებული) ოჯახი რომ არ მყავდეს სარჩენი, აბა აქ რა გამაჩერებდა

**ბოდლო** – მე მეგონა რომ თქვენ მიწიერ ვნებებს აჰყევით და უბრალოდ გსიამოვნებდათ ასეთი ცხოვრება...

**მზია** – (ანყვეტინებს და ყვირის) რა უნდა მსიამოვნებდეს, ქმარი რომ მთელი დღე სვამს და მერე მთელი ღამე არწყევს? ათი წელი რომ არ მუშაობდა და დედაჩემს პენსიას პარავდა? მამაჩემი რომ უფასო სასაბილოში დადიოდა და ჭამის დროს ტიროდა ნაცნობს რომ ხედავდა?

(მზიას თვალები ცრემლებით აევსება)

**ბოდლო ყვალთავა** – ამას არ ვგულისხმობდი, ბოდიშს გიხდით, მე სულ სხვა რაღაცის თქმა მინდოდა, ხომ შეგეძლოთ სხვაგან გემუშავათ, რაღაც სხვა სამსახური მოგეძებნათ... (მზიას აღარ ესმის ბოდლო ყვალთავას სიტყვები რადგან უკვე ხმამაღლა ქვითინებს და ბატონი ბოდლო წამოდგება, გულწრფელად შენუხებული სახით მიუახლოვდება მზიას და მეგობრულად მოხვევს ორივე ხელს)

**მზია** – (ქვითინით) როგორ შეიძლება ეს იყოს სასიამოვნო?! ზოგს ფეხზე ისეთი სუნი აქვს, დედა გოია ძალით ბანს ხოლმე

**ბოდლო** – (გულში ჩაიკრავს მზიას) როგორ გიხდებათ ცრემლები... რა ლამაზი ყო-

ფილხართ...რა ბედნიერები არიან თქვენი კლიენტები

**მზია** – რას აკეთებთ?..

**ბოდლო** – (ბოდლო ყვალთავა ცალ მუხლზე დგას და მკერდზე კოცნის მზიას) მეც ადამიანი ვარ, ყველაფერს გავაკეთებ თქვენთვის, ყველაფერისთვის მზად ვარ...

(სინათლე ქრება და ინთება გვერდით ოთახში, სადაც მედიკო სკამზე ზის და ფურცლებსა და საბუთებს გაბრაზებული დაჰყურებს)

**მედიკო** – ჩათლახები!..

(კარს ახალგაზრდა კლიენტი შემოაღებს, რომელიც აშკარად ტკბილად არის ანუ კაიფშია)

**კლიენტი** – გამარჯობა დაიკო (მედიკოს თვალეში გაკვირვება და ორი კითხვის ნიშანი გამოესახება)

**კლიენტი** – უბანში მაჩოს მეძახიან, ანტიგენდერული ბალანსის პონტში კი არა, პროსტა მაჩაიძე ვარ გვარად და ხო აზრზე ხარ. შენც მაჩო დამიძახე ჩემი დაიკო

(მედიკო ისევ თავის საბუთებს დახედავს, სკამზე გაბრაზებით დაახეთქებს და გახდას დაინყებს)

**მაჩო** – რამე პრობლემაა ჩემი დაიკო?

**მედიკო** – (გულგრილად) საბერძნეთის ვიზა არ მომცეს

**მაჩო** – იმ პონტში კი არ გეუბნები, მარა ნაღდი შემიძლია დახმარება, უფრო სწორად მაჩაჩემს შეუძლია, ბიზანტიოლოგია და მაგათ ყველას იცნობს, მაგათი ელჩი ვაბშე ჩვენთან სახშიცაა ნამყოფი, ხო აზრზე ხარ...

**მედიკო** – არადა ყველა საბუთი წესრიგში მაქვს

**მაჩო** – მითუმეტეს, ჩემი დაიკო

**მედიკო** – (გახარებული) ფული აი აქ დადეთ (ხელით ანიშნებს)

**მაჩო** – (უკანა ჯიბიდან საფულეს ამოიღებს და ფულს გადათვლის) ცოტა მაკლია, მარა ხო აზრზე ხარ, დღეს უნდა ამელო კიდევ სხვა მაყუთი და ცოტა იგვიანებს და მეთქი შევივლი და ამას ცოტა პატივს ვცემ-მეთქი (ხელით შარვლის იმ ნაწილზე ანიშნებს, რომელსაც გულისხმობს)

**მედიკო** – იცით რა, საერთოდ ჩვენთან ფასდაკლებები არ ხდება, იმიტომ რომ ძალიან დიდი ხარჯები გვაქვს, ბინის ქირა თავისთავად, მერე გადასახადები, დენი, გაზი და თანაც დეპუტატებს და პოლიციას უფასოდ ვემსახურებით, ჩაგვიძინათ?

**მაჩო** – არა, დაიკო, რა ჩამეძინა, პატარა სიესტა გავაკეთე. მაიცა დეპუტატებს რატო არ ახდევინებთ, ფულის მეტი რა აქვთ

**მედიკო** – ჩვენი დეპუტატები დაგვპირდნენ რომ ლეგალიზაციაში დაგვეხმარებიან

**მაჩო** – რა პონტში?

**მედიკო** – ოფიციალური სტატუსი გვექნება

**მაჩო** – ოფიციალური ბოზები იქნებით?

## პიესა

**მედიკო** – ჩვენ ბოზები არა ვართ

**მარო** – ესე იგი მთავრობის ხალხი ხშირად დადის აქ?

**მედიკო** – ხშირად არა, არჩევნების წინ უფრო ვახსენებდებით ხოლმე

**მარო** – რატო ტო, მაგათ მაშინ უფრო უნდა ბათ ხოლმე?

**მედიკო** – ხმები სჭირდებათ და იმიტომ, ხომ იციან რომ ბევრნი ვართ და მხარდაჭერას გვთხოვენ ხოლმე

**მარო** – მეც დამიჭირეთ მხარი და სეილი გამიკეთეთ

**მედიკო** – თქვენთვის გამონაკლისს გავაკეთებთ, მამათქვენის ხათრით რა თქმა უნდა

**მარო** – იმენა გამკეთებელია, პროსტა შუქი უნდა ჩავაქროთ, თორე მაგრა არ მევალება კაშკაშა სექსი...

(მედიკო სინათლეს ჩააქრობს და სიბნელეში მათი დიალოგი (სექსის პარალელურად) მანამ გრძელდება, სანამ მედიკო შიშისა და გაოგნებისაგან, არ შეჰკვივლებს)

**მედიკო** – (მანინც არ სჯერა) რა სუნია?

**მარო** – აზზე არა ვარ

**მედიკო** – (სინათლეს აანთებს, საბანს გადაწვს და თვალები შოკისაგან გაუფართოვდება) ეს რა არის?

**მარო** – აზზე არა ვარ

**მედიკო** – ჩაისვარეთ?

**მარო** – მე მეუბნები ჩემი დაიკო?

**მედიკო** – გაგიჟდება დედა გოია, გუშინ გამოგვიცვალეს თეთრეული, კუჭი აშლილი გქონდათ? თან აშლილსაც არ ჰგავს

**მარო** – (სიგარეტს მოუკიდებს და გაკვირვებული დახედავს დასვრილ ზენარს) ფერფლი ხომ არ ჩამყვა საქმელში?

**მედიკო** – რა ჭამეთ?

**მარო** – დილით სუში ვჭამეთ ბიჭებმა

**მედიკო** – გაგიჟდება დედა გოია

**მარო** – საიდან გაიგებს

**მედიკო** – (ხელით ანიშნებს ფაქტზე) ამას რა ვუყო?

**მარო** – ფანჯრიდან ვერ გადააგდებ?

**მედიკო** – რას ამბობთ, მეზობლები მაშინვე პატრულს გამოიძახებენ, ისედაც სულ გვიჩივიან

**მარო** – პატრულთან მე გავაიასნებ, მამაჩემი იურისტია და ხო აზზე ხარ...

**მედიკო** – (აგრძელებს) არა, ჩუმად უნდა გავიტანოთ აქედან

**მარო** – აქედან რომ ეს ამბავი გავიდეს, ჩემი დედას შევეცი თუ აქ ვიღაცა არ დაიჭრას!..

**მედიკო** – აბა აქ დავტოვოთ? მთელ სახლს ააყროლებს

(მარო იარაღს ამოიღებს აშკარად მხოლოდ საჩვენებლად და შესაშინებლად, მაგრამ მედიკო მაშინვე, წარმოუდგენელი სისწრაფით ამოაძვრენს ხელჩანთიდან პატარა გაზის ბალონს და მაროს თვალბეჭდში შეასხავს).

**მედიკო** – (გაკვირვებული დახედავს ბალონს) მგონი მართლა მუშაობს

**მარო** – (ჩაიკეცება) ბოიშვილი ვიყო...

(სინათლე ქრება და მეზობელ ოთახში ინთება, სადაც ლოლა და შეყვარებული ბიჭი ჩუმად სხედან და ენევიან).

**ბიჭი** – (ხელს გადახვევს ლოლას და სიჩუმეს დაარღვევს) იმ ქალს მგონი არ ესაიძვნა ჩემი მოსვლა

**ლოლა** – დედა გოიას?

**ბიჭი** – ისე აღარ მხედება, როგორც ძველ კლიენტს, ადრე დედასავით მეგობრობდა

**ლოლა** – ჩვენც დედასავით გვექცევა და ამიტომაც ყველანი დედას ეძახიან

**ბიჭი** – გოია რა შუაშია?

**ლოლა** – გოია სამხატვრო აკადემიაში დაარქვეს

**ბიჭი** – აკადემიაში სწავლობდა?

**ლოლა** – ნატურშიცა იყო, იქაც დედასავით მზრუნველი. გოია კი ქოქოსამ დაარქვა, დათო გაგომიძემ, ჩვენი კურსელი იყო, ასეთ ქალებს გოია ხატავდაო

**ბიჭი** – მგონი მართლა ჰგავს გოიას ქალებს, ცუდად რომ იყო ეგეთ ქალებს ხატავდა

**ლოლა** – დედა გოია ამბობს ფულს იმისთვის ვაგროვებ რომ ესპანეთში წავიდე და ჩემი თვალით ვნახო გოიას ქალებიო

**ბიჭი** – (ლიმილით) ყველა ბოროტება სიკეთის სახელით კეთდება, მაგრამ ასეთი კეთილშობილური მიზნით ბარდელის გახსნა, მანინც ძალიან ორიგინალურია

**ლოლა** – (მასაც გაელიმება) თვითონაც ძალიან ორიგინალურია, ერთხელ ისიც თქვა რომ ქალის გაბოზება მხოლოდ ერთი ოჯახის პრობლემაა და კაცის გაბოზება კი მთელი ქვეყნისო

**ბიჭი** – (ისევ ლიმილით) ადამიანს ყველაფრის გამართლება შეუძლია

**ლოლა** – თუ არ მოგწონს, შეგიძლია აქ არ მოხვიდე

**ბიჭი** – როდემდე?

**ლოლა** – სანამ აქაურობას დედა გოია მღვდელს არ აკურთხევენებს

**ბიჭი** – შავი იუმორი?

**ლოლა** – არ გეხუმრები, ადრე მართლა ამბობდა ხოლმე ახლობელი მღვდელი მყავს და უარს არ მეტყვისო

**ბიჭი** – მერე?

**ლოლა** – (ლიმილით) უარი უთხრეს და ძალიან გაბრაზდა, ისე მართლა კეთილი და კარგი ქალია

**ბიჭი** – შენ რაზე სწავლობდი აკადემიაში?

**ლოლა** – კერამიკაზე

**ბიჭი** – თიხა ბავშვობიდან გიყვარდა?

**ლოლა** – ბაბუა მიყვარდა ძალიან, შროშელი იყო და იმან მთხოვა კერამიკაზე ჩაბარება. შროშა სოფელია იმერეთში...

**ბიჭი** – მეც ძალიან მიყვარდა პაპაჩემი, ქარ-

თლში ბაბუას პაპა ჰქვია, უფლისციხელი იყო, მეც ძალიან მიყვარდა, მაგრამ არც თვითონ არის ცოცხალი და აღარც ის სახლი არსებობს, სადაც ბავშვობაში ზაფხულის არდადეგებს ვატარებდი ხოლმე...

**ლოლა** – ესე იგი აქედან რომ გავიქცე, უფლისციხეში შენთან ვერ დავიმალე?

**ბიჭი** – რატომ ვერ დაიმალება, უფლისციხეში გამოქვაბულების მეტი რა არის

**ლოლა** – მაგრამ უფლისციხეში კეტების გარეშე ხომ ვერ ჩავალწევ?

**ბიჭი** – (თვალბეჭდში ჩახედავს ლოლას და სერიოზულად, ძალიან სერიოზულად ჰკითხავს მას) მართლა გინდა რომ კეტები მოგიტანო?

**ლოლა** – ოღონდ კეტები შავი უნდა იყოს

**ბიჭი** – შავი კეტები, ქლიბი და სავარცხელი?

**ლოლა** – ისევ შავი იუმორი?

**ბიჭი** – შავ კეტებს რომ მოგიტან და გაიქცევი, თუ გამოგვიდებიან, ჯერ სავარცხელს გადააგდებ და მერე ქლიბს, ოღონდ არ უნდა აგერიოს: ჯერ სავარცხელი, მერე ქლიბი

**ლოლა** – ქლიბი ჰქვია თუ სალესავი?

**ბიჭი** – რაც ჰქვია

**ლოლა** – შენ რა გქვია? რატომ არ მეუბნები

**ბიჭი** – რა აზრი აქვს, შენთვის მანინც უსახელო კლიენტი ვარ, როგორც ნებისმიერი სხვა, ვინც აქ მოდის და მიდის

**ლოლა** – შენც მალე გაგივლის და წახვალ

**ბიჭი** – უშენოდ არ წავალ

(ბიჭი ადგება და გასასვლელისკენ დაიძრება, კარს გააღებს და ისე წავა, რომ არც კი დაემშვიდობება ავანსცენაზე დარჩენილ ლოლას).

ოთახში სინათლე ქრება და მეზობელ ოთახში ინთება, სადაც მზია დაბნეულ კლიენტს უღიმის)

**კლიენტი** – (გაუბედავად) რა გქვიათ?

**მზია** – მზია. თქვენ?

**კლიენტი** – ზეზვა

**მზია** – იმ დღეს სახელიც ვერ გკითხეთ

ზეზვა – დიახ, ველავადი და მეც არ მიკითხავს თქვენი სახელი. იმ დღეს პირველად ვიყავი აქ, შემთხვევით აღმოვჩნდი თქვენთან, მაგრამ მომეჩვენა რომ ჩვენ ადრეც ვიცნობდით ერთმანეთს, საუკუნეებისა და ათასწლეულების წინ (პროფესორი კლიენტი სიგარეტს მოუკიდებს)

**მზია** – იმ დღესაც ბევრს ენეოდით

ზეზვა – დღესაც შემთხვევით აღმოვჩნდი თქვენთან, აქეთ საქმე მქონდა, ასე ვთქვათ შემოვიარე...

**მზია** – საერთოდ ბევრს ენეოთ?

პროფესორი – საერთოდ ბევრს არ ვენევი, მაგრამ როცა ვფიქრობ, მაშინ ყოველთვის ვენევი

**მზია** – ესე იგი ბევრს ფიქრობთ

**პროფესორი** – დიახ, საკმაოდ ხშირად მინევს ფიქრი და ასე ვთქვათ აზროვნება, მე ხომ

უნივერსიტეტში ვმუშაობ

**მზია** – დიახ მასხოვს, თქვენ ხომ პროფესორი ხართ, პირველად რომ იყავით ჩვენთან, მაშინ მითხარით რომ ლექციებს კითხულობთ უნივერსიტეტში

**პროფესორი** – მე გითხარით?

**მზია** – დიახ

**პროფესორი** – როდის?

**მზია** – იმ დღეს, თქვენ რომ აქ იყავით, სანამ იმას დავინწყებდით...

**პროფესორი** – (უხერხულობისგან ჩაახველებს) დიახ, მაგრამ დღეს სულ სხვა მიზნით შემოვიარე, ასე ვთქვათ სულ სხვა საქმეზე ვარ მოსული და არც კი ვიცი როგორ დავინწყო...

**მზია** – ცოლი ხომ გყავთ?

**პროფესორი** – არა...დიახ მყავს, ცოლიც და შვილებიც

**მზია** – შეგიძლიათ ისე დაინწყოთ როგორც თქვენს მეუღლესთან ინყებთ ხოლმე

**პროფესორი** – იცით რა, ამას ჩემს მეუღლესთან საერთოდ არ ვინყებ ხოლმე, უფრო სწორად, მე კი ვინყებ ხოლმე, მაგრამ ჩემი ცოლი ყოველთვის წინააღმდეგია და ამიტომაც ეს არასოდეს გვექონია...

**მზია** – (გაკვირვებული) აბა შვილები საიდან გყავთ?

**პროფესორი** – არა, თქვენ მე ვერ გამოგივთ, უფრო სწორად სხვანაირად გამოგივთ, მე სწორედ იმას ვგულისხმობ, რის გამოც აქ მოვხვდი სრულიად შემთხვევით...

**მზია** – დიახ, მეორედ

**პროფესორი** – დიახ, მაგრამ პირველად ვერ გითხარით ჩემი აქ მოსვლის ნამდვილი მიზეზი

**მზია** – არ მოგეწონათ?

**პროფესორი** – არა, რას ბრძანებთ, პირიქით, ყველაფერი კარგი იყო და თქვენ შესანიშნავი ადამიანი ბრძანდებით, უფრო სწორად შესანიშნავი პროფესიონალი ხართ და სწორედ ამან გამაბედინა კიდეც აქ მოსვლა, უკვე მეორედ...

**მზია** – მითხარით, ნუ მოგერიდებათ, პირდაპირ მითხარით

**პროფესორი** – დიახ, იმის თქმა მინდოდა, უფრო სწორად იმის თქმა მინდა, რომ ჩემი მეუღლე საკმაოდ ტრადიციული ქართული ოჯახიდანაა და ათწლეულების მანძილზე, შესაძლებელია ასწლეულების მანძილზეც კი, მკაცრად ჩამოყალიბებული და ცნობიერებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები, კონსერვატორული აზროვნება და მენტალური შეზღუდვები, მას აიძულებენ უარი თქვას ორალურ სექსზე, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჩვენი ოჯახის სიმტკიცეს, მიუხედავად ჩვენი საკმაოდ ხანგრძლივი თანაცხოვრებისა...

**მზია** – (ანწყვეტინებს) ბოდიშით, მაგრამ კარგად ვერ გავიგე

**პროფესორი** – დიახ, ასეც ვფიქრობდი რომ თქვენთვის ზემოთქმული გაუგებარი და ცოტა დაუჯერებელიც იქნებოდა, მაგრამ ეს რეალობაა და ამ რეალობამ მაიძულა თქვენთან მოვსულიყავი

**მზია** – (ხმაში სიბრაზე ეტყობა) და რას მითხვით, რასაც თქვენი ცოლი არ გიკეთებთ, მე გაგიკეთოთ? რასაც თქვენი ცოლი არ კადრულობს, მე ვიკადრო? მე თქვენ მართლა ბოზი ხომ არ გგონივართ? რადგან აქ ვმუშაობ, გგონიათ რომ ნამუსი აღარ მაქვს და ტრადიციებს ვუღალატებ? თანაც მარხვის დროს? ხორცს საერთოდ არ გავკარებოვარ, რაც მარხვა დაინწყო...

**პროფესორი** – ამ მარხვაში თევზი ხსნილია

**მზია** – (ცრემლნარევი ხმით აგრძელებს თავის მონოლოგს) აქ მეც შემთხვევით მოვხვდი, წლების მანძილზე ცირკში ვმუშაობდი, იცით რა სარისკო ნომრებს ვასრულებდი? იცით რა სიმაღლიდან ვხტებოდი ბატუტზე და თანაც ზოგჯერ დაზღვევის გარეშე?

**პროფესორი** – (გულწრფელად შეწუხებული) მერე? აქ როგორ აღმოჩნდით?

**მზია** – მერე ქვეყანა აირია და ცირკში კაპიკებს გვიხდიდნენ, დედა გოია ჩვენი მეზობელი იყო და შევეცოდე, ჯერ სხვა სამსახურის მოძებნა მირჩია და რომ ვერაფერი ვნახე, თვითონვე შემომთავაზა აქ მოსვლა – რაღაც კაპიკებად რაღა ბატუტს უნდა ახტებოდეთ და აქ მომიყვანა

**პროფესორი** – თავიდან ალბათ გაგიჭირდათ კიდეც

**მზია** – გამიჭირდა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, ოჯახი ჩემი სარჩენი იყო და თანაც მაშინ ქმარმაც მიმატოვა

**პროფესორი** – მაშინვე მიგატოვათ, როგორც კი აქ მუშაობა დაინწყეთ?

**მზია** – არა, მანამდე წავიდა ამერიკაში, აიჩემა იქ სამსახურს ადვილად ვიშოვი, შამპუნის რეკლამებისთვის ქერტილიანი ხალხი სჭირდებათო და ჩემს ქმარს კი ყოველთვის იმდენი ქერტილი ჰქონდა, ტახტზე რომ იწვა ხოლმე, მერე მტვერსასრუტიც აღარ მშველოდა, არადა სულ ტახტზე იწვა, იქვე ეწყობოთლები და მერე იქვე არწყევდა ხოლმე, რასაც სვამდა...

(მზია გაჩუმდება და ცხვირსახოცით ცრემლებს შეიმშრალებს)

**პროფესორი** – მერე?

**მზია** – მერე წავიდა ამერიკაში, რომ არ წასულიყო, ნამდვილად მოკვდე-

ბოდა აქ და გზის ფულიც მე მოვაგროვე, ყველაფერი გაყიდე, რაც გვექონდა (მზიას ისევ ცრემლებით ავესება თვალები და ისევ ცხვირსახოცს მოიმარჯვებს)

**პროფესორი** – (გულწრფელად მონდომებული რომ თანადგომა გამოხატოს მზიას მიმართ) მერე?

**მზია** – მერე წავიდა, მაგრამ ამერიკაში ჩასვლისთანავე, მოულოდნელი რამ მოხდა (მზია თავშეუკავებლად ასლუკუნდება)

**პროფესორი** – დიახ, გისმენთ, განაგრძეთ

**მზია** – ამერიკაში ჩავიდა თუ არა, ქერტილი საერთოდ გაუქრა

**პროფესორი** – (ძალიან შეწუხებული სახით) უცხო კლიმატის ბრალია. მერე?

**მზია** – რაღა მერე, ვინღა გადაიღებდა შამპუნების რეკლამებში ქერტილის გარეშე და უმუშევარი დარჩა და უკანაც ვერ ბრუნდება, მე კი ისე მენატრება რომ ფულს შევაგროვებ თუ არა, მაშინვე წავალ. იცით როგორ მიყვარდა? იცით როგორ მენატრება? ახლაც ჩამესმის ხოლმე ძილში ცირკის ორკესტრის ხმა, იცით როგორი აკრობატი ვიყავი? იცით როგორ სარისკო ნომრებს ვასრულებდი? იცით რამდენ ხანს მიკრავდა ტაშს ალფრთოვანებული პუბლიკა?


**პროფესორი** – მაპატიეთ, ყველაფერი მაპატიეთ...

(პროფესორი ხელზე კოცნის მზიას და მასთან ერთად ხმამაღლა ტირის)

**შესვენება, ბუფეტი და სიგარეტი. (გაგრძელება იქნება და რა თქმა უნდა იქნება დასასრულიც)...**








ნიკო ნიკოლაძის №1  
ტელ.: 933603



A SOPHISTICATED, EUROPIAN-STYLE RESTAURANT



A MODERN COMFORTABLE BAR



JAPANESE SUSHI-BAR

**agora**  
Three Wonders in One



**BUFFET**



'SAKURA 桜' RESTAURANT  
japanese restaurant  
29, Abashidze Str.  
ბათუმი ქ. №29  
ტელ. №1: 293108



**როკი ბალბოა**

კინოთეატრი: „რუსთაველი“

რეჟისორი: სილვესტერ სტალონე


„შვარცნეგერი ჯობია თუ სტალონე?“, „ჯეკი ჩანი თუ ბრიუს ლი?“, „ვან დამი თუ ლუნდგრენი?“ – ოდესღაც დიდი მონდომებით ვერთვებოდი ხოლმე ამ მნიშვნელოვან გარჩევებში და ჩემს ფავორიტს, არც მეტი და არც ნაკლები, კბილებით ვიცავდი. მაღლობა ღმერთს, გაზრდასთან ერთად, ცოტა ჭკუაც მომემატა და დღეს ყველაზე ნაკლებად მაღლეებს მსგავსი საკითხები. თუმცა, მაინც უნდა აღვნიშნო, რომ კიბორგ-კაცი, რომელიც „I will be back“-ის მერე კალიფორნიის გუბერნატორი, ანუ ძალიან სერიოზული კაცი გახდა, ეს მეორე – სტალონე, ისევ წარსულ დიდებაში ჩარჩენილა და 2006 წელს გადაიღო ფილმი, სადაც რეჟისორიცაა, სცენარისტიც, პროდიუსერიც და მთავარი როლის შემსრულებელიც. „როკი ბალბოა“ ხომ „როკის“ ახალი სერიაა, სადაც 16-წლიანი პაუზის შემდეგ ნახავთ მობერებულ როკის, რომელიც ძალიან ბანალური მიზეზით – უსაქმურობის გამო უბრუნდება რინგს. ალბათ ისევ იქნება მუშტი-კრივის დროს შენელებული კადრები, სისხლის გასხმები და მსგავსი „მაგრობები“.

**ღამე მუზეუმში**

კინოთეატრი: „რუსთაველი“

რეჟისორი: შონ ლევი

ერთხელ, ზამთრის სუსხიან დღეს, ვინმე ლარის, რომლის როლს ბენ სტილერი ასრულებს, სამსახურიდან 666-ჯერ გაათავისუფლებენ. მისი რეზიუმე იმდენად მწირია, რომ იგი სრული ბედნიერებით დათანხმდება ახალ სამუშაო ადგილს – მუზეუმის ლამის დარაჯობას. მაგრამ რა იცოდა მისტერ ლარიმ, რა უბედურებები ხდება ყოველ ლამით ჩაბნელებულ მუზეუმში, სადაც ყველა ტირანოზავრის ჩონჩხი, ყველა ცვილის ფიგურა, ყველა მუმია და მუზეუმის წვრილ-წვრილი ბინადარი იღვიძებს და ლამის ცხოვრებით იწყებს ცხოვრებას. სად? – მუზეუმში. ვისთან ერთად? – საწყალ, შეშინებულ ბენ სტილერთან ერთად. რატომ ხდება ასე? ამას კინოთეატრში გაიგებთ.




**ფეხბედნიერი**

კინოთეატრი: „ამირანი“

რეჟისორი: ჯორჯ მილერი

ანტარქტიკა. ძალიან ცივა. თუმცა, ამ მხარეში შესანიშნავად გრძნობენ თავს დიდი და პატარა პინგვინები. შავები არიან, თეთრი გულებით და სასაცილო სიარულის მანერით, მაგრამ... მაგრამ ერთი საოცარი თვისებით: მღერიან! ოღონდ სულ მღერიან, განსაკუთრებით მაშინ, როცა გათხოვება-ცოლის მოყვანის დრო მოდის და სწორედ ამის წყალობით, კარგად აღებული ნოტებით შოულობენ გულის სწორს. მაგრამ მარტო ეს სასაცილო ამბავი ხომ მოსაწყენი იქნებოდა?! ამიტომაც, ამ ანიმაციაში ერთი სენსაცია და პინგვინთა ცხოვრებაში ერთი უპრეცედენტო ამბავი მოხდება. მას შემდეგ, რაც ნორმა ჯინს და მეფის საყვარელი პინგვინუშკა წამოეზრდებათ, ანუ მისი სიმღერის დრო დადგება – ჰოი, საოცრებავ! – აღმოჩნდება, რომ მათი პირმო სრული დეგენერატია სიმღერის ამბავში. სამაგიეროდ, უნდა ნახოთ რას ცეკვავს „ჩიჩოტკას“... მთელი პრობლემა კი ისაა, რომ სიმღერაში ამ უნიჭო პინგვინს პინგვინი გლორია შეუყვარდება და... და რომ ვერ მღერის?

P.S. ხედავთ, ზოგჯერ რა სინოფსისების წერა მიხდება?



## რატომ არ მოგონა მათი თვითმფრინავი

ავტორი: ლაშა ბაქრაძე

ოთხი ბიჭი რომ გამოჩნდება, მათ მაყურებლის გული უკვე მოგებული აქვთ. ეს ჩვენი ვერა-ვაკელი ბიჭები არიან, ჩვენ მათი წარსულიც ვიცით და მომავალიც. ფილმი აქაც შეიძლება დამთავრებულიყო და ჩვენ იმდენივე გვეცოდინებოდა, იგივე ემოციას გამოიწვევდა, როგორც გავრცობილი, თითქმის სრულმეტრაჟამდე დაგრძელებული ფილმი. სულერთია, ეს ბიჭები ომში გაიპარებიან თუ კაიფში დაეცემიან, ისინი ჩვენი ვნების ობიექტები არიან – ჩვენი ძმები, ძმაბიჭები, სახლიბიჭები და შეყვარებულები. სადაც არ უნდა წავიდნენ, რამდენიც არ უნდა წაიკითხონ, რამდენი ხეც არ უნდა დარგონ, რამდენიც არ უნდა ილოცონ, რამდენი სანთელიც არ უნდა დაანთონ, მაინც ისეთებად დარჩებიან, როგორებიც ჩვენ გვიყვარს – მათი ნაცნობი სიცარიელით ალვისილი თვალები მათსავე გოგჩოებს ყოველთვის მოჰგვრის სასიამოვნო ჟრუანტელს. რეჟისორებმა ეს კარგად იცნა, თანაც ვფიქრობ, რომ „გმირთა“ სხვა კატეგორიას ისინი არ იცნობენ. ეს ჩვენ რეჟისორთა წრეა და მთელი სიტბოც აქაა ჩაქსოვილი. ფილმებსაც ამ წრისთვის იღებენ. ამიტომაც, ვიღებთ კინოში სულ ამ ეგრეთ ნაწოდებ „დაკარგულ თაობას“, რომელმაც ამასობაში წარჩინებული დიდმოხელეებიც მოგვცა და თვალსაჩინო ბიზნესკაცებიც, რომლებიც მაინც -უკა, -კოებად დარჩნენ. ეს როლის მოთამაშეთა მდგომარეობასაც აადვილებს, რადგან ისინი არც არაფერს თამაშობენ, მხოლოდ თავიანთ თავს განასახიერებენ (ამიტომაც, მათ ეკრანზე სახელსაც კი არ უცვლიან). ახალგაზრდა თბილისელთა უმრავლესობა ქართული ფილმის სანახავად რომ მიდის, ეკრანზე ახლობლებლების სანახავად და მათით კიდევ ერთხელ აღსაფრთოვანებლად მიდის.

ბიჭები, იგივე შპანა, იგივე ბანდა, იგივე გრუბა (ჩვენ ერთი გუნდი ვართ) დროებით სხვადასხვა გზას ეწევიან: ორი ომს, ერთი უცხოეთს, ერთიც მონასტერს შეაფარებს თავს. (მახარობელი ლუკას სეხნიას სხვა რა გზა უნდა აერჩია, მისი ბედი ეტყობა გარკვეულია და იმდენად არასანტიტროსო, რომ

ალარც უნდა გაგვისენოთ. მონასტერში წავიდა, ცოტა კი გაგვიკვირდა, მაგრამ მერე რა.) თითქოს ალტერნატივა ჩნდება, მაგრამ რეალობა მტკივნეულია – მარჯვნივ წახვალ ყ. დარჩები, მარცხნივ წახვალ მაინც ყ. დარჩები, პირდაპირაც იგივე ბედი გელის – ალბათ ამიტომაც ბრუნდება მთავარი „გმირი“ ევროპიდან უკან და ორი ძმაბიჭის კვალს დაადგება. ყ.ობა გუნდში ჯობია.

ამსტერდამში შეყვარებულის გამო მიდის, თითქოს. მაგრამ, ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს, რაც უნდა გზასა ეშუაგებოდეს, როგორ იქნება კოფი-შოპში არ განისვენოს? არჩევანი ყველაზე ტურისტულ „ბულდოგის“ კოფი-შოპსა და ასეთივე პოპ-რემბრანდტის სახლ-მუზეუმს შორის (რომელშიც, სხვათა შორის არცერთი რემბრანდტის ნახატი არაა) ფილმში მხოლოდ იმისთვის გვჭირდება, რომ არ დაგვაგინყდეს – ვერა-ვაკელი ყოველთვის ხელოვან-ინტელექტუალია ან სულ ცოტა კულტურული. მაშ, ამ სიშორეზე დაფ-დაფებს კაცი ტყუილად ხომ არ წაათრევდა?

ჯერ კოფიშოპის უგემური, არაფრის-მთქმელი ნახატები და მერე ჩაყრილი ამსტერდამის კლომ-ტურისტული ხედები, ისე როგორც მანამდე პარიზისა და მათ შორის მობილური ტელეფონის წამყვანი ტექნოლოგიებით გადაღებული ხერხი ალბათ ჩვენი „გმირის“ ახალი ქალაქებით მცირე დოზით, რასაკვირველია ზომიერად დაინტერესებაზე უნდა მტყვევებდეს. საერთოდ, ამ ინდიფერენტულ ქართული კინოს გმირთან ემოციური კავშირი მიჭირს – ამიტომ ვერ განვიცადე, კოფი-შოპში რომ მიახარჯა „ფულები“, მერე ნუბაკმა უცხოელებმა გამათხოვრებულს ფული რომ არ ჩაუყარეს ქუდში და ჩრდილოეთის ცივ ქალაქში რომ შესცივდა უსახლკაროდ დარჩენილს. რადგან, ჩვენი დროის გმირის სულიერ ტანჯვას ვერ ვხედავთ, გმირისავე კადრს მიღმა მონათხრობი უნდა წაგვეხმაროს მის სულიერ სამყაროში ჩასაჭყეტად.

ამ უზომოდ განელილ კადრებს მოსდევს ასევე უზომოდ განელილი სცენები ახალი ქართული ემიგრაციის ზნეობრივი გათახსირების აღსაწერად, მოსაწყენი, ისევე როგორც ცხოვრებაში, დიალოგებით. იშვიათი

არაბუნებრივობით გამოირჩევა ემიგრანტი ქალის ნათელი სახე და განსაკუთრებით სცენა ტუალეტში, სადაც ის „ჩვენ გმირს“ ეძლევა, რალასაკვირველია უშედეგოდ. საერთოდ „ჩვენ გმირს“ კაცური გაგების ამბავში არაფერი ეშლება!

ამდენ ხიფათს გადარჩენილს, სიყვარული აიძულებს მოიპაროს მანქანა, ცხეში მოხედება, საიდანაც კაიოჯახიშვილობის გამო საქართველოს საელჩო დაიხსნის და ბოლოს, როგორღაც მოგზაურობის მიზანსაც მიაღწევს.

ის, რომ „მისი გოგონა“ ქალწულბერივად აკოცებს ვილაც ჩაფხუტიან რაინდს, საკმარისია იმისთვის, რომ „ჩვენი გმირი“ კიბისქვეშ დაიმალოს და მოხელთებულ დროს „აითესოს“. ვერა-ვაკულ გაგებაში, „ჩვენი გმირი“ ერთიათად ახლობელი და საყვარელი (ასე წერენ – ფორუმ.გე-ზე) ხდება.

გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ „გმირს“ თვითმფრინავზეც აგვიანდება.

გოგო -ანო, კი კიბეზე დატოვებული ყომარის კამათლებიდან ისრუტავს სათაყვანებლი -უნას სურნელს, ტირის და ტირის და აი, თითქოს ზეცაც ატირებულა (მას პირდაპირ ჭერიდან ეცემა ცრემლები). მერე გადაიკისკისებს და მაყურებელიც ამოისუნთქავს – ყველაფერი კარგად იქნება, ანუ ისე, როგორც ყოველთვის. ქართული ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე.

თუ ვინმემ არ იცის რა იყო აფხაზეთის ომი, ისეთი შთაბეჭდილება დარჩება, რომ ეს მხიარულ პატრიოტთა ბანაკი იყო. ერთხელ ტელევიზიით ნაჩვენები კადრები, სწორედ მათი დოკუმენტურობის გამო, განსაკუთრებულად ყალბ შთაბეჭდილებას ტოვებს.

თავიდან-ბოლომდე ყალბია ხმა ფილმში. ეს საერთოდ ქართული კინოს პრობლემაა. ქუჩურ-ყოველდღიურობა ენისა ამ სიყალბეს ვერ დამალავს.

მუსიკა კარგიაო, ამბობენ, განსაკუთრებით ირაკლი ჩარკვიანის, მაგრამ ხშირად მეჩვენებოდა, რომ მუსიკა თავისას აწვება, რეჟისორ-ოპერატორი კი თავისას მიერეკებიან (მანქანის მოპარვის სცენა, თუნდაც). ახლა ირაკლის მუსიკას თუ გამოცვლიან – ნახავთ, რომ ფილმს არც ბევრი დააკლდება და არც მიემატება.

გიო მგელაძის არასიყალბის რომ არ მჯეროდეს და მისი მომავალი ფილმების იმედი რომ არ მქონდეს, რა აზრი ექნებოდა იმაზე საუბარს, რაც სულ არ მომეწონა. ამიტომ, გადავწყვიტე პირველ რიგში მისთვის და სხვა, მეტ ან ნაკლებად ახალგაზრდა რეჟისორებისთვის გულახდილად გამეზიარებინა ჩემი შთაბეჭდილება.

ისიც კარგად ვიცი, რომ ამ ქვეყანაში ყველაზე მეტად გულახდილობა სძულთ.



# „ამ კასმა წლის ყველაზე გიჟური წიგნი ღანჯა“

სათაური წმინდა წელის პლაგიატია: ასე ერქვა სტატიას, რომელიც 2006 წლის 3 დეკემბერს „BILD am SONNTAG“-მა გამოაქვეყნა. ლამის მთელი გვერდი „სანტა-ესპერანსას“ და მის ავტორს ეთმობა, და თუკი გავითვალისწინებთ, რომ „BILD“-ს მთელი გერმანულენოვანი სივრცე კითხულობს, განურჩევლად იმისა, მოსწონთ თუ არა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ: აკა მორჩილაძემ მოიგო და მასთან ერთად ჩვენც გავიმარჯვეთ.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სანტა ესპერანსაზე!“

თანამედროვეობის ყველაზე მნიშვნელოვანი ქართველი მწერლის ლიტერატურული ფეიერვერკი შავ ზღვაში, წარმოსახვით სანტა ესპერანსას კუნძულებზე გავიგებთ. უამარავი ფრაგმენტისგან – სასიყვარულო ამბებისგან, ომში გადამხდარი თავგადასავლებისგან, მითებისა და თქმულებებისგან, ძველისძველი ქრონიკებისგან და ასევე იმელებისა და საგაზეთო სტატიებისგან იქმნება მრავალფეროვანი კოსმოსი, რომელშიც თამამად შეიძლება გადაადგილება. 36 ფერადი რვეულის წაკითხვა უთვალავი კომბინაციით შეიძლება, რომლებიც სხვადასხვაგვარად გვატარებს კუნძულების სამყაროში და ამავდროულად ოსტატურ ერთიანობას ქმნის. – ასე აღწერს გამოცემლობა Pendo წიგნს, რომლითაც ამყობს – და სავსებით სამართლიანადაც. თავად ავტორს კი უთქვამს: „ბევრად უფრო დემოკრატიული არაა, როცა ყველა ადამიანს შეუძლია თავად გადაწყვიტოს, როგორ უნდა წიგნის წაკითხვა?!“

გერმანული პრესისგან განსხვავებით, აკა მორჩილაძის, ანუ გიო ახვლედიანის შესახებ აღარაფერს ვიგებთ, თავადაც მოგვხსენებთ. არც იმას მოგითხრობთ, თუ რას წერს ჩვენზე თუნდაც Sueddeutsche Zeitung სტატიებში „ეს იყო საქართველოში: ფანტაზიის არქიპელაგის ტრაგიკული, გიჟური, მრავალფეროვანი ქრონიკა“ – ისედაც ვიცით, რა ქვეყნის შვილები ვართ. მე ვიგებთ იმ ქალბატონის შესახებ, რომლის წყალობითაც ბაკურ სულაკაურის გამოცემლობის მიერ გამოქვეყნებულმა წიგნმა ევროპელი მკითხველის გულიც მოიგო.

ეს გახლავთ ქალბატონი ნათია მიქელაძე-ბახსოლიანი, თბილისის გოეთეს ინსტიტუტის კულტურულ პროგრამათა კოორდინატორი და „სანტა-ესპერანსას“ მთარგმნელი. ვთხოვე, „სანტა-ესპერანსას“ გერმანული თავგადასავლისა და თავის შესახებ ეამბო. ამ ბოლო თემასთან დაკავშირებით ცოტა ინუნუნა, მაგრამ მუქარამ, რომ ტყუილებს დავწერდი, გაჭრა. მამ ასე, გვიამბობს ნათია მიქელაძე-ბახსოლიანი:

„წიგნი გამოსცა შვეიცარულ-გერმანულმა გამოცემლობა Pendo-მ. მისი წარმომადგენელი 2005 წლის ზაფხულში იყო ჩვენი ჩამოსული და სათარგმნელად ავტორებს არჩევა. მრავალი ადამიანის რეკომენდაციით არჩევიანი, ძალიან დამსახურებულად, შეჩერდა აკა მორჩილაძეზე, როგორც ყველაზე პოპულარულ ქართველ თანამედროვე მწერალზე, და სწორედ „სანტა-ესპერანსაზე“, ალბათ უფრო მეტად ორიგინალური ფორმის გამოც. თავდაპირველად აპირებდნენ ამ წიგნის სამ ნაწილად გაყოფას და სამი მთარგმნელისთვის მიცემას. საცდელი თარგმანის შემდეგ კი მკითხეს, ამას მხოლოდ ჩემს თავზე თუ ავიღებდი, და ერთი წელი დრო მომცეს.

წიგნი დეკემბრის დასაწყისში გამოიცა, და როგორც აკას შეატყობინეს, ის გამოცემლობისთვისაც მოულოდნელად კარგად იყიდება. მეტი რა გვინდა!“

რაც შეეხება თარგმანს: ყველაზე რთული ამ რომანში თავმოყრილი სხვადასხვა დიალექტების, ჟარგონისა თუ ფსევდონუსხურის გადაგერმანულება იყო, ანუ ენობრივად ისე გადატანა, რომ ეს განსხვავებები გერმანულენოვან მკითხველსაც აღეჭვა. ნათია მიქელაძემ ეს შეძლო – ვულოცავთ ნათია მიქელაძეს!

ეს ქალბატონი გახლავთ გერმანისტი, დამთარგმნელი აქვს ლაიფციგის უნივერსიტეტი. ოჯახში ჰყავს ხუთი მამაკაცი, მეუღლე და ვაჟები. „თარგმნა ბავშვობიდან მიყვარს,“ ამბობს ნათია, „ალბათ დიდი ბაბუა გერონტი ქიქოძისა და ბებიაჩემი თინათინ ქიქოძისგან გადმომეცა გენეტიკურად, ორი ენის ცოდნა კი აკვნიდანვე ჩამაყოლეს. გერმანისტიკაზე შეგნებულად იმიტომ ჩავაბარე, რომ ოდესმე ამ საქმისთვის მომეკიდა ხელი. ესაა და ეს.“

პლაგიატივზე დავასრულე: ესაა და ეს.



# საქართველო ილია ჭავჭავაძე

“...წინამურის გზაზე, იქ, სადაც ილია ჭავჭავაძე მოკლეს, მაშინ ქვის ჯვარი იდგა. დაჭრილი ირმის კვალს იმ ჯვართან მიუყვანია მონადირენი. სისხლიანი კვალი იქიდან ისევ უკან, მონასტრისკენ ბრუნდებოდა. მონადირენიც უკან გაჰყოლიან კვალს. ნახევარი გზაც არ ჰქონიათ გავლილი, რომ დაჭრილი თეთრი ხარირემი დაუნახავთ. სამჯერ ასულა ასე ირემი მონასტერში და უკან ჯვართან დაბრუნებულა. გაშმაგებული პირუტყვი რქებით ლენავდა და ანგრევდა ყველაფერს, რაც წინ ეღობებოდა და გზას ისე მიიკვლევდა. ბოლოს სისხლით დაცლილი და დაქანცული ჯვრის წინ დამხოვილა, რქები მიწაში ჩაურჭვია და ისე დაუღვია სული.”

ეს ამბავი დაბეჭდილია 1909 წლის 2 თებერვლის მე-5 ნომერ “ივერიაში”. ეს ამბავი ყველა ქართველმა იცის. ამ ამბით ასრულებს აკაკი ბაქრაძე ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ამბის თხრობას.

აკაკი ბაქრაძის წიგნით “ილია ჭავჭავაძე” (პირველად ის 1984 წელს “ნაკადულმა” გამოაქვეყნა, სათაურით “ილია ჭავჭავაძე – წინამური”) ლაშა ბაქრაძემ და გამომცემლობა “პეგასმა” ახალი და უაღრესად მნიშვნელოვანი “ილუსტრირებული ბიოგრაფიების” გამოცემა დაიწყო. წიგნების ამ სერიაში შევა მონოგრაფიები, რომლებიც ქართულენოვან მკითხველს ახალი კუთხით გააცნობს მათ,

ვინც თავიანთი ცხოვრებით თუ შემოქმედებით დიდი როლი ითამაშეს ჩვენი ქვეყნის თუ მსოფლიო ისტორიაში.

ჩანაფიქრის თანახმად, “ილუსტრირებული ბიოგრაფიები” ყურადღებას გაამახვილებს არამარტო კაცობრიობის კეთილისმყოფელებზე, არამედ დიდ ტირანებსა და დამპყრობლებზეც. წიგნის პრეზენტაციის დროს ლაშა ბაქრაძემ ბრძანა---თქვა, რომ გამომცემლები შეეცდებიან, შეძლებისდაგვარად მიუკერძოებელი ნამუშევრები გამოაქვეყნონ, პოლიტიკურ თუ ეროვნულ “სარჩულს” მოკლებული. ცხადია, “ილუსტრირებული ბიოგრაფიების” ავტორები მხოლოდ ქართველები არ იქნებიან, დიდი ადგილი დაეთმობა თარგმანებსაც. მთავარი იქნება ძირითადი პრინციპი: საინტერესო პიროვნება, საინტერესო ავტორი, საინტერესო ილუსტრაციები.

ის, რომ “ილუსტრირებული ბიოგრაფიების” პირველი ტომი ილია ჭავჭავაძეს ეძღვნება, შემთხვევითი როდია: მომავალი, 2007 წელი, საქართველოში ილიას წელი იქნება, მისი, როგორც ყოველთვის, ორმაგი იუბილე – მოგესხნებათ, ილია 1837 წელს დაიბადა და 1907-ში იყო მოკლული. ძალიან სასიხარულოა, რომ ამ წლისთვის ვინმემ მიანიც წინასწარ დაიჭირა თადარიგი – მთელი საქართველო “ილიას გზა, ილიას გზა”-ს ძახილშია, და რას ნიშნავს ეს ამბავი, კაცმადაბდეულმა არ იცის.

როგორც უწინაც მოგახსენეთ, აკაკი ბაქრაძის “ილია ჭავჭავაძე” პირველად 1984 წელს გამოქვეყნდა და, იმ დროის წესისამებრ, მასაც საკმაოდ რთული ბედი ჰქონდა. იმის გათვალისწინებით, რომ დღეს ყველანაირ, ხშირად უბადრუკ ნამუშევარსაც ძირითადად იმით უკეთებენ რეკლამას, საბჭოთა კავშირში დანუნებული ან აკრძალული იყო (ხშირად სავსებით სამართლიანადაც), ამ ამბის თხრობით თავს აღარ შეგანწყენთ. გაგახსენებთ მხოლოდ, რომ პირველი, 1984 წლის გამოცემის ანოტაციაში ვკითხულობთ: “მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ცხოვრებაში არ დასმულა საქვეყნო და სახალხო პრობლემა, რომლის გადაწყვეტა-მოგვარებაში ილია ჭავჭავაძეს მონაწილეობა არ მიეღოს. რა თქმა უნდა, ეს პატარა წიგნი ყველაფერს ვერ გააცნობს მკითხველს, მაგრამ ძირითად საკითხებს გვერდს არ უვლის და, რამდენადაც მის ავტორს შეეძლო, დოკუმენტური სიზუსტით ყვება ილიას თავგადასავალს”. პირველი გამოცემისგან განსხვავებით, “პეგასისული” “ილია ჭავჭავაძე” უხვად ილუსტრირებულია, რაც მას დამატებით ხიბლს სძენს. აქ შეხვდებით მათ, ვის შესახებაც ბევრი რამ გსმე-

ნიათ, ნახვით კი არ გინახავთ, არადა, ილია ხომ 1907 წელს მოკლეს, ფოტოგრაფია უკვე საუკეთესოდ იყო განვითარებული.

დავინყოთ გარეკანით. მისთვის გამოყენებულია ილია ჭავჭავაძის სტუდენტობის დროინდელი ფოტო – ახალგაზრდა, ლამაზი კაცი, რატომ უნდა გვეგონოს, რომ კლასიკოსი აუცილებლად მოხუცია და მკვდარი?! ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა წიგნში დაბეჭდილმა დიმიტრი ყიფიანის 100 წლის იუბილეს გამო გამოცემულმა ლია ბარათმა. ის, რომ ის მშვენიერი გარეგნობისა იყო, პანანინა ფოტოზე ჩანს, დანარჩენი კი სერიოზულ ეჭვს ბადებს, რომ ჩემი თანამემამულეები მხოლოდ ახლა არ გაგიჟებულან: მოგესხნებათ, დიმიტრი ყიფიანი საშინლად მოკლეს და აჰა, ლია ბარათზე მისი საშინლად დასახიჩრებული ცხედარი არაა აღბეჭდილი?!

ბევრ რამეს ჰფენს ნათელს მეოცე საუკუნის დასაწყისში გადაღებული ფოტოც – ყვარელი, სახლი, რომელშიც ილია დაიბადა. მისი შემხედვარე უმალ მიხვდებით, რომ წიგნის ავტორი, ბატონი აკაკი ბაქრაძე, არაფერს ამეტებდა, როცა გრიგოლ ჭავჭავაძის შესახებ წერდა: “ცოლის ნაადრევმა სიკვდილმა, სიღარიბემ, მევალებთან ჩხუბმა და დავამ მოტეხა იგი...” ჩხუბობდა და დავობდა კიდევ!

საარქივო ფოტოსურათები, რომელთა დიდი ნაწილი ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილია, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში და ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული. უაღრესად საინტერესო ფოტოსურათებია, მათი დახმარებით მკითხველი სულ სხვა თვალთ შესცქერის ილიას ეპოქას და ბევრი რამე უფრო გასაგები ხდება. ერთი რამაა მხოლოდ გაუგებარი: ყველაფერ ამის მერე როგორღა იქუხა ხუთჯერ არაგვის ხეობამ, როცა ილია ეტლში წამოდგა და დაიძახა: “რას ჩადიხართ, ილია ვარ!”

P.S. გამომცემელთა სადიდებლად უნდა ითქვას, რომ წიგნს, როგორც წესი და რიგია, დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, მითითებულია ილუსტრაციების წყაროები, ქრონოლოგია და პირთა საძიებელი. და კიდევ: ლაშა ბაქრაძემ წიგნი თავად მოგვანოდა, მავანთაგან განსხვავებით, რომელთაც მიაჩნიათ, რომ “ცხელი შოკოლადის” ჟურნალისტიკა თავად უნდა ქექოს წიგნის მალაზიების თაროები და მერე, თუ ღმერთი გაუნყრა და რამეს ვერ შეწვდა, მას უწინგური და უყურადღებო უნდა ეწოდოს.



## ბილოცავთ შობა-ახალ წელს!!!

მრავალს დაესწართ და გახსოვდეთ, ჩვენ მუდამ თქვენს გვერდით ვართ.  
უსმინეთ რადიო „უცნობს“ და შეეგებეთ ახალ წელს საუკეთესო განწყობით!

კეთილი სურვილებით,  
რადიო „უცნობი“.


has ახის პოპულარი სითი?

პოპულარი სითი  
Populi City

- 3000 უვადატული მეტი სავაჭიო ფაქიო
- 20 000 დასახელების ჰილდექტი
- საცხობ - საკონდიტრო - ფიანგი და იტალიელი უონდიტეების მიუი დამზადებელი: ბაგეტი, ქუასანი, იტალიური ტაბილეულის ფაქიო ასოტიმენტი
- ხოციის ფაქიო ასოტიმენტი
- ხილისა და ბოსტნეულის ფაქიო აჩუვანი
- თევზეულის ფაქიო ასოტიმენტი
- უსაკლებოეხი ჰილდექტი უვიოვიდან
- კაფე



მისამართი: 3. ვეჯანს 3, საქათველომ სავაჭიო ცენტრის  
("ქო-თი-ბი") | საათული,  
(სათული უოლმეუქნეომის ბაზახი)



[www.geocell.ge](http://www.geocell.ge)